

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ირინე ქერქაძე

**ცხოველების აღნიშნული ლექსიკა
კვლ ქართულში**

სსსა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1974

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი ფენის — ცხოველების აღმნიშვნელი სახელებისა და მათთან დაკავშირებული ლექსიკის ანალიზის ცდას.

მასალა შეკრებილია ძველი ქართული სალიტერატურო ენის როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ძეგლებიდან.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები შედარებულია ქართველური ენების მონაცემებთან. შეძლებისდაგვარად დადგენილია საკუთარი და ნასესხები ლექსიკა.

საჭიროების მიხედვით გათვალისწინებულია ზოოლოგიური ლიტერატურის მონაცემებიც.

წინასიტყვაობა

ენის ლექსიკური მარაგის დარგობრივ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. კვლევის ეს გზა ბელს უწყობს ენის ლექსიკური ფონდის როგორც სისტემის შეცნობას.

ძველი ქართული ენის ლექსიკა დარგობრივად შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს და შეისწავლოს ცხოველების აღმნიშვნელი და ცხოველებთან დაკავშირებული ყველა ის სახელი, რომელიც კი შეგვხვდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლებში (იხ. დამუშავებული ტექსტების სია).

ამ ნაშრომში განხილულია ხველეთისა (ოთხფეხა) და წყლის ცხოველების აღმნიშვნელი ტერმინები. ცხოველთა სამყაროს დანარჩენ წარმომადგენელთა (ფრინველების, მწერების...) სახელების დამუშავება ივარაუდება მომავალში.

ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ენის უძველესი ფენის კუთვნილებაა. უკვე ეს ფაქტი განსაზღვრავს მისდამი განსაკუთრებულ ინტერესს. კონკრეტული მასალის ანალიზისას, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ზოგადი ხასიათის საკითხები, რომელთა შესწავლაც უკავშირდება ერის უძველესი აზროვნებისა და კულტურის ისტორიის რიგი საკითხების გარკვევას.

მაგალითად, საგანთა სახელდებლს საკითხი ენაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ჩვენი მასალის ანალიზის ჯაფუქველზე ხერხდება გარკვეული დასკვნების გამოტანა. ასევე ინტერესს იწვევს ენაში ცხოველთა რეალური სქესის გარჩევა-გამოხატვის საშუალებათა გარკვევა.

ცნობილია, რომ შესაქონლეობა ქართული მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და ამასთან ტრადიციული დარგია. მისი ისტორიის შესწავლისათვის, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ენათმეცნიერული კვლევის შედეგების გათვალისწინებაც.

ცხოველების აღმნიშვნელი სახელების საფუძვლიანი ანალიზი: მოცემული აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. მასში განხილულია არა მარტო ქართულ-ქართველური, არამედ, აგრეთვე, მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესაბამისი ფუძეებიც.

მრავალი ფუძეა გაანალიზებული აკად. ნ. მარის სხვადასხვა ნაშრომში.

ცხოველების აღმნიშვნელი სახელების ცალკე სემასიოლოგიური ჯგუფებია გამოყოფილი და შესწავლილი აკად. არნ. ჩიქობავას ნაშრომში „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“. ცხოველთა აღმნიშვნელი რიგი სახელის აგებულებას ეხება ამავე ავტორის ნაშრომი „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“.

შევვალდეთ გამოგვეყენებინა ყველა იმ მკვლევრის ცალკეული წერილები თუ მონოგრაფიები, რომლებშიც განხილულია ჩვენთვის საინტერესო ესა თუ ის ტერმინი.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ყოველი სიტყვა დოკუმენტირებულია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებიდან; სადაც ეს შესაძლებელია, ვიყენებთ სათანადო მასალას ქართულის მონათესავე ენებიდან (მეგრულ-ქანურიდან, სვანურიდან). ამ ენებიდან მოხმობილი შესატყვისები შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ფრაზებში.

მნიშვნელობათა დასადგენად ჩვენთვის ამოსავალი იყო კონტექსტი. გარდა ამისა ვიყენებდით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს; საჭიროების შემთხვევაში ვსარგებლობდით სხვა ავტორთა ლექსიკონებითაც (იხ. გამოყენებული ლექსიკონების სია).

ნაშრომში წარმოდგენილ ცხოველების აღმნიშვნელ ნასესხებ ფუძეთა ანალიზისას და წარმომავლობის რკვევისას ვსარგებლობდით არსებული სათანადო ლიტერატურით.

გამოვიყენეთ სპეციალური ზოოლოგიური ლიტერატურაც, სადაც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ცხოველების მეტ-ნაკლებად სრული და ამასთან საყურადღებო დანასიათება.

„ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ხმელეთის (ოთხფეხა) ცხოველების აღმნიშვნელი სახელები, მეორე ნაწილში — წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები.

პირველი ნაწილის პირველი თავი მოიცავს საკუთრივ ქარ-

იულ-ქართველურ ფუძეებს (ეს მასალა ძირითადად სემანტიკური პრინციპის მიხედვით დაეჯგუფეთ). მეორე თავში გაანალიზებულია უცხო ენობრივ სამყაროდან შეთვისებული ფუძეები.

ნაშრომის მეორე ნაწილში თავმოყრილია წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები. აქ გამოვლენილი ფუძეების შესახებ ცნობები საენათმეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არ მოგვეპოვება. ამიტომ მასალის უკეთ გაანალიზების მიზნით მიზანშეწონილად ვცანით ზოოლოგიური კლასიფიკაციის გამოყენება; ამან განაპირობა მასში საკუთარი და ნასესხები ფუძეების ერთად განხილვა.

წინამდებარე მონოგრაფია დამუშავდა 1961—1964 წლებში როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით. მასში გათვალისწინებულია 1965—72 წლებში გამოსული ლიტერატურაც.

ირ. ქერქაძე

საწილი პირველი

თ ა ვ ი 1

ცხოველების აღზნისთვის კარგად შესაბამისი სახელები

ცხოველთა ზოგადი ცნების აღზნისთვის სახელები

ოთხფერტი, პირუტყვ, ცხოველი, მშენებელი/მშენებელი, მშენებელი, მშენებელი, მშენებელი, მშენებელი

ოთხფერტი Quadrupes

და ვითარ არს ხატი ოთხ-ფერტი? -თავი მათი ქუეყანად დადრეკილ არს, და მუცლისა მიპართ ხედავს, და თვსა განსუენებასა მისდევს იგი ყოვლითა სახითა (ექ. დღ. 105,23).

რამ არს ლომისა უბოროტესი ოთხ ფერტი შორის (სინ. მრ. 21,37).

კაცი, რომელი შეეხოს... ოთხ ფერტი არაწმიდათა... წარწყმდეს კაცი იგი (ლუ. 7,11).

ოთხფერტი (ახ. ქართ. ოთხფერი) ზოგადი სახელია ცხოველისა, პირუტყვისა საერთოდ. „ოთხფერტი — პირუტყვი, ოთხით მავალი“ — განმარტავს საბა¹. ოთხფერტის მნიშვნელობით ძველ ქართულში გვხვდება გამოთქმა — რომელი ვალს ოთხითა, მაგ. ყოველი, რომელი ვალს მუცლითა, და ყოველი, რომელი ვალს ოთხითა მარადის... არა შეპაოთ იგი (ლუ. 11,42).

ოთხფერტი მიჩნეულია ბერძნულ-სომხურ-ქართულ კომპოზი-

¹ ს უ ლ ს ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

ტად. ეს ფუძე ქართულში ისევეა აგებული, როგორც ბერძნ. τετραπους; და სომხ. չարգրտանք².

ანალოგიური აგებულებისა ჩანს ამ ცნების აღმნიშვნელი ფუძე რიგ ენებში: რუს. четвероногий, ლათ. quadrupes, გერმ. der Vierfüß(ler), ინგლ. four-footed, სპარს. čaharpa, čarpa.

ქართულის მონათესავე ენათაგან სვანურში ოთხფეხის აღსანიშნავად გვაქვს ჭედხმალ (ბ. ზ.), ჭოთხმავალ (ლზბ.), ჭოშთხმლგვიშხ (ლზბ.)³ „ოთხფეხა“ (ჭოშთხმ „ოთხი“, ვიშხ „ფეხი“). აკად. ნ. მარის ჩანაწერით ლაშხურშივე დასტურდება ჭერდხმალ, რაც ნიშნავს „ოთხით მავალს“⁴.

ოთხფეხის აღმნიშვნელი ქართულ-სვანურის ანალოგიური კომპოზიტიური ფუძე ზანურში არ ჩანს.

ოთხფეხის, პირუტყვის და საერთოდ საქონლის მნიშვნელობით მეგრულში ორინჯი/ორჩი ფუძე გამოიყენება. ამავე ორჯ ფუძეს მეგრულის ბანძურ-მარტვილურ თქმაში ძროხის მნიშვნელობა აქვს⁵.

ორინჯ-/ორჯ-ფუძეს აკად. ივ. ჯავახიშვილი უკავშირებს მეგრულში არსება ზმნურ ფუძეს და ვარაუდობს, რომ ორინჯისა და არსების აღმნიშვნელი მიმღეობის მარენჯის ფონეტიკური და სემასიოლოგიური მსგავსება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს⁶.

აკად. ვ. თოფურიაშ აზრით, მეგრულში საქონლის, პირუტყვის აღმნიშვნელი ორინჯი/ორჩი/ორჯი ფუძე მყოფადის მიმღეობის ორენჯის („სამყოფელი“ „სამყოფი“) სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს⁷. ამგვარ წარმოება-გაგებას მხარს უჭერს ხაცხოვარი-ცხოვარი-ცხოველი (შდრ. გურ. ხაყოლი — „შინაური ფრინველი, ცხოველი, რაც შეიძლება იყოლოს ოქახმა“)⁸.

² თ. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, კომპოზიტები ძველ ქართულში, თსუ შრ., ტ. 47, თბ., 1952, გვ. 80.

³ სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი, დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში).

⁴ Н. Я. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, Пб., 1922, 83-80.

⁵ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, 83-294.

⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937, გვ. 203.

⁷ ვ. თოფურია, -ენჯ სუფიქსი მეგრულში; ენიმკის მოამბე, X, თბ., 1937, 83-142.

⁸ გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი; ქართველურ ენათა ლექსიკა, I გურული, ზემოიბერული და ლეჩხუმური ლექსიკონები., თბ. 1938.

ორიწი ფუძე ერინჯ (სქჩნჯ) ფორმით სომხურში გვხვდება „საქონლის“, „დეკეულის“ მნიშვნელობით როგორც აკად. ნ. მარი შენიშნავს, ეს ფუძე სომხურში შეთვისებული უნდა იყოს ქანურ-მეგრულიდან⁹. ამავე აზრს იზიარებს სომეხი მკვლევარი გრ. ლაფანციანიც¹⁰.

პირუტყვ pecus

პირუტყუნი ქუეყანისაგან არიან და ქუეყანად მიმართ ხედვენ (ექ. ლლ. 105,20).

ვითარ გარდასცთოს კაცი ღვნითა, უფროჲს პირუტყუსა უგუნურ იქმნის (სინ. მრ. 113,1).

ნინეველნი იყუნეს უცებ, ვითარცა პირუტყუნი (მამ. სწ. 42,26).

ყლსა პირუტყუსა უყუარნ მსგავსი თვისი და ყლსავე კაცსა უყუარნ სწორი თვისი (მსო ზირქ. 13,15).

...ვითარცა პირუტყუნი დაღუმებულ ვართ შენ წინაშე (იბ. 18,3).

პირუტყვ ცხოველის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. „პირუტყვი—უტყვი ცხოველი“ (საბა). „პირუტყვ—უენო ცხოველი, მხეცი ან ხეასტაგი, СКОТ, СКОТННА“¹¹.

პირუტყვი ქართული კომპოზიტია. იგი გადმოსცემს ბერძნულ *αἰῆσις* და *ζῆσις*-ს („საქონელი“, „ცხოველი“), და სომხურ *անասուն*-ს („უტყვი“, გაღატანით „ცხოველი“ „საქონელი“)¹².

ძველ ქართულში პირუტყვის სინონიმად უტყუ ფუძეც გვხვდება. მაგ., ეპა საკურველებათა შენთა ქრისტე, რომელმან უტყუნითა მკეცნი და ცხოველთა მსრველნი დაამორჩილენ მონათა შენთა... (გარეჯ. 161,2).

პირუტყვს პირ-შეტყუელი უპირისპირდება. მაგ., ...ამიერთგან თქუენსა და ჩუენსა დამბადებელსა უბრძანებიეს, რაჲთა პირ-მეტყუელთა კაცთა მიერ აღიფხენეს ყოველნი ესე უდაბნონი (შიო, 114,34).

პირუტყვის, საქონლის მნიშვნელობით სევანურში, გარდა ზე-

⁹ Н. Я. Марр, Яфетические элементы в языках Армении, ИАН, 1912, გვ. 834.

¹⁰ Гр. К а п а н ц я н, О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, Изд. АН Арм. ССР, 1952, გვ. 7, 19.

¹¹ ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ლლონტის ჩედაქ-ციით, თბ., 1961.

¹² თ. ყ ა უ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. წერილი, გვ. 66.

მთ განხილული უოშთხტლგქიშხ „ოთხეხი“ ფუძისა, იხმარება აგრეთვე ჭუნღეშგენე (ლშხ.), ჭუნღეშგენე (ბ. ზ.) — „სულღგმული“¹³. მაგ. ჭა ცხაჲ დესა ზაწვენენ ხოჩა ჭუნღეშგენას ექმარს (ა. ონ. 6,34), „რასაკვირველია, ისინი არ უჩვენებენ მათ კარგ სა-ქონელს“.

მსხვილფეხა საქონლის აღსანიშნავად სვანურში შანგარ (ბ. ზ.), შანგარ (ლშხ.) ფუძეც გვხვდება. მაგ. შანგარ ჩჰს ხორი ლაშხი-სა (ა. ონ. 2,24), „მსხვილფეხა პირუტყვი საქონელი ლაშხეთში ყველას ჰყავს“.

მეგრულში ამ მნიშვნელობითაც ორინჯი ფუძე გამოიყენება (იხ. აქვე, გვ. 7), რაც შეეხება ჭანურს, იქ პირუტყვის, საქონლის მნიშვნელობით იხმარება თურქულიდან შეთვისებული ზაივან ფუ-ძე (თურქ. haivan).

ცხოველი animal

გაფუცებ თქუნ შემოქმედსა ცათა და ქუეყანისასა..., რომელ-სა ეგულეზის განსჯაჲ ცხოველთა და მკუდართაჲ (ბრო-ნოლრ. 240,30).

ამას ცხად-ჰყოფს შემდგომისა სიტყვსა მიერ ვლ ცხო-ველნი სცნობენო, რამეთუ მოკუდებიან და მკუდარნი არა არიან მეცნიერ არაჲს (ეკლ. 130,16).

...ოგი თავადი მოსლვად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა, (ქრისტე. VIII, 35).

რაჲსა ეძიებთ ცხოველსა (ცხოელსა C) მას მკუ-დართა თანა? (ლკ. 24,5).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ცხოველ ფუძე ხშირად გვხვდება. ოგი ძირითადად გულისხმობს ცოცხალ არსებას, სულიერს და უპირისპირდება არაცოცხალს — მკედარს. ზოგჯერ ცხოველი განსაზღვრებად ერთვის ფუძეებს: პირუტყვ-

¹³ სულღგმული ფუძე მეგრულშიც გვხვდება შურღგუმილი ფორმით, რაც „ცოცხალ არსებას“ ნიშნავს (живие существо), ოღონდ არა საქონლის, პირუტყვის მნიშვნელობით, არამედ შატლის, მეგრ. მუნტურის აღსანიშნავად. მეგრულში, საზოგადოდ, ცხოველთა სამყაროს ზოგი წარმომადგენლის სახელის წარმოთქმის ერთდებთან — ცუდს შეგვაძვევესო — და ცდილობენ სხვა სიტყვით შეცვალონ ნამდვილი სახელი. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა შურღგუმილის გამოყენება „შატლის“ აღსანიშნავად. გარდა შურღგუმილისა, მას უწოდებენ აგრეთვე: რქიშა მახიმალი «измеряющий спину» და თელი «здоровый», «живой», იხ. И. К и л ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.

სა და ოთხფეხს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ცხოველი გულის-
ხმობს ცოცხალ არსებას საერთოდ. მაგ. უწყვეტობისაგან მრავალნი
პირუტყუნი ცხოველნი და კაცნი განიხრწნეს (ხრონოლრ.
294,12).

...ჩუენ სიტყვერობითა უმჯობეს ვართ პირუტყუთა ცხო-
ველთასა, (იქვე, 41,13).

აპოლონიოსნი რომელთამე ადგილთა შინა მდგომარენი ტი-
ლისმნი მოქმედებენ ვიდრე მოაქამდე, რომელნიჲ გარემისაქცევე-
ლად ოთხფერქთა ცხოველთა და მფრინველთა, რომელთა
ძალეუც მავნებელყოფაჲ კაცთაჲ (იქვე, 231,11).

რიგ შემთხვევებში ძველი ქართულის ცხოველი თავისი მნიშ-
ვნელობით ფარავს ახალი ქართულის ცხოველს. მაგ. და მესმა
ქმაჲ შორის ოთხთა მათ ცხოველთასა (გამოცხ. იოვ. 6,6).

...ვერძი მთავარი არს, და კუალად, ვითარმედ უხუ არს და
მომგებელ, ვინაჲთგან ცხოველი იგი უტიკივარად განიყრის
მატყლსა... (ექ. დღ. 70,33).

...და იქმნის გაზაფხული, რომელ არს დასაბამი გამოღებისაჲ
ყოვლისა მცენარისაჲ... და მცველი ნათესაჲისა ცხოველთა
ქუეყანისათა და წყლისათა (ექ. დღ. უძვ. რედ. 98,30).

ძველ ტექსტებში ცხოველ ფუძიდან ნაწარმოები აბსტრაქტუ-
ლი სახელიც გვხვდება: ცხოველება/ცხოველობა. მაგ., ხოლო
ცხოველებჲჲ სრული პოვნილ არს ბუნებასა შინჲ კაცისასა...
(კაც. აგებ. 155,23).

და უმეტესი რაჲმე აქუს ქუეწარმავალთა ქუეყანისათა და
ოთხფერქთა ძალი ცხოველობისაჲ უფროჲს წყლისათასა
(ექ. დღ. 91,17).

ცხოვ- ფუძიდან იწარმოება რიგი სიტყვები ქართულში: ცხო-
ვარი, საცხოვარი, მაცხოვარი... (მსჯელობა ამ ფუძეთა შესახებ ნაშ-
როშში სათანადო ადგილას იქნება წარმოდგენილი).

აკად. არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ცხოველ- ფუძეში აფი-
ქსისეულია არა მარტო -ელ, არამედ -ოვ-იც, რომლის გამოყოფის
უფლებას მკვლევარს აძლევს ცოცხალ ფუძის არსებობა ქართულ-
ში და ფურის აღმნიშვნელ ჩხოუ>ჩხუ ფუძისა — მეგრულში. ცხო-
ველის ვარიანტად მიჩნეულია ცხოვარი. ეს ფუძეები სხვადასხვა
დიალექტური წრის სუფიქსების გამოყენებით გაირჩევა; თვით
ელ/-არ ფუნქციის მიხედვით ერთნაირი უნდა იყოს¹⁴.

¹⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ
ენებში, თბ., 1942, გვ. 35—36.

ცხოველ ფუძისათვის, როგორც აღნიშნულია¹⁵, ძველ ქართულში ატრიბუტული მნიშვნელობა ძირითადი ჩანს. დღევანდელი გაგებით იგი უფრო სუბსტანტივია, თუმცა ვარკვეულ შემთხვევებში ატრიბუტივადაც იხმარება.

მშენებელი/მშუშინებელი

აწ დაებადა პირველი ცხოველი მშენებელი და გრძნობისა ზიარი. რამეთუ ხენი და ნერგნი დალაკათუ მოძრავად იწოდებიან ძალინათეს ზრდისა და აღორძინებისა მათისა, გარნა არა არიან იგინი ცხოველ, არცა მშენებელი (ექ. დღ. 81,5).

დაებადნეს წყალთაგან ქუეწარმავალნი მშენებელი ცხოველნი, ხოლო კმელისათა ესრეთ ებრძანა, რაჟთა იყოს სამშენებელი გამომღებლად კორცთა (ექ. დღ. უძვ. რედ. 108,11).

ხოლო ესე იყო ძმაჲ უფლისაჲ... ღვწოჲ და თაფლუქი არა ესუა და მშენებელისაგან არა ექამა (კიმ. II,98,10).

მშენებელი — უტყვი ცხოველი“ (საბა). „მშინებელი — სამშინებელის მექონი, რაჟცა ფშინავს, душевный, одушевленный“ (ნ. ჩუბ.).

მშენებელი/მშუშინებელი ზედსართაული მნიშვნელობის მქონე სახელია და როგორც მაგალითებიდან ჩანს, იგი ძველ ქართულში გამოყენებული ყოფილა ცოცხალი არსების აღმნიშვნელ ზოგად სახელად. მშენებელია ის, რასაც ახასიათებს ფშინება, სუნთქვა ანუ როგორც ძველადი იტყოდნენ ხაშუშინებელი. მაგ. ხოლო ოდეს უცალო რაჟსაგანმე იქმნის გონებაჲ, გინა თუ დაყუდნის ჟამსა ძილისასა განსუენებისათეს კორცთაჲსა, არამედ საშუამინებელი არავე დასტრების, დალაკათუ არა შეუდგის ნებაჲ (კაც. აგებ. 225,11).

ხაშუშინებელი/ხამშენებელი ძველ ქართულში შეგვხვდა არა მართო სუნთქვის, არამედ სულის მნიშვნელობითაც. მაგ. რაჟსათეს გამოაქუს. ქუეყანასა სამშენებელი ცხოველი? რაჟცა სცნა განყოფაჲ შორის საშუამინებელისა პირუტყსა და შორის საშუამინებელისა კაცთაჲსა (ექ. დღ. უძვ. რედ. 109,5—8).

სუნთქვის მნიშვნელობით ძველ ქართულში შუმ-ფუძიდან ნაწარმოები შუშინვა დასტურდება. მაგ. რაჟამს შემოვიდის თევზი

¹⁵ არ. ჩოქობაეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942, გვ. 35.

წყლისაგან, მოკუდის, რამეთუ არა აქუს მათ შუშინვაჲ, რომ-
ლითამცა იყნოსეს ჰაერი ესე (იქვე, 97,3).

მზუნვეიერი/მშუშინვეიერი ახალი ქართულის „სულიერის“, „სულ-
დგმულის“ სინონიმი ჩანს.

მბლავანი

ქემშარიტებასა მისსა გუარწმუნებ ჩუენ ვარსკულავთაგან და
გულსავსებად ჩუენდა ისწრაფი მბლავანთაგან (ექ. დღ-
71,17).

მბლავანი¹⁶ ცხოველის, პირუტყვის აღმნიშვნელი ზოგადი სა-
ხელია. იგი ბლავის ზმნიდან ნაწარმოები მიმღობაა (შდ. სვან-
ლიბღწლი „ბლავილი“. მაგ. კან ბლავ „ხარი ბლავის“. ანალო-
გიური მნიშვნელობით მეგრულში იხმარება ღორანხ — ფუძე).

მბლავანი იგივეა, რაც ბერძნული τβ βλήχμα.

მროწელი

ტიროდეს მროწეულნი, ზროხათაჲ, რამეთუ არა იყო სა-
ძოვარ მათა (იოველ, 1,8).

ჰამენ თიკანთა სამწყსოთაგან და კბოთა შორის მროწე-
ულთა მწოვართა (ამოს, 6,4).

წარიბ შენ თანა დიაკეული ერთი მროწეული საგან
(მფ. I,1,16).

...სამწყსონი ჩნნი და მროწეულნი ყნი ბანაკნი ანგ-
როვანთა ჩნთანი წე შნსა არიან (ივლით, 3,3).

...მროწლად მირბიოდა იგი და მოიბნა მრორნი ზუარაკ-
ნი (ტობია, 7,5).

და აღორძნდა რაჲ და მეოცედ წლად მიიწია, თესთა მრო-
წეულთა მთად მძოვარობასა მათსა მიიწია და კეთილ-შუენი-
ერთა მოწყალებათა ჰყოფდა სძისა და ყუელისაგან (იოან, 261,34).

მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: ...საქონელი მრავალფე-
რი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთა (ზარზმ.
173,17).

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მრო-

¹⁶ მბლავანი ხეყსურულში ხატის ენაზე ნიშნავს თიკანს და საერთოდ წერილფება
საქონელს. იხ. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტო-
რიიდან. თბ., 1954, გვ. 130.

წეული მსხვილფეხა საქონლის სიმრავლეს გულისხმობს და უპირისპირდება სამწყსოს. მროწეულის მნიშვნელობით მროწლე-ც კვებდება (იხ. მაგ. ზემოთ).

მროწეული საბასთან განმარტებულია როგორც „ნახირი“. მროწლე განხილულია ჯოგ-ფუძესთან, სადაც ვკითხულობთ: „ჯოგ-ცა ესრეთ განიყოფებიან: ცხენისა ჯოგსა ეწოდების რემა, ჯოგსა ზროხათასა მროწლე, რომელსა მსოფლიონი ნახირს ეწოდენ, ჯოგსა ცხოვართასა — სამწყსო“ (საბა). „მროწლე და მროწეული ნახირი ზროხათა“ (ნ. ჩუბ.).

ძველ ქართულში მროწლე-დან ნაწარმოები მემროწლე- ფუძე შეგვხვდა მენახირ-ის მნიშვნელობით. მაგ. ყრმანი მე მროწლე-ნი განპებასა შინა ორნატთასა თამარის ქებასა მელექსეობდიან (ცხ. თამარ. 354,22).

მროწეული თავისი მნიშვნელობით ფარავს ბერძნულ ჰემა-ჯიღი-ს. მროწეული ისევე უპირისპირდება სამწყსოს, როგორც ბერძნ. ჰემაჯიღი — ჰემაჯიღი-ს. მაგ. ...მონაგები მროწელთა და სამწყსოთა ფდიყო ჩემი (ეკლ. 2,7); και γε κτησις βασιλεως και πισμυα ποικχη ἐγένετο, ეკლ. 2,7. (შდრ. რუს. стадо волов и стадо овец).

მროწეულ ფუძე ძველ ტექსტებში ზოგჯერ ბროწეულის (Punica granatum) მნიშვნელობით იხმარება. ეს, ცხადია, შეცდომაა. ამის თაობაზე საბასთან ვკითხულობთ: „ვიეთთა ბროწეული მროწეულად აღუწერიათ, არამედ ხილსა არა ეწოდების მროწეული არამედ ბროწეული“. მაგ.: და იყო ყოველი მროწეული ეს კანკელსა მას ზედა (იერ. 52,23).

და საულ ჯდა ბორცუსა მას ზედა ხესა ქუეშე მროწეულსა მადლოს (მფ. I,14,2).

შესაბამის ადგილას ბერძნულ ბიბლიაში იკითხება ἢ ποιδ. ეს არის სწორედ ბროწეული (malum granatum) 1. ზეხილი. 2. ამავე ზეხილის ნაყოფი.

მროწეულ/მროწლე ფუძეთა არსებობა უფლებას გვაძლევს გამოვეყოთ -ეულ-ეულ სუფიქსი. როგორც გარკვეულია¹⁷, -ე-ულ წარმოებას რიგ შემთხვევაში სუბსტანტივის მნიშვნელობა აქვს; მხედველობაშია შემდეგი მაგალითები: დია-ე-ულ/დე-ე-ულ, მქედ-ე-ულ, ძოწ-ე-ულ, ყუერბ-ე-ულ და ჩვენთვის საინტერესო ფუძე მროწ-ე-ულ.

მროწეული კრებითი მნიშვნელობის მქონე სუბსტანტივია.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძე..., გვ. 45.

და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსანი, ...და კმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვენენ ერთ სამწყსო-ს და ერთ მწყემს (DE ივ. 10,16).

...დაესცემ მწყემსსა, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსო-სა მისასანი (DE მთ. 26,31).

და მწყემსნი იყვენეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და კუმილიდეს კუმილვასა ღამისასა სამწყსოსა მათსა (DE ლკ. 2,8).

კამენ თიკანთა სამწყსოთაგან და კბობესა შორის მრო-წყელთა შწოვართა (ამოს. 6,4).

„სამწყსო — ცხოვართ სადგური“ (საბა). „სამწყსო -არვე, მროწყელ და ეგეითარნი, стадо (სამრველო მლუდელთა, ანუ ეპის-კოპოსთა, паства, епархия, или парохия, приход)“ (ნ. ჩუბ.).

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში სამწყსო ჩვეულებრივ ცხოვართა სადგურს გულისხმობს, მაგრამ მას ხშირად გადატა-ნითა მნიშვნელობითაც ვხვდებით, როცა იგი აღამიანთა სიმრავლეს გულისხმობს, მაგ.

კურთხეულნი იგი სამწყსონი ქრისტესნი თქუნენ ხართ, (სინან. 10,14).

...ვითარცა შვილი რაჲ წარსტირნ დედასა, ეგრეთ ტირან წი-ნაზე შენსა ყოველნი სამწყსონი შენნი (ბალვრ. 158,9).

...განეარდა სამწყსოჲსაგან პირმეტყუელთა მათ ცხო-ვართაჲსა (პაბო, 78,22).

სამწყსო და მწყემსი -წყ — (მწყემსავს) ზმნური ძირისაგან ნა-წარმოები ფუძეებია. როგორც გარკვეულია¹⁸, ეტიმოლოგიურად მწყემსი ენდა ნიშნავდეს მწყურებელს, ხოლო სამწყსო „საყურე-ბელს“, ე. ი. იმას, რასაც უნდა უყურონ (მდრ. მეგრ. ო-რ-წყ-ენ „ხედავს“, „უყურებს“; ქან. ო-წყ-ე-ს-ს „უყურებს“; სვან. იწიდ -უყურებს“, „ხედავს“).

კავშირი მწყემს-სა და ყურება-ს შორის დიდი ხნის გაწყვე-ტილია. მწყემს- კანონზომიერად გადმოცემულია ჭყეშ/ჭყეშ/ჭეშ-ით, ორწყენს/ორყეს- კი გაუდიფერენციურებელ წყ-/წყ-/წ- ძირს იძლევა. ის საერთოა ქართველური ენებისათვის¹⁹.

¹⁸ არნ. ჩოქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 96.

¹⁹ იქვე.

მართვა

კმა ყო კაკაბმან და შეეკრიბნა მართუენი (იერ. 17,11).
და ყრმანი ვითარცა მართუენი მტრინველთანი ეიოდეს
(წარტყ. იერუჟ. იზ, 18).

...გუჟრიტმან ბუდესა დაისხნა მართუენი თვისნი (ფსალმ.
83,4).

მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნი-
სათა (გარეჯ. 155,2).

უსამართლო არს ნაშობთა აღზრდისათვის არწივი. რამეთუ
ორთა გამოსხამს მართუეთა და ერთსა მათგანსა ქუეყანად
გარდააგდებს (ექ. დღ. 98,17).

...ნეშტთა, ვითარცა მართუეთა ქათამთასა მოჰკრებდეს
(ცხ. თამარისი, 349,1).

უნდა განზნევაჲ ჩუენი ვითარცა მართუეთა ტრედისა-
თა (მესუჟ. 30,1).

საბას განმარტებით „ზოგან ყოველთა ფრინველთა შვილთა
მართვ ეწოდება მწერით ვიდრე ირაოდ და ორბამდე“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მართუე ძირითადად ამ მნიშ-
ვნელობით გვხვდება ძველ ძეგლებში, მაგრამ არც თუ იშვიათად
იგი არაფრინველთა ნაშიერქსაც გულისხმობს. მაგ.: კარი და დათვ
ზოგად ძოვდენ და მართუენი მათნი აღრეულად იქცეოდინან
(ეს. 11,7).

და გრძობთა მართუე ისხნენ სახლთა შინა მისთა (ეს.
13,22).

აღეკრის მარტუალი იგი ეკალსა მას მისსა (გრძობისასა) და
მართვს მართუეთა თვისთა (საბ. სიტყ. 22,15).

ვეშაბთაგანნი უმრავლესნი მშობელ არიან, და დელფინნი და
ფუჟინნი, რომელთათვის იტყვან, ვითარმედ ვიდრეღა ჩჩვლ იყვნედ
მართუენი მათნი, და მიზეზისა რაასაგანმე შეშინდნენ, კუა-
ლად საშოთვე შეიწყნარებენ და უშიშ იქმან (ექ. დღ. 82,24).

არა ატფობენ უმრავლესთა თევზთაგანნი, ვითარ ქათამნი, და
არცა დაიღგმენ ბუდესა, და არცა ზრდიან მართუეთა მათთა
შრომით (იქვე, 83,7).

...ყოველთა ერთბამად აღემსთო და აღებუნეს მართუენი
თვისნი (მკეტანნი), რომელსამე ქედითა და რომელსამე წინა უღ-
გეს ჩჩვლნი... (შოი, 114,24).

განმრავლდეს მართუენი იქუსანი გულსა შინა მისსა
(ბალგრ. 22,25).

ქართული მართეხს კანონზომიერ შესატყვისად ივარაუდება მეგრ. მოთა და ჰან. მოთა/მოთალ-²⁰. მეგრულში მოთა ნიშნავს „შვილიშვილს“ (ი. ყიფ.), ხოლო ჰანურში — „შვილიშვილსა“ და „ცხოველთა ნაშიერს“ საერთოდ (ნ. მარი). იმავე ჰანურში მოთა ფრინველის ნაშიერს — ბარტყსაც გულისხმობს²¹ (მაგ. ჯოლორიში მოთას ლაკოტი ვუწუმელთ (ა. ჩიქ. I, 153,26), „ძალის ნაშიერს ლეკვს ვეძახით“: ჰემუქ გამოიონამს გუგულიში მოთალითი (ა. ჩიქ. II, 75,25), „ის გამოჩეკს გუგულის ბარტყსაც“...

მართვე ფუძეში ძირეულ მასალად გამოყოფენ -თ-/-თვ-ს. ქართულში რ განვითარებულია, ხოლო ძირეული ვ მეგრულ-ჰანურში აღდგენილია გურულში დაცული ნამოთვარას მიხედვით. ეს უკანასკნელი ნიშნავს „ნაწიწილარ“ ან „საწიწილე კვერცხს“²².

პროფ. ქ. ლომთათიძის აზრით, მართვეს -თ-/-თვ- ძირი შესატყვისს პოულობს მონათესავე აფხაზურ-ადიღურ ენებში სისინ-შიშინა ს-/-სი-ს სახით, რაც სწორედ „პატარას“, „ნაშიერის“ მნიშვნელობით გვევლინება დასახელებულ ენებში (აფხ. აძიჯხ-ხბო“; აძჯხ „თიჯანი“²³.

ამავე -თ-ს გამოყოფენ ძირეულ მასალად რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში (მაგ. რუთ. მტოჯლ, არჩ. მოთოლ „თიჯანი“, უდ. თულ „ნაშიერი“, ქართ. თელი, მეგრ. მოთა, ჰან. მოთა/მოთალ, სჟან., ფჯთ (ბ.ქ.), ფოთრ (ბ.ზ.) „ჯიხვის შვილი“...) და ივარაუდობენ, რომ ამ -თ-ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ნაშიერის ზოგადი მნიშვნელობა²⁴.

მართვე-დან იწარმოება იმართვევებს ზმნა მთიულურში. იქ მართვე ფუტკრის შვილებზეც ითქმის. მაგ. ფუტკრის შვილებს მართვეებს ვეძახით, (ქართ. დიალექტ. 57,28). ფერიცვალება როცა მოალის, მემრ აღარ იმართვებენ, (იქვე, 57,28)²⁵. შდრ. მართვეს გამოხვლა — ნაყარი ფუტკრის გამრავლება. სკამ მართვე გამოუშვა — „ფუტკარმა იყარა“ (აქარ.)²⁶.

²⁰ ქ. ლომთათიძე, მართვე და მისი ზანური შესატყვისი; საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბ., 1961, № 1. გვ. 267.

²¹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 30.

²² გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბ., 1938.

²³ ქ. ლომთათიძე, დასახელებული წერილი, გვ. 268.

²⁴ ენაქ. ჭეიჩანოშვილი, ზოგი საერთო ფუძე წახტრულ, რუთულურ-უდურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყვ. IX—X, თბ., 1958, გვ. 348.

²⁵ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიძე, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, გვ. 57.

²⁶ გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბ., 1938.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მართვე გულისხმობს ფრინველთა და მწერთა ნაშიერს (ქგლ, V).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მართვე ფუძეს ადრე უფრო ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. იგი საერთოდ ნამატის, ნაშიერის აღნიშვნელად გამოიყენებოდა.

ცხოველთა სქესის აღმნიშვნელი სახელები

დედალი, მამალი, ნეზე, ძუ, ხუადი, ქდალი

დედალი

...ერთმან ზენა სოფელსა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა დედალი ვერარაჲ შეეღას და ვერცა რაჲ მფრინველი იბუღებს (ზედზნ. 9, 67,13).

რომელსა ვეშაჲსა დედალსა თვისსა ქმრისა წარწყმედაჲ უნდა? (სინ. მრ. 215,28).

რუს მამალი შეეხის დედალსა პირით მაკნდის (სახ. სიტყ. 16,7).

სახის-მეტყუელმან თქუა აფთრისაჲ ვდ მამალ და დედალ არს, სადაჲე მამალ იქმნის, სადაჲე დედალ, ბილწი მქეცი არს (სახ. სიტყ. 35,2).

...სხუად სახე არს მამალთა ნაყოფისაჲ და სხუად დედალთაჲ, ვითარცა ნერგთა მოღუაწენი და სამოთხეთა მნერგველნი განჰყოფენ (ექ. დღ. 59.13).

ქუეყანისა-მოქმედნი განჰყოფენ ნაყოფსა ხისა მამლისასა და დედლისასა, და იცნობენ ფინიკთა შორის მამალსა და დედალსა (ექ. დღ. უძვ. რედ. 72, 31—32).

...ორბი დედალი... ადვიდის სიძადლესა აერთასა უფროს მამლისა (მოქც. ქართ. 111, 12).

არა აღმოგიოთხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადნა (დაჰბადა — C) დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად (მამალად და დედალად) შექმნნა (შექმნა C) იგინი? (მთ., 19,4).

დედ- ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი სახელები გვხვდება ძველ ქართულში: დედა, მდედრ-, სიდედრ-, დედულ-, დედლობა; კომპოზიტები: დედაკაც-, დედამთილ-, დედაბერ-, დედოფალ-; აგრეთვე ზმნა დადედლება. მაგ.

დედასა მისსა ჰრქვან მარაჲმ (მთ. 13,55).

ადვილად საცთუნებელ არს მდედრი ბუნებაჲ (ეკლ. 75,31).

სი დედრი სიმონისი დავრდომილ იყო მკურვალეებითა (მრ. 1,30).

მამული და დედული მონაგები თვისა დასა დაუტევა (ხანძ. ი, 12).

ვითარცა პირუტყუთა მამლობასა და დედლობასა არა იციან მშობელი, არცა შობილი მათგანი, და ეგრეთ აღრეულად გარდაიქდიან მამლობაჲ და დედლობაჲ, რომელნი განჰრყუნიან ნათესავობასა (ეესტ. მცხ. 43,18).

დედაკაცი იგი იყო წარმართი (მრ. 7,26).

მოვედ განყოფად ძის ცოლი დედამთილისაგან (მთ. 10,35).

დედოფალი იგი ბლუარისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავსა ამას თანა (მთ. 12,14).

ზღაპარნი რაჲმე საბასრობელნი დედაბერებრთა სიტბილთაგან მიმოეფინებიან (ექ. დლ. 79,3).

შოლტითა იცემებოდიან წუერ-გამონი ჭაბუკნი ვიდრე სისხლთა დათხევამდე ბომონთა ზედა მისთა, ვითარცა ზეშთა ყოვლისა მოშიშებისა მკნედ მოთმინენი, რომელნი სიჩუენსა პატივისცემდეს ამით, რამეთუ საკმელ მრავალგზის ჰყოფდეს დღესასწაულსა მისსა და მათ მიერ შუებითა და დედლებოდეს, რომელსა შინა სრულ იქმნებოდა მათგან საცთური ყრმათა მიმართ მბორგნეულობისაჲ, (ელ. ზღაპ. 16,18).

ქ ა ნ უ რ ი

არ დადული ქოქკომუ (ა. ჩიქ. I, 169,18), „ერთი დედალი შექამა“.

დადულის ფამფარი ჭიტა ულუნ (იქვე, 164,23), „დედალს ბიბილო პატარა აქეს“.

მ ე გ რ უ ლ ი

...შინ თი იბრულია-ოდა გინოთი ვორულეე, შხუ-შხუ, შხუ-შხუ დადულეფი (ი. ყიფ. 142,14), „...შიგაც შევირბინე და ისიც გამოვარბენინე, შსხვილ-შსხვილი დედლები...“

ს ვ ა ნ უ რ ი

ქორს 'ხვაჲ ქაჩთლარ ნირი: ყვიჩაჩი დანდუაჩ (მივლ. მას.), „სახლში ბეერი ქათამი გყყავს: მამლები და დედლები“.

ხოჩა დანდუ მირი ი მეჰად ანგრე (მივლ. მას.), „ქარგი დედალი მყავს, კვერცხს ყოველთვის დებს“.

დედალი — ყოველთა ცხოველთა ზედა ითქმის და უფროსად ფრინველთა ზედა (საბა). დედალი — დედათ ბუნებისა, მდებარი ცხოველი, ვითარ ოთხფერხი, მფრინველი, თევზი და მისთანანი, самка /განთვსებით ეწოდების დედალსა ქათამსა курица (ნ. ჩუბ.).

დედალ-ფუძე, როგორც მაგალითებიდანაც ჩანს, მდებრობითი სქესის ზოგადი ცნების გამომხატველია (საპირისპიროა მამალი).

ახალ ქართულში გამოყოფილია დედალ ფუძის ორი მნიშვნელობა: 1. მდებრობითი სქესის ფრინველი, ცხოველი, მწერი. 2. საუბ. შინაური ქათამი (ქგლ. 111).

დედალ ფუძის შესატყვისია მეგრულსა და ქანურში დადულ-ი, სვანურში დაღჷ²⁷. ქართ. -ალ სუფიქსი ქანურსა და მეგრულში წარმოდგენილია -ულ<ოლ ფორმით. სვანურში -ჷ²⁸- მხოლოდ მორფოლოგიურად შეესაბამება -ალ/-ოლ სუფიქსებს²⁹.

ქართულ დედა, დედალ და მეგრულ-ქანურ დადული, დადუი ფუძეთა შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მათი ძირითადი მნიშვნელობა თავდაპირველად ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო... ეს პირველადი მნიშვნელობა სქესის, მდებრობის ცნებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული“³⁰.

მაგალი

რ^ას მამალი შეეხის დედალსა, პირით მაცნდის (სახ. სიტყ. 16,6).

სახის-მეტყუელმან თქუა აფთრისაჲ ვ^ად მამალ და დედალ არს. სადამე მამალ იქმნის, სადამე დედალ, ბილწი მკეცი არს, რ^ა იცვალეზის (იქვე, 35,2).

რომელმან-მე თუმან ლომმან თუსი მამალი კლვად მისცა (სინ. მრ. 215,28).

²⁷ სვანურში დადალ ფუძეც გვხვდება ბალს-ზემოურსა და ლენტეხურ დიალექტში, რომლის მნიშვნელობაა: 1. უთესლო. 2. დაკოდილი. მაგ. დადალ კ^ან „დაკოდილი ხარი“, დადალ ფ^აჷ „დაკოდილი ვაცი“. იხ. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

²⁸ შდრ. თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტა სისტემა და აბ. ლუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 82—83.

²⁹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 98.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 230.

ქუეყანისა-მოქმედნი განპყოფენ ნაყოფსა ხისა მამლისა-
სა და დედლისასა, და იცნობენ ფინიკთა შორის მამალსა
და დედალსა (ექ. დღ. უძვ. რედ. 72, 31—32).

მამ ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი სახელები გვხვდება ძველ
ქართულში: მამულ-, მამეულ-, მამულობა, მამლობა, სიმამრ-, მამ-
ფალ-, მემამულე, კოპოზიტები: მამაკაცი-, მამამთილ-, მამახახ-
ლის-, აგრეთვე ზმნა მამლვა. მაგ.

წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა... (ჰაბო,
61,13).

მოვიდა მამულსა თვსსა (მთ. 13,54).

და მამული ჩემი უპყირეს უფროს ყოველთა მამე-
ულთა ბენიამენისთა (მფ. 1,9,21).

თქუენ ხართ წინამძღუარნი მამეულთა ლევიტელთანი
(ნეშტ. 1,15,12).

არცა წილ-გდებით აქუნ კელმწიფებაჲ, და არცა მამუ-
ლობისა შემდგომებითა... (ექ. დღ. 95,11).

ორბთათვსცა იტყვან, ვითარმედ მრავალგზის, თუნიერ მამ-
ლობისა შობენ იგინი (ექ. დღ. 98,35).

და მოილო იოთორ, სიმამრმან მოსესმან, მსხუერპლები
(გამოსლ. 18,12).

შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვსსავე მემამულესა
(ისტ. აზმ. 64,33).

ბრძანებაჲ ღმრთიე-პატროსნისა მამულისა და უფლისა
ჩემისაჲ მოვიდე, (ჰაბო, 55,29).

სხუაჲ არავინ შევიდეს ხილვად შიშა, არცა მამაკაცი,
არცა დედაკაცი (მუშან. 20,30).

მოვიდეს მონანი იგი მამახახლისისანი, (მთ. 13,27).

ლალ არს მამალი, და შეუენიერების მოყუარე ფარშამან-
გი: მამლობის მოყუარე ტრედნი და შინაურნი ქათამნი სამა-
რადისოდ იმამლვიან (ექ. დღ. 94,34).

ქანური

არ ოხოის არ მამული დო არ ჭოლოი ქორენ (ა. ჩიქ.
II, 39,29), „ერთ სახლში (ოჯახში) ერთი მამალი და ერთი ძალ-
ლია“.

მეგრული

მუშულქ ქოძირე მარგალიტი, გურქ ქემურთო, შიიწუხუ
(ი. ყიფ. 173,25), „მამალა მარგალიტი იბოვა, გული მოუვიდა, შე-
წუხლა“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ქვინი მტხე ჩანგსჳესგი, მამილვს იყღწნი ი ჩუ ნადგარჳ ადგილმგყ ქა ღვრის (სვ. ტექ. I, 9,1), „სულის დამბრუნებელი ჩანგს იღებს, მამალს ხელში იჭერს და მოკვლის ადგილამდე მიღიან“.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლების მიხედვით მამალ ფუძე მამრობითი სქესის არსების ზოგადი ცნების გამომხატველი ჩანს. „ყოველივე ცხოველი მამალ-დედლად ითქმის ტოლნი“ (საბა).

„მამალი ბუნებით მამრი ცხოველი: ოთხფერხი, მფრინველი, თევზი და სხვ., ვითა დედალი camea (განთვსებით ეწოდების მამალსა ქათამსა, перьх)“ (ნ. ჩუბ.).

ახალ ქართულში მამალი ნიშნავს: 1. მამრობითი სქესის ცხოველს, ფრინველს, მწერს. 2. შინაურ ქათამს მამრობითი სქესისა (ქგლ, V).

ქართული მამალ-, მეგრული მუმულ-, ქანური მამულ- და სვანური მამალ ძაერთო-ქართველური ფუძეა³¹.

სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში მამილჳ ფორმაც დასტურდება (იხ. მაგ. ზემოთ).

ნ ე ზ

და განარჩია მას დღესა შინა ვაცები კრელები და სპეტაცი და ყოველი თხამ ნე ზ ვ კრელი და სპეტაცი (დაბ. 30,35).

და შეწიროს ღმრთისა, რომელთათვის.. ცოდა, ნე ზ ვ ცხოვართაგან ტარიგი, გინა ვაცი თხათაგან ცოდვისათვის (ლვ. 5,6).

...ანუ თუ ზროზათაგან შესწირვიდეს იგი, გინა თუ ვერძსა, გინა თუ ნე ზ უ ს ა (ლვ. 3,1).

მე, გლახ, ვიყავ მისი ნე ზ ვ ი, იგი იყო ჩემი ვაცი (ვ. ტ. 1204,3).

ს ვ ა ნ უ რ ი

ნე ზ ვ ჩვაცივრხ უტფურად ი მინ ლათხელს ჟესფხჳეხ (სვ. ტექ. I, 50,9), „ნეზვი გაუტყავებლად დატოვეს და თვითონ საძებრად წავედნენ“.

ნეზვი შედარებით იშვიათად ხმარებული სიტყვაა. ჩვენ მიერ შეკრებილი მაგალითების მიხედვით ნეზვ გულისხმობს დედალ

³¹ არნ. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 98.

ცხვარსაც და თხასაც. საბასთან ნეწვი განმარტებულია როგორც „თხანი დედალი“. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით „ნეწვი- დედალი ცხვარი, თხა ან ღორია“.

თანაპედროვე ქართულში ნეწვი გამოიყენება დედალი ღორის, თხისა და ცხერის აღსანიშნავად (ქგლ. V).

ნეწვი ფუძე გვხვდება მეგრულსა და სვანურში. მეგრულში ამ ფუძეს დედალი პირუტყვის მნიშვნელობა აქვს, ხოლო სვანურში იგი დედალ ღორს აღნიშნავს³². როგორც გარკვეულია, ნეწვი მეგრულსა და სვანურში შეთვისებულია ქართულიდან³³.

მთელ რიგ ფუძეთა ანალიზით ირკვევა, რომ ნეწვ ფუძეს საერთოდ დედალი საქონლის გამოხატვა უნდა ჰქონოდა დაკარგებული³⁴.

ძველ ქართულში გვხვდება ზმნა ზუება. მაგ. ირემნიცა ი ზუენეც ველსა გარე და დაუტევენეს ნუკრნი (იერ. 14,5).

„იზუება- ხვასტაგნი შობენ“ (საბა). ეს -ზვ-/ზუ- ძირია სახელებში: ნეწვი, უწვი, მეწუხები. -ზვ- ძირის შემცველია აგრეთვე ხევსურულში დადასტურებული საწვები/სამწველი „მაკე პირუტყვი“, ნამწველი „ბონაყოლი“³⁵.

ზუ- ძირის შემცველი ჩანს თუშური ზობა „გაბეგრება, გარავლება“³⁶. ზობა „მოგების, დაყრის“ მნიშვნელობით ინგილოურში იხმარება. მაგ. ფურ დაიზო „ფურმა მოიგო“, ძალღ დამზოლ „ძალღმა ლეკვები დაყარა“³⁷. აქვე დავასახელებთ სვანურში „შობის, გაჩენის“ მნიშვნელობით ხმარებულ ლიწალ ზმნურ ფუძესა და ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებ მიძლეობას მეწვი, რომელიც ჩვეულებრივ „დედალი თხის“ აღმნიშვნელია. მაგ. მეწვი დაქგლ „დედალი თხა“. ზუ ძირი ჩანს ქალის აღმნიშვნელ სვანურ ზურალ ფუძეში. მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელი ქანური ზურა-ც ამავე ზუ- ძირს შეიცავს (მდრ. კან. ბოზო „ქალი, გოგო“).

ეს ზუ ძირი უნდა გვქონდეს ქართ. მოზუერსა და კან. მო-

³² ირნ. ჩ ი ქ ზ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 24.

³³ ე. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, თსუ შრ. VII, 1938, გვ. 89.

³⁴ იე. წ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 181, 193—194.

³⁵ აღ. ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 232.

³⁶ თ. უ. თ. უ. რ. გ. ა. ი. ძ. ე., თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 199.

³⁷ მ. წ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ინგილოური ლექსიკონი; ძველი საქართველო, III, 1913, გვ. 247.

ზარ/მუზარ ფუძეში. ზუება ზმნასთან ამ ფუძეთა დაკავშირება შესაძლებლად მიაჩნდა აკად. ივ. ჯავახიშვილს³⁸.

მ.ოზუერი, მაზვერი (ხეცს.) სახარე ხბოს ნიშნავს, ხოლო კან. მოზარი/მუზარი - დეკეულს (ნ. მარი). (მაგ. ფუჯიში ნჯენი სუმ წანერი - მ.ო.ზ.არი ვუწუმერთ (ა. ჩიქ. II, 114,23) „ფურის სამი წლის ხბოს დეკეულს ვუწოდებთ“).

ერთი და იმავე ფუძის ამ ორმა განსხვავებულმა მნიშვნელობაშ შესაძლოა გვაეარაუღებინოს, რომ ამოსაუალში ეს ორი სიტყვა ორივე აქ დასახელებულ მნიშვნელობას გულისხმობდა, რადგან მიუთითებდა საერთოდ ნაზვებზე, მოგებულზე, ნაშიერზე და, ამდენად, არ იყო დიფერენცირებული სქესის მიხედვით. მნიშვნელობის დავიწროება თუ კონკრეტიზაცია, უკვე შემდგომი საფეხურია. ე. ი. ზუება-სა და მოზუერ/მოზარ/მუზარ-ს შორის ისეთსავე ურთიერთობას უნდა ჰქონოდა ადგილი, რა ურთიერთობაცაა შობა და შვილ ფუძეთა შორის (შვილი ხომ ქალსაც გულისხმობს და ვაჟსაც).

ზვ-/ზუ ძირი და მისგან ნაწარმოები ფუძეები სამსავე ქართულურ ენაში გვხვდება.

ნეზ ფუძეში ნე- მიჩნეულაა ნივთის კატეგორიის ნიშნად³⁹. მზ. შანიძის აზრით ძველი ქართულის ნეზვ- წარმომდგარია მეზუ-ისაგან ისევე, როგორც ნეფე შეფე-საგან ან ნეტაფრახი — მეტაფრახისაგან⁴⁰.

არის ცდა ამ საერთო-ქართველური ზვ-/ზუ- ძირის დაკავშირებისა ოსურში შობის აღმნიშვნელ zajyn/izajun ფუძესთან⁴¹.

მ/მუვი

ძალი ლომისაჲ და კმაჲ ლომისა ძუ ვისა მ... დაშრტა (იბ. 4,10).

და მოუქდა ლომი იგი ძუ მ... და ლომნიდა მას (თეკლ. 110,17).

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური..., გვ. 194.

³⁹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 25.

⁴⁰ მზ. შანიძე, ნეზვის ეტიმოლოგიისათვის, ორიონი, თბ., 1967, გვ. 309.

⁴¹ მზ. ანდრთნიკაშვილი, ხარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 88. ოსურ zajyan/izajun ზმნას სვანურში შობის აღმნიშვნელი ლეზნა ფუძე პირველად დაუკავშირა ე. აბაევმა, იბ. ანაეა, В. И. Осетинский язык и фольклор, т. I, М.-Л., 1949, გვ. 23.

უკუეთუ ძუსა ლოშსა უყუარნ ნაშობნი თუსნი, ...რამ თქუას კაცმან? (ექ. დღ. 108,14).

მითხარ-ღა.. რომელმან-მე ძუმან ლომმან თუსი მამალი კლვად მისცა? (სინ. მრ. 215,28).

რუს შენის ძუმან ლომმან ლეკუნი მკუდარნი სხნის და ზინ და სცვენ ლეკუთა მათ (სახ. სიტყ. 4,59).

ხოლო ძუვნი ლომნი ენითა ლოშნიდეს ფერკთა მათთა (კიმ. II, 25,7).

მ ე გ რ უ ლ ი

მინილ მელე დო ფინია ჯოლორო გინირთ ჯუა ჯოლორო (მ. ხუბ. 64,31), „გადავიდა გაღმა და ფინია ძალღად იქცა ძუ ძალღი“.

ართი ჯოლორი პუნსია სუაჯამია, მაჟირა ჯუავეა (მ. ხუბ. 40,17), „ერთი ხვადი ძალღი მყავს, მეორე კი — ძუ-ო“.

ს ვ ა ნ უ რ ი

აშხუ ლოლიაქდ სემი ჟინალ ანთენე. სემი დეშ ანგრდე, მესამე ჯუას ლოხვაქმ. (სვ. ტექ. I, 102,32), „ერთმა ცხვარმა სამი ბატკანი მოიგო. სამივე ვერ გაზარდა, მესამე ძუ ძალღს მიუყვანა“.

„ძალღთა და მკეცთა მამალსა ხვადი და დედალსა ძუ... ეწოდებიან“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით „ძუ- დედალი, მხეცია, самка зверей, ხოლო „ძუკნა- საკუთრად ეწოდების ძუსა ძალღსა“.

ჩვენი მაგალითების მიხედვით ძუ ითქმის მხოლოდ დედალ ლომზე. სხვა შემთხვევებზე მაგალითები არ ჩანს.

ძუ/ძუვი ზუვი ფორმით გვხვდება ინგილოურსა⁴² და ფშაურში⁴³. ძუვი დასტურდება ოკრიბულში⁴⁴. „დედალი ძალღის“ მნიშვნელობით ქართლურსა და კახურში ძუკნა ფუძე გვხვდება⁴⁵. ამავე

⁴² მ. ქ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ინგილოური ლექსიკონი; ძველი საქართველო, III, ტფ., 1913.

⁴³ ცნობა მოკავაწოდა ალ. ჭინჭარაულმა.

⁴⁴ შ. ა ღ ა ე ი ძ ე, ოკრიბული ლექსიკონი; ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., X, 1950—51.

⁴⁵ ლ. ლ ე ო ნ ი ძ ე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

მნიშვნელობით ძუენა გურულშიც გვხვდება, ხოლო იმერულშია ძურა⁴⁶ (შდრ. ზ. იმ. ძურა „ცული ყოფაქცევის ქალი“)⁴⁷.

ძუ/ძუვი ფუძიდანაა ნაწარმოები „მძუენობა — ძალთა და მკეცთა მაკინტლობა“ (საბა).

ქართული ძუ ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული ჭუა⁴⁸. ეგევე ფუძე მეგრულიდან შეთვისებული ჩანს სვანურში -ჭუა. ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებია სვან ლიჭუანალ „მძუენობა“.

ქანურში ძუ-ს შესატყვისი ფუძე არ ჩანს. ამ მნიშვნელობით იქ ზურა/წუნა ფუძეები გვხვდება. მაგ. ზურა ლაკი, ზურა ჯოლორი „ძუ ძალლი“, წუნა მჩხური „დედალი ცხვარი“ (ნ. მარი)⁴⁹.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ძუ/ძუვი არის ნეზვის დროთა განმავლობაში ფორმანტიჩამოცილებული ფორმა, სადაც ზ შეცვლილა ძ-თი⁵⁰.

როგორც აღენიშნეთ, ქართულში ძუ/ძუვის პარალელურად ძუენაც არსებობს. ამ ფუძეში აკად. ივ. ჯავახიშვილი გამოყოფდა, ერთი მხრივ, ძუსა და, მეორე მხრივ, -ენა-ს დენა — ფევენა⁵¹ ფუძეებთან შეპირისპირების საფუძველზე და მიიჩნევდა, რომ ეს -ენა უნდა ყოფილიყო „შვილობის“, „შობილის“ მნიშვნელობის მატარებელი (ვარაუდობდა, რომ -ენა არის გამარტივებული სახე ბოკვერ-სა და სვანურ ლეფეკვარ-ში დაცული კვერ-/კვარ-ფუძისა)⁵².

კომპოზიტად მიიჩნევს ძუენა-ს აკად. გ. მელიქიშვილი, ოღონდ იგი ცდილობს ეს -ენა დაუკავშიროს ძალის აღმნიშვნელ ინდოევროპულ ფუძეებს: სომხ. խոն სანკ. զvan, ირან. spā, sūnō ბერძ. k'yōn, ლათ. canis, ლიტ. szu', sz'uns, რუს. сука, გერმ. hunds, ელტ. c'ū, con, ინდოევრ. k'wōn.⁵³

⁴⁶ ვ. ბ ვ რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმთა, СПб. 1912.

⁴⁷ ბ. წ ვ რ ე თ ე ლ ი, ზემოიბერული ლექსიკონი; ქართულურ ენათა ლექსიკა, 1, თბ., 1938.

⁴⁸ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь; Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.

⁴⁹ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь; Грамматика чанского языка, СПб., 1910.

⁵⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 194.

⁵¹ ფევენა /ფევენა „ძალის ლეკვია“ სვანურად.

⁵² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 197.

⁵³ გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 217.

ხვალი

რქეს შეიან ხუადი კიკე მამამან დაუცოხნის საურველნი და უქმ ქმნის (სახ. სიტყ. 15,6).

ვიყიდე ცხილთას გლეხი აბულახტარისაგან და მივეც ხუადი ორი (ქრონიკ. 1,48).

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია (ვ. ტ. 39,4).

„ძალთა და მკეცთა მამალთა ხუადი ეწოდების“ (საბა). „ხუადი და ძუ (ოთხფ.) სახელნი ესენი მიეწერებიან დედალ-მამალთა კლანკიანთა მხეცთა, ლომთა, ვეფხთა, დათუთა, მგელთა, ტურათა, მელთა, ძალთა, კატათა და მისთანათა“ (ნ. ჩუბ.).

ქართული ენის დიალექტებში ეს სიტყვა გვხვდება ხვადი (ზეეს.) და ზოდი (გუდ. მთ.) ფორმითაც. მისი მნიშვნელობებია: 1. მამალი საქონელი. 2. ულაცი ცხენი⁵⁴.

ხვადის შესატყვისად მეგრულსა და ჰანურში ივარაუდება coitus-ის აღმნიშვნელი ტერმინები: ზოდუა⁵⁵ და ოზოდუ⁵⁶. აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით ზოდუა ნასახელარი ზმნაა ხვად ფუძისაგან მიღებული⁵⁷.

რაც შეეხება სვანურს, აქ ხვადის მნიშვნელობით ზვირ ფუძე გვხვდება. საკუთრივ ხვად ფუძე კი დაცული უნდა იყოს სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში მამალი ღორის აღმნიშვნელ ზოტ ფუძეში. მაგ. ნეზჭ ლია ზოტ? — იკითხავს სვანი, როცა სურს გაიგოს — ახალმოგებული გოჭი დედალია თუ მამალი.

ზოტ-სა და მისგან ნაწარმოებ coitus-ის მნიშვნელობით ნახმარ სვანურ ლიხტვანი/ლიხტვანელ ფუძეს ზანურ ფუძეებთან ერთად ქართულ ხვადს უკავშირებს გერმანელი მკვლევარი კ. ჰ. შმიდტი⁵⁸.

ვარაუდობენ, რომ ხვადი წარმოშობით ფალაური სიტყვაა⁵⁹, მაგრამ ქართველურ ენათა მონაცემები ამ ვარაუდის გამართლებისათვის საფუძველს არ გვაძლევს.

⁵⁴ ლ. ლ ე ო ნ ი ძ ე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

⁵⁵ И. К и п и и д з е, Мингрельско-русский словарь.

⁵⁶ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь.

⁵⁷ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 206.

⁵⁸ K. H. S c h m i d t, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962. გვ. 158.

⁵⁹ შ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები., გვ. 410.

ქდალი

ძლიერ არს და კეთილ ქარი და მცონარ ვირი და მდუღარ ცხენი გულწაქეუმისათვის ქდალთაჲსა (ექ. დღ. 106,1).

და იყო საცხოვარი მისი ფრიალ: ცხოვარი შვდ ათას... ვირი ქდალი მძოვარ ხუთას (იბ. 1,3).

ულღეული ქართაჲ ქნვიდა და რემაკები იგი ვირთაჲ მათ ქდალთაჲ ძოვდა მახლობელად მათსა (იბ. 1,14).

მიუძღუნა ესავს,.. აქლემი ქდალი და კიცუები მათი... (დაბ. 32,14).

უკუეთუ სდევნიდენ კლდეთა ზეა ცხენნი, ანუ თუ დაიდუმონ ქდალთა მიმართ... (ამოს. 6,13).

მოვიდოდეს კაცად-კაცადი და მოაქუნდეს წლითი წლად ძღუენნი მათნი... ცხენნი ქდალნი მშობელნი ორმეოცნი (ხრონღრ. 91,21).

სახლსა შინა როსკიბთასა დაადგრებოდეს. ცხენ ქდალთ-მდრანჯობელ იქმნეს (იერ. 5,7—8).

-ქრდალი ქაკი ცხენი და ვირი (საბა). მაგალითების მიხედვით ქდალი ითქმის აგრეთვე აქლემის მიმართაც.

აკად ივ. ჯავახიშვილი ქდალ-ს გამოკდა ზმნურ ფუძეს უკავშირებს. გამოკდა გამოჩეკა, რისამე გამოყოფა. ამ ზმნას „მოგების“, „გაჩენის“ მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. მაგ. რჱეს აღორძნდიან ლეკუნი იგი, განქურტიტნიან გუერდნი დედისა თვისისანი და გამოქდიან, (სახ. სიტყ. 17,25) (შდრ. რაჱამს შევირთით ცოლი, გამოგუიქდიან ორნი შეილნი... (შიშუელმართ. 126,9).

ქდალი „ვეფხისტყაოსან“-ში ჯაბანის, მშიშარას სინონიშია. მაგ.

აწ შევიქცე, რა ვუამბო? — რად მოხველო ჯაბან-ხრდლურად (ვ. ტ. 933,4). ახალ ქართულში ამ სახელიდან ნაწარმოები იხდალებს ზმნა გვხვდება. მაგ.

რალა ვქნა? მეტი ვერ შევძელ, როგორც დიაცმა ვიხდალე (ვაჟა, IV, 100,18).

აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ქდური/ქნდური „მსხვილი ცერკვი“ (საბა) კდა ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობაა და ისევეა ნაწარმოები კდა-საგან, როგორც თქმული თქმა- ზმნისა-

გან. ასე რომ, ქღური თავდაპირველად გამოწალებს, გამოწაყოფს ანუ იმავე წაყოფს წიწწაეღა⁶⁰.

ქღალი/ქრღალი/მქღალი ქღა ზმწიღან წაწარმოები მიმღეობაა და თავიწი შიწაარსიწ მღღდრობიწ გამომზატველი⁶¹.

მსსვილღეზა საქონელი — ზ რ ო ხ ა

ზროზა, იური, ქარი, ღიაქეული, უსხი, ხმწიერი,
წელიწღეული, ქზო

ზროზა 1. Armentum. 2. Vacca

ღველი ქართული სალიტერატურო ეწის ღვეღების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ღვეღად ზროზა იუღეს ორი მწიშვენღობა უწდა ქქონღდა. ერთ შემთხვევაში ივარაუღებღდა მსხვილღეზა საქონელი -armentum, მეორე შემთხვევაში კი — მეწველი საქონელი იური — vacca. მაგ.

1. Armentum

ცხოვარი და ზ რ ო ხ ა ი თქუენი განასხთ და ვიღოდეთ (გამოსლ. 12,32).

მექამონ ცხოვარი თქუენი და ზ რ ო ხ ა ი თქუენი (იერ. 5,17). მოასხა აბრამამ ცხოვარი და ზ რ ო ხ ა ი... (ღაბ. 21,27).

ღა ქწწა შოლტი საბეღთაგან და ყოველი გამოასხა ტაძრიწ: ზ რ ო ხ ა ი და ცხოვარი (ივ. 2,15).

ყოველივე დაამორჩიღე ქუეშე იერქთა მისთა, ცხოვარი და ზ რ ო ხ ა ი ყოველივე, უღროზს მქეცწი ველისანი (ღსალმ. 8,8).

არღარა იყოს ტვრთები ოქროზსა და ვეცხლისაღ... და საკუშმე-ვეღწი და მიპროწი და ცხოვარი და ზ რ ო ხ ა ი და ცხენწი... (ღამოცხ. 18,13).

2. Vacca

შესაწირავად ორი ზ რ ო ხ ა ი მიუღღუნა ეპიღანეს (ზანძ. წა, 20).

მიუღღუნა ესავს... ზ რ ო ხ ა ი ორმოცი და კუროღ ათი (ღაბ. 32,14).

მომცენიწ ჩწწ აქა ორწი ზ რ ო ხ ა წ ი... (მფ. III, 18,23).

⁶⁰ ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., 1934, გვ. 70.

⁶¹ ივ. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 334.

...მიერ მდინარით გამოვიდოდეს შვედნი ზროხანი რე-
ულნი... (დაბ. 41,18).

უკუეთუ ვინმე იპაროს ზროხაჲ ანუ ცხოვარი და და-
ლას, გინა ფანყილოს, ხუთი ზროხაჲ მისცეს ერთისა ზრო-
ხისათვის... (გამოსლ. 22,1).

ხოლო დღითი-დღედისა სამხრობისა მისისა წარსაგებელი იყო
სიმინდი გრივი ოც და ათი... ზუარაყნი გამორჩეულნი ათნი და
ზროხანი უსხნი ოცნი (ხრონღრ. 90,8).

ქველ ქართულში ზროხა-დან ნაწარმოები მეზროხე გვხვდება.
მაგ.

რომელნიმე მხოლოდ ოდენ ზრუნენ და განუგებენ, ვითარ
იგი მეზროხენი და მწყემსნი (ბუნ. კაც. 166,10).

„ზროხა ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო
მამალსა ზროხასა ეწოდების კარი და დედალსა ფური“ — განმარ-
ტავს საბა.

„ზროხა — ცნობილი შინაური ზეასტავი, ცკოტ. ესე არს
საზოგადო სახელი...“ (ნ. ჩუბ.).

ახალ ქართულში ძროხა < ზროხა ფუძესთან დაკავშირებით
ვკითხულობთ: ძროხა — 1. მეწველი მსხვილფეხა რქიანი საქონელი,
ფური. 2. ძროხისა და ხარის ზოგადი სახელი (ქვლ. VIII).

ქართული ენის დიალექტებიდან ეს ფუძე მსხვილფეხა საქონ-
ლის საერთო სახელადაა გამოყენებული ქიზიყურსა⁶² და ინგილო-
ურში⁶³.

ხევსურეთში მეწველი საქონლის მნიშვნელობით უფრო ხში-
რად ფურს ხმარობენ, რადგან ძროხა ღირებულების ერთეულის
აღმნიშვნელ ტერმინადაა ქცეული: ორი ძროხა — ერთი ხარია.
ოთხი ცხვარი — ერთი ძროხა⁶⁴.

ზროხა ფუძის ზემოთ დასახელებული ორი მნიშვნელობიდან
ძირითადი, როგორც აქად. ივ. ჭავჭავიძის ალნიშნავს, სიმრავლის
გადმოცემა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ამ სიტყვის მეორე —
კონკრეტულ მნიშვნელობას, ამავე ავტორის აზრით, იმ გარემოე-

⁶² სტფ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

⁶³ მ. ჭანაშვილი, ინგილოური ლექსიკონი; ძველი საქართველო, III, ტფ.
1913.

⁶⁴ ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960. გვ.
231.

ბით უნდა აიხსნებოდეს, რომ „მესაქონლეობის მეურნეობაში მთავარი მნიშვნელობა სწორედ მეწველ საქონელს ჰქონდა, და ზროხაც უმეტესად დედალ საქონელს წარმოადგენდა. ამდენად, ბუნებრივია, რომ შემდგომში ამ ზოგად სახელს დედალი პირუტყვის მნიშვნელობა მიჰკუთვნებოდა“⁶⁵.

ქართულის მონათესავე ენებში ზროხა/ძროხა ფუძე არ ჩანს. დღეისათვის ძროხა და ფური სინონიმურ წყვილს ქმნის ქართულში.

ვარაუდობენ⁶⁶, რომ ზროხა ფუძე უნდა მომდინარეობდეს საშუალ სპარსული ფორმიდან *zdr̥hrihā* „სამსხვერპლო საქონელი“ (-hā, ihā — კრებიზობის, კოლექტიურობის მაწარმოებელი სუფიქსია)⁶⁷.

ფური Vacca

ფ უ რ მ ა ნ მათმან არა მოაგდო, განერა მაქმ... (იბ. 21,10).

ამან გაორჯი შემოწირნა ფ უ რ ნ ი სამნი კბოვრედნი (აღაპ. № 76).

მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურ-ბერწსა (გარიგ. 11,252).

...ვიყიდე ვენახი ჩნსა გლენსა თანა ედვა და მივეც ფ უ რ ი, (ქრონიკ. 1,45).

ჭ ა ნ უ რ ი

ფ უ ჯ ი ოხორის საღი კუჩხე ამიღას, ვორსი ონუ (ი. ყიფ. 88), „ძროხამ სახლში კარგი ფეხი რომ შემოიტანოს, კარგი იქნება“.

ჩონჩი ფ უ ჯ ე ფ ე შ ე ნ ი ქოშებინახი (ა. ჩიქ. II, 31,16), „ჩენჩი ფურებოსათვის შევიწახე“.

მ ე გ რ უ ლ ი

ხოჯი დოუტკილი ვოდა ფ უ ჯ ი გეუძენი (ცგრ. 64,9), „ხარი დავუკალი და ფურიც დავუმატე“.

⁶⁵ იე. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური... გვ. 219.

⁶⁶ მზ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი-ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 245.

⁶⁷ აკად. ნ. შარი ზროხას უკავშირებდა აფხ. აფი-სა და მეგრ. ჩხუ-ს (ორივე „ძროხას“ ნიშნავს). ზროხას აღადგენდა ზორ-ახ-ის სახით და -ახ-ს გამოჰყოფდა მდ. სქესის სუფიქსად. იხ. Н. Я. М а р р, К вопросу о положении абхазского языка среди фетических, СПб., 1912.

ნწყდნენი აედ ხოჩა ფირჭ ლიზ, მადე-კან (სე. ტექ. I, 6,17), „სამაგიერო (ქალის წაყვანისა) ხან კარგი ფურია, ხან-ხარია“.

ფ უ რ ი ს ჯიმ ხედროჭლ, მარა-ნინ (მიელ. მას.), „ძროხას მარილი ატყუებს, კაცს — ენა“.

„ფური — ზროხა დედალი“ განმარტავს საბა. ეგვე მნიშვნელობა აქვს ამ ფუძეს ახალ ქართულში.

ფურ ფუძიდან ნაწარმოები ხა-ფურ-ე შეგვხვდა დავით აღმაშენებლის ანდერძში — „მფისა წა დავით აღმაშენებლის ანდერძი, შიომღვიმისა და მიცემული 1123 წ.“

ასი ფური მომიკსენებია რომელ თრიალეთის მთასა, სოფელსა ბკითს და ბკითს ზეითს სოფლებს და მათს საფურესა ნუხნარს დგეს⁶⁸.

ამ მაგალითის მოხედვით ხაფურე საქონლის სადგომად განკუთვნილ ადგილს გულისხმობს. დასახელებული მნიშვნელობით ეს ფუძე თანამედროვე ქართულშიც იხმარება, მაგ. „კოლმეურნეობის საფურე“, მაგრამ უფრო ხშირად იგი დედალი ხბოს აღსანიშნავად გამოიყენება (ხბო — საფურე და სახარე).

ფური ჩვეულებრივ მსხვილფეხა დედალი საქონლის აღმნიშვნელად იხმარება: ფურბერწი, ფურზაქი, ფურირემი, ფურკამჩი.

ფური საერთო-ქართველური ფუძეა. იგი ფუქ-ს სახითაა წარმოდგენილი მეგრულსა და ქანურში, ხოლო სვანურში ფირჭ⁶⁹/ფჭირ (ბ.ზ.), ფურ (ლშხ.) ფორმით.

თანამედროვე ქართულში გვხვდება შემდეგი კნინობითი სახელები: ფუჩინა (ქართლ.) „ხბო“, ბუჩინა (ქიზ.) „ზაქი წლამდე“⁷⁰. ფიჩინა (ჯავახ.) „უღროოდ ხბოს მომგები დეკელი“ (ქგლ. VII).

ამ ფუძეთათვის ამოწავალია ფურ ფუძე. ვარაუდობენ, რომ რ ბგერა ფუძის ბოლოში არამდგრადია და ქართულშივე იცვლება (მაგ. ყვირილი — ყვინჩილა, ღორი — ღოჯი, ფური — ფუჯი...)⁷¹. (ქართული გვარი ფრუძე ხომ არ იმეორებს ფურ- ფუძეს?).

⁶⁸ თ. ჟ. ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი ვახანის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 17.

⁶⁹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 78.

⁷⁰ სტფ. შ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიური ლექსიკონი, თბ., 1943.

⁷¹ F. N e i s s e r, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953, გვ. 44.

პარი ხოს

ძლიერ არს და კეთილ ქარი... (ექ. დღ. 106,1).

სადა არა არიან ქარნი, მუნ ბაგანი წმიდა არიან (იგ. სოლ. 14,4).

ქარი და დათვ ზოგად ძოვდენ და მართუენი მათნი აღრეულად იქცეოდინან (ეს. 11,7).

ულლეული ქართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათა (ლქ. 141,9).

მოაკლდეს საქმელთაგან ცხოვარნი და ქარნი არა არიან ბაგათა (ამბაკუმ, 3,17).

ეჲ ქარსაღა ულელი ერყვეენ ეგრე სახედ არს დედაკაცი უკეთური (ისო ზირქ. 26,9).

და ლომი ვითარცა ქარი ბზესა ჭამდეს (ეს. 11,7).

იენა ქარმან ზომგებელი თესი (სინ. მრ. 239,10).

ქ ა ნ უ რ ი

ჩქინ უკიდაფთ ხოჯი დო ლეტა ფხაჩქუფთ (ი. ყიფ. ჩხალ. ტექ. 9,5), „ჩვენ შევებაამთ ხარს და მიწას ვთოხნით (უხნავთ)“.

ხოჯის კუჩხეს ქაჩაჩი ულუნ (ა. ჩიქ. I, 165,29), „ხარს ფეხზე ქაჩაჩი აქვს“.

მ ე გ რ უ ლ ი

მეზობერსი ხოჯი უზალი დო ღორონთი სი მერჩანს (ცგრ. 81,4), „მეზობელს ხარი უქადე და ღმერთი შენ მოგცემს“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ქორს ჯორი შლეა გარენსად კანარ (სვ. ტექ. I, 27,14), „სახლში ორი ულელი ხარიღა დაგვრჩა“.

ლანშენ კოდიდ ლეჩხუმთე კანნი გვერწლს (ლუშ. აზ. 2,99), „ლანშეთიდან ლეჩხუმში ვყიდილთ ხარის ტყავებს“.

კანს მუქუჭარ მამ ანგუმინე (მივლ. მას.), „ხარს რქები არ ამძიმებს“.

ამხუ ლთეჲ კანს ჯორი ლთეჲ კანა ნამუჟე მიჩა ხოხალდა (მივლ. მას.), „ცალთვალა ხარს ორთვალა ხარის ნამუშე-ვარი მისი ეგონა“.

„ქარი — მამალი ზროხა“ — წერს საბა. ახალ ქართულში

გვაქვს ხარი. კ-ანიანი ვარიანტი ამ ფუძისა დღეისათვის მხოლოდ მთის დიალექტებშია ცოცხალი (მდრ. კარ ფუძიდან ნაწარმოები ქაროვანი, ქარუანი — „ხარების ნახირი“ (თუშ.)⁷². „ქარავანი — „ბევრი კარ-ფური ერთად“ (ხევს.). ქარავანს მექარავნე ჰყავდა, რომელსაც ჯამაგირს ანუ საქარავნოს აძლევდნენ. ხაქარავნო ერქვა იმ იალალსაც, სადაც ჯოგი ბალახობდა ზაფხულში⁷³.

ქართული კარი/ხარი-ს შესატყვისია მეგრულსა და ქანურში ხოჭი, ხოლო სევანურში — კან⁷⁴. ზანური რ ბგერის გადასვლას კ-ში ხსნიან ბრუნვის ნიშნისეული ი-ხმოვნის გავლენით — პალატალიზაციის გზით; ხარი > ხორი > ხოჭი⁷⁵.

ი. ყიფშიძე ხოჯს უკავშირებდა მეგრულ გვარს ხოჯალია-ს (ხოჯალია — „პატარა ზარი“)⁷⁶. ჩეგრულის ანალოგიით ქართულშიც ასახელებენ გვარს ხარაძე-ს, ვარაუდობენ მის კავშირს ხარ ფუძესთან⁷⁷.

ქარ-/ხარ- ფუძის ვარიანტია კან-/ხან-, რომელიც დღეს კნავს/ხნავს- ზმნურ ფუძეშია შემონახული (მდრ. სვან. კან „ხარი“, აწნი -ხნავს)⁷⁸. კან- ფუძიდან იწარმოება შემდეგი სახელები ქართულში: მწველი, ხაჯნისი, ხაჯნველი, მაგ.:

უკუეთუ მქნველი ვრემე არს, სადა არიან უღლეილინი ქარნი? (კიმ. I, 134,23).

ყოველი მთაჲ კნვით მოიქნას (ეს. 7,25).

დასჭრიდენ მახვლებსა მათსა საქნისად და ლახურებსა მათსა მანგლად (ხრონღრ. 147,30).

არავინ დასდვას კელი საქნველსა, (ლქ. 9,62).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, კან-/ქარ- ფუძეთა ანალოგიურთ ნ/რ-ს მონაცვლეობის თვალსაზრისით -ძვნ/ძვრ- (მდრ. ძვრი და გან-ძვნ-და), სტუინ-/სტუირ- (სტუირი და უსტუინე)⁷⁹ ფუძეები.

⁷² თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კოლო, თბ., 1960, გვ. 220.

⁷³ ალ. ჭ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ზეესურელის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 231.

⁷⁴ არ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 79.

⁷⁵ გ. რ ო გ ა ვ ა, ფუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისათვის ქართველურ ენებში; საზოგ. მეცნ. განყ. მოაზრე, № I, 1962, გვ. 227—229.

⁷⁶ И. К и л ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

⁷⁷ И. В. М е г р е л и д з е, Лазский и мегрельский слои в гурнийском, М. -Л. 1939, გვ. 97.

⁷⁸ არ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 79.

⁷⁹ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტა სისტემა..., გვ. 312.

დიაკეული/დეაკეული bucula

მომგუარე მე დიაკეული სამ წლისაჲ (დაბ. 15,9).

მოიყვანო შენ ჩემდა დიაკეული ერთი სმნიერი (სინ. მრ. 226,24).

ხლდებოდეს დიაკეულნი ბაგათა მათთა ზედა... (იო-ველ, 1,17).

წარიბ შენ თანა დიაკეული ერთი შროწეულსაგან (მფ. I, 16,2).

...განზარდოს კაცმან დიაკეული ზროხათაჲ (ეს. 7,21).

ლგვკროს სახელი არს საცბოვრისაჲ, რომელსა ლგვკრონ პრქვან, რომელ არს ფერი ველოვრისა მის ზროხისაჲ მსგავს წითლისა დეაკეოვლისა და წოვერსა სამწერებლისა თვისისაჲ ახს თმაჲ იგი დაქინკილად და მწუხანის ფერად (თუალ-თაჲ, 38,16).

ძველ ძეგლებში დადასტურებული დიაკეულ/დეაკეულ ფუძე საბასთან დეკეულ ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „საფურე წელიწადზე მეტისა“. ეგევე მნიშვნელობა აქვს მას ახალ ქართულში: დეკეული — ძროხის შვილი — საფურე ხბო ერთიდან სამ წლამდე სქესობრივ მომწიფებამდე (ქგლ. III). დეკეულ ფორმით ეს ფუძე გვხვდება ინგილოურში, ხოლო გურულში გვაქვს დეკნა⁸⁰.

დეაკეულ-/დეკეულ-/დეაკეულ ფუძის შესატყვისია მეგრული ჭაკელი⁸¹. სვანურში გვაქვს: დეკაჲილ (ბ. ზ.), დეკევილ (ლტბ.), დეკევილ (ლშხ.).

აკად. ივ. ჭავჭავიძე იმ ფუძეს ორ ნაწილად ყოფდა: დია-/დე- მდებარებითობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხოლო -კე-ულ — შვილობისა (შდრ. ბარაკეული). დია-/დე-ს გამოყოფის უფლებას მკვლევარს აძლევდა დიასახლის-, დიოფაღ-/დეფუფაღ-ფუძეთა არსებობა ქართულში⁸².

აკად. ა. შანიძე ქ-ბეგრის მიღების ერთ-ერთ წყაროდ დიკომპლექსს გამოყოფს ქართველურ ენებში, როცა დი-ს მოსდევს ხმოვანი (დი-ი). მაგალითებად დასახელებულია: ჭაკონია<დეაკონ, ოხორჯა<ოხორდა⁸³... მათ შორის არის ჩვენთვის საინტერესო ჭაკილ ფუძე, რომელიც დიაკეულ-იდან მომდინარეობს.

⁸⁰ ლ. ლ ე ნ ი მ ე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

⁸¹ И. К и ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

⁸² ივ. ჭ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 195.

⁸³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქ-ბეგრის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, ბაქ. მეცნ. აკად. საზოგ. განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 229.

მეგრული ფორმა დიკიულ ფუძისა ჩაკელი⁸⁴ გვხვდება გურულში შეცვლილი მნიშვნელობით. ესაა ფური, რომელსაც ჰყავს ხბო ერთ წლამდე და მაინც იწველის, ამასთან იგი შეიძლება მკეც იყოს.

აკად. არნ. ჩიქობავა დიკიულ/დეკიულ ფუძეში გამოყოფს რთულ -ი-ულ სუფიქსს⁸⁵. ეგვევ მკვლევარი იმორწმებს აკად. ვ. თოფურიას აზრს, რომლის მიხედვითაც დიკიულ-ში იგივე -კ- ძირი შეიძლება გამოიყოს, რაც გვაქვს მაკე/მაკენ- ფუძეში⁸⁶.

ამ -კ- ძირს თავის მხრივ უკავშირებენ ხბოს აღმნიშვნელ აღიღურ ზკა-ს, რომელშიც ასევე -კ- ძირს გამოყოფენ. ზ- გაქვავებული აფიქსია⁸⁷.

უსი

წმიდა არს მამაჲ, რ-მან ინება დაკლვად ქბოჲ იგი ოკსხი, (ქადაგ. 41,516).

...წარსაგებელი იყო სიმინდი გრივი ოც და ათი,... ზუარაკნი გამორჩეულნი ათნი და ზროხანი უსხნი ოცნი... (ხრონღრ. 90,8).

...ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არს (მთ. DE 22,4).

DE

მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ

C

მოიბთ კარი იგი უსხი და დაკალთ...

(ლკ. 15,23).

დაუკალ მას ზუარაკი იგი ქამებული

დაუკალ მას კარი იგი უსხი

(ლკ. 15,30).

⁸⁴ ჩაკელ ფუძეს აკად. ნ. შარი უკავშირებდა, ერთი მხრივ, კამერის ნაშიერის აღმნიშვნელ ზაკ-ს, მეორე მხრივ — ბარტყის ან ცხვრელის ნაშიერის მნიშვნელობით ხმარებულ სომხურ ძაგ ფუძეს. თვით ჩაკელ-ში -ელ-ს მდებარეობით სქესის სუფიქსად გამოყოფდა. ჩაკ-ს ენათა შინაა წვეულის წარმომადგენლად მიიჩნევდა, რომლის შესატყვისად ენათა სისინა ქვეფში ეარაულობდა დეკ- ფორმას. მისი აზრით ამ უკანასკნელს დაერთვის ხან -ულ, ხან კი -ნა სუფიქსი. იხ. Н. Я. Марр, Термин «Скиф», Яфетический сборник, I, Петербург, 1922, გვ. 100.

⁸⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 45.

⁸⁶ იქვე, გვ. 45. შნშ. I.

⁸⁷ Г. В. Р о г в а, К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб., 1956. გვ. 10.

ს ვ ა ნ უ რ ი

ათხე დროიყი უსხვეაჲს ძვირდ გარ ესა აძიენიხ (ლუშნ. ამბ. 28,10), „ახლანდელ დროში უსხს ძვირად თუ კლავენ“.

თანაფიერჯნლო ხოხალხ აჯალ ლაშხარს უსხვობ (ლუშნ. ამბ. 28,6), „აღდგომის შემდეგ ლაშხეთში კიდევ იციან უსხვობა“.

„უსხი- ზროხა საკლავი მსუქანი“, — წერს საბა. ქართულის მონათესავე მეგრულსა და ქანურში ეს სიტყვა არ გვხვდება. უისხი ფორმით ეს ფუძე დასტურდება სვანური ენის ლაშხურ დიალექტსა და ლახაზულურ კილოკავში. იგი სვანურში შეთვისებული ჩანს ქართულიდან. უისხი ფორმაში უ იმავე წარმომავლობისაა, რა წარმომავლობისაა აუსლაუტის უ ფუძეებში: შუკუ „შუკა“, ბუკუ „ბუქი“⁸⁸.

„უსხი- ზროხა საკლავი მსუქანი“, — წერს საბა. ქართულის იხმარება⁸⁹ (შდრ. თუშური ხაოსხეჲ — დასაკლავად გასუქებული პირუტყვი)⁹⁰.

ვარაუდობენ, რომ უსხი უარყოფითი მიმღეობაა ხხამ ზმნისა და ნიშნავს „უშობელს“ (შდრ. სმა — უსმი, სიტყვა — უტყვი, იხვება — უხვი)⁹¹.

ს მ ნ ი ე რ ი *Vitula triennis*

მოიყვანო შენ ჩემდა დიაკეული ერთი ს მ ნ ი ე რ ი და ვერძი ერთი ს მ ნ ი ე რ ი და ვაცი ს მ ნ ი ე რ ი (სინ. მრ. 226,24).

ქალაქთა მათ გამოსცეს კმაჲ მათი სეგორითგან ორონდმდე აღათსალისა, რამეთუ დიაკეული ს მ ნ ი ე რ ი არს (იერ. 48,34).

და თანა წარიბა მან ზუარაკი ერთი ს მ ნ ი ე რ ი... (მფ. I, 1,24).

„სმნიერი — სამ წლისაჲ“ — განმარტავს საბა. მაგალითებიც მხარს უჭერს საბასეულ განმარტებას. სმნიერის პარალელურად ხამ წლისაჲ-ც შეგვხვდა. მაგ. მომგუარე მე დიაკეული სამ წლისაჲ და თხაჲ სამ წლისაჲ და ვერძი სამ წლისაჲ... (დაბ. 15,9).

⁸⁸ თ. გაშყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთი სისტემა..., გვ. 34.

⁸⁹ ე. ბერიძე, სიტყვის კონაიმერულ და რაკულ თქმათა, 1912.

⁹⁰ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

⁹¹ ი. ქაეთაიაძე, რიცხვნიკი ზმნები ქართულში, იყვ, I, 1946, გვ. 147, მწმ. 2.

შესაბამის ადგილას ბერძნულ ბიბლიაში იკითხება *αρετα ζυγου*, რაც ნიშნავს სწორედ ხმნიერს — „სამი წლისას“ (შდრ. რუს. трехлетний). იერემიას ლათინურ თარგმანში დიაკეული სწნიერი თარგმნილია როგორც *vitula triennis* (იერ. 48,34)⁹².

აკად. ა. შანიძე საყურადღებოდ მიიჩნევს ამ სიტყვაში ხმოვნის ამოღებას და -ნიერ- სუფიქსს, რომელიც ბედნიერ-შიც გვაქვს. ხმნიერი — სამის მქონენი, სამიანი (იგულისხმება ხნოვანება წლებით განსაზღვრული)⁹³.

ხმნიერის ეტიმოლოგიური მიმართება სიტყვასთან სამი თვალსაჩინოა, თუმცა წარმოშობა ბუნდოვანია, — აღნიშნავს პ. ფოგტი⁹⁴.

ტერმინი ხმნიერი ცხოველის ასაკითაა შეპირობებული. ანალოგიური ჩანს წელიწდეული.

წელიწდეული/წელიწადეული

მოიბთ ვაცი ერთი თხათაგან ყოდვისათეს და ვერძი და კბოა და ტარიგი წელიწდეული მსხუერპლად ყოველივე უბიწოა (ლვ. 9,3).

ცხოვარი სრული, ვერძი წელიწდეული იყოს თქუენდა, კრავთაგან და თიანთაგან (გამოსლ. 12,5).

შემწე ვეყო მე და ჩემსა მალალსა უყუეთუ ვეწიო მას მსხუერპლებითა ანუ ზუარაკებითა წელიწდეულითა (მიქ. 6,6).

ტარიგი წელიწადეული უბიწოა შეწიროს ყოვლად დასაწუველად დღითი დღედ უფლისა (ეზეკ. 46,13).

როგორც მაგალითებიდან ჩანს წელიწდეული/წელიწადეული გულისხმობს ერთი წლის თხასაც და ცხვარსაც. შესაბამის ადგილას ბერძნულში იკითხება *βιαιετισ*⁹⁵ (შდრ. რუს. единоголетний)⁹⁶.

ეს სიტყვა არც საბასთან გვხვდება და არც დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშია. ქგლ-ში ამ სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობად დასახელებულია „წლის“, „წლიური“.

წელიწდეული/წელიწადეული წელიწად ფუძიდან ნაწარმოები სახელია... ესეც ცხოველის ასაკმა განსაზღვრა (შდრ. ხმნიერი).

⁹² The old georgian version of The propets..., *Patrolog'a Orientalis*, t. XXIX. f. 4.

⁹³ სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1959. გვ. 331.

⁹⁴ პ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961, გვ. 21.

⁹⁵ *Vetus testamentum graecum*..., Parisiis, 1882.

⁹⁶ Библия или священные книги ветхого и нового завета, СПб.—М., 1876—1878.

მნიშვნელობის თვალსაზრისით ანალოგიური ჩანს მეგრული წანერა „წლის გოჭი“⁹⁷. წანერა ნაწარმოებია სახელიდან წანა „წელიწადი“, „წელი“. ე. ი. წანერა — „ერთწლიანი“.

პბო buculus

და ზროხათა მირბიოდა აბრაჰამ და მოიბა კბოჲ... (დაბ. :8,7).

ქამენ თიკანთა სამწყსოთაგან და კბო ებსა შორის მრო-წვეულთა მწოეართა (ამოს. 6,4).

...შეაწირო კბოჲ ზროხათაგან უბიწოჲ და ვერძი ცხო-ვართაგან უბიწოჲ (ეზეკ. 43,24).

არა ითხოვენ შენგან კბოსა ზუარაკად (მამ. სწ. 173,37).

და აღმართეს მათ დღეთა შინა კბოჲ და შეწირეს მსხუ-ერპლი კერპისა მის (საქ. მოც. 7,41).

და კუალად მამამან შენმან დაკლა კბოჲ იგი ქამებული (ქალგ. 41,517).

მისცა ლევიტელთა მათ ზატიკისა მისთვის ცხოვარი ხუთ ათა-სი და კბოჲ ხუთასი (ეზრ. II, 1,10).

კბო-კარისა და ფურის შვილი (საბა). ამ ფუძის შესატყვისი მონათესავე ქართველურ ენებში არ ჩანს⁹⁸.

კბო/ზბო ფუძე ქართული ენის დიალექტებში შემდეგი სახით გვხვდება; ქიზ. კბო/კბორი — „ბოჩოლა, ხბო წლამდე“⁹⁹, გურ. ხპორი¹⁰⁰, თუშ. კშოჲ¹⁰¹; ხევსურულში კბორ ფუძიდან ნაწარმოები იპბორია გვხვდება. „იპბორია — დეკეული, რომელმაც ადრე მოიგო ხბო (მაგ. 2 წლისამ. ა. შან.)“¹⁰².

აკად. ა. შანიძე ზბოს თავისებურ სახელთა ჯგუფში განიხილავს და ვარაუდობს, რომ კბორები კბოვრები-დან უნდა მომდინარეობდეს, ე. ი. ფუძედ იგულისხმება კბოვარ-, რომელიც კბოვრედ-შია დადასტურებული, რაც „ხბოიანს“ ნიშნავს. მაგ. ამან გიორგი შემოწირნა . ფურნი სამნი კბო ვ რ ე დ ნ ი (აღაბ. № 76)¹⁰³.

⁹⁷ И. Книш и д з е. Мингрельско-русский словарь.

⁹⁸ ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ზბო-ს აღმნიშვნელი ხაზნა (ბ. ზ), დახენა (ბ. ქ.) ფუძეები სვანურში.

⁹⁹ სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, თბ., 1943.

¹⁰⁰ ს. ქ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბ., 1936.

¹⁰¹ თ. უთუჩგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

¹⁰² ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

¹⁰³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

ხბოს მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს გენი/გინი, ქანურში გენი/ნაქენი. ამ გენ ფუძესთან კავშირში უნდა იყოს სევანური ღუნ¹⁰⁴.

მაგ.

ქ ა ნ უ რ ი

ფუჭი გენი დონაფს (ა. ჩიქ. I, 165,32), „ფური ხბოს მოიგებს“.

მ ე გ რ უ ლ ი

სი თისა დოუცკლი მეგვანათალი გინი (ცგრ. 95,31), „შენ იმას დაუკალი გასუქებული ხბო“.

ს ე ა ნ უ რ ი

მაქიკს ჩიჩიშს ივმარის ლალდგრთე ლედესდ: ხამიშს, ნელემტიშს, ლუნიშს, ფურიშსი ჩუ ხაყა (ა. ონ. 5,17), „ყველა ცხოველის კუქს იყენებენ კვეთისათვის: ღორის, თიქნის, ხბოსი, ფური-საც კი ვარგა“.

გენ ფუძიდანაა ნაწარმოები ოგინე „სახბორე“; ასევე განუა და მოგანუა — „ხბოს მიერ ძროხის მოწოვა მოწველამდის“¹⁰⁵.

რაც შეეხება იმერულში ხმარებულ გენვას, იგი ზანიზმია. გენვა „ხბოსაგან ძროხის მოწოვა გამოწველამდის“¹⁰⁶.

ზანურ გენ და სევანურ ღუნ ფუძეთა მიხედვით ვარაუდობენ, რომ ზან. მელერ ხშულ ვ-ს შეესატყვისება სევანური მელერი სპირანტი ღ, ხოლო ორივე უნდა იყოს ფარინგალური მელერი ფ-ს რეფლექსი, ე. ი. გინ/ღუნ ფუძის წინა სახეობა უნდა ყოფილიყო ფ-უნ¹⁰⁷.

წვრილფეხა საქონელი — ცხოვარი.

ცხოვარი/საცხოვარი, ვერძი, კრავი, თხა, ვაცი, თიქანი

ცხოვარი/საცხოვარი oves/grex

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ხშირად გვხვდება როგორც ცხოვარ, ასევე ხაცხოვარ ფუძეები. ცხოვარი გულისხმობს როგორც ცხვარს — oves, ისე ცხვრის ფარასაც —

¹⁰⁴ არ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 84.

¹⁰⁵ И. Княшидзе, Мингрельско-русский словарь.

¹⁰⁶ არ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 84.

¹⁰⁷ გ. ოგავა, ფარინგალურ ხშულთარიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში, იყე, I, თბ., 1946, გვ. 7.

greg. რაც შეეხება საცხოვარს, იგი, ჩვეულებრივ, ფარავს ცხოვარ ფუძის მნიშვნელობებს, მაგრამ ამასთანავე გვხვდება უფრო ზოგადი მნიშვნელობითაც. საცხოვარი ზოგჯერ აღნიშნავს: საქონელს, საყოლს, ქონებას (შდრ. ფშაური საცხოვრისი „ქონება“, „საცხოვრებელი“)¹⁰⁸.

ქვემოთ მოგვაქვს მაგალითები შესაბამისად ცხოვარ-საცხოვარ-ფუძეთა მნიშვნელობებისა.

I. ცხოვარი — oves

განზარდოს კაცმან დიაკული ზროხათაჲ და ორნი ცხოვარნი, (ეს. 7,21).

წარვედით და მოიბთ თქუენ თავისა თქუენისა ცხოვარი ნათესავად — ნათესავადმან თქუენმან (გამოსლ. 12,21).

ესევეითარსა მას გონებასა უწოდა უფალმან მგელ-მტაცებელ და მოსილ სამოსლითა ცხოვართაჲთა (ეჭ. დღ. 84,33).

იყვნეს ლომნი შვდნი და მიეცემოდეს მათ დღითი დღე გუჲანი ორნი და ცხოვარნი ორნი (ზრონდრ. 134,13).

ცხოვარნი რჩეულნი გამოვირჩიენ ჩემდა (ქბ. ქბ. 7,35).

და იყო კერპი ბაბილონელთაჲ, რომლისა სახელი ბელ. და მიეცემოდა მას დღითი დღედ სამინდოჲსაჲ ათორშეტი გრივი და ცხოვარი ორმოცი. (დან. 12,1).

II. ცხოვარი — grex

წარვედ ცხოვრად და მომართუენ მე ორნი თიკანნი... (დაბ. 27,9).

რომელმან-მე მწყემსმან ცხოვარნი შორის მგელთა განუტევნეს? (სინ. მრ. 220,14).

ცხოვარი და ზროხაჲ თქუენი განასხთ და ვილოდეთ (გამოსლ. 12,32).

შეკრიბე თივად მწუანვილისაჲ რა გედგას ცხოვარი სამოსლად (იგ. სოლ. 27,26).

ღო წარვიდა მწყსად ცხოვართა მამისა მისისათა (მფ. I,17,15).

განიზნინეს ცხოვარნი ჩემნი რამეთუ არა იყო მწყემსი (ეზეკ. 34,5).

¹⁰⁸ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დალექტოლოგია, თბ., 1961, გვ. 594.

და მოვიდეს უცხოთა ნაშობნი მწყსად ცხოვართა შენ-
თა (ეს. 61,5).

შეკამონ ცხოვარი თქუენი და ზროხაჲ თქუენი (იერ.
5,17).

III. საცხოვარი — grex

დაწყედა მან ზროხაჲ და საცხოვარი ღიდ ძალი (მფ.
III,1,19).

და ოთ აღიმსო განთიად და შეჰვედრა საცხოვარნი
იგი მწყემსთა (მფ. I,17,20).

და კორცნი იგი ძრწიედ შეძრწუნებულად, ვითარცა საცხო-
ვარნი ჟამსა დაკლეისასა (მამ. სწ. 225,27).

...ემწყსიდი მე საცხოვართა მამისა ჩემისათა (ფსალმ.
151,1).

ხოლო მათ არა ისმინეს მისი და მყის ძუძუნი საცხოვარ-
თა მათთანი დაიყვნეს და სძლ არა გამოუტევეს. და ამის გა-
მოკრავნი და თიკანნი მათნი მოსწყდებოდეს (კმ. II,192,12).

იგონი იყვნეს ვითარცა მგელნი, რომელნი ჰამენ კორცა სა-
ცხოვართასა უწყალოდ (აგათანგ. 259,13).

ვითარცა საცხოვარი კლვად განჩინებულნი, ეგრეთვე
ერი შორწმუნეთაჲ დაკლვად განეშადებოდა (წარტყუენ. ით, 15).

..მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დაღვის საცხოვართა
თვსთა ზედა (ივ. C 10,11).

IV. საცხოვარი

და იყო საცხოვარი მისი ფრიად: ცხოვარი შვედ ათას,
აქლემები სამ ათას, უღლეული ქარი ხუთას (იბ. 1,3).

პირუტყუთა საცხოვართა, ძალთა და მფრინველთა
არასადა უცოდაეს და არცა განიკითხვიან (მამ. სწ. 306,26).

რომელმან განჰმზადა ქუეყანაჲ მიუქუნისამდე ჟამთა, აღავსო
იგი საცხოვრითა ოთხფერკითა (ბარუბ, 3,32).

ვინ უწყის სული ძეთა კაცისათაჲ, უკუეთუ აღვალს იგი ზე
და სული იგი საცხოვართაჲ, უკუეთუ შთავალს იგი ქუე
ქუეყნად (ეკლ. 50,8).

ფრიად მომწყდარ იყვნეს მამები და დედები და ყრმები და
საცხოვარი მათი (მიმოდასლვ. 41,17).

და მეთატხრამეტსა დღესა მოსწყდეს პირუტყუნი საცხო-
ვარნი (ხრონლრ. 51,6).

...სინარულით კმობდეს საცხოვარნიცა წყლისაგან არა სუმისა, და იყო საშინელ კმაჲ იგი ყოველთა კაცთაჲ მათ და საცხოვართაჲ (იონაჲს. 42,29—30).

ქ ა ნ უ რ ი

მგერი დო თუთი იდეს დო მჩხური დო ფუჭი ქომოლონეს (ი. ყიფ. 37,17). „მგელი და დათვი წავიდნენ და ცხვარი და ძროხა მოიყვანეს“.

მჩხუ.ი.ში. თომას მონტკოჲ ვუწუმელთ (ა. ჩიქ. 1,166,8), „ცხვრის ბეწვს მატყლს ვუწოდებთ (ვეტყვით)“.

მ ე გ რ უ ლ ი

ენა ე ჭიმალენქჲ იხუ ძალამი დო შხურიში მათხილარო ქედაარინესჲ (ცგრ. 11,6), „ამით ძმები ძალიან განაწყენდნენ და გაგზავნეს იგი ცხვრის სამწყემსად“.

ძველი ქართულის ცხოვარ/ხაცხოვარ ახალ ქართულში ცხვარ ფორმით გვხვდება. ქართული ენის მთის დიალექტებში გვაქვს ცხორი.

ცხოვარ/ცხვარ ფუძის შესატყვისია მეგრულში შხური და ქანურში მჩხური/მჩხუი/შშქური/ჩხური. ძირეულ მასალად გამოყოფილია -ცხ- რომლის ვარიანტებია: ჩხ-/-შხ-/-შქ-. თავიკიდური მ- განვითარებულია, ხოლო -არ/-ურ დეტერმინანტი სუფიქსებია¹⁰⁹.

ქართულ-ზანურ ფუძეთა შეპირისპირება. ქართულში -ოვ-/-ვ- აფიქსს გამოგვყაყოფინებს (ცხ-ოვ-არ, ცხ-ვ-არ), რომელიც ერთი შეხედვით მეგრულსა და ქანურში არ ჩანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ძროხის აღმნიშვნელი იმავე ჩხ- ძირის შემცველი ჩხოლ/ჩხუუ ფუძე მეგრულში. მრავლობით რიცხვში აღდგება ამ ფუძის სრული სახე ჩხოულ-ეფ-ი/ჩხუულ-ეფ-ი. როგორც აღნიშნულია¹¹⁰, სწორედ ამ ფუძეშია შემორჩენილი -ოვ- აფიქსი: ცხოვარ-ში რომ გვაქვს, ე. ი. უნდა ყოფილიყო ჩხ-ოვ-ულ>ჩხ-ო-ულ>ჩხოლ. -ოვ-სუფიქსს პროფ. გ. როგავა ჩხურ ფუძეშიც გამოყოფს (ჩხ-ოვ-ურ). ამას მეგრ. ჩხოლ-ს გარდა ამტკიცებს ამავე ფუძის ზმნური ვარიანტიც — მეგრ. ჩხონაფა „ცხონება“, რომელიც მიღებულია ჩხ-ოვ-ნ-აფა-საგან¹¹¹.

¹⁰⁹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 80.

¹¹⁰ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962, გვ. 89.

¹¹¹ იქვე, გვ. 89.

მართალია, მეგრულში დღეს ჩხოუ-ს ძროხის მნიშვნელობა აქვს, და ასევეა ეს სიტყვა განმარტებული ი. ყიფშიძის მეგრულ ლექსიკონშიც¹¹², მაგრამ ავტორი იქვე დასძევს, რომ ამ ფუძეს უფრო ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ი. ყიფშიძე იზიარებს აკად. მ. ბროსეს აზრს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ჩხოუ და ცხოვარ (овца, животное, живое) ფუძეთა დაკავშირება¹¹³.

აკად ნ. მარიც იმ აზრისაა, რომ არა მარტო შეკვეცილი ჩხუ ფორმა, არამედ სრული ჩხური/შხური-ც ნიშნავს არა მარტო „ცხვარს“, არამედ „ცოცხალს“, „ცხოველს“, ისევე როგორც მისი ქართული ექვივალენტი ცხოვარი გულისხმობს „ცოცხალ“-საუ და „ცხვარ“-საუ (მდრ. ცხოველი — ცხოვრება — მაცხოვარი — оживитель, спаситель, жизнедавец)¹¹⁴.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალში ცხოვარ- ფუძეს „ცხოველის“ (животное) მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში მნიშვნელობის ისეთი დიფერენციაცია, როგორც გვაქვს დღეს, შეუძლებელი იქნებოდა. ცხ- ძირის შემცველი ფუძე ქართულში „ცხვრის“ მნიშვნელობით გვხვდება, ხოლო მეგრულში ამ ფუძის შესატყვისად გვაქვს ძროხის აღმნიშვნელი ჩხოუ და ცხვრის აღმნიშვნელი ჩხური/შხური. როგორც გარკვეულია, მეგრ. ჩხოუ წარმოგვიდგენს უდეტერმინანტო ფუძის ცხ-ოვ-ის ექვივალენტს და, ამდენად, უფრო ძველი უნდა იყოს შხურ/ჩხურ-თან შედარებით¹¹⁵.

ცხოვარ/ცხოველ ფუძის მნიშვნელობის ამგვარი დაყოფა რეალური ვითარების ამსახველი ჩანს. ივარაუდება ის, თუ რომელი შინაური ცხოველი ჰარბობდა ამა თუ იმ სინამდვილეში¹¹⁶.

გ. კლიმოვის აზრით ცხვარ ფუძიდან ნაწარმოებია ქართ. ცხორება, რომლის ამოსავალ მნიშვნელობად იგი „მეცხვარეობას“ (овцеводство) ვარაუდობს. მკვლევარი შეცდომად თვლის ქართ. ცხვარ და მეგრ. ჩხოუ ფუძეთა დაკავშირებას¹¹⁷.

¹¹²—¹¹³ И. К и п и ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

¹¹⁴ Н. Я. М а р р, Яфетические элементы в языках Армении, СПб., III, 1913.

¹¹⁵ არნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 163.

¹¹⁶ იქვე, გვ. 163.

¹¹⁷ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 231.

თუ ზემოთ აღნიშნული მსჯელობა მისაღებია, მაშინ გ. კლიმოვის ვარაუდი ნაკლებ დამაჯერებლად შეიძლება ჩაითვალოს¹¹⁸.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ჩხოუ ფუძე მხოლოდ მეგრულში დასტურდება. კანურში იგი არ ჩანს. ძროხის მნიშვნელობით იქ ფუჭი გვხვდება¹¹⁹.

ამ თვალსაზრისით იქნებ ინტერესმოკლებული არ იყოს საქართველოში გავრცელებული ყურძნის ერთ-ერთი ჯიშის ხარისთვალა-ს ზანური სახელწოდება. ეს ყურძენი კახეთიდან მოყოლებული კანეთამდის აღწევს. კანეთში მას თოლი-მჩხუში ეწოდება. აჭარაში ეს ჯიში ჩხუში-ს სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო სამეგრელოში — ჩხუჩეში-სა¹²⁰.

ყურადღებას იქცევს სწორედ კანურში დადასტურებული თოლი-მჩხუში. აკად. ივ. ჯავახიშვილს ეს მაგალითი ამოღებული აქვს აკად. ნ. მარის კანური ლექსიკონიდან. ამ ლექსიკონში თოლი-მჩხუში მოტანილია როგორც ილუსტრაცია მსხვილის აღმნიშვნელ ჩხუ ფუძესთან: თოლი-მჩხუ ყურძენი თარგმნილია როგორც „მსხვილმარცვლიანი ყურძენი“.

მჩხუშ-ას ამგვარი გაგება, ვფიქრობთ, შეორეულია. ამოსავალში აქ უნდა გვქონოდა ძროხის აღმნიშვნელი ფუძე (თვით მჩხუშ ფორმა კუთვნილების გამომხატველია: თოლი-მჩხუში უნდა ნიშნავდეს „თვალი ძროხისა“ და არა „თვალი მსხვილისა“). იმის განიო, რომ დღეს კანურში ჩხოუ ფუძე ძროხის მნიშვნელობით აღარ იხმარება, ამიტომ თოლი-მჩხუშ ყურძენი გააზრიანდა როგორც „თვალმსხვილა ყურძენი“. ეს შესაძლებელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ ბგერობრივად „ძროხისა“ და „მსხვილის“ აღმნიშვნელი ფუძეები ერთმანეთს დაემთხვა. მეგრულის ვითარებაც ჩვენს ვარაუდს უნდა ამართლებდეს. მეგრ.: ჩხუჩეში „თეთრი ხარისთვალა“ და არა „მსხვილთეთრა“, რადგან „მსხვილის“ აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს შხუ.

¹¹⁸ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მნიშვნელობის თვალსაზრისით ქართული ცხოვარ/ცხოველ ფუძეთა ანალოგიური ჩანს რუს. животное, რომელსაც ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ძველ სლავურ живота ფუძეს. მისი მნიშვნელობებია: 1. жизнь. 2. часть тела. 3. имущество. იხ. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, I, М., 1964, გვ. 52.

¹¹⁹ არ. ჩ ი კ ბ ა ვ ა. სახელის ფუძე... გვ. 163, შენიშვნა 1.

¹²⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935, გვ. 513, 519.

თოლი-მჩხუშ ფუძეში მჩხუ-ს ძროხის მნიშვნელობით გაგება შესაძლებლად მიაჩნდა აკად. ივ. ჭავჭავაძის¹²¹.

ცხვრის მნიშვნელობით ქართულში ნერბი გვხვდება. „ნერბი-დედალი ცხოვარი“ — განმარტავს საბა. უძველეს წერილობით ძეგლებში ჩვენ ეს ფუძე ვერ დავადასტურეთ. ქართული ენის დიალექტებში ნერბი ძირითადად დედალი ცხვრის მნიშვნელობით გვხვდება, მაგრამ ქიზიყურსა და ხევსურულში იგი ვერძის სინონიმია.

აკად. ივ. ჭავჭავაძის ნერბ ფუძეს ძველისძველ ქართულ სიტყვად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ იგი უნდა გვქონოდა იმ ხანებშიც, როცა ბიბლია ითარგმნებოდა. ამ ვარაუდოს დასამტკიცებლად მკვლევარი ასახელებს ნერბობა ფუძეს, რომელიც, როგორც აკად. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, ნახმარია ეზეკიელის მე-17 თავში — იგულისხმება ბიბლიის მცხეთის ხელნაწერი, სადაც ვკითხულობთ: „არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისა განკმეს ჰაჟმილითა მასკნესა თანა აღმოსავლისა მისისაჲა და ნერბობაჲ მისი განკმეს“, ეზეკ. 17,10¹²².

ბიბლიის ოშკურსა და იერუსალიმურ ხელნაწერში ნერბობა ფუძე არ ჩანს. იქ ვკითხულობთ: „...ნაყოფი მისი დაღუგეს და განკმეს ყუავილი პირველ აღმოცენებული მისი და არა მკლავითა დიდითა არცა ერთთა მრავლითა აღმოიფხურეს იგი ძირითურთ მცხით: და აჰა ესერა განმოხნების ნუუყუე წარმართოს ანუ არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისასა განკმეს“, ეზეკ. 17,10.

„ნერბობაჲ მისი განკმეს“ — ქართულ თარგმანში ბერძნულ და სომხურ თარგმანებთან შედარებით მეტია, — განაგრძობს მკვლევარი, — მაგრამ ლათინურ თარგმანშიც ასევე ზედმეტად ნათქვამია *et areis germinis sui areseet* — „განკმეს თავის აღმოცენების არესა“-ო. ებრაულ დედანშიც სწორედ ასევეა ნათქვამი „განკმეს იმ კვლებში, სადაც აღმოსცენდა“-ო. ამისდა მიხედვით ისე გამოდის, რომ ქართული „თარგმანის „ნერბობაჲ“ აღმოცენების არესა და ადგილს უნდა ნიშნავდეს“¹²³.

მიუხედავად მკვლევრის დიდი ზურვილისა — დაედანსტურებინა ბიბლიის ტექსტში ნერბი ფუძე — ეს არ ხერხდება. ამის შესაძლებლობას თვით კონტექსტი არ იძლევა. ეზეკიელის მე-17 თავში

¹²¹ ივ. ჭავჭავაძის, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 470.

¹²² იქვე, გვ. 182.

¹²³ ივ. ჭავჭავაძის, ქართული და კავკასიური..., გვ. 182.

უნდა იკითხებოდეს ნერგობაჲ (იგულისხმება მცხეთის ხელნაწერი A—15) და იკითხება კიდევაც.

შეცდომა გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოშობილი. 'ხუსხურში ბან-ი და ვან-ი მოხაზულობით ძლიერ წააგავს ერთმანეთს. ასე რომ, შეცდომა წაკითხვის დროსაა დაშვებული.

ვეარაუდობთ, რომ ნერბი არაა ქართული სიტყვა. იგი შეთვისებული უნდა იყოს ბერძნულიდან შედარებით მოგვიანო ხანაში. მხედველობაში გვაქვს ირმის ნაშიერის — ნუკრის აღმნიშვნელი ბ ზეპრც-ფუძე¹²⁴. როგორც ნაშიერის აღმნიშვნელი, იგი ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, — იგულისხმობს როგორც დედალს, ასევე მამალ ცხოველს (შდრ. ქართ. შვილი). ზეპრც იქნება „დედალი ნუკრი“, ხოლო ბ ზეპრც — „მამალი ნუკრი“. აღსანიშნავია ის, რომ ქართულში დასტურდება ნერბ ფუძის ორივე მნიშვნელობა, რაც აქვს ამ ფუძეს ბერძნულში.

ვეარაუდობენ, რომ სომხურში დადასტურებული wordxar იგივეა, რაც ზანური ჩხური/შხური. ამასთან ეს ფუძე სომხურში შეთვისებული უნდა იყოს იმ ეპოქაში, როდესაც ზანური ჭერ კიდევ ა- გახმოვანებას ინარჩუნებდა¹²⁵.

საინტერესოა ის, რომ ამ საერთო-ქართველური ფუძის სომხური ვარიანტი ოჩხარ/ოჩხი ფორმით გვხვდება ქართულში, ოღონდ განსხვავებული მნიშვნელობით. ოჩხარი — 1. ზელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის მიერ გამართული წვეულება, რომლის დროსაც სტუმრები მასპინძელს შეძლებისდაგვარად აძლევენ შესაწირავს (ჩვეულებრივ ცხვარს). 2. (რაჭ.) საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი (ჩვეულებრივ, იციან შემოდგომაზე, როდესაც ჭირნახულს შეინახავენ) (ქგლ. VI). ოჩხარი იციან აგრეთვე ქართლში, კახეთსა და ფშავეში — ჩვეულებრივ მეცხვარეებმა.

ქართულ-ზანური ცხვარ/ჩხურ/შხურ ფუძე სვანურში არ ჩანს¹²⁶. ამ მნიშვნელობით ლოლაქ/ღველაქ ფუძე იხმარება. ვეარაუდობენ, რომ ეს ფუძე სვანურში შეთვისებულია ადიღეური-

¹²⁴ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, М., 1958.

¹²⁵ თ. ვამყრელიძე, გ. მამკავარიანი, სონანტო სისტემა..., გვ. 149.

¹²⁶ აკად. ნ. მარი ზან. ჩხუ-ს გამოყოფდა ტოპონიმში ლანჩხუთი, იხ. Н. Я. Марр, Из поездок в Сванию, ХВ, т. II, вып. I. СПб. 1913.

დან; დ-განვითარებულია, ხოლო ველი-/ოლ- იგივეა, რაც ყაზა-
რლოული mel—барги (шоп).¹²⁷

აკად. ვ. თოფურიას აზრით სვანური ლოლაქ/ღველაქ ფუძე
-აქ სიტყვათსაწარმოებელ ფორმანტს შეიცავს. ჩვეულებრივ, —
წერს ავტორი, — ეს -აქ- ფორმანტი დაერთვის სახელებს და აქ-
ცევს მათ ზედსართავად ან აძლევს მნიშვნელობას მასალისას. მაგ.
აქსუ—აქსუაქ „ცოლი—საცოლე“; დაბ—დაბაქ „ყანა — საყანე“¹²⁸.
ამგვარი ფუნქცია -აქ ბოლოსართისა ჩვენთვის საინტერესო ლო-
ლაქ/ღველაქ ფუძეში არ ჩანს.

იქნებ შესაძლებელი იყოს ამ ფუძის დაკავშირება თურქულ ол-
лак (ოლაქ) ფუძესთან: оллак — козленок домашней и дикой козы¹²⁹.
მნიშვნელობის ამგვარი ცვლა (თიქანი > ცხვარი) იქნებ მოულოდნე-
ლი არ იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სვანურისათვის
ეს რეალია არაა დამახასიათებელი.

ვერძი aries

მოიყვანო შენ ჩემდა ...ვერძი ერთი სმნიერი... (სინ. მრ.
226,24).

შუბლსა მისსა იყენეს რქანი ვა ვერძისანი (კიმ. I,55,8).
და წარწყმდეს სივლტოლაჲ მწყემსთაგან და განრინებაჲ
ვერძთაგან ცხოვართასა (იერ. 25,35).

უკუეთუ შეწიროს უფალმან ათასეული ვერძთაჲ... (მიქ.
6,7).

და მოჰკუარა მოსე ვერძი იგი მეორე, ვერძი სრუ-
ლებისაჲ (ლევ. 8,22).

იქმნნეს მთავარნი მისნი ვითარცა ვერძნი, არა ჰპოვებ-
დეს საძოვარსა (გოდ. იერ. 1,3).

ვერძი მამალი ცხვრის აღმნიშვნელი ტერმინია ქართულში. ასე-
ვე განმარტავს საბა ამ სიტყვას: „ვერძი — მამალი ცხოვარი“.

ვერძის შესატყვისად მეგრულში ერჭი ივარაუდება¹³⁰. ქა-
ნურსა და სვანურში ეს ფუძე არ ჩანს. ქართ. ძ- ბგერის კანონ-

¹²⁷ ს. ქ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადილეურ (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები:
შრ., III, თბ., 1959, გვ. 110.

¹²⁸ ვ. თოფურიას, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, თსუ შრ.,
XV, 1940.

¹²⁹ А. М. Щ е р б а к, Названия домашних и диких животных в тюркских
языках, გვ. 52.

¹³⁰ Н. Я. М а р р, Яфетические элементы в языках Армении, IV, 1912.

ზომიერი შესატყვისია მეგრ. ჯ (შდრ. ქართ. ძელი, ძალი... მეგრ. ჯა, ჯოლორი...). ვერძ/ერჯ ფუძეთა დაპირისპირებიდან ჩანს, რომ ქართველურ ენებს შორის არსებული ხმოვანთა შესატყვისობა (ქართ. ე — ზან. ა) დარღვეულია; მოსალოდნელი ა-ს ნაცვლად გვაქვს ე.

როგორც ვარაუდობენ, ამგვარი შეფარდება (ქართ. ე — ზან. ე) დასტურდება მხოლოდ სახელურ ფუძეებში. ითვალისწინებენ რა სახელთა ზანურ პარადიგმებში ბრუნვის ნიშანთა არსებობას, რომელთა შემადგენლობაში შედიან მაპალატალიზებული ხმოვნები (სახ. -ო/-ე, ნათ. -ოშ, მოქ. -ოთ), ასკვნიან, რომ შეფარდება (ქართ. ე — ზან. ე) პალატალური უმლაუტის შედეგია, ე. ი. ქართ. ე და ზან. ე < ა მომდევნო წინაენისმიერი ხმოვნების გავლენით აიხსნება¹³¹.

ამ მსჯელობის მიხედვით მეგრ. ერჯი მიღებულია არჯი-საგან. კ. ჰ. შმიდტის აზრით ერჯი ორჯი-დან მომდინარეობს ასიმილაციის გზით (ი-ს გავლენით ერჯი < ორჯი)¹³².

ვერძის¹³³ მნიშვნელობით სვანურში გვაქვს გიცარ (მრ. გიც-არალ).

ვარაუდობენ, რომ ვერძი ოსური წარმომავლობის ფუძეა (შეთვისებული უნდა იყოს სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან). ქართ. ვერძი, ძვ. ინდ. vr̥šan, ახ. სპარს. vaxšan „ხვალი“, ჩრდ. ირან. vars ან vurs. შდრ. ოს. wurs/urs „კვიცი“, შდრ. სომხ. «რძ» „მამალი“, „მამრი“, შდრ. აგრეთვე პამირ. vorš „ცხენი“, ლტ. verszis, ლათ. verres „ტახი“.¹³⁴

პრაპი agnus

გაობრწყინდა მზე სიმართლისაჲ... თხილეს იგი მგელთა და მშვდობა ყვეს კ რ ა ე თ ა თ ა ნ ა (მამ. სწ. 69,23).

პატივ ეც ველსა რ ა გედგნენ შ ო ნ კ რ ა ე ნ ი (იგ. სოლ. 27,26).

¹³¹ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ე ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა..., გვ. 160.

¹³² K. H. Schmidt, დასახ. შრომა, გვ. 109.

¹³³ აკად. ივ. ჭავჭავაძის აზრით ვერძ ფუძის პირველდელი სახე უნდა ყოფილიყო ვარძი. ეს უკანასკნელი მისივე აზრით შემორჩენილი უნდა იყოს სვანურულ-ში. იხ. მისი ქართული ერის ისტორიის შესავალი, ნაწ. I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 166.

¹³⁴ შ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები..., გვ. 86.

მოიქუა სამოელ კრავი ერთი მწოვარი (მფ. 1,7,9).

დედაჲან ბევრეულთა კრავთა შორის იცნის თვისი იგი (ექ. ლლ. 108,25).

მწყემსი ვიყავ მე ცხოვართაჲ და შემოერთნეს ცხოვართა ჩემთა კრავნი სხვისანი... (ლიმნ. 136,32).

და აღილო დანაკი სპეტაკი და დაკლა კრავი იგი (რავახ. 63,5).

აჲა ესერა მე წარგავლინებ თქუენ ვითარცა კრავთა შორის მგელთა (ლკ. 10,3).

„კრავი — ცხოვართ შვილი“ (საბა). „კრავი — ჩჩვილი ბატკანი“ (ნ. ჩუბ.). კრავის მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება კორიბი¹³⁵. ვარაუდობენ, რომ აქ არის იშვიათი შემთხვევა ბგერათშესატყვისობისა — ქართ. ა, მეგრ. ი, ხოლო ვ/ზ მონაცვლეობის მაგალითად დასახელებულია ქართ. ტყავ- და მეგრ. ტყიბ-. იქვე მოტანილია გ. დეეტერსის აზრი იმის შესახებ, რომ კრავ ფუძე ქართულში შეთვისებულია¹³⁶.

მეგრული კორიბ ფორმის ადრინდელ ვარიანტად ქართულ ფორმასთან შეპირისპირების საფუძველზე ივარაუდება *კრ^აობ > *კრ^იობ. ამ უკანასკნელს უნდა მოეცა ისტორიულად დამოწმებული კორიბ ფორმა. ზანურისათვის ამოსავალი უნდა იყოს *კრ^აბ ფორმა მარცვლოვანი [*ტ] ელემენტით, ხოლო ქართულისათვის — *კრ^აჟ¹³⁷.

ზოგი მკვლევარი ქართველურ ენებს აერთიანებს ნოსტრატულ ენათა ჯგუფში. საილუსტრაციო მასალაში დასახელებულია კრავ ფუძეც (შდრ. ალტ. k/oru || k/w r., დრავ. kori, სერბ.-ხორვატ. kr(r)¹³⁸.

აკად. ნ. მარი მეგრ. კორიბ/კჯრჯბ ფუძეს უკავშირებდა სემიტურს. კრბ ივარაუდებოდა სემიტური qrf-ს ექვივალენტად. არაბ. qarāf ნიშნავს „კრავს, ბატკანს“¹³⁹.

¹³⁵ И. К и п ш и д з е, Мннгрельско-русский словарь.

¹³⁶ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, გვ. 115.

¹³⁷ თ. გ ა მ ე რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჯ ა ე ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა..., გვ. 111.

¹³⁸ В. М. И л л и ч-С в и т ы ч, Материалы к сравнительному словарю ностратических языков, Этимология, М., 1965, გვ. 373.

¹³⁹ Н. Я. М а р р, Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин, ХВ, Т. II, вып. III, 1914, გვ. 270.

ვარაუდობენ, რომ მეგრ. კირიბ ფუძიდან უნდა იყოს ნაწარ-
მოები ტოპონიმი ოკრიბა, რაც საბატკნე ადგილზე უნდა მიუთით-
ებდეს¹⁴⁰.

კრავ ფუძიდან ნაწარმოები კრაველი გვხვდება ქართულში.
კრაველი — 1. კრავის მატყლი. 2. ხუჭუჭბეწვიანი მატყლი (ზო-
გი ჭიშის) ახლად დაბადებული ბატკნისა (ქგლ. IV). შენიშნულია,
რომ სიტყვა კრავი მხოლოდ მატყლის სახელწოდებაშია შემორჩე-
ნილი ხევსურეთში¹⁴¹.

სვანურში კრავის მნიშვნელობით შინაღ ფუძე გვხვდება.
როგორც გარკვეულია, სვანურში ეს ფუძე შეთვისებულია ჩერქე-
ზულ ენობრივ სამყაროდან (შღრ. სვან. შინაღ და ყაბ. ფენა)¹⁴².

თხა capra

მომგუარე შე დიაკეული სამ წლისაჲ და თხაჲ სამ წლი-
საჲ (დაბ. 15,9).

და ვაკი იგი თხათაჲ განდიდნა ფრიად (დან. 8,8).

და მეორესა დღესა მოიხუნენ ორნი თიკანნი თხათაგან...
(ეზეკ. 43,22).

ხუთთა თხათათკს მოსრულ ხარა მოკლვად ჩემდა (ხანძ.
მზ. 15).

...თხანი და არნნი ველურნი ტყუბთ-მშობელ არიან (ექ.
დღ. 109,25).

ჭ ა ნ უ რ ი

ჭაჲ თხალე ფეში ბაგენი ენ, წალენდო ფუჯიში ბაგენი
ენ (ა. ჩიქ. II, 29, 18), „ეს თხების ბაგაჲ, ქვემოთ ძროხის (ფურის)
ბაგაჲ“.

ს ვ ა ნ უ რ ი

დაქკლ — ლოლჲქ ხოშა ძვრდ გარ ხორის (ა. ონ. 2,25),
„თხა და ცხვარი უფრო იშვიათად ჰყავთ“.

დაქკლ ჩუადლუგურჲნ ი თხერაცხან ლიბგრგიელ ანუნ-

¹⁴⁰ ივ. ჟ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 449;
И. Книш и др. Мингрельско-русский словарь; შ. ალავეძე, ოკრიბული
ლექსიკონი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. X, 1950—1951 წწ.

¹⁴¹ ალ. ჭ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 251.

¹⁴² ს. ჟ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადიღურ (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები,
შრ., III, თბ., 1963, გვ. 140.

დუნე (პივლ. მას), „თხა გასუქდა და მგელთან ჰიდაობა მოინდო-
ცა“.

ქართ. თხა ფუხის შესატყვისად მეგრულში გვაქვს თხა, ქა-
ნურში თხა/ნთხა/მთხა და სვანურში დაქგლ.

კანურის ნ/მ ფონეტიკური დანართია: აფიქსისეული -ლ მხო-
ლობითში მოკვეცილია, რომელიც მრავლობით რიცხვში აღდ-
გება (თხა — თხ-ალ-ფფ-ი). სვანურთან შედარება ცხადყოფს, რომ
თ-სა და ხ-ს შორის იყო ხმოვანი, რომელიც -ალ. სუფიქსის დარ-
თვისას დაიკარგა. ამ სახელის ფუძეს ქართულსა და ზანურში ასე-
თი ისტორია აქვს: *დახ-ალ>*ღხ-ალ>თხ-ალ¹⁴³.

აკად ვ. თოფურიას აზრით სვან. დაქგლ ფუძეში -გლ კნინო-
ბითობის სუფიქსია, თუმცა სვანებს ეს სახელი კნინობითად არ ეს-
მით (შდრ. ჭგმილ „ძმა“, დოშდულ „მთეარე“). მრ. რიცხვში -გლ
სუფიქსი ზოგ კილოში იკარგვის. ამავე მკვლევრის აზრით სვანუ-
რის ვითარება ძველია რაც შეეხებო მეგრულს, იქ ეს ფუძე ქარ-
თულიდანაა შეთავსებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მეგრულში
უნდა გვექონოდა თხე (შდრ. ქართ. დღე, ტყე და ზან. დღა, ტყა).
დაქ- ძირიდან თხა ფორმის მიღების გზა შემდეგნაირადაა წარმოდ-
გენილი: *დაქ>*ღჯ>თჯა¹⁴⁴. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ იქნებ
თხა-სა და თხაღლუა-ს („წყევლა“) გენეტური კავშირი ჰქონდეთ, რო-
გორც ამას არნ. ჩიქობავა ჰფიქრობს¹⁴⁵.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომლის მი-
ზღვრითაც სვანურის ვითარება (ფუძის სრულხმოვნება) მეორეუ-
ლია და არა ამოსავალი, ე. ი. სვანურშიც უნდა გვექონოდა ღჯა,
მაგრამ მახვილის გადანაცვლებამ თავიიდურ მარცვალზე გამოიწვია.
ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა, რის შედეგადაც მივიღეთ ისტო-
რიულად დადასტურებული დახურულმარცვლიანი დაქგლ ფუ-
ძე¹⁴⁶.

თხა¹⁴⁷- სიტყვიდან ნაწარმოები თხეხა ფუძე შეგვხვდა „ვეფ-
ხისტყაოსან“-ში მაგ.;

¹⁴³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 81.

¹⁴⁴ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1,
მომომხილველი, ტ. I, თბ., 1926, გვ. 211.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 221.

¹⁴⁶ თ. გ ა მ მ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა..., გვ. 116.

¹⁴⁷ თხა-ფუძეს კ. ჯ. შმიდტი უკავშირებს: ვიწურ-არქაბულ (?!) თხლს,
რაც „წლის თხას“ ნიშნავს და ეზარულობს, რომ სვანური ღ-ფიქსის გადასეღა

იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა ჩომე ვითხენ (596,3).

თენი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშველეს, ითხეს (142,4).

ვაცი caper

ალიხილენ თუალნი შენნი და იხილენ ვაციები და ვერძები (დაბ. 31,12).

მოიბთ ვაცი ერთი თხათაგან ცოდვისათვის (ლვ. 9,3).

...სისხლი ზუარაკთაჲ და ვაცთაჲ არა მნებავს (ეს. 1,11).

...თვთ კერპი იგი მათი მენედიტა ვაციის პირ არს (ელინ. ზღაპრ. 1,21).

აჲ ესერა მე ვსაჯო შორის ცხოვრისა და ვერძისა და ვაციისა (ეზექ. 34,17).

კ ა ნ უ რ ი

..შოფთი აქ დო პეტელაფ ხარაბაშ ოფუტეშ ბოჩი (ლაზ. ჯვ. 153), „...მოვედი აქ და ვიკიენებ როგორც ხარაბაშელი ვაცი“.

მ ე გ რ უ ლ ი

ათე ოჩო-კოჩი დოცკლანსია ე ბოშისა (ეგრ. 41,6), „ეს ვაცი მოკლავს ბიქს“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ეშხუ დვაშ მგქაფს ოთოთლი ი ფერჷ დვაშარ ქორთე ოთხვამ (სვ. ტექ. 1,40,27), „ერთი ჩიხვი მტვირთავენს დავუნაწილე და ორი ჩიხვი შინ წამოვიღე“.

„თხათა მამალსა ვაცი ეწოდებოს და დედალსა ნეზეი და შვილთა მათთა თიკანი... აგრეთვე შველთა და ქურციკთა, ნიაშორ-

თ-ში, ასევე პ>ხ-ში და ა>ო-ში ასიმილაციის გზით მტკიცდება ამ თოხლ ფუძის არსებობით. იხ. K. H. Schmidt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თოხლი თურქული სიტყვაა loklu „წლის კრავი“ და აქედანაა შეთესებული როგორც ქართულში, ასევე ჰანურის ვიწურ-არქაბულ კილოში. იხ. С. Джиква, О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, აღმოსავლურ ენათა სერია, თბ., 1957, გვ. 213-14. (შდრ. საბა: „თოხლი სხუათა ენაა, ქართულად ბუწი ჰქვიან“).

თა და არჩუთა ვაცსა, ნეზესა და წალსა უწოდენ, არამედ თიკან-
თა მათთა ნუკრსა (საბა).

ქართ. ვაც ფუძის შესატყვისია მეგრ. ოჩი¹⁴⁸, ხოლო ქანურ-
ში მამალი ცხვრის — ვერძის — აღმნიშვნელი ბოჩი ფუძე¹⁴⁹. სვა-
ნურში ვაციხ შესატყვისია ჭიხვის აღმნიშვნელი სიტყვა ღვაშ. ამ
უკანასკნელში ღ-ს განვითარებულად მიიჩნევენ¹⁵⁰.

ვაცი/ოჩი/ბოჩი/ღვაშ ფუძეებში ვ-ინი ყველგან გვაქვს მეგ-
რულის გარდა. ქანურში იგი ბ-შია გადასული ო- ხმოვნის გავ-
ლენით¹⁵¹. მეგრულ ოჩი ფუძეში ვ პრეფიქსს აღადგენს კ. პ. შმიდ-
ტი, ე. ი. უნდა გვქონოდა ვოჩი, რომელიც თავის მხრივ ვაჩი ფორ-
მიდან უნდა მომდინარეობდეს: ვაჩი > ვოჩი > ოჩი¹⁵².

აღსანიშნავია ის, რომ თავის დროზე აკად. ივ. ჭავჭავაძის მიერ
ოჩი-ს წინამორბედ ფორმად ვაჩ-ს მიიჩნეოდა¹⁵³.

ვაჩ ფორმა მეგრულისათვის რომ პირველადი უნდა ყოფილი-
ყო, ამას შემდეგი გარემოება ადასტურებს.

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში შესატყვისობები ხმოვ-
ნებსა და თანხმოვნებს შორის სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა.
პირველადია გადაწევა თანხმოვნებში. ამით უნდა აიხსნებოდეს ის
შემთხვევები, როცა შესატყვისობა გვაქვს — ენებში, ხმოვ-
ნებში კი — არა¹⁵⁴. ამ დებულების საილუსტრაციო ჩანს ვაჩ ფუ-
ძე. იგი ზანიზნია ქართულში. ვაჩა დასტურდება რაჭულში დაბე-
რებული თხის მნიშვნელობით (ქგლ. IV), (მდრ. ქვემოაქარული ტო-
პონიმი ვაჩაურა)¹⁵⁵.

ვაჩა ვაც ფუძის უძველესი ზანური შესატყვისია, ასე რომ,
თანამედროვე ზანურის ოჩი/ბოჩი — მეორეულია.

¹⁴⁸ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

¹⁴⁹ Н. Я. М а р р, Грузско-русский словарь. აღსანიშნავია ის, რომ მ. ვანი
ლიშისა და ა. თანდილაეის ნაშრომში (ლაზეთი, თბ., 1964, გვ. 152, 158), ბოჩი
თარგმნილია როგორც „ვაი“.

¹⁵⁰ ე. თ. ფ. უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. V. ნა-
შკის შოამბე, X, 1941.

¹⁵¹ არნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1938, გვ. 23.

¹⁵² K. H. S c h m i d l, დასაბელებული ნაშრომი, გვ. 109.

¹⁵³ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ..., გვ. 179.

¹⁵⁴ არნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, ქართულ-ზანურ ბევრათ-შესატყვისობათა ისტორიის თ-
ვის (წინასწარი მოხსენება), თეზისები; ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI/XI საშუა-
წიურ სესია, თბ., 1954, გვ. 11—12.

¹⁵⁵ მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ქვემოაქარული ტოპონიმიკური ლექსიკონი, ქუთაისის პედ-
ინსტ. შრ., XVII, 1957.

ვაჩ-ა-ს პარალელურად ვაჩ-ინ-ა ფუტეც გვხვდება ქართულში: „ვაჩინა“ „მამალი ციკანი“, „მამალი თხა“¹⁵⁶. ორივე ეს სახელი ეწინობოდა (შდრ. ვაც-იდან ნაწარმოები: ვაც-ი-ე „სამამლე თიკანი“ (საბა), ვაც-უნ-ა (ფშ. გულმყ. მთიულ.) „საბოტე თიკანი“ (ქგლ. IV).

ქართულში გარჩენილია ვაც ფუძის არა მარტო მეგრული ფორმა, ამასთან ამოსაყალი ვაჩ-¹⁵⁷, არამედ გვაქვს ამ ფუძის ქანური ვარიანტიც. მხედველობაშია ბოჩი. ამ უკანასკნელზე -იკ სუფიქსის დართვით ვიღებთ ბოჩიკ- ფუძეს, რომელიც საბას განმარტებით „წლის ირემს“ აღნიშნავს¹⁵⁸.

სევანურში, როგორც აღნიშნულია, ვაცის შესატყვისად ჯიხვის აღმნიშვნელი ღვაშ ფუძე ივარაუდება. საკუთრივ მამალი თხის — ვაცის მნიშვნელობით იქ ბოტა ფუძე გვხვდება¹⁵⁹.

თიკანი hircus

...დაკლეს თიკანი თხათაჲ და შებლალეს სამოსელი იგი სისხლითა (დაბ. 37, 31).

...მოპართუენ მე ორნი თიკანნი ჩჩკლნი (დაბ. 27,9).

ქაშენ თიკანთა სამწყსოთაგან და კბოებსა შორის მროწყელთა მწოვართა (ამოს, 6,4).

...ვეფხი განისუენებდეს თიკანთა თანა (ეს. 11,6).

დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა (ქბ. 1,7).

და დაადვინნის ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი მარცხენით (მთ. DE 25,33).

კ ა ნ უ რ ი

შურონიშ-ტიკანი, მშქურში მონთა იენ (ა. ჩიქ. II, 113,20), „თხოხ-თიკანი, ცხვრისა-ნაშიერი იქნება“.

¹⁵⁶ ივ. ჯ ა ე ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური გვ. 179.

¹⁵⁷ ვაჩ-ფუძიდან უნდა იყოს ნაწარმოები შემდეგი გვარსახელები ქართულში: ვაჩანაძე, ვაჩანაძე, ვაჩაძე. რაც შეეხება ვაჩაძეს, მას საფუძვლად ვაც ფუძე უნდა ედოს. (ც/წ-ს მონაცემებისთვის შდრ. ციკანი და ინგ. წაკოი).

¹⁵⁸ აკად. ივ. ჯ ა ე ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი ს აზრით ქართული წარმართობის დროინდელი ერთ-ერთი ლტოებრის სახელი ბოჩი იგივეა, რაც კან. ბოჩი, იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1963, გვ. 86—87.

¹⁵⁹ მსჯელობა ბოტა ფუძის შესახებ იხ. შრომის I ნაწილის II თავში.

თიკანი? ემუქ-თი პეტელაფს (ა. ჩიქ. I, 166,7), „თიკანი? ისიც კიკინებს“.

თიკანი თხის ნაშიერის მნიშვნელობით გვხვდება ქართულში (საბა). „თიკანი — ციკანი, თხის შვილი“ (ნ. ჩუბ.). მეგრულში ერთი წლის თიკნის მნიშვნელობით ბატკი ფუძე გვხვდება. ქანურში იგივე ფუძეა, რაც ქართულში — თიკანი, ოღონდ ეს სახელი იქ ბიკან ფორმითაც დასტურდება¹⁶⁰. ქართული ენის დიალექტებიდან თიკანი ციკან ფორმით გვაქვს ქართლურსა და კახურში, ხოლო წიკოი ფორმით ინგილოურში¹⁶¹.

ქართლისათვის არც ბატკი ფუძეა უცხო. ბატკი-ჩიკლი თიკანი — წერს საბა. ბატკი გურულშიც გვხვდება და ნიშნავს „შემოდგომაზე ნაშობ შინაურ საქონელს“¹⁶². მეგრულში ამ სიტყვას „ზაქის“ მნიშვნელობა აქვს¹⁶³. ეგვიპე ბატკი აკად. არნ. ჩიქობაეას მეგრულში დადასტურებული აქვს ერთი წლის ნეზვი თხის (თიკნის მოგებამდე) მნიშვნელობით¹⁶⁴.

თიკნის აღსანიშნავად სევანურში ნელაშტ ფუძე დასტურდება. რაც შეეხება ბატკს, იგი აქაც გვხვდება, ოღონდ რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით. ბატკ (ბ.ზ.), ბატკ (ლზხ.); — მრგვლად შემწვარი ბატკანი, გოჭი, ფრინველი..., (შდრ. კინი. ბატკალ (ბ.ზ.) „პატარა ფრინველი მწყურისოდენა“)¹⁶⁵.

ზემოაღმოთვლილი მნიშვნელობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თიკან/ბატკი წერილდება საქონლის ნაშიერის აღმნიშვნელია¹⁶⁶ (შდრ. ბატკანი — ჩვილი კრავი).

საერთო-ქართველურ ძირად გამოყოფენ თიკ-/ტკ-ს. -ან დეტერმინანტი სუფიქსია¹⁶⁷.

ვარაუდობენ, რომ ეს ძირი არა მარტო ქართველურია, არა-

¹⁶⁰ არნ. ჩიქობაეა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 84—85.

¹⁶¹ ლ. ლეონიძე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

¹⁶² ილ. კუონია, სიტყვის კონა, СПб. 1910.

¹⁶³ И. Кипшидзе, Мингрельско-русский словарь.

¹⁶⁴ არნ. ჩიქობაეა, სახას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი; სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1658—1958, თბ., 1959, გვ. 266.

¹⁶⁵ სევანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

¹⁶⁶ ვაქონაკლისია მეგრული, სადაც ბატკი „ზაქს“ ნიშნავს.

¹⁶⁷ არნ. ჩიქობაეა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 84—85. ვრცლად თიკან/ბატკ ბატკან ფუძეა შესახებ იხ. ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართული და კავკასიური..., გვ. 191—192.

მედ საერთო იბერიულ-კავკასიურიც (მდრ. კაპქ. ტიგა, დიდ. ტეჟა, ანდ. ტუჟა „მამალი თხა“)¹⁶⁸.

საპეღარი

საქეღარი, მხოლოტერფი/ტერფმოსილი, ცხენი, ვირი,
კარაული/კაპრაული, ჯორი, კერძო-ვირი/კერძო-კარაული, კიცვ

საპეღარი

და იყო ამისა საქეღარი სამასი ცხენთაჲ (მფ. III, 12, 24).

და მოვიბი ცხენი ერთი საქეღარად ჩემდა... (რავახ. 87, 5).

საქეღარი ცხენი მართებს საურავად (გარიგ. 9, 188).

მან აღიღო საქეღარი იგი ცხენისა კურითურთ... (რიფს. 176, 8).

და კუალად წარსცა წინაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი, ცხენი საქეღარი ათი ათასი, ცხენი ჯღალი ათი ათასი (ქართ. ცტ. I, 158, 9)

მისცა მონასტერსა ცხენად და ჯორად საქეღარი (აღაბ. № 111).

...და თქნათანა არიან ეტლნი მისნი და საქეღარნი (ლპი) (მფ. IV, 10, 2).

და აღსუეს სოლომონ საქეღარსა მას მეფისა დთისსა (საქეღარი — ჟამსი) (მფ. III, 1, 38).

და დიდ ჩნდა აბესალომ წე ერისა მის და ზე ჯდა იგი საქეღარსა თვისსა... (საქეღარი — ჟამსი) (მფ. II, 18, 9).

...„არამედ დამისხენ საქეღარს და მე თვთ წარვიდე!“
ხოლო ჯორი იგი ახლად სყიდული და მანკიერი... (იოვ. და ეფთ. 112, 6).

...საქეღარ იყვენეს მათთვის საქეღარნი მეტკრთენი... (წილ, 114, 1).

ბ ამბა იოვანს გარდაქდა საქეღარისა თვისსაგან და წარმოემართა ქუშთ (იოანე ურპ. 323, 19).

წარმოივლინა უკუე წარმყვანებელი ამისი აღმკედრებული საქეღართა მალემსობოლთა (პეტრე ახალ. VIII, 28).

¹⁶⁸ ელ. ლომთაძე, ზოგი საერთო-ძირიანი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყ, VII, თბ., 1955, გვ. 429—431.

კაცმან საჯედარსაცა მსგავსად ძალისა თვისისა აჰკიდოს (მაგ. სწ. 310,2).

ზღუასა შინა ვეშაბი საჯედარ ექმნა მას და ჰმელსა ზე-
და ეტლი მეფოსაჲ (ეფრ. ასური, 47,25).

სამოთხესა მას საჯედარ იყო გუელი იგი... (რიფს. 163, 29).

და მონაზონი... ამჯედრდა ლომსა მას ზედა... (ანტიოქ. კე, 33). უკანასკნელ სამ მაგალითში გადატანითი მნიშვნელობა უნდა ვიგულისხმოთ.

„ხაქედარი — ცხენი ნიადაგ საჯდომელი, ვირი, აქლემი თუ რაჲ“ (საბა). „ხაქედარი — საჯდომი ცხენი, ჯორი ან ვირი. *дѣржавя лошади или катер, сссл*“ (ნ. ჩუბ.1).

მაგალითებიდან ჩანს, რომ ხაქედარი ძველ ქართულში საჯდომი პირუტყვის ზოგად სახელადაა გამოყენებული. საჯედარი უფრო ხშირად ცხენს გულისხმობს, თუმცა არცთუ იშვიათად გვხვდება ჯორის, ვირისა და სხვათა მნიშვნელობით.

საჯედარი ჯედ-ფლძიდან ნაწარმოები მიმდებარა (შდრ. ზეცდარი, მვედრობა). ზაგ.: ვიხილენ მქედარნი ორნი. მქედარი ვირსა და მქედარი აწლემსა (ეს. 21,7).

ხოლო მეფე მქედრობათა და ბრძოლათა შინა აღზრდილ იყო (კიმ. I, 62,14).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში საჯედრად დასახელებულია: ცხენი, ვირი, ჯორი, კერძო-ვირი/, კერძო-კარაული, კარაული/კაპრაული, კიცვ.

მხოლოდარსი/ამარსონილი

...ფრჩხილნი... მრავალთა ცხოველთა საშინებელად მიეცნეს, ...ხოლო მრავალთა საშინებლადცა და სიმტკიცედ მამიჯებლობისა ერთბამად მიეცნეს, ვითარ იგი ცხენთა და ყოველთა მხოლოტერფთა (ბუნ. კაც. 124,22).

ხოლო ებრაელთა გარდაცემაჲ ყოველსა ამის კაცისა-თეს იტყვს შექმნად არამედ უფროჲს მისდა უმახლობელესთა ყოველთასა, ვითარ ტერფმოსილთა და ზროხათა (იქვე, 18,9).

უწყებულ იყავ და სხუათაცა ცხოველთა შემზადებაჲ მსახურებისათეს კაცისა მარჯუედ ქმნილად, უკუშ და ყოველნი ტერფმოსილნი მუშაობისა-მიმართ და მტყრთაობისა... (იქვე, 21,7).

მხოლოტერფი ცალჩლიქიან ცხოველს გულისხმობს. „ტერფ-
მოსილი — ცხენი, ჯორი, ვირი და მისთანანი“ (საბა). ნ. ჩუბინაშვი-
ლის მიხედვით. „ტერფმოსილი — ჩლიქებიანი ცხოველია“.

ს. გორგაძის მიერ ტერფმოსილი განმარტებულია როგორც
ქაჩაჩიან ცხოველი, ОДИКОПЫТНІЕ, შდრ. „მხოლოტერფი“¹⁶⁹.

როგორც ამ განმარტებებიდან და თვით მაგალითებიდანაც
ჩანს, მხოლოტერფი/ტერფმოსილი საერთო სახელია ტვირთსაზი-
დრ და საკედრად გამოყენებული ცხოველებისა.

სხანი equns

...ვითარცა სახედ ერქუმის ცხენსა დიდ და კარსა დიდ.
(ექ. დღ. 75,2).

ხოლო სამნი იგი ყრმანი ცხენთა წურთასა ფრიად მეც-
ნიერ იყუნეს (მელასიბ. 327,5).

ცხენი უმწუყი გამოკდის ფიცხლად... (ოსო ზირქ. 30,8).

დაეცეს ცხენები და მკედრები და აღმკედრებულნი მათ
ზედა... (ანგეა, 2,22).

ცხენნი განემზადებიან დღედ ბრძოლისა (იგ. სოლ. 21,
31).

მწუხრსა ერთსა უკუნსა აღიკაზმა ცხენი თვისი და ამ-
კედრდა მას ზედა (ანტიოქ. 1,7).

არავინ იკადრის წინაწარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუეუ-
ლებისაჲ ცხენთა და კარაულთათვის (აბ. ტბ. XV, 105):

და იყო ყოველი იგი კრებული ერთ ბევრ... ცხენები მათ
შკლას ოც და თექუსმეტ (ეზრა, 1,2,65).

ცხენთა აღარა აღვსხდეთ და არცა ვპრქუათ ღმერთნი
ჩუენნი (ოსე, 14,4).

სხდეს იგინი ცხენთა ზედა და სწრაფით ავლინებდეს მათ
(წარტყუნ. მგ., 16).

ხოლო ზენონ... აპკედრდა ცხენსა... (ხანდ. იმ, 15).

ქანურა

ცხენის ქომიკიხუნუ ემ კოჩიქ ე-დო მუში ოხორიშა მენდიო-
ნუ (ა. ჩიქ. II, 15,26), „...ცხენზე შემოისვა იმ კაცმა და თავის
სახლში: წაიყვანა“.

¹⁶⁹ ს. გორგაძე. ლექსიკონი; ნემესიოს ემესელი. ბუნებისათვის კაცისა, ტფ.,
1914.

.მენდებიწყედილორენ, ცხენითე არკოჩი მულუნ (ი. ყიფ. 31,19), „გავიხედე. ცხენით ერთი კაცი მოღის“.

მეგრული

თიმუ სერსა გამოცხადგ მუში მუმაქ დო ქააჩუქუ ართი ცხენი (ცგრ. 55,6), „იმ ლამეს გამოცხადა მამამისი და მისცა (აჩუქა) ერთი ცხენი“.

მაეირა დღასა მუში მუმაში ცხენსა ნოხირო ქიგედო-ხოდგ დო მალართგ (ცგრ. 44,17), „მეორე დღეს მამამისის ცხენს ჩუმად (ქურდულად) მოაქდა და წავიდა“.

ქართული ცხენ ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი მეგრულ-სა და ქანურში (მეგრ. ცხენი, ქან. ცხენი/ნცხენი). სვანურში ამ მნიშვნელობით გვაქვს ჩუ.

ცხენ, როგორც ვარაუდობენ, უნდა იყოს სხენ/სხელ ფუძის ვარიანტი სხენან/სხედან ზმნაში რომ გვაქვს¹⁷⁰.

ცხენ ფუძიდან იწარმოება სახელები: ცხენოხან, ცხენებაა, აგრეთვე კომპოზიტი ცხენთ-ხარბიელი. შავ.:

ჰაერთა შინა მორბედად ჩნდეს ცხენნი აღქურვილნი და ოქროჯს ფერთა შესამოსლითა მოსილნი ცხენოსანნი... (ბრონღრ. 143,7).

თითოეული მორწმუნეთაგანნი განიდევნენ და ცხენოსანთა გარემოიცივეს (პეტრე ახალ. XIV,20).

...ვინ კაცი მოკუდების, ვინ ცხენი, და ვინ ირეში და ვინ თევზი, და არა ბუნებაა მათი, ვითარცა კაცებაა, ცხენებაა, და სხუაა ესე ვითარი (პეტრიწი, II, 119,2).

ვითარ მოვიწიე მე ცხენთ-სარბიელსა მას ქუეყანასა ქაბრათაჯასასა მისლვად ეფერთად, და დავჰვალ იგი გზასა ზედა ცხენთ-სარბიელთასა, ესე-იგი არს ბეთლემი (დაბ. 48,7).

...ველო ცხენთსარბიელი იყო (სინ. მრ. 119,15).

ხოლო აღაშენა ცხენთ-სარბიელიცა... (ბრონღრ. 10,15).

მრავალნი არიან მოყვარულნი სარბიელსა ცხენთასა (ექ. დღ. უძვ. რედ. 53,20).

¹⁷⁰ არნ. ჩიქობაეა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 79.

ცხენთ-სარბიელ-ის მნიშვნელობით ძველ ტექსტებში გვხვდება სპარ. ასპარეზი და ბერძ. ჰიპოდრომი. მაგ.

...გაიყვანეს იგინი ასპარეზსა მას მოლუაწებისასა თინტრონსა მას მკეტასა. (კიმ. I, 120, 17).

ასპარეზსა ცხენთასა ერთი-ერთსა უსწრობენ და განსცხრებიელ... (მამ. სწ. 26, 18).

და პირველად პრომეს შინა. სრულ ყო მან ცხენთ-სარბიელი, რომელ არს იპოდრომი, (ბრონდრ. 10, 18).

როგორც გარკვეულია, ასპარეზი სპ. სპარსული სიტყვაა *aspres, aspras*, სადაც *asp* ნიშნავს „ცხენს“, ხოლო ებრაულ-არამეული *ris* — „სტადიას, სიგრძის საზომს“. ასპარეზის მნიშვნელობებია: 1. სტადია, უტევიანი, 2. მოედანი, იპოდრომი¹⁷¹.

„ბრონოლორაფ“-ში დადასტურებული იპოდრომი იმეორებს ბერძნულ ფუძეს — *ἵππος*, სადა *ἵπ* იგივეა, რა *ἵ* „ცხენი“, ხოლო *πόδος* „სირბილი“, „ჩქარი მოძრაობა“.

ფერების მიხედვით ცხენი შეიძლება იყოს: სპეტაკი, ჭარმაგი, ფესანგი, რახსი, ხხელი, შავი, წითელი... მაგ.

და იყენეს ცხენნი იგი სპეტაკ ვა სძე (კიმ. I, 282, 25).

ცხენთაცა ჭარმაგთა და რახსთა დაკლვიდა (ბრონდრ. 286, 18).

...ეტლსა მას პირველსა ებნეს ცხენნი ხხედნი და ეტლსა მას მეორესა ცხენნი შავნი და ეტლსა მას მესამესა ცხენნი სპეტაკნი და ეტლსა მას მეოთხესა ცხენნი ფესანგნი (ზაქ. 6, 1—2).

აჰა ესერა კაცი აღმკვდრებული ცხენსა ზედა წითელსა და ესე დგა შორის ორთა მათა ჩრდილოჲსათა და შემდგომად შინა ცხენნი წითელ-ჭრელნი და სპეტაკნი. (ზაქ. 1, 8).

სპეტაკი „თეთრი“; ჭარმაგი „თეთრზე შავით დაწინწკლული“; ფესანგი „ჭრელი ცხოველი“; რახსი „შავმოწითალო ცხენი“; ხხელი „ჭრელი“ (საბა).

რაც შეეხება სინიბს, იგი საბასთან განმარტებულია როგორც „ცხენი გამძლე და მაგარი“. მაგ. ხოლო სინიბნი ჭრელნი ძლიერებასა და სიმტკიცესა პრომთა მეფობისასა წარაჩენენ (ბრონდრ. 224, 17).

¹⁷¹ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 283.

ქართული ცხენ ფუძის კანონზომიერ ზანურ შესატყვისად ივარაუდება დღევანდელი იმერეთის ტერიტორიაზე დასული ტოპონიმი ჩხენიში, რაც უნდა ნიშნავდეს — „ცხენისა“¹⁷².

პირი asinus

და აკიდეს იფქლი ვირთა მათთა და წარვიდეს მიერ (დაბ. 42,26).

და ვიხილენ მკედარნი ორნი: მკედარი ვირსა და მკედარი აქლემსა (ეს. 217).

დაუტევეს... საკედარნი მრთნი და ვირები მრთი ბრქსა მრს (მფ. IV, 7,7).

...მეუფემ შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზეზის იგი ვირსა... (მთ. 21,5).

და იყო საცხოვარი მისი ფრად: ...ვირი კდალი მძოვარი ხუთას. (იბ. 19,3).

ქანური

სიარგურუნის აუქი მოკიდი (ა. ჩიქ. II,8,29), „შენ ერთ ვირს ტვირთი აკიდე“.

ბაზაის არგიონი ქეჭოფუ (ა. ჩიქ. I, 10,20), „ბაზარში ერთი ვირი იყიდა“.

მეგრული

კიბირიში კუამ წამალი თინა რე, გვრგნიში ტვინი ოკუემას (მ. ზუბ. 289), „კბილის ტკივილის წამალი ისაა, ვირის ტვინი შექამოს“.

ქართული ვირ ფუძის შესატყვისია მეგრ. ვირ-ინ-ი/გვრგნი და ქან. გურ-უნ-ი/ვირინი/ვიინი. ამოხაველად ქანურ-მეგრულისათვის გურუნ ვარიანტი ივარაუდება. იგი მიღებული უნდა იყოს გურუნ < გვირუნ-ისაგან. საერთო ფუძედ გამოიყოფა ვირ, გ-ვანეითარებულია, -უნ/-ინ ზუფიქსი ქანურსა და მეგრულში მეტია¹⁷³.

სვანურში ვირის მნიშვნელობით ჩვეულებრივ წელ ფუძე გვხვდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ სვან. ზვადის აღმნიშვნელ

¹⁷² ივ. ქავაზიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 428.

¹⁷³ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 79—80.

ხვირ ფუძეში იგივე ვირ უნდა გვეკონდეს¹⁷⁴. სეან. ბჟილ (ბ.ზ.), ჟილ (ლშხ.) „ჯორი“ ფუძე იგივეა, რაც ქართ. ვირ-175.

ძველ ტექსტებში ვირ ფუძიდან ნაწარმოები მევირე და ვირ-დევი გვხვდება. მაგ. შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მე-ვირეთა მინდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღთისასა, (ცხ. თა-მარ. 346,41).

...ვირდევი მუნ დაემკვდრნენ (ეს. 13,22).

და შეიმთხვენენ ეშმაკნი და ვირდევი... (ეს. 34,14).

„ვირდევი—რომელნიმე ვირკენტავროს იტყუან; რომელნიმე უღაბნოსა შინა მყოფსა რასმე ცხოველსა, წელალმართ კაცსა მსგავსთა, ხოლო წელ დაღმა ვირთასა“ (საბა).

ვირდევი იგივეა, რაც ბერძ. ἡ βιρδεύουσα.

აარაული/აპარაული asinus

უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორღ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა (შუშან. 36,3).

ნაცვლად ცხენთა კარაულსა კმა იყოფდა (ანტიოქ. ია, 10).

და ბზშ და საზრდელი მაქუს ჩუენ კარაულთა ჩუენთათვს (მსაჯ. 19,9).

არა იყო მუნ ადგილი კარაულისათვს ჩემისა (წიგ. ნემ. 2,15).

მოუვლინა ოწ მამხილებელად ბალამ ბოსორელი რლსა იგი კარაული ეზრახა კაცობრივითა სიტყვთა (საბა ასურ. 180,8).

...ვიხილე ესე კარაულსა ზა მჭლომარე და ყრმანი ებრაელნი ღალადებდეს (ცნებ. მაცხოვ. 194,6).

მამხილებელად აქუნდა თვისისა უშჩულოებისა კარაული პირუტყვ. (ეპისტ. პეტ. 2,16).

ხოლო ღმრთისპსახურმა გიორგი მისცნა ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები, (ზარზმ. 167,31).

...გამოვიდიან მვეცინი და მავნებელ ექმნებოდნიან კარაულითა მათ (შიო, 114,8).

რამ არიან კაპრაულნი იგი აღსაგებლითურთ თვისით, (მფ. II, 16,2).

¹⁷⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური..., გვ. 207.

¹⁷⁵ თ. გამყრელიძე, გ. მაკავარიანი, სონანტოსისტემა..., გვ. 85.

აღსუეს იგი კაპრაულსა... (სინ. მრ. 250,31).

თანა ჰყვანდა მას კაპრაული.. (კიმ. I, 21,14).

„კარაული — საკედარი ვირი“ — წერს საბა. „კარაული — სა-
ხედარი, ხრდალი ვირი, ძცჲ, ძცჲაჲ“ (ნ. ჩუბ.).

ძველ ძეგლებში ეს ფუძე გვხვდება როგორც კარაულ-
კაპრაულ- ფორმით.

ქართულის მონათესავე ენებში ეს ფუძე არ ჩანს.

კარაული/კაპრაული ვირ ფუძის სინონიმია. გარკვეულია, რომ
კარაული „შშობელი, დედალი ანუ ჰაკი ვირის“ სახელი უნდა ყო-
ფილიყო, ხოლო ვირი — „ხვადის, მამალის“ აღმნიშვნელი¹⁷⁸.

კარაულ ფუძიდან ნაწარმოებია მეკაპრაულე. მაგ.:

და თუ მეკაპრაულე არს, სადა არიან ვირნი მაგისნი?
(კიმ. I, 134,24).

ჯორი mulus

ხოლო ღმრთისმსახურმან გიორგი მოსცნა ყოველნი საკმარნი:
ჯორები და კარაულები (ზარზმ. 167,31).

დიდსა უკუე ლაერასა მისცეს... ოთხნი ჯორნი (იოვ. და
ეფთ. 31,5).

და მას უთქს ერთი კერძო-კარაული, რომელ არს ჯორი
(აბ. ტბ. III, 40).

და ესე იყო დაცემა ცხენთა და ჯორთა (ზაქ. 14,15).
მისცნა ეკლესიასა ორნი ჯორნი და ერთი ცხენი (აღაბ.
№ 102).

მიბრძანე და აღუკიდო ზოგთა ამათ ჯორთა განთა მიწად
ამის ქუეყნისად (მფ. IV, 5,16).

ნუ იყოფით, ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა
არს გულსკემა (დომენტ. 96,24).

მეგრული

...ჩქიმი ცუდესა თე კოჩქე, ჯორიში მეზუნალო, ქემორ-
თუა (ცგრ. 54,2), „ჩემ სახლში ის კაცი მოვიდა ჯორზე შემჭდარი“.

ათე ოსურში მახრობაში ქიმეფრთია ჯორამო, ჩქიმი
ჯორსა გინი მოცუნდუა (ცგრ. 53,7), „ამ ქალის ოჯახში მიველი
ჯორით, ჩემ ჯორს ხბო მოყვებოდა“.

¹⁷⁸ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული და კავკასიური... გვ. 178.

„ჯორი — კერძო-ვირი ამის გამო სახელ ედებს, რამეთუ უც-
ხენოდ ზროხისაგან იშობების“ — განმარტავს საბა.

ჯორ ფუძე საერთოა ქართულსა, კანურსა და მეგრულისათვის. მნიშვნელობაც ყველგან ერთი და იგივე აქვს¹⁷⁷. სვანურში ამ მნიშ-
ვნელობით ჰჷილ/ჷილ ფუძე გამოიყენება.

ჯორ ფუძიდანაა ნაწარმოები: მე-ჯორ-ე და ხა-ჯორ-ე, მაგ.:
სახელი მისი დოეკ, იღუმიელი, მეჯორჃ საულისი. (მფ.
I, 21, 7).

საჯორეს ყოველნი ძმანი იყვნიან მეჯორედ (იოვ.
და ეფთ. 93, 1).

საპარიკონომოსოჲ და საწანგროჲ და საჯორე და სამკედ-
ლო და ხურონი ესე იკონომოსისა განსაგებელნი იყვნეს (იქვე,
50, 14).

ჯორ ფუძე სომხურშიც დასტურდება. ვარაუდობენ, რომ
იგი შეთვისებულია ქართულიდან¹⁷⁸.

აჲრძო-ვირი/აჲრძო-კარაული mulus

მოეტყვებოდეს მკეცი უდაბნოჲსანი და ცხენსა და კერძო-
ვირსა და კარაულსა... (შიო, 114, 2).

...არღარა იძრნეს ადგილით ეტლისა მზიდველნი იგი კერ-
ძო-ვირნი... (ხრონღრ. 307, 6).

და უთქს მას ერთი კერძო-კარაული, რომელ არს ჯო-
რი (აბ. ტბ. III, 40).

...იწყო მუშაკობად საკვრველისა ამის ტაძრისა, კერძო-კარა-
ულსა ვუთანა, უღლეულითა მით კართა თესთაჲთა (აბ. ტბ.
V, 51).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ჯორ ფუ-
ძის სინონიმად გვხვდება კერძო-ვირი/კერძო-კარაული.

კერძო-ვირი/კერძო-კარაული ბერძნულის გავლენით გაკეთებუ-
ლი ტერმინი ჩანს. მხედველობაში გვაქვს ჯორის აღმნიშვნელი
ბერძნული ფუძე ἵμασιον, სადაც ἵμα: ნიშნავს „ნახევარს“, ხოლო
σιον „ვირს“, „კარაულს“.

კიჲს eculeus

რეს შეიანი ხუადი კიჲს მამამან [კანჯარმან] დაუცოხ-
ნნის საურველნი და უქმ ქმნის (სახ. სიტყ. 15, 7).

¹⁷⁷ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 81.

¹⁷⁸ ლ. მნათხანი, ჩაქეხენ არამათაქან ჩაოარან. ტ. V. გვ. 1233.

მოპეუარეს მას კი ცუი ვირისაჲ (სინ. მრ. 132,8).

...მიუძღვანა ესაგს, მმასა უკსსა: თხაჲ ორასი... აქლემი კლა-
ლი და კი ცუე ბი მათი (დაბ. 32,14).

იგი თავადი არს მშვდ და ზე ზის კარაულსა და კი ცუსა
ახალსა (ზაქ. 9,9).

და მოპეუარეს ვირი იგი და კი ცკ მის თანა... (მთ. 21,7).

ამათ შორის ვითარცა კი ცუნი დედათა შედგომითა სამო-
ლუაწეოდ ალაგთა ვიდოდეს (პეტრე ახალ. III, 9,21).

მე გ რ უ ლ ი

„მაჲირაშა ხოლო კვიცი ფაშატიქ იცუ და მორდგ თენა
ხოლო (მ. ზუბ. 64,28), „მეორეჲერ კვიცი ფაშატი (დედალი) იქ-
ნა და გაზარდა ესეც“.

„მამალსა ცხენსა ეწოდების აბტა და დედალსა — ქრდალი და
ჭაკი; შვილთა მათთა — კიცვ, რომელსაჲ მსოფლიონი კვიცად
უწოდენ; ხოლო კიცვსა აბტასა ურა და ქრდალსა ფაშატი ეწოდე-
ბის“ — განმარტავს საბა.

ძველი ტექსტების მონაცემების მიხედვით კიცვ აღნიშნავს კან-
ჯრის, აქლემისა და ვირის ნაშვიკს.

ახალ ქართულში კიცვ კვიც ფორმით გვხვდება (ძველი ფორმა
დღეს მხოლოდ ხევსურულშია დაცული).

ვარაუდობენ, რომ კიცუ-ში უ სუფიქსია, რომელიც ახალი
ქართულის ფორმაში უკვე ფუძეშია ჩართული¹⁷⁹.

მეგრულში იგივე კვიც ფუძე გვხვდება, თუმცა ამ მნიშვნე-
ლობით იქ ჰეირა-ც იხმარება¹⁸⁰. კანურში კვიცის მნიშვნელობით
გვაქვს „ცხენიში მოთალი“¹⁸¹.

სევანურში კვიცის მნიშვნელობა აქვს ფაშატ და სახელ ფუ-
ძეებს, თუმცა არც კვიცი ფუძე უნდა იყოს უცხო სევანურისათვის.
სევანურის ბალს-ზემოურ კილოში კვიც თხის სახელად გვევლინე-
ბა (იქნებ დედალი ჭიხვის აღმნიშვნელი სევანური კვიცრა-ც ამ ფუ-
ძეს იმეორებს?).

¹⁷⁹ არს. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 87.

¹⁸⁰ И. К и п ш и л з е, Мингрельско-русский словарь.

¹⁸¹ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь.

გარეული ცხოველები

მკეცი, ჯორცის-მჭამელი, ღათ, ვეფხი, ლომი, მარტორქა, მგელი, მელი, ვრცინი/ჭურცინი, კურნა, მანჯ, გარეთხა, ვირი ველური, ირემი, ნუკრი, იშუ/ეშუ, ჭია, ცილამტკაველი, გრძლბი, თაგუ-ჭურცინი, მთხუნველი, უანისა თაგვ, უურდგელი

მეცხე beslia

ვითარცა რაეამს აღმობრწყინდის მცხინეარებაჲ მზოსაჲ, ყოველნი მკეცინი წარივლტიელ საყოფლად თესა (მამ. სწ. 79,31).

და ყოველნი მკეცინი ველისანი საგრილსა მისსა ქუეშე განისუენებენ (ეზეკ. 17,23).

მართალი მკეცისაგან განერეს და მის წილ მიეცეს უღმრთოჲ (იგ. სოლ. 11,8).

მოუვლინა სიმრაველჳ პირუტყუთა მკეცთაჲ შურისმგებლად (სიბრძ. სოლ. 11,16).

ვარსქენ ვითარცა მკეცი მძვნვარჳ ყიოდა... (შუშან. 20,17).

...დაყარეს ჯორცნი მათნი კიდესა ზღვსასა შესაჰმელად მფრინველთა და მკეცთა (სინ. მრ. 278,15).

ტრუთა და უშჯულოთა ეკიხევედე და მკეცთაგან ველურთა არა გეშინოდის, (იბ. 5,22).

„მკეცი — ლომი, ვეფხი, ღათვი და მისთანანი, რომელნიც ჯორცთა ჰამენ და მავნებელ არიან“ (საბა).

ეს ფუძე სვანურში ჰეც ფორმით გვხვდება ამავე მნიშვნელობით. მეგრულში ჰეც ფუძე შემონახული ჩანს გვარში ხეცია (მღრ. აგრეთვე ხეცურიანი).

ჰეც ფუძიდან უნდა იყოს ნაწარმოები გვარი მხეიძე < მხეციძე < მხეციძე¹⁸². მხეციძე ფორმით დღეს ეს გვარი არ გვხვდება, მაგრამ, რომ უნდა გვეჩინოდა, ეს კარგად ჩანს გასული საუკუნის ძეგლებიდან.

ცნობილია მოწამეთის მონასტრის ჯვარი წარწერით, რომელშიც სხვა პირთა შორის მოხსენებულია ვინმე მკეცისძე. როგორც დ. ბაქრაძე ვარაუდობს, ეს ჯვარი მე-11 საუკუნეს განეკუთვნება¹⁸³. ეს გვარი გვხვდება გელათის მონასტრის ღვთისმშობლის

¹⁸² ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 47.

¹⁸³ Д. Бахрадзе, Н. Коидакое, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, гв. 56.

ხატის (მე-13, მე-14 სს.) წარწერაშიც¹⁸⁴. მე-16 საუკუნეს განეკუთვნება გელათურის სოხასტერის ღვთისმშობლის ხატის წარწერა (1523—1524 წწ.), სადაც მოხსენებულია ეს გვარი¹⁸⁵. მაგ.:

მოლარეთუხუცესსა მკეციისძესა სარგის შს ლნ, (ქრონ. I, გვ. 354). ამავე საუკუნეს ეკუთვნის „ქართლის ცხოვრება“-ში დატული ცნობა — „ქორონიკონსა, სით იელისსა ია მიცვალა მკეციისძე სარგის“ (ქართ. ცხრ. II, 94, 8).

დაბოლოს მე-17 საუკუნით თარიღდება კაცხის მონასტერში დატული ღვთისმშობლის ხატი წარწერით, სადაც აგრეთვე მოხსენებულია მკეციისძე¹⁸⁶.

მეცოცხე ფორმის შეცვლა მხეიძე-თი (შდრ. კერძეულიძე > ხერხეულიძე) დაკავშირებული უნდა იყოს საერთოდ ჯ ფონემის ისტორიასთან ქართულში¹⁸⁷.

ჯეც ფუძიდან იწარმოება სახელები: მკეცობა, ნამკეცავი, აგრეთვე ზმნა გაშკივება. მაგ.: დაივიწყე წარსავალი იგი და განიშორე მკეცობისა იგი სახე... (ფილპ. 3, 36).

ნამკეცავი არა მიკამიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამომდე (ეზეკ. 4, 14).

კაცი რომელი შეეხოს... ნამკეცავსა არაწმიდასა... შეგინებულ იქმნა (ლვ. 5, 2).

გული სრულად გამიმკეცდა, არ ვუსმენდი არც ვაზირსა (ვ. ტყ. 589, 2).

ძველ ძეგლებში ხშირად გვხვდება ნადირ ფუძე. ეს უკანასკნელი ჯეც ფუძესთან ერთად სინონიმურ წყვილს ქმნის ქართულში. მაგ.:

მუნ შეკრბენ ნადირნი და იხილნეს პირნი ურთიერთას. (ეს. 34, 14).

...ევაგრე დგამარტოჲ და მიმოიხედვიდა, რაჲთა იხილოს ნადირთაგანი რაჲმე (შოი, 98, 33).

და არა ხალო თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთ-საყუდელად, არამედ ნადირნიცა ველისანი (ხანძ. კბ, 5).

აწ ნუ აოტებ ნადირსა მას (სინ. მრ. 81, 15).

¹⁸⁴ Д. Бакрадзе, Н. Кондаков, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1850, გვ. 32.

¹⁸⁵ იკეე, გვ. 34; აგრეთვე თ. ქორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 35.

¹⁸⁶ დ. ბაქაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

¹⁸⁷ იე. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., თბ., 1964, გვ. 42—48.

ლოპი ნადირსა უმზირინ ეგრეცა კოდვამ უმზირინ მოქმედსა მას უსჯულოებისასა. (ისო ზირქ. 27,10).

...ჩემი არს ყოველი მკეცი მადნარისამ, ნადირი მათამა და ყოველი პირუტყვ. (ფსალმ. 49,10).

.....იყო მუნ სიმრავლე თხათამ და სხუათა ნადირთა ველურთამ (ზარზმ. 154,15).

...დაემკვდრენით მათა და ქუაბთა და ნაპრალთა ქუეყანისათა სახელისა ჩემისათეს, ვითარცა ნადირნი, (მამ. სწ. 61,9).

ნადირ ფუძიდან იწარმოება შემდეგი სახელები: მონადირე, ნადირობა, ხანადირო; აგრეთვე ზმნები: განადირება, მონადირება. მაგ.:

...მონადირეთა ვერ შეიპყრიან იგი (სახ. სიტყვ. 33,7).

გაპოვიდა ნადირობად იმიერ მტკურისა (შიო, 98,30).

...შინაგან ბადეთა აქუს სანადირომ, ძალთა მათ — კრავი იგი (შესხ. ფოკ. 228,34).

განლამცა გავნადირდი, თავი ასრე გავიხადე (ვ. ტყ. 277,4).

რომელი ახოვან იქმნა ბრძოლასა შინა და უღებ ყვნა უძღურნი უღებებითა მისითა, მოინადირონ იგი მტერთა მისთა ... (მამ. სწ. 72,12).

ეს უკანასკნელი ზმნა გადატანითი მნიშვნელობითაც გვხვდება. მაგ.: წარწყმდა სისაქ და მოინადირა სიქადული ყოვლისა ქუეყანისამ (იერ. 51,41) (შდრ. ახ. ქართ. მონადირება „მომხრობა“, „გადმობირება“).

ნადირ ფუძიდან იწარმოება საკუთარი სახელი ნადირა და აგრეთვე გვარები: ნადირაძე, ნადირაშვილი...

ნადირი ქართულიდან შეთვისებულია ზანურსა და სევანურში ანალოგიური მნიშვნელობით.

ვეარაუდობო, რომ ნადირი არაბული სიტყვაა nadir (გვხვდება სპარსულსა და თურქულშიც) და ნიშნავს „იშვიათს“, „არახშირს“¹⁸⁸.

ზედსართაული მნიშვნელობის ეს სახელი ქართულში შეთვისებული ჩანს დიდი ხნიდან, ოღონდ რამდენადმე შეცვლილი მნიშვნელობით; აღსანიშნავია ისიც, რომ კონკრეტული მითითება სა-

¹⁸⁸ H. W e h r, Arabisches Wörterbuch für die Schriftsprache der Gegenwart, Leipzig, 1958.

განზე არც ქართულში შეიმჩნევა. ნადირი არ გულისხმობს ერთ რომელსავე ცხოველს, არამედ მოიცავს გარკვეულ ჯგუფს ცხოველებიანს, — კერძოდ გარეულ ცხოველებს — ნაკლებად გავრცელებულს ჩვენს სინამდვილეში (შდრ. საბა: — „ნადირი — ველური პირუტყვი“). შემდგომში ამ ფუძემ მნიშვნელობა ერთობ გაიფართოვა და დღეისათვის ნადირი საერთოდ გარეული ცხოველების აღმნიშვნელი ზოგადი სახელია; იგი საერთო ქართველური შვეც ფუძის სინონიზია (შდრ. მოჰსარნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრელმან) (ვ. ტყ. 333,1).

პორცი-მხაშელი

ქორცი-მქამელთა მათ ცხოველთა კბილნი მახვლნი შეუჭხადნა რამეთუ ესრეთ საქმარ-იყენეს სახისათვის საზრდელისა შათისა (ექ. დღ. 110,1).

მისცნა ქორცი-მქამელთა მათ ცხოველთა კბილნი შახვლნი, რამეთუ საქმარ იყენეს მათდა ეგევითარნი საქმელისა შისთვის (ექ. დღ. უძვ. რედ. 131,10).

...ყურდგელნი მრავლად მშობელ არიან და თხანი ველურნი და არნნი შობენ ტყუბთა, რაჟთა არა წარწყმდეს ნათესავი იგი შათი ქორცი-მქამელთა მათ მიერ. (ექ. დღ. უძვ. რედ. 130,29).

...რომელნიმე თევზთანი შეიქმნნეს უკუშ ქორცი-მქამელნი განყენებული და, -თქუას ვინ-მე, ვითარმედ, ზღვსათივითა მძოვნელნი იქმნნეს, რაჟთა ამათ-გან სხუანი ქორცი-მქამელნი ცხოვრდებოდნიან (ბუნ. კაც. 19,28).

ქორცი-მქამელნი საზრდელსა თვისსა ჰყოფენ ცხოველთაგან ქუეყანის-მძოვნელთაგან, ვითარ: მგელნი, ლომნი — კრავთა და თხათა და ეშუთა და ირემთა, ხოლო ორბნი — კაკაბთა და ჯოკობთა და ყურდგელთა და მსგავსთა რომელნი ნაყოფთა ქუეყანისათა ძოვენ (ბუნ. კაც. 19,14).

...თევზთაცა ბუნებაჲ, ერთი მეორისა მქამელი, არა ვიდრემე ყოველთადმე გასწუთების ქორცი-მქამელობაჲ, არამედ განსრულდების მძოვნელთა მიერ მხავსთა და ფუქიანთაჲსა და სხუთა, რანიცა წყალთა-შორის აღმოცენებდნი არიან, არამედ, თუმცა ყოველნი ტომნი თევზთანი ქორცი-მქამელი იყუნეს და არა რომელიმცა განველტოდა ქორცის ქამასა (ბუნ. კაც. 19,22).

ადვილად მოსანადირებელნი ცხოველნი მრავლის-მშობელ არი-

ნ, ვინაჲცა ფრიად შობენ ყურდგელნი, თხანი და არნნი ველურ-
ნი ტყუბთ-შობელ არიან, რაჲთა არა შოაკლდეს ნათესაჲსა მათსა
ვანლევითა კორცის-შჳამელთაჲთა (ექ. დღ. 109,28).

ქორცის-შჳამელი, როგორც მაგალითებიჲან ჩანს, ზოგადი
სახელია იმ ცხოველებისა, რომლებიც ხორციით იკვებებიან. ქორ-
ცის-შჳამელეზად, გარდა ე. წ. მტაცებელი ცხოველებისა, იწოდე-
ბიან აგრეთვე გარკვეული სახის ფრინველები და თევზებიც.

ქორცის-შჳამელნი უპირისპირდებიან მძოვნელებს.

დათვ ursus

მედგარ არს დათვ ბუნებით და მძიმე და განთესებულ სა-
სითა და შჳაკუვარ გონებითა და ფაჩუნიერ მოსიერობითა და
გვან და განყინებულ კორციითა (ექ. დღ. 106,15).

მოკლე არს და შთასუმულ მჭართა შინა ყელი დათვსაჲ...
(ექ. დღ. 110,13).

შევიდა ოდესმე დათვ მტილსა სარწყავსა ქუემოჲსა მო-
ნასტრისა (კიმ. I, 301,35).

და დათუნი მოსიყუდიდნი ეგრე სულთა ჰბერვიდენ (ეს.
59,11).

მერმე კუალად შიუტევეს მას დათვ უძლიერჳსი (თეკლ.
1:4,30).

შევემთხვო მათ ვითარცა დათვ განკრომილი (ოსე, 13,8).

ხოლო ვითარცა ესე ჰრქუა ბერმან დათუსა მას, მორჩილ
ექმნა ვითარცა მონაჲ... (ზედაზნ. 54,6).

ქ ა ნ უ რ ი

ავჯი დადი მთუთი დოილუ (ა. ჩიქ. II, 111,27), „მონადი-
რემ ტყეში დათვი მოკლა“.

...სონას მთუთი ძირუშ-კულე, ჯოდორი მოლუდორენ
მთუთიქ კუჩხე მეტახუდორენ (ა. ჩიქ. II, 73,6), „ყანაში დათ-
ვი რომ უნახავს, ძალდი სცემია — დათვს ფეხი მოუტეხია“.

მ ე გ რ უ ლ ი

თუნითიქ მეგერიასგ, დო — ბაბა დუუძახია (ეგრ. 82,IX),
„დათვი რომ მოგერიოს — ბაბა დაუძახიო“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ელარი დაკრე ლათხელთე. სგა ლახხენილდა ღ ა შ დ ლ ლ (სვ. ტექ. I, 156, 15), „მიდის თხების საძებნელად. შემოხვდა დათვი“.

ითხვადარხ კვიცრალს, ღერსენალს... დე შ დ ლ უ ა რ ს (ლუშ. აბზ., 2, 23), „ნადირობენ შუნზე, ირემზე... დათვზე“.

ღ ა შ დ ლ ლ დ ა შ მ დ ლ ლ ს აწსიდა ი იშგნაშ ლაყუნზელთე-ასგა სგესგანდა (მივლ. მას.), „დათვი დათვს პატიეებდა — სხვის ეენახში მიჰყავდა“.

ქართული დათვ ფუძის შესატყვისია მეგრული თუნთი, ქანური თუთი/მთუთი და სვანური დ ა შ დ ლ ლ (ბ. ზ.), დეშდღე (ლშხ.).

ძირეულ მასალად ქართულში გამოყოფილია -თ-, რომლის კანონზომიერი შესატყვისია ქანურ-მეგრული -თ- და სვანური -შდ-¹⁸⁹.

თავკიდური დ-/თ- მიჩნეულია ნივთის გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნად. მეგრულის -ნ-(თუნთი) და ქანურის მ- (მთუთი) ფონეტიკური დანართია¹⁹⁰.

დათვის აღმნიშვნელი საერთო-ქართველური -თ-/-შდ- ძირი უკავშირდება რიგ კავკასიურ ენათა ირავე მნიშვნელობის მქონე ძირებს: ხუნძ. ც'ი, ლაკ. ცუ-შა, ჩაჩნ. ჩა, თაბას. შე, აფხ. აშ შ ი, დარგ. ხინჟა, კიურ. სეუ.¹⁹¹

ამ საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძეს შესატყვისს უძებნიან ადიღურთი ჭგუფის ენებშიც (ადიღ. мышнэ. ყაბ. мышэ), სადაც ძირეულ მასალად გამოყოფილია -шнэ-¹⁹².

შენიშნულია, რომ ყაბარდოულში დათვის აღმნიშვნელი мысе ფუძე შეთვისებულია რუსულიდან¹⁹³.

ვ-ს შესახებ ქართულ დათვ ფუძეში ვარაუდობენ, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს უ-დან სვანური ლ საფეხურის გავლით, რომლის შესატყვისი ზანურში დაკარგულია¹⁹⁴.

¹⁸⁹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, შიშო-შხილკელი, I, თბ., 1926.

¹⁹⁰ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 89.

¹⁹¹ არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ვ. ა, სახელის ფუძე..., გვ. 176. იხ. აგრეთვე ტ. გ. უ. დ. ა. ვ. ა, ქართულ-ხუნძორთი ლექსიკური შეხვედრების შესახებ, სმამ, XV, № 10, 1954.

¹⁹² Г. В. Р о г а в а. К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб. 1956, გვ. 28.

¹⁹³ Сборник материалов Кавказа, т. XII, 1891, გვ. 70.

¹⁹⁴ К. Н. С с h m i d t, Studien zur Rekonstruktion..., გვ. 104.

ქართ. თ, ზან. თ და სვან. ზდ შესატყვისობათა შესახებ აღნიშნავენ, რომ სვან. ზდ-ს შესატყვისად ქართულსა და ზანურში სადაც დასტურდება თ, იქ უნდა აღვადგინოთ ს-თ კომპლექსი, რომლის გამარტივება ს-თ უნდა აიხსნებოდეს ქართველურ ენათათვის დამახასიათებელ ფონემურ შეერთებათა თავისებურებებით¹⁹⁵.

ვეფხი pardus

მოკლე არს და შთასუმულ მკართა შინა ყელი დათვსაჲ... და ვეფხისაჲ და ავაზისაჲ... (ექ. დღ. 110,14).

მძევარე არს ვეფხი და მკუეთ და მახვლ მიმართებითა (იქვე, 106,13).

ვეფხი სუბუქ და მახვლ არს შეცვალებასა მისსა, რამეთუ შეზავებულ არს კორცთა შინა მისთა სინოტიე სისუბუქისა თანა, და მიუღვენ აღძრვათა სულთა თვისისათა (ექ. დღ. უძვ. რედ. 126,12).

უკუეთუ ცვალოს ჰინდომან ტყავი თვისი და ვეფხმან სიკრელე თვისი და თქუენცა უძლოთ კეთილისა საქმედ (იერ. 13,23).

და მიუტევეს მას ვეფხი ერთი უბოროტჭსი (თეელ. 114,19).

და ვეფხი განაჟუნებდეს თიკანთა თანა (ეს. 11,6).

და ვექმნე მათ ვითარცა ავაზნი და ვითარცა ვეფხი გზასა ზელა მას ასურასტანელთასა (ოსე, 13,7).

მე უწყი, რამეთუ აპიტნიცა ნელითა სიტყვთა დაიმწყსიან და ვეფხნიცა ფუფუნებით დამშვდლიან (სინ. მრ. 214,14).

ქურციკი ივლტინ ვეფხისაგან და შენ თავი შენი შეგიკრავს მქეცისა თანა (მამ. სწ. 151,8).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველ ქართულში მხოლოდ ვეფხი დასტურდება. ახალ ქართულში სალიტერატურო ნორმად ვეფხე-ფუფეა მიჩნეული.

თანამედროვე გავებით ვეფხი იგივეა, რაც რუს. тигр, ლათ. ligros, ბერძ. τίγρις, გერმ. Tiger.

ზოოლოგიურ ლიტერატურაში ვეფხი ცნობილია Felis li-

¹⁹⁵ თ. გამყარელიძე, გ. მაკაევიძე, სონანტა სისტემა..., გვ. 135—136.

gris-ის სახელწოდებით და გულისხმობს ზოლებიანი ტყავის მქონე მტაცებელ ცხოველს კატისებრთა ოჯახიდან. ამ ცხოველის ტანის სიგრძე 3 მ აღწევს; ბეწვის შეფერილობა მოწითალო-მოყვითალოა დამახასიათებელი შავი განივი ზოლებით¹⁹⁸.

უძველეს ტექსტებზე დაკვირვებამ სხვა ვითარება გვიჩვენა ამ ცხოველის სახელწოდების თარგმნის თვალსაზრისით.

ძველი აღთქმის ტექსტებში ქართული ვეფხის შესატყვისად ბერძნულში იკითხება *παρδαλις*¹⁹⁷, ლათინურში *pardus*¹⁹⁸, სოლო რუსულში *гепард*¹⁹⁹.

ამ სახელთა მატარებელი ცხოველი სპეციალურ ლიტერატურაში *Felis pardus*-ის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს იგივეა, რაც ლეოპარდი.

Felis pardus, ისევე როგორც *Felis tigris*, კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელია, ოღონდ *Felis pardus*-ის ტანის სიგრძე 150 სმ აღწევს (განსხვავებით *Felis tigris*-ისაგან). აქვს მოყვითალო-მონაცრისფრო ბეწვი მსხვილი, მრგვალი შავი ლაქებით²⁰⁰.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ახალი გაგებით ვეფხი გულისხმობს *Felis tigris*, ხოლო ძველი გაგებით *Felis pardus*-ს. რომელი გაგებაა სწორი? მივმართოთ ლექსიკონებს.

საბასთან ვეფხზე არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ იგი ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელია. ამავე ლექსიკონის ქართულ-იტალიურ ნაწილში ვეფხი განმარტებულია როგორც „თიგრო“; რაც შეეხება ჭიჭს, იგი საბას მიხედვით „ვეფხსა ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდენ“.

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით ვეფხი იგივეა, რაც *рѣсь, тигр, барс, lynx, leopard, tigre, leopord*. ვეფხის ტყავი თარგმნილია როგორც *шкура барсовая, ფრანგ. la peau de leopard*, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ (პოემის სათაური) „Человек одетый в барсовую кожу“, ფრანგ. *L'Homme'ala peau de tigre*. ამავე ავტორის მიხედვით ჭიჭი ახსნილია როგორც *леопард, бѣр, Leopard*²⁰¹.

¹⁹⁸ Жизнь животных по Брему, III, М.—Л., 1930, гл. 400.

¹⁹⁷ Vetus Testamentum graecum....

¹⁹⁸ The old georgian Version of the Prophets....

¹⁹⁹ Библия или священные книги ветхого и нового завета, СПб., 1876—1878.

²⁰⁰ Жизнь животных по Брему, III, гл. 403.

²⁰¹ Д. Ч у б и н о в, Грузинско-русско-французский словарь, СПб., 1884.

ნ. ჩუბინაშვილთან ვეფხი არის рѣсь, тигр ან барс. ხოლო ჭიჭი ესაა ბაბრი, ვეფხსა ჰგავს და უდიდესია, леопард.

რ. ერისთავის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ვეფხი — *Барс, Felis pardus*; ჭიჭი — ბაბრი, ვეფხსა ჰგავს, უდიდესა. სპარსნი ბაბრს უწოდებენ, тигр, *Felis tigris*“²⁰².

ასეთი აღრევა ამ ცხოველთა სახელებისა ჩვეულებრივია შემდეგდროინდელ ლექსიკონებსა და სპეციალურ ლიტერატურაშიც.

ტერმინ ვეფხ-ისაღმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა ამ ბოლო დროს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით. ვეფხისა და ჭიჭის გარჩევას მიეძღვნა რიგი წერილები²⁰³.

საერთო აზრი ამ წერილებისა ისაა, რომ ვეფხი უნდა გავიგოთ როგორც „ლეოპარდი“, ხოლო ჭიჭი როგორც „ტიგრი“.

ვეფხა რომ ხალხებიანი ცხოველია ანუ იგივე ლეოპარდია, ამას ამტკიცებს ტერმინ აქლემ-ვეფხის არსებობა ქართულში. აქლემ-ვეფხი, რუს. *каamelopard*, ლათ. *Camelopardalis*, ბერძ. *καμηλοπάρδαλις*, იგივეა, რაც ფირაფი. სახელწოდება აქლემ-ვეფხი ამ ცხოველმა, ჩანს, მიიღო იმის გამო, რომ იგი სიმაღლით აქლემს ჰგავს, ხოლო მოხატულობით ვეფხვს — აქვს მოყვითალო ფერის ბეწვი შავი, ხშირი წინწკლებით (ლაქებით), (მდრ. ხირაქ-ლემა — *Struthio camelus* „აქლემივით მაღალი სირი“).

ლეოპარდი ევროპული სახელწოდებაა სპეციალურ ლიტერატურაში *Felis pardus*-ის სახელით ცნობილი ცხოველისა. საინტერესოა ამ ფუძის ეტიმოლოგია. ვარაუდობენ, რომ ლეოპარდი შედგენილი ფუძეა. გამოიყოფა ლეო და პარდ-. ლეო იგივეა, რაც „ლომი“, *Leo*, ხოლო *pardus* უკავშირდება ძველ ინდურ *pṛdākā* ფუძეს, რაც ნიშნავს „გველს“ (მდრ. გერმ. *perd* — „წინწკლებიანი“, „ლაქებიანი“)²⁰⁴.

²⁰² Р. Д. Э р и с т о в, Краткий грузино-русско-латинский словарь из трёх естественных царств природы, Тифлис, 1884.

²⁰³ მ. მამულაშვილი, აღ. ქუთათელაძე. ტერმინ „ვეფხის“ სწორი გაგებისათვის, „ლიტ. გაზეთი“, 1965, 20 აგვისტო, № 34, გვ. 3; ს. ცაიშვილი, „ჭიჭი“ და „ვეფხი“ რუსთაველის პოემაში, გაზ. „კომუნისტი“, 1965, 28 ნოემბერი, № 281, გვ. 3; დ. კობიძე, „ვისრამიანის საკითხები“, თსუ შრ., 116, აღმოსავლეთ-მცოდნეობის სერია, თბ., 1965, გვ. 71—77; არჩ. ჟანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველები; შოთა რუსთაველი, თსუ საიუბილეო კრებული, თბ. 1966, გვ. 293...

²⁰⁴ F. Kluge, Etimologisches Wörterbuch der deutschen Sprache, Berlin, 1957.

ცნობილია, რომ გველი არაჩვეულებრივად მოქნილი სხეულის მქონე ქვეწარმავალია, რომელსაც ტყავი მოხატული, (დაწინწკლული) აქვს. სწორედ ძველი ინდური სახელწოდება გველისა იქცა კრელტყავიანი ცხოველის სახელად. ე. ი. ლეოპარდი იგივეა, რაც „წინწკლებიანი, ლაქებიანი“ ლომი“.

ამ საინტერესო ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ზოოლოგიურ ლიტერატურაში არსებული აზრი ლეოპარდის შესახებ: კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელთაგან იგი ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ცხოველია. ახასიათებს არაჩვეულებრივი მოქნილობა და სისწრაფე. სხეული ყველა მიმართულებით ეკლავება და ეზნიჭება. თათებს ძალზე მსუბუქად ადგამს. საერთოდ მთელი მისი მოძრაობა ერთობ ნარნარი და მოხდენილია²⁰⁵.

შემდგომში ლეოპარდის (ვეფხის) სახელი ზოგადდება და ხშირად ერთვის ისეთი ცხოველის ძირითად სახელწოდებას, რომელსაც ვეფხივით მოხატული ტყავი აქვს. ასეთებია, მაგალითად: Linx pardella-рысь парделевая „ვეფხისნაირი ფოცხერი“, Felis pardalis оцелот — „ოცელოტი“²⁰⁶.

ვეფხე ფუძეში ბოლოკიდური ვ განვითარებული უნდა იყოს²⁰⁷. ვეფხე ფორმით ეს სახელი გვხვდება მოხეურსა და გუდამაყრულში²⁰⁸.

ვეფხე ფუძე ქართულიდან შეთვისებულია მეგრულსა და სვანურში. ისტერესის იწვევს ქანურში დადასტურებული ლეოპარდე ფუძე. აკად. ნ. მარი მას თარგმნის гнена-დ²⁰⁹ (აფთარი). ეს იგივე ლეოპარდი უნდა იყოს.

რაც შეეხება ჭიქს, იგი „ტიგრის“ ფარდი ჩანს²¹⁰. „ჭიქი — ტიგრი, რომელიც სასტიკი ცხოველი არს მქვეცთაგანი. საქართველოშიაც იპოვება ეს მქეცი. ჭიქი ქართული სახელი არს“²¹¹.

საკუთრივ ტიგრი ფუძეს ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ისრის აღმნიშვნელ ძვ. სპარ. tigri-ს²¹² (მდრ. ჭიქი-ჭიქური „შეუპოვარი“, „პირდაპირი“...).

²⁰⁵ Жизнь животных, т. III, გვ. 403.

²⁰⁶ იქვე, გვ. 417.

²⁰⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძე..., გვ. 88.

²⁰⁸ ქართული დიალექტოლოგია, გვ. 572.

²⁰⁹ Н. Я. Марр. Чанско-русский словарь.

²¹⁰ ს. უ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წერილი, გვ. 3.

²¹¹ თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გვ. 12.

²¹² F. Kluge, დასახელებული ლექსიკონი.

ლოში leo

...მძენვარ და ძლიერ არს ლოში, განმტეხელ და წარმწყმედელ უფროასლა (სინ. მრ. 108,20).

ლომსა თანა იშვა გულისწყრომა და მარტოდ ცხოვრება (ექ. დღ. 106,7).

ვიწყო ლომისათვის რა შარავანდელ არს ყალთა მკეცთა ზა და ყალთა პირუტყუთა (სახ. სიტყ. 2,1).

მეფისა თქუმა და მსგავს არს ბრდღუენასა ლომისასა (იგ. სოლ. 19,12).

მარხვამან დანიელ და სამნი ყრმანი განაჩინნა ლომთაგან (ციმ. 1,58,27).

ლომი ნადირსა უმზირნ ეგრეცა ცოდვა უმზირნ მოქმედსა მას უმჯულოებისასა (ისო ზირქ. 27,9).

უმაღლესნი ორბთანი და უმკნესნი ლომთანი ასულნი ეგე იწლესანი სტიროდეთ საულს (მფ. II, 1,24).

ლომ ფუძე სამსავე ქართველურ ენაში გვხვდება. მეგრ. ლომი ბანერ-მარტილურ თქმაში ღომ ფორმას გვაძლევს²¹³ სვანურში გვაქვს ლჷემ.

ძველ ქართულში გვხვდება ლომ ფუძიდან ნაწარმოები მელომ-ე „ლომების მომთვინიერებელი, მწვრთნელი“. მაგ.:

პრქუა მელომე მან: პირველად მიუგდეთ ეგე და ესრტ: განვაძენე იგინი: ქვშა დაფრქვო ზედა-ზედა რა განძენდენ მწაოულ (აგათანგ. 26.X,15).

„ვეფხისტყაოსან“-ში ნასახლარი ზმნა გვხვდება — გალომება. მაგ.:

იგი მტერნი გამილომდეს, აქამღისცა რომე ვითხენ (596,3).

თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშულეს, იახეს (1424,4).

ლომ ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი კომპოზიტები გვხვდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში: მსუენ-ლომი/, შიწის-ლომი „ქამელუონი“, ჭინჭველ-ლომი/ლომ-ჭინჭველი „მტაცებელი ცხოველის ერთ-ერთი სახეობა“.

ლომ ფუძიდან იწარმოება შემდეგი გვარ-სახელები ქართულში: ლომიძე, ლომაძე, ლომაია, ლომხაძე<ლომიხაძე...

²¹³ ს. ე. დ. ნ. ი. ქანერ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 31.

მარტორქა rhinoceros indicus

სახის-მეტყუელმან თქუა მარტორქისაჲ ეგე ვარი მკვდრობაჲ და სახს აქუს, მცირს არს და მსგავს არს თიენისა, დიდად სასტიკ არს მქეცი იგი და რქაჲ ერთი ადგს თავსა მისსა ზა (სახ. სიტყუ. 33,2).

აღმღლდეს, ვითარცა მარტორქისა, რქაჲ ჩემი, სიბერე ჩემი ზეთითა და პოხიერებითა (ფსალმ. 91,11).

მიქსენ მე პირისაგან ლომისა და რქათაგან მარტორქისა — სიმდაბლე ჩემი (ფსალმ. 21,22).

შეიცვალნიან იგინი ლომის სახედ და დათვისა და მარტორქისა და პილოჲსა ამრიზებულისა (ვარლ. 120,29).

მარტორქა არაწყვილჩლიქოსან ცხოველთა ერთ-ერთი წარძომადგენელია. მას აქვს საკმაოდ დიდი თავი, რომლის წინა ნაწილი წაგრძელებულია. სწორედ ამ ნაწილზეა მოთავსებული ერთი რქა. ზოგი მარტორქის ტანის სიგრძე 3 მ აღწევს, ხოლო სხეულის წონა — 200 კგ-ს²¹⁴. თუ ამ მონაცემებს გავითვალისწინებთ, მაშინ სახის-მეტყუელის სიტყვები „იგი მცირს არს და მსგავს არს თიენისა“ — ნაკლებად დასაჯერებელი იქნება.

რაც შეეხება სახელს — მარტორქა, იგი, აშკარაა, გარეგნული ნიშნის გათვალისწინების საფუძველზეა შერქმეული მარტო-რქა (შდრ. რუს. носорог, единорог, სომხ. *միხიդևար*, ბერ. *ბ ცւծաքբად*).

მგელი lupus

გამობრწყინდა მზე სიმართლისაჲ... იხილეს იგი მგელთა და მშველობა ყვეს კრავთა თანა (მამ. სწ. 69,23).

სადა უკუე არს მგელთა ქორწილი და სიხარული, უკუეთუ მწყემსმან დაიძინოს (მამ. სწ. 274,11).

რამე ზიარებაჲ არს მგლისა და კრავისაჲ ეგრეცა ცოდვილისაჲ ღთის მსახურისა თანა (ისო ზირქ. 13,17).

და მთავარნი მისნი შორის მისსა ვითარცა მგელნი იტაცებდეს ნატაცებსა დათხევად სისხლისა (ეზეკ. 22,27).

...მგელნი იგი განაოტნეს და საცხოვარნი იგი მათნი განარინნეს (სინ. მრ. 218,15).

²¹⁴ Жизнь животных, т. III, гл. 499.

დასაბამითგან არასადა ისმა, ვითარცა მგელი მამოვნებელ იყო კარაულთა (შიო, 116,30).

ეკრძალებით ცრუ წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვილოდიან თქუენდა საქოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ (მთ. 7,15).

ქ ა ნ უ რ ი

მგერი მენდოწკედუ, მთუთი მულუნ კაბინერი (ი. ყიფ. 37,30), „მგელმა დაინახა-დათვი მოდის მოკუზული“.

არ მგეი ქომოხთუდორენ, მეგერე გერიქ ოქკომალე ვა ძირუდორენ (ა. ჩიქ. II, 11,34), „ერთი მგელი მოსულა. თურმე მგელს საქმელი ვერ უპოვია“.

მ ე გ რ უ ლ ი

თი, ჩქიში მახვამილაფარი, ოქკომუ გერენქა (ცგრ. 57,15), „ის, ჩემი მომტაცებელი, მგელმა შექამა“.

თუ კოჩი მუწი იარაღამო გერენქა მეკოსოფესგ (ცგრ. 57,13), „ის კაცი თავისი იარაღებით მგელმა დაგლოჯა“.

ქართული მგელ ფუძის შესატყვისია მეგრ. გერი და ქან. მგერი /მგეი/გუერი/ მჭვერი. ძირეულ მასალად გამოყოფილია -გ-; -ელ-/-ერ- დეტერმინანტი სუფიქსია. მ- თავსართი ქართულსა და ქანურში განვითარებულად მიიჩნევა²¹⁵.

ქართული ენის დიალექტთაგან თუშურსა და გურულში გვაქვს გელი.

გ. კლიმოვის აზრით მგელ ფუძეში მ- ძირეულია ისევე როგორც ქანურში (მგერი, მგეი...). მეგრულში იგი დაკარგულია. მისივე აზრით ექვს იწვევს ხმოვანთა იდენტურობა²¹⁶.

ქართულ-ზანურ გელ-/გერ-ს უკავშირებენ აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენებში არსებულ ბაგ-/ბაჯ- ფუძეს²¹⁷ (აფხ. ა-ბაგა, უბიხ. ბაგა/ბაჯა, ქე. ადიღ. ბაჯნ, ყაბ. ბაჯნ). ეს ფუძე „მელას“ მნიშვნელობით გვხვდება დასახელებულ ენებში. აფხაზურში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, თუ რა ემატება მას: ღუ „დიდი“ ან ხიჭუ „პატარა“. აბგა-ღუ „მგელი“, აბგა-ხიჭუ „მელა“, „ტურა“.

²¹⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 87.

²¹⁶ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 130.

²¹⁷ П. Ч а р а я, Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб.

ვარაუდობენ, რომ -გ/-ჟ- ძირი საერთოა აფხაზურ-ადიღეურისა და ქართველური ჯგუფის ენებისათვის²¹⁸.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გელ ფუძე ინდო-ევროპულია, ხოლო ქართულში შეთვისებულია სომხურიდან. ეს მოსაზრება ეკუთვნის პროფ. პრ. აქარიანს²¹⁹, რომელსაც იზიარებს პროფ. ილ. აბულაძე. „სომხურში ქართულიდან ნასესხობა მაშინ უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, მისი სათანადო ფორმა რომ არ გააჩნდეს სომხურის მონათესავე ენებს ინდო-ევროპული ოჯახიდან, ამიტომ ძალაში რჩება ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა სომხურიდან მომდინარედ არის აღიარებული ქართულში“²²⁰.

სევანურში ეს ფუძე არ ჩანს²²¹. შგლის აღსანიშნავად იქ თხნრე ფუძე იხმარება. ვარაუდობენ, რომ ეს თხნრე იგივეა, რაც მხეცის აღმნიშვნელი ბერძნული ზრჰ, ზრჰიჲ ფუძე, ხ ბგერა განვითარებულია სევანურში²²².

შელი volpes

მ ე ლ ი ს ა თ ვ ს თქუა სახისმეტყუელმან ყლ გუეც არს და ვერაგ პირუტყვ იგი (სახ. სიტყვ. 23,1).

ძლიერ არს და კეთილ ქარი... და მზაკუვარ მელი (ექ. დღ. 106,1).

ნუმცა ვართ ცუდთა სიტყუათათვს, ვითარცა ზუარაენი, ძლიერ და ლოცვისათვს, ვითარცა მელნი უძლურ და ვერაგ (მამ. სწ. 271,9).

მელთა ქურელი უჩს და მფრინველთა ცისათა საყოფელი... (პთ. 8,20).

მივედით და არქუთ მელსა მას, დაღათუ ქელმწიფებამ

²¹⁸ X. Б г а ж б а, Общине корин (и основы) в абхазском и картвельских языках, იყ, II, თბ., 1948, გვ. 40.

²¹⁹ ლ. მ ს ი რ ხ ა ნ, ლაქიხენ შრქაოსქან ქაიაროინ. ტ. II, გვ. 51—54.

²²⁰ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე ქართული და სომხური ლიტერატურულ ურთიერთობა IX—X სს. თბ., 1944, გვ. 099. იხ. აგრეთვე თ. გამყრელიძე, გ. მაკავეარიანი, სონანტა სისტემა..., გვ. 77. შწუ. 3.

²²¹ აკად. ნ. მარის აზრით გელ ფუძე სევანურში უემორჩენილ უნდა იყოს საგვარეულო სახელში ვალფხან (გარდაფხაძე), რაც ნიშნავს ხან ან ქვემოხან, იხ. Н. Я. Марр, Избранные работы, т. 5. 1935, გვ. 385—386.

²²² გ. რ ო გ ა ე ა, დეცისურ-პარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში, მაკნე, 2. 1965, გვ. 189, შწუ.

იგი ლომისაჲ აქუნდა, არამედ სახს იგი მელისაჲ იყო (სინ. მრ. 206,10).

მსგავს ხარ შნ ხატითა კაცსა და დიდებითა მეფესა. ხსახითა და სიციბილითა მელსა, რლი ცბინ კუდითა და ძმაცენ და უცნებნ ქეუელებითა და გულითა ბოროტის მაძიებელ არნ (იგნატ. 181,20).

ძველ ძეგლებში მხოლოდ მელი გვხვდება. ახალ ქართულში ჩვეულებრივია მელა და მელია. „მელი-მელა-მელია ისეთ ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც კაცი-კაცა-კაცია, — წერს აკად. ა. შანიძე, — ოღონდ ეს არის, რომ კნინობითობის გაგება დღეს ალარც მელას ახლავს და ალარც მელიას“²²³.

მელ ფუძიდან ნაწარმოებია მელური და გამოშელება. მაგ.: ესე ამბავი მასთანა ვთქვი დიაცურად, ხელურად, ჩემსავე მოსვლა მის მზისა და გაპარება მელურად (გ. ტყ. 1206,2).

გამოძრწა და გამოშელდა (იქვე, 761,2).

ქართული მელის შესატყვისად მეგრულში გვაქვს მელა, ქანურში მელი და სვანურში შალ. ქანურის ყველა დიალექტში აშეამად თურქული თილქი/თილჩი გვხვდება, თუმცა ზოგან მელიც შემორჩენილა²²⁴.

ხევსურულში შავბეწვიანი მელის აღსანიშნავად დასტურდება მელანი ფუძე, აქედან სამელნე კლდე (შდრ. „სასოვე კლდე“, „საორბიას კლდე“...)²²⁵. მელის ბეწვის სიშავე შესადაარებლად არის გამოყენებული, მაგ. და იყვნეს თუალნი მისნი ვითარცა ლამპარნი აღნთებულნი და პირი მისი დაშავებული ვითარცა მელნი, (საქმ. იოვ. 76,17, შდრ. რუს. черныя).

მრცინი/მუკინი *musclea putorius*

ნუ შკამთ ერცინსა ნუცა რაჲ იგი მსგავსი მისი არს (სახ. სიტყვ. 32,4).

და ესეცა თქუნდა არაწმიდა არს ქუეწარმავალთაგანი, რომელნი ძურებიან ქუეყანასა ზედა, ქურცინი, და თავკ და ხტქი... (ლვ. 11,29).

ეს ფუძე იშვიათად გვხვდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში.

²²³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 120.

²²⁴ არნ. ჩიქოვაძე, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 89.

²²⁵ ცნობა მოგვაწოდა ალ. ჭინჭარაულმა.

საბაათან ვრცინი/ჭურცინი ქრცინ ფორმით გვხვდება. ამავე ავტორთან ქრცინის სინონიმებია: დედალოსი/დედალუბი.

„ქრცუნა, ქრცუნი—горностаѣ, ласица“ (დ. ჩუბ.). „ქრცუნი, ქრცინი—დედალოსი (ლევიტ. 11,30) ласица, горностаѣ, ნ. ყარყუზი. ყარყუზი—თეთრი ქრცინი, горностаѣ“ (ნ. ჩუბ.).

„დედალოსი ქრცინი — მელის ან სიასამურის ჯიში *Mustela* (რ. ერისთ.).

ჭურცინი ჭვირცინაცი ფორმით თუშურში გვხვდება და ნიშნავს „დედოფალას“²²⁶. ხოლო ფშაურში ჭურცინა „თრითინას“ გულისხმობს²²⁷, ხევსურულში — „დედოფალას“.

ამ განმარტებების მიხედვით ძნელია განისაზღვროს, კერძოდ რომელ ცხოველს გულისხმობს ვრცინი/ჭურცინი: საკუთრივ „ვრცინს“, „დედოფალას“ თუ „ყარყუმს“. სამივე ეს ცხოველი კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელია; განსხვავებასთან ერთად მათ შორის მსგავსებაც საკმაოდ დიდია, სახელთა აღრევაც, ალბათ, ამას უნდა გამოეწვია.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ქრცვინი იგივეა, რაც რუსული хорек—*Mustela putorius*; დედოფალა—ласка, ласица—*Mustela nivalis*, ხოლო ყარყუზი—горностаѣ—*Mustela erminea*.

ამ ცხოველებისათვის დამახასიათებელია პატარა თავი, მოკლე ყურები, წაგრძელებული სხეული და მოკლე კიდურები. საკუთრივ ქრცვინის სხეულის სიგრძე 40—42 სმ-ია, კუდისა —16—17 სმ. ბეწვი ზურგსა და გვერდებზე მუქი წაბლისფერია. დედოფალა უფრო მომცროა; სხეულის სიგრძე —20 სმ-ია. ბეწვი მოწითალო-მონაცრისფრო აქვს. ყარყუზი დედოფალაზე დიდია (სხეულის სიგრძე —38 სმ-ია) მისი ბეწვი ზაფხულობით მოწითალო-მონაცრისფერია, ხოლო ზამთრობით — თეთრი²²⁸.

ჭურცინი ბიბლიაში დავადასტურეთ. ბერძნულ ბიბლიაში შესაბამის ადგილას იკითხება ἡ μικρὴ — мелкий хищник (кунница, ласка, хорек и т. д.).

ვრცინი ფორმით ეს ფუძე გვხვდება სომხურიდან ნათარგმნ ძეგლში „სახისა სიტყუაჲ“. სომხურ ტექსტში ვრცინის ადგილას იკითხება *սքսնչ*. ვრცინს აკად. ნ. მარი თარგმნის ласка-დ.

²²⁶ თ. უთურჯაძე, თუშური კილო, გვ. 213.

²²⁷ ილ. ქყონია, სიტყვის კონა, СПб. 1910.

²²⁸ Жизнь животных, т. III, გვ. 458—459.

მისივე აზრით ვრცინი ახალ სომხურში გვხვდება *ქრბქნ/ქრბქნ-* ფორმით, ოღონდ მისი მნიშვნელობაა „*КНІСТЬ*“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა სომხურშიც უნდა გვქონოდა „ქრცვინის“ მნიშვნელობით²²⁹.

ვარაუდობენ, რომ ქურცინ-/ქრცვინ ფუძეში ქ- განვითარებულია²³⁰.

კუმარნა martes

ხუტქთა და გუელთა და კუერნათა და თევზთა პატივის-მცემელნი პატივის მიერ პირუტყუთაჲსა უპატიოებასა მოუგებდეს თავთა (ხრონღრ. 25,23).

ნუ უკუეუ და ლოშსაცა აბრალონ ეგვეითართა, რამეთუ არცა ცილამტკავლურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების (ქართ. ცხ., I, 359,12).

ქანური

ხურმაში ღუშმანი მი ენ, გიჩქინი?—მთუთი (მთუთიქ უინ იმ-ხოს, ჯას იმხოს!), კვენუ იქ-თი ჯას იმხოს (ა. ჩიქ. I, 158,26), „ხურმის მტერი ვინაა, იცი? —დათვი (დათვი ზევით ჭამს, ხეზე ჭამს), კვერნაც ხეზე ჭამს“.

სვანური

ითხვარხ კვიტრალს, ღერსკენალს, ღეშღვარს, რკვენს, მწლს ი რექესი (ლუშნ. ამბ. 2,24), „ნადირობენ შუნზე, შველზე, დათვზე, კვერნაზე, მელასა და კურდღელზეც“.

კვენოლ ლაქმათე აშიედღელი, ტუფ ეჩე ოთციკირა (სვან. ანდ.), „პატარა კვერნა საშოვარზე წასულა, ტყავიც იქ დაუტოვებია“.

ძველი ქართულის კუერნა (ახ. ქართ. კვერნა) მეგრულში წარმოდგენილია კვინ-ორ<კვენ-ორ და ქანურში კვენ-ური/კვენ-უ-ი ფორმით. სვანურში დასტურდება ამ ფუძის შემდეგი ვარიანტები: კუენ (ბ. ზ.), რკუენ (ლშხ.), კენ (ლხმ.); ამ სიტყვის კნინობითი ფორმაა — კვენოლ²³¹.

²²⁹ Т. Р. ки. VI. издал Н. Я. Марр, СПб. 1904, გვ. 109. Н. Я. Марр, Этно и глоттогония восточной Европы, Изв. раб. т. V, 1935, გვ. 106.

²³⁰ ივ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე , ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 186.

²³¹ სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

ზანურსა და სვანურში კვენ საერთოა. კვერნა კვენრა-სავან პოლებულად ივარაუდება რ/ნ-ს მეტათეზისით²³².

კუენრ ფორმას ამოსავლად მიიჩნევენ ქართულისათვის და, ამდენად, საერთო-ქართველური სისტემისათვის არქექტიპად აღადგენენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი²³³.

საერთო-ქართველურ კვენ-ს უკავშირებენ კვერნის აღმნიშვნელ ინდო-ევროპულ (ბალტურ-სლავურ) ფუძეებს: ლიტვ. *kiau-*na, ლატვ. *cāņa*, სლავ. *куня*²³⁴.

ჩვენი ვარაუდით ქართულისათვის ამოსავალია კუერნ-, რომელიც თავის მხრივ *კუერან ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს. *კუერან-ი თვისების აღმნიშვნელი სახელი ჩანს. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის უფლებას შემდეგი ფარემოება გვაძლევს.

ცხოველისათვის სახელის შერქმევა მისთვის დამახასიათებელი რაიმე გარეგნული ნიშნის გათვალისწინებებს საფუძველზე არაა უცხო ენობრივი სინამდვილისათვის. ამ მხრივ არც ქართული ენა ქმნის გამონაკლისს. ქართული სახელწოდება ამ ცხოველისა, ვფიქრობთ, შეპირობებულაა კვერნისათვის დამახასიათებელი ერთი გარეგნული ნიშნით. მხედველობაში გვაქვს თეთრი ზოლი ყელის გასწვრივ.

*კუერან უნდა ნიშნავდეს „კვერიანს“. „ნიშნიანს“, (მდრ. ნიკორა „სხვილფეხა საქონელი, რომელსაც შუბლზე თეთრი ხალი აქვს“)²³⁵, (ნიკორა<ნიკერა).

კვერ ფუძის მნიშვნელობისათვის საყურადღებოა დაკვერვა ზქნა მთიულურში. დაკვერვა — კვერის, ნიშნის დადება, ნიშნის გამოჩენა. „ცხორი დაიკვერა“ — იტყვიან, როცა ცხვარს ძუძუ დაეტყობა, — ეს მაშინ, როცა ცხვარი ბატყნიანია²³⁶.

რადგან ქართულისათვის ამოსავლად *კუერან-ს ვვარაუდობთ, შესაბამისად მეგრულ-ქანურში უნდა გვექონოდა *კვარონ-ი. *კუერან-ში -ან თვისების აღმნიშვნელი ჩანს²³⁷. ანალოგიური ფუნქციით ზანურში დასტურდება -ონ სუფიქსი²³⁸. სწორედ ეს უკანასკნელი

²³² არ. ჩ. ი. ბ. ა. ვ. ა. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 90.

²³³ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტო სისტემა... გვ. 84.

²³⁴ Г. А. К л и м о в. Этимологический словарь, гв. 110.

²³⁵ ლ. ლ. ო. ნ. ი. ძ. ე., შესაქონებობის ლექსიკონი, თბ., 1925.

²³⁶ ა. კ. ა. ც. ა. ძ. ე., მასალები საქართველოს მეცხვარეობის ისტორიისათვის (მთიულეთში მივლინების ანგარიში); მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955, გვ. 169.

²³⁷ ს. ქ. ა. ნ. ა. შ. ი. ა., შრომები, III, თბ., 1959, გვ. 34:

²³⁸ არ. ჩ. ი. ბ. ა. ვ. ა. — ონ სუფიქსი მეგრულში; ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1926, გვ. 305—310.

უნდა იყოს კვარ-ონ-ში; მაგრამ ზანურში გვაქვს არა კვარ-ონ-ი, არამედ კვინ-ორი-ი/კვენ-ორ-ი (მეგრ.) კვენ-ურ-ი/კვენ-უ-ი (ჭან.).

რას შეეძლო ამგვარი ცვლილებების გამოწვევა?

საპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია²³⁹, რომ შეფარდება ქართ. ე და ზან. ე მხოლოდ სახელთა ფუძეებში ჩანს. ზმნურ ფუძეებში, როგორც წესი, რეგულარულად მიჩნეული შესატყვისობაა დადასტურებული (ქართ. ე ზან. ა). შეფარდება ქართ. ე და ზან. ე განხილულია, როგორც პალატალური უმლაუტის შედეგი. ა>ე-ში ხდება მომდევნო წინანისმიერი ხმოვნების გავლენით. მხედველობაშია სახ. ბრუნვის ნიშანი -ო/, -ე. იქნებ ამგვარი პალატალური უმლაუტის შედეგია ა>ე-ში ჩვენთვის საინტერესო ფუძეში (მდრ. ჭან. მანჯალე, მენჯელონე „კაცი, რომელსაც ბევრი შეშის წაღება შეუძლია“)²⁴⁰.

კვერნის აღმნიშვნელ ზანურ ფუძეში ადგილი აქვს რ/ნ-ს მეტათეზისს. ჩვენ მიერ აღღვენილ *კვარ-ონ-ი ფუძიდან ზემოთ აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინების საფუძველზე დღეისათვის მეგრულსა და ჭანურში არსებული ფორმების მიღების გზა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მეგრ. *კვარონი>*კვერონი>კვენორი>კვინორი

ჭან. *კვარონი>*კვერონი>კვენორი>კვენური>კვენუი.

კვარონი, მსგავსად ქართული კვერან-ისა, თვისების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, (მდრ. თხის აღმნიშვნელი სახელი ჭანურის ათინურ კილოკავში შურონი, რაც ნიშნავს: „სულიანი“, „სუნაანი“²⁴¹. მაგ. ფუჭი ულუნ ბუცხა, შურონი თი ბუცხა ულუნ, (ა. ჩიქ. II, 114,24), „ფურს ფრჩხილი აქვს, თხასაც ფრჩხილი აქვს“.

რაც შეეხება ბოლოკიდურ -ა ხმოვანს, რომელიც მხოლოდ ქართულში ჩანს (კვერან-ა), მასუბსტანტივებელი აფიქსი უნდა იყოს, ამასთან გვიანდელი დანართი, რის გამოც მის კვალს ზანურში ვერ ვადასტურებთ. ა-ხმოვნის დართვას წინამდევალი ხმოვნის რედუქცია უნდა გამოეწვია.

სიანურში ეგვე ფუძე აფიქსის გარეშეა. ფუძეში აქაც ე-ხმოვანია. ფუძისეულ რ-ს მეტათეზისი მხოლოდ ლაშხურში განუცდიდა -რკჷენ, ბალსზემოურ კილოში რ ბგერა საერთოდ დაკარ-

²³⁹ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 160—161.

²⁴⁰ Н. Я. Марр, Чанско-грузинский словарь.

²⁴¹ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 81.

გულია, -კუენ, ხოლო სვანურის ლახამულურ კილოკაეში ფუძე კი-
ღევ უფრო გამარტივებულია -კენ.

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავსკვნათ, რომ კუენ-
საერთო-ქართველური ფუძეა. თავდაპირველად ეს სახელი საგნის
თემატის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ გზით საგანი გამოი-
ყო მსგავს საგანთა კლასიდან. ახლა კი საგნის სახელია მხოლოდ.
სწორედ ფუძის მნიშვნელობის დაბნელების შემდეგაა მოსალოდ-
ნელი ის მთელი რიგი ფონეტიკური ცვლილებები, რაც ამ სახელ-
მა განიცადა ქართველურ ენებში.

კუენა ფუძის მნიშვნელობის დადგენისათვის საინტერესოა
ზოოლოგიის მონაცემებიც. სპეციალურ ლიტერატურაში გარჩეუ-
ლია კვერნის ორი ძირითადი სახეობა: 1. ტყის კვერნა (Martes
 martes), 2. ქვის კვერნა (Martes Foina). პირველი მათგანის ბეწ-
ვი რუხია, ხოლო ყელის გასწვრივ ბეწვი ღია ყვითელი ფერისაა.
მას жемтодушка-ს უწოდებენ. ქვის კვერნის ბეწვი შედარე-
ბით ღიაა, ყელის გასწვრივ ბეწვი კი თეთრია. მას белодушка-ს
უწოდებენ²⁴². ჩვენთვის ეს ორი სახელია საინტერესო. ამ სახე-
ლებით ხაზი ესმევა კვერნის ყელის განსხვავებულ შეფერილო-
ბის. რაც შეეხება дуща ფუძეს, მას გარდა ცნობილი მნიშვ-
ნელობისა, აქვს სხვა მნიშვნელობაც — ესაა ჩაღრმავებული ად-
გილი ყელზე და სხეულის ნაწილი ყელის გასწვრივ. дуща ფუ-
ძით აღინიშნება აგრეთვე ის ბეწვიც, რომელიც სხეულის ამ ნა-
წილზეა. აქედან ირჩევა ე. წ. дущатые меха²⁴³.

როგორც ვარაუდობენ, საქართველოში გავრცელებული უნდა
იყოს სწორედ თეთრყელა კვერნა (Martes Foina nehringi)²⁴⁴.

მაგ. რაქაში გვხვდება დალა-რკვენა და შთიხ-რკვენა. ამათგან
პირველი შავია, კაწარიც მუქი შავი ფერისა აქვს, ხოლო მკერ-
დი-ხასხასა თეთრი. ტანად მომცროა. მეორე შედარებით მოზრ-
დილია. ესეც შავია, ოღონდ კაწარი წაბლისფერი აქვს. მკერ-
ზე თეთრი ზოლი გასდევს²⁴⁵.

²⁴² Жизнь животных, т. III, 1930, გვ. 452—543.

²⁴³ Вл. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. I,
М., 1955.

²⁴⁴ არჩ. ქ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 613.

²⁴⁵ აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, რაქაში მივიღებინ ანგარიში; ენციკლ. მოამბე, XI, თბ.,
1941, გვ. 1.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, რაქულში კვერნა რკვენა ფორმით გვხვდება. რკვენა იხმარება ლეჩხუმურში²⁴⁶. რაქულსა და ლეჩხუმურში დადასტურებული რკვენა იქნებ სვანური ენის ლამხური დიალექტის გავლენას მიეწეროს, რადგან ქართულში, ასევე ქართულის სხვა დიალექტებში, ამგვარი ფორმა, თითქოს, არ ჩანს.

მ ა რ კ მ e s m e l e s

...მ ა რ კ: რამეთუ აღმოცოხნის და ქლაკი მისი არა განპებულ არს, არა წმარა არს ესე თქუენდა (ლვ. 11,6).

ოთხი არს უმცირეს ქყანასა ზა და იგი არს უბრძნეს ბრძნეთა... ჯინველთა თანა, რლთა არა არს ძალი და განმზადიან ზაფხულის საზრდელი, და მ ა რ კ, ნათესავი უძლური, რლთა იქმიან კლდესა შინა ბუდენი თესნი (იგ. სოლ. 30,26).

ქ ა ნ უ რ ი

დალი მკვერი იენ, ქაფუ იენ,... მუნჩკი იენ (ა. ჩიქ. II, 115,25), „ტყეში მგელია, ტურაა მაჩვია“.

ს ვ ა ნ უ რ ი

შტანია ცხეპარს ხ-აა ნაღირ ვრი: თხერალ, დაშდტარ, მალეპარ მანჩჭარ (მივლ. მას.). „სუანეთის ტყეში ბევრი ნაღირია: მგლები დათვები, მელიები, მაჩვები“.

მაჩვ ფუძის შესატყვისია მეგრულში მუნჩკვი, ქანურში მუნჩქი/მუნჯყი/მუნჩხი²⁴⁷. სვანურში გვაქვს მანჩჭ (ბ. ზ.), მინჩჭჭ (ლხმ.), მანჭჭ (ბ. ქ.)²⁴⁸.

ქართული ა-ხმოვნის ადგილას (შ-ა -ჩვ-) მეგრულში მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად გვაქვს უ-ხმოვანი. როგორც გარკვეულია²⁴⁹, ამ ფუძეში არსებული ვ-ბაგისმიერი თანხმოვანი იწვევს წინამავალი (მისგან თანხმოვნით გათიშული) ო-ს გადასვლას უ-ში. ასი-

²⁴⁶ მ. ა. ლ ა ვ ი ძ ე. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის; ქუთაისის უნივერსიტ. შრ. IX, 1949.

²⁴⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. შედარებითი ლექსიკონი, გვ. 90.

²⁴⁸ სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

²⁴⁹ ტ. გ უ ლ ო ვ ა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ქანურ) ენაში, სმამ, ტ. XXV, № 1, 1960.

მილაციის შემდეგ ვ შეიძლება დაიკარგოს. ამ ფონეტიკურ ცვლილებათა გამო მეგრულში გვაქვს მუნჩქვი, ე. ი. შოჩქვი > მურჩქვი > მუნჩქვი > მუნჩქი (ჟან.).

ჟანურში გარდა მუნჩქვი-სა, დასტურდება მუნჩხი/მუნჭვი ფორმებიც. ამ უკანასკნელ ფორმასთან დაკავშირებით აკად. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ მისი დაკავშირება მუნჩქი-სთან საჩოთიროა, რადგან ჰყ- კომპლექსი საერთოდ უცხოა ჟანურისათვის²⁵⁰.

პროფ. ტ. გულდავას აზრით მუნჩხი/მუნჭვი ბგერწერით-ხმბაძვითი სიტყვები ჩანს და არ უნდა იყოს მონჩქვი-ს ჩვეულებრივი ფონეტიკური ცვლილებების შედეგი²⁵¹.

კ. ჰ. შმიდტის ვარაუდით ვ-ინის დაკარგვა ლაზურში მეორეულია და მუნჭვი/მუნჩხი ფორმათა არსებობაც ამის შედეგი უნდა იყოს²⁵².

სვანურის ბალსზემოური კილოს მანჩჟ ფორმა ქართულ ფუძეს იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ სვანურში ნ- ბგერა ჩნდება (შდრ. ლეჩხ. მანჩვი). რაც შეეხება ლახამულურის მინჩჟ ფორმას, ვარაუდობენ, რომ იგი ზანურიდან უნდა მომდინარეობდეს²⁵³. ამოსავალ ფორმად აღადგენენ მანჩჟ-ს. ზანურ ფორმას იმეორებს აგრეთვე ბალსქვემოური მანჟჟ, სადაც ფუძისეული ჩ- დაკარგულია.

მაჩვი კვერნისებრთა ოქახის წარმომადგენელია. მისი მოშავო-წონაცრისფრო მზინვარე ბეწვი საკმაოდ უხეშია. ბინადრობს ტყიან ადგილებში. სოროს თვითონვე თხრის მაგარი და მოკაუჭებულ ბრტყალეებით²⁵⁴.

ევარაუდობთ, რომ მაჩვ მიმლეობური ფუძეა შა-ჩუ-ი. იქნებ შესაძლებელი იყოს ამ ჩუ- ძირის დაკავშირება გადშაჩუებს ზმნურ ფუძესთან. იგი ხევსურულში დასტურდება და ნიშნავს: „გადმოჩიჩქნის, გადმოთხრის“, აქედან გადშაჩუებულო²⁵⁵. ე. ი. მაჩვი ისეთი ცხოველია, რომელიც თხრის, ჩიჩქნის, — გადშაჩუებს.

²⁵⁰ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 90.

²⁵¹ ტ. გულდავა, დასახელებული წერილი, გვ. 122.

²⁵² K. H. Schmidt, დასახელებული შრომა, გვ. 123.

²⁵³ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 130.

²⁵⁴ Жизнь животных..., т. III, 1930, გვ. 463.

²⁵⁵ მაგალითი მოგვაწოდა ალ. ჭინჭარაულმა.

გარეთხა capreolus capreolus

უდაბნოთა მათ ვიღრე აქამომდეცა ფრიად არს ნადირი, ირე-
მი და ვარეთხაჲ (ჯარეჟ. 163,7).

მონადირეთა მრავალთა მოიციენეს ოთხნი გარეთხანი
(ჩანძ. მბ, 7).

„გარეთხა — ქურციკი, შველი ნიამორი, არჩუ, ჭიკვი, ყოველი-
ვე გარეთხა არიან“ — განმარტავს საბა. ასევე გვიხსნის ამ სიტყ-
ვას ნ. ჩუბინაშვილი.

საბას მიხედვით გარეთხა ჯიხვისებრთა ოჯახის წარმომადგე-
ნელთა ზოგადი სახელია. მაგალითების მიხედვით ამის თქმა კირს.
უფრო მართებული იქნება თუ გარეთხად ერთ-ერთ აქ ჩამოთვ-
ლილთაგანს მივიჩნევთ, კერძოდ შველს. სპეციალურ ლიტერა-
ტურაში შველი სწორედ გარეთული თხის სახელითაა ცნობილი²⁶⁶.

გარეთხა ქართულ ნიადგზე შექმნილი კომპოზიტია — გარეთ-
ული თხა, განსხვავებით შინაური წერილფეხა საქონლისაგან, რომ-
ლის სახელი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი ქართველურ ენებ-
ში: თხა/ნთხა/დაქვლ (იხ. თხა).

ვირი ველური/კანჯარი onagris

კაცთაგან განიდევნა იგი... და ვირთა თანა ველურთა
იყო მკვდრობაჲ მისი... (დან. 5,21).

კუდად-მე რას კმობსა ვირი ველური? არამედ საზრ-
დელსა ეძიებნ (იბ. 6,5).

„ვირი ველური — კანჯარი“ — წერს საბა. ბერძნულ ბიბლიაში
შესაბამის ადგილას იკითხება 'οναγρῶν-βυ-αγριος. ქართული სა-
ხელი ამ ცხოველსა ბერძნულის კალკს წარმოადგენს.

ძველ ძეგლებში უფრო ხშირად გვხვდება ვირი ველურის
სინონიმი კანჯარი.

ეჭამ და ესუამ ეა კანჯარი, რლი ძოვს მწუანესა (კიმ.
I, 204,18).

კანჯარნი დადგეს ველთა ზედა და წოვდეს ქარსა ვითარ-
ცა ვეშაპნი (იერ. 14,6).

...ვინ განუტევა კანჯარი თავისუფლად (სახ. სიტყ. 15,1).

²⁶⁶ Жизнь животных, т. III. 1930, გვ. 558.

კანჯარო ირანული სიტყვაა და ნიშნავს „ველურ სპილოს“. როგორც აღნიშნულია, ესაა ერთ-ერთი შემთხვევა სემანტიკური გადანაცვლებისა ერთი ცხოველის სახელისა მეორეზე²⁵⁷.

ირემი cervus

ძლიერ არს და კეთილ კარი... და ჯაბან ირემი (ექ. დღ. 106,1).

სახის მეტყუელმან თქუა ირმისა ა ვლ ჯემა მტერ არს გუელისა (სახ. სიტყ. 42,6).

განამტკიცნა ფერკნი ჩემნი ვითარცა ირემთანი (ფსალმ. 17,34).

მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარ — ირემნი (ჰაბო, 75,21).

აწ იხილჳ ქვე სადამე ვა ქურციკი სრბალ მალჳ და სადამე ვა ირემი რქა-შუენიერი (ქბ. ქბ. 22,27).

და ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა, და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა... (ცხ. თამარ. 336,29). ნაცვალად ირმისა მისცა სხუაჲ სალუაწი კორცთა... (ხანძ. აბ, 16).

ირემ ფუძე ხშირად გვხვდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ძეგლებში.

ეს ფუძე ქართულიდან შეთვისებულია მეგრულსა და სვანურში. ამ უკანასკნელში ირმის მნიშვნელობით ლაჩჳ ფუძეც გვხვდება (ლაჩჳ<არჩვ-?). რაც შეეხება ჰანურს, აქ ირმის აღმნიშვნელია: მსქვეერი/მსკვეერი/ფსქვეერი²⁵⁸.

ირემი, მართალია, ძველისძველი ფუძეა, მაგრამ იგი მაინც შეთვისებულად ივარაუდება²⁵⁹. არის ცდა ამ ფუძის დაკავშირებისა ცხენ-ირმის აღმნიშვნელ (посы) ფინურ hirvi ფუძესთან²⁶⁰.

ნჳარი hinnuleus

ემსგავსე ქურციკსა ანუ ნუკრსა ირემთასა მთათა ზა სულნელთასა (სიბრძ. სოლ. 8,14).

²⁵⁷ ზ. ანდრონიკოვილი, ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან, 1, ენათმეც. ინსტ. შრ., ტ. 11, 1957. გვ. 191.

²⁵⁸ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 91.

²⁵⁹ იქვე.

²⁶⁰ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მონასტრობის საკითხისათვის, თბ., 1965. გვ. 215.

მეყსეულად სამნი ირემნი ნუკრთა თანა მათთა წარმოდ-
გუს წინაშე მათსა (გარეჯ. 156,32).

ირემნიცა იზუნეს ველსა გარე და დაუტევენს ნუკრნი (იერ.
14,5).

მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა და ნუკრსა ირმი-
სასა (ქბ. ქბ. 2,9).

და ყრმასა განეზარდა ნუკრი ქურციკისაჲ, და ფრიად შე-
კუთებულ რყო ყრმაჲ იგი ნუკრსა მას (ბალავრ. 35,26).

„ირემთა, ქურციკთა, შველთა, ნიამორთა, არნთა, არჩეთა და
მისთანათა თიქანთა ნუკრი ეწოდების“ (საბა).

ასევეა ეს სიტყვა განმარტებული ნ. ჩუბინაშვილის ლექსი-
კონში. მაგალითების მიხედვით ნუკრი ირმისა და ქურციკისა ნა-
შეირია.

ნუკრ²⁸¹ ფუძე ზანურსა და სვანურში არ ჩანს. (სვანურისათვის
თვის ეს რეალია არაა დამახსიათებელი).

ეშუ/შუშ sus scrofa

მონასტერსა მას ქუმოსა ეშუკ ერთი უკეთური განრყუ-
ნიდა ნაყოფსა (კიმ. I,305,6).

ეშუთა მალნარისათა განრყუნეს ეკლესია ლუთისა ცხოვე-
ლისა (კონსტ. გარემც. 36,18).

კბილნი მისნი ეგრძთ გარე უსხენან ვინთაჲცა ეშუსა
(ქრისტფ. IV,1).

და აწ ესერა ვხედავთ ლომსა და ეშუსა. რამეთუ აქუს
ბუნებასა შინა თვისსა საქმარი განრინებისათჳს თვისისა ძალითა მით,
რომელ არს მათ შინა (კაც. აგებ. 152,19).

ეშუ- ლორის ტახი (საბა). „ეშვი- თვთ ტახი; ლორი, ეშვიანი,
вернь, кабан“ (ნ. ჩუბ.)

მაშალი ლორის მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება კერ-ფუ-
ძე, ხოლო სვანურში — ტახ.

ეშვის კანონზომიერ შესატყვისად მეგრულში გამოყოფილია
„სალორეს“ აღმნიშვნელი ოხქუ<ო*-ასკვ-უ ფუძე²⁸².

ეშვი-დან ნაწარმოებია საეშვიე. „საეშვიე — მაშალი გოჭი“²⁸³

²⁸¹ აკად. ივ. ჯავახიშვილი ნუკრ ფუძეში ნ-ს გამოყოფდა მდებარეობით სქესის
ნიშნად, იხ. მისი ქართული და კავკასიური..., გვ. 184.

²⁸² Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, გვ. 81.

²⁸³ ლ. ლ ე ო ნ ი ძ ე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

(შდრ. „გავეშება — ქალთა განძენება“ (საბა), აგრეთვე ხევსურული გავეშებული „გაავებული“; ვეშ<ეშვ?; შდრ. აფთარი — გა-აფთარებულნი).

ეშვ ფუძე ახალ ქართულში დიდა კბილის მნიშვნელობით იხმარება. ძველ ტექსტებში ამ მნიშვნელობით ეშვი ვერ დავადასტურეთ. „ეშვი — დიდი კბილი ტახთა, ღორთა, სპილოთა და მისთანათა, კლხკ“ (ნ. ჩუბ.).

ეშვის შესატყვისია მეგრულში ჩქვა²⁶⁴ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს ფუძე სხვა რამდენიმე ფუძესთან ერთად წარმოადგენს ე. წ. გამონაკლის ფორმას, რომელშიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ განხორციელდა დასავლურ-ქართველურ არეალში რეგულარულად გატარებული გასისინების ტენდენცია²⁶⁵.

ქია

პრქა წინ იგნატი: „რ^ალთა ღ^ალთა მიბრძანებ გეზად, ნუუუე ეგუპტისათა კურთათა და ვაცთა და ქიათათა და გუელთა და შგელთა და ძაღლთა...“ რ^ალსა ამათგანსა მიბრძანებ მსახურებად? (იგნატ. 174,36).

„ქია — ყაუზუნა, ანთარი, ციღამტკაველი სხვადასხვაგვარი მაიმუნებია“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილთან ქია განმარტებულია როგორც მაიმუნის გარკვეული სახეობა — „ციღამტკაველა, პითიკი“. რ ერისთავის მიხედვით „ქია — ერთგვარი მაიმუნია“²⁶⁶.

მაგალითისა და განმარტებებს მიხედვით არ ჩანს, კერძოდ მაიმუნის რა სახეობას გულისხმობს ქია. იქნებ ამ შემთხვევაშიც პატარა ტანის მაიმუნი ივარაუდება²⁶⁷ (შდრ. ციღამტკაველა).

სიღამტკაველი *cebus sciurens*

მხოლოდ კაცი და ციღამტკაველი არა იღრეკენ ყურთა, ხოლო სხუანი ყოველნი, რომელთა ჰქონან ყურნი, მიიღრეკენ მათ (ბუნ. კაც. 87,20).

²⁶⁴ ი. ქობლაძეა. აფრიკარბაციისა და ღებფრიკარბაციოს პროცესები იბერიულ კავკასიურ ენებში, ივე, IX—X, თბ., 1958, გვ. 71.

²⁶⁵ თ. გამყრელიძე, სიბილანტო შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959 გვ. 108.

²⁶⁶ P. D. Зристуа (Рратний грузино-русско-латинский словарь. ქიახთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს ჩია ფუძე ქართულში: ჩია—პატარა ტანისა (ქელ, VIII); ცნობილია უკანაენისმიერ ხშულთა აფრიკარბაცია იბერიულ-კავკასიურ ენებში საერთოდ და, კერძოდ, ქართულში: გ.>ქ. მ>ჩ. ჩ. კ>ქ. ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში ქ/ჩ—ს მონაცელობა (ქია—ჩია?).

...არა ხოლო ქართა და ვაცთა და ძაღლთა და ციღამტკაველთა ჰმსახურებდეს... (ბრონდრ. 25,3).

...მოართვან ოქროდ უზომოდ და ვეცხლი და ჭვანი წახნაგებულნი და შუანი პილოთანი და ციღამტკაველნი (ბრონდრ. 89,33).

და ვითარცა შევიდა სენაქსა მისსა, მიხედნა მას ბერმან და იხილნა ორნი ციღამტკაველნი მსხდომარენი ზედა მქართა მრსთა (განკითხ. 128,11).

ნუჟუე და ლომსაცა აბრალონ ეგვევითა, რამეთუ არცა ციღამტკაველურად იხედავს, არცა კლერნაულად კრთების (ქართ. ცხ. 1,359,12).

ციღამტკაველი საბასთან განმარტებულთა როგორც მაიმუნნი (თვით ეს სიტყვა ნასესხებია ქართულში — სპარ. თურქ. მეიმუნ).

ციღამტკაველი — обезьяна (Срб.) дикий, негр. карлик" (დ. ჩუბ.)²⁶⁸. „ციღამტკაველა — (ოთხფ.) ქია, მაიმუნი, ან ველური კაცი (შავთ.), дикий или обезьяна" (ბ. ჩუბ.).

„ციღამტკაველი — იგივეა, რაც саамири Cebus sciurens — კაპუცინების ოჯახის წარმომადგენელი" (რ. ერისთ.)²⁶⁹.

ციღამტკაველა პატარა მაიმუნისა ჯიშს გულისხმობს. ეს სახელი ქართულ ნიშნავზეა წარმომობილი; მხედველობაშია მიღებული ცხოველის ნიშნავთავე (მდრ. ერთი ციღა „ძალზე მცირე, მეტად პატარა"; ციღაკაცი „ძალზე დაბალი კაცი" ქგლ. VIII).

ციღამტკაველა ახალ ქართულში გვხვდება როგორც საკუთრივ მაიმუნის, ასევე ქონდრის კაცის, — ცეროდენას მნიშვნელობითაც (ქგლ. VIII). ეს სიტყვა ხევსურულშიც გვხვდება პატარა ტანის ადამიანის აღსანიშნავად.

საინტერესოა ის, რომ ძველ ქართულში მაიმუნის აღმნიშვნელი სახელი უკავშირდება პატარა ტანის ადამიანს. მაგალითად, საბას ლექსიკონში მაიმუნის აღმნიშვნელი ბერძნული πικριος „პითიკი" ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „ასაკ მცირე კაცი".

ციღამტკაველა ველური ადამიანის, ჯუჯას მნიშვნელობით „აბღულმესიან"-ში დავადასტურეთ. მაგ.;

²⁶⁸ Д. Чубинов, Грузинско-руско-французский словарь, СПб., 1840.

²⁶⁹ Р. Д. Эристов, Краткий грузино-руско-латинский словарь, Тифлис, 1844.

თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი, არიელ ფოტელ-გერგესე-
კელით,

• შიშველ-მართალი, ციღამტკაველი, აბაშ-შაბაში, ღველ-
კეც-ნეველი (შავთ. 60,2).

ბრძალბი echinus

არს რამე იძრვისი რნი იწოდების გრძლბი, მომრგუა-
ლწ არს ბირთვს სახწ ხატითა (სახ. სიტყ. 22,4).

ძოვდენ შორის მისსა სამწყსონი და ყოველნი მკეცნი ქუეყა-
ნისანი და მსუენ-ლომნი და გრძლბნი (სოფ. 2,14).

და გრძლბთა მართულს ისხნენ სახლთა შინა მისთა (ეს.
13,22).

დავდვა ბაბილონი ოკრად, რაძთა დაამკდრონ მას შინა
გრძლბთა (ეს. 14,23).

გრძლბმან კმელისამან ორნი კარნი იკელოვნის
ქურელსა თვსსა (ექ. დღ. 106,35).

...იტყვან გრძლბისათვს კმელისათა, შვილმრავალ
არს ცხოველი ესე... (ცხ. თამარ. 346.1).

„გძლარბი — ბუძგი ეწოდების პატარა ძლარბსა. ხოლო ძლარ-
ბი — დიდსა ძლარბსა, რომელსა ეკალი აქუს ვიდრე მტკაველამდე
და მეტი“ (საბა).

გძლარბი, ძლარბი, ზლარბი — ესე არს უდიდესი, რომლისა
სიდიდე არს ვიდრე მტკაველამდე, ხოლო პატარას ჰქვიან გძუძი,
ბუძგი (ნ. ჩუბ.).

ახალ ქართულში ბუძგის მნიშვნელობებია: 1. წაბლის ეკლი-
ანი საფარი. 2. პატარა ზლარბი (საბა); ზლარბის მნიშვნელობით
ეს ფუძე ბუძგვი ფორმით დასტურდება იმერულში, რაქულსა
და ლეჩხუმურში (ქგლ. I). აქართულში გვხვდება ძლარაზლი და
გაღლა²⁷⁰. თუშურში გვაქვს ჭლაბი. მაგ. „პეპელს ვერას შევლენ,
ვერც თურქულს, ჭლაბის ეკალი რომ გაუყარო, შევლისო“²⁷¹.

ვარაუდობენ, რომ გრძლბ ფორმაში გ განვითარებულია (მდრ.
გრკალ-რკალ, ვრწყილ-რწყილ)²⁷².

²⁷⁰ ბ. ჭაჭანიძე, აკარული ლექსიკონის მასალები; ქუთ. პედ. ინსტ. შრ.,
X XIII, 1961.

²⁷¹ მაგალითი მოგვაწოდა ალ. ჭინჭარაულმა.

²⁷² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულურ ენებში, V,
გნმკის მოამბე, X, 1941.

ქართული გრძლბი/ზღარბი მეგრულში წარმოდგენილია ზღაბ-ქურცამი/ძღაბგ-ქგრცამი-ს სახით²⁷³ ძღაბგ-ქგრცამი „ზღარბი ეკლიანი“; ზღარბის მნიშვნელობით მეგრულში კატუ-ძღაბიუ გვხვდება).

სუანურში ზღარბის მნიშვნელობით ქართულიდან შეთვისებული ბუძგუ ფუძე დასტურდება.

თაგუ-ქურცინი *sorex araneus*

და ესეცა თქუენდა არა წშიდა არს ქუეწარმავალთაგანი, რომელნი ძურებიან ქუეყანასა ზედა: ქურცინი და თაგვ, და ხვთქი... და თაგუ-ქურცინი... (ლვ. 11,30).

თაგუ-ქურცინი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ძველ ძეგლებში. ამ ფუძის შესახებ არაფერია ნათქვამი არც საბასთან და არც სხვა ლექსიკონებში. საინტერესოა ერთი ფაქტი. საბას ლექსიკონში მსუენ-ლოში განმარტებულია შემდეგნაირად:

„მსუენ-ლოში — ესე ცხოველი და კერძო თაგვ და კერძო ქრცინი“. ამ განმარტების მიხედვით სწორედ თაგუ-ქურცინი ივარაუდება (მსუენ-ლომის შესახებ იხ. გვ. 109).

შესაბამის ადგილას ბერძნულ ბიბლიაში იკითხება *μυρμηξ*. ეს იგივეა, რაც *землеройка* — *Sorex araneus*. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ესაა მწერიჭამია ძუძუმწოვარა ცხოველი, რამელიც გარეგნულად წააგავს როგორც თაგვს, ასევე ქრცინს; აქვს გრძელი ულვაშები, მისი სხეული დაფარულია რბილი, ხავერდოვანი ბეწვით. ეს ცხოველი ძალზე სწრაფად მოძრაობს²⁷⁴.

ქართული სახელი თაგუ-ქურცინი ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს — *μυρμηξ*, სადაც *θ* *μ*ს ნიშნავს „თაგვს“, ხოლო *ξ* *γ*ძღუ ზოგადი სახელია წვრილი მტაცებელი ცხოველებთან (კვერნა, დედოფალა, ქრცინი).

დღეისათვის ქართულ ზოოლოგიურ ლიტერატურაში თაგუ-ქურცინის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „ჩვეულებრივი ბიგა“²⁷⁵.

²⁷³ И. К и л и ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

²⁷⁴ Жизнь животных по А. Брему, III, М., 1930, гл. 104.

²⁷⁵ არჩ. ჟ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 590.

მთხუნველი talpa

და ესეცა თქუენდა არაწმიდა არს ქუეწარმავალთაგანი, რომელნი ძურებთან ქუეყანასა ზედა: ქურცინი და თავგ... და მთხუნველი (ლვ. 11,30).

ხოლო დაშთომილნი მათნი ვითარცა მელნი იმალვოდეს დავითარცა მთხუნველნი ძურებოდეს მიწათა შინა (ცხ. თა-შარ. 339,33).

მთხუნველი (ახ. ქართ. თხუნელა) — ბრმა თავგია, მიწას ქვეშ ოხრის“ (საბა). მთხუნველის მნიშვნელობით მეგრულშია მუხვი და სვანურში მუჰ (რაც საერთო ფუძე ჩანს), ქანურში გვაქვს ემხუ. (წ. მარი).

აკად. ვ. თოფურია მთხუნველის -თხ-ძირს უკავშირებს საერთო ქართულურ -თხ-/-დღ- ზმნურ ძირს (შდრ. ქართ. თხრა, ზან. თხორუა, სვან. ლიშდღღი)²⁷⁶.

მთხუნველი თხუნვა ზმნიდან მ- და -ელ აფიქსებით ნაწარმოები მიმღობა უნდა იყოს. ახალი ქართულის თხუნელა-ში თავიკიდური მ- და ფუძისეული -ვ- დაკარგულია. რაც შეეხება -ა სუფიქსს, იგი შეიძლება მასუბსტანტივებელი აფიქსი იყოს.

მთხუნველი თავდაპირველად მსაზღვრელად გამოყენებული სახელი უნდა ყოფილიყო — „თავგ მთხუნველი“. მაგ. მსგავს ხარ შენ თავუთისა მის მთხუნველისა, რომელსა არა ასხენ თულნი და საყოფელნი მისი მიწასა ქუეშე არს (ქართ. ცხ. I, 130,16).

ჟანიხა თაგვ micromys agrarius

რაჟავს წუძის მძაფრიად სიცხესა, მყის ყანისა თავუთა მიერ აღვისის ქუეყანაჲ (ექ. ღღ. 105,16).

ყანისა თავგ თავგის გარკვეული სახეობაა. ამ სახელით ძველ ქართულში აღინიშნებოდა, ალბათ, ის ცხოველი, რომელიც დღეს ზოოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია micromys agrarius-ის სახელით. ეხ. იგივეა, რაც полевая мышь²⁷⁷.

ჟარღველი lepus

და, ჟურღველი, რამეთუ აღმოიკობნის..., არაწმიდა არს ესე თქუენდა (ლვ. 11,5).

²⁷⁶ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულურ ენებში, I კვ. 207.
²⁷⁷ Жизнь животных, т. III, გვ. 261.

...ფრიად შობენ ყურდგელნი, თხანი და არნნი ველურნი ტყუბთ-შობებელ არიან (ეჭ. დღ. 109,25).

...მთანი მალაღნი — ირემთა და კლდენი — შესავედრებელად ყურდგელთა (ფსალმ. 103,18).

...თითოეულმან თვისი ენაჲცა თვთნებებით და წადიერებით სრულებით გარე გამოუყო ძირით გარდასაკუეთელად, ვითარ სახედ მრავლისა სრბისა და სიცხისაგან წყურველმან ირემმან... ანუ კუალსა ყურდგლისა მღევარმან ძაღლმან (მაქს. აღმსრ. VIII, 30).

ყურდგელი ზანურში წარმოდგენილია ცურდგელ ფორმით. სვანურში ამ მნიშვნელობით გვხვდება რპჭყ/რეჭყ ფუძე.

ყურდგელი ყურ-გრძედიდან უნდა მომდინარეობდეს²⁷⁸ (შდრ. აღილ. თჰაიკიჰმჭჰ „კურდღელი“; თჰაიკიჰმ „ყური“, ჰჰ „გრძელ“)²⁷⁹.

ახალ ქართულში კურდღელ ფორმა გვაქვს (კ/ყ-ს მონაცვლეობისათვის შდრ. კივილი-ყოვილი, კაბალახი-ყაბალახი, ჭირკვალი-ჭირყვალი...).

შინაური ცხოველები

ძაღლი, მწეგარი, ლიკვ, ღორი, თაგვ

ძაღლი canis

ძლიერ არს და კეთილ ქარი... და მმადლობელ ძაღლი და სიყუარულისა მოქსენე (ეჭ. დღ. 106,4).

მცნობელ არს ძაღლი ეგე პირუტყვ (კიმ. I, 152, 18).

...ძაღლსა ოდეს კაცი შეპრისხნის, მუნთქუესვე ოდენ გარე განვიდის (მამ. სწ. 273, 17).

არა კეთილ არს მოლებად პური შევილთაგან და დაგებად ძაღლთა (მთ. 15, 26).

...ძაღლნიცა მოვიდოდეს და ქლოშნიდეს წყლულებათა მისთა (ლკ. 16, 21).

ძაღლნი არიან უძღებნი გულითა და არა იციან მძღრობაჲ (ეს. 56, 11).

რამ მშვდობაჲ არს აფთრისაჲ ძაღლისა თანა, ეგრეცა რამ მშვდობაჲ არს მდიდართაჲ გლახაკთა თანა (ისო ზირქ. 13, 18).

²⁷⁸ K. H. Schmidt, დასახელებული შრომა, გვ. 70.

²⁷⁹ გ. როგაეა, ფარინგალურ ხეულთა რიგისათვის ქართველურსა და აღიღურ ენებში, იკვ, I, 1946, გვ. 7.

ნუ მისცემ სიწმიდესა შენსა ძაღლსა, ღმერთო, რომელი
ყოველსავე მეცნიერ ხარ (მესუკ. 28,18).

კერპათავს დანაკლავი იგი ქორცი რომელიმე ძაღლთა
მიუბნიეს (მელასიპ. 332,56).

ქ ა ნ უ რ ი

...ქოთუმე დო მამული ბათუმიშენ მოვიყონით, ჟოღორო
დო კატუ — ჰემშინლულიშენ (ი. ყიფ. 3,15), „ქათამი და მამალი
ბათუმიდან მოგვყავს, ძაღლი და კატა — ჰემშინლულიდან“.

არ ოხოის არ მამული დო არ ჟოღოი ქორენ (ა. ჩიქ.
II,39,29), „ერთ სახლში ერთი მამალი და ერთი ძაღლია“.

მ ე გ რ უ ლ ი

გერიში შქურინაფალი ჟოღორქე წანა-მოწანასე ჩიკსე
ულალუა (ეგრ. 82,10), „მგლოს შეშინებულმა ძაღლმა მთელ წე-
ლიწადს ჩირკს უყეფაო“.

ს ვ ა ნ უ რ ი

...ჩენდო შეღს ხოდიდ ლემზგრალს... (სვ. ტექ. I,10,28),
„...შემდეგ ძაღლს დაუღებთ სალოცავ კვერებს“.

შელ შეღმი ტუფს მამ აცლგრე (მიელ. მას.), „ძაღლი ძა-
ღლის ტყავს არ ხევს (დახევს)“.

ზურალს შეღი მამ ზეკწდე (მიელ. მას), „ქალს ძაღ-
ლიც არ დაჰყეფს“.

ძაღლ ფუძის შესატყვისია მეგრულში ჟოღორი, ქანურში ჟო-
ღორი/ჟოღოი და სევანურში შეღ. ძირეულ მასალად სამსავე ქარ-
თველურ ენაში გამოიყოფა ძაღ/ჟოღ/-შეღ; -ლ/-აღ/-ორ დეტერ-
მინანტი სუფიქსებია²⁸⁰.

სევანურ შეღ ფუძეში კ. ჰ. შმიდტის აზრით ე მეორეულია,
იგი ა-დან მომდინარეობს²⁸¹.

ძაღლ/ჟოღორ ფუძეებში ლ/რ-ს მონაცვლეობის შესახებ აღ-
ნიშნულია, რომ ქართული ლ-ს ადგილას ზანურის სახელურ ფუ-
ძეებში გვხვდება რ ბგერა, განსხვავებით ზმნური ფუძეებისა, სა-

²⁸⁰ არნ. ჩ ი კ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 82.

²⁸¹ K. H. S c h m i d t, დასახელებული ნაშრომი, გვ. 28.

დაც ორსავე შემთხვევაში დატულია ლ თანხმოვანი. სახელურ ფუძეებში ლ > რ შედეგია ბრუნვის ნიშნისეული *o*- ხმოვნის გავლენისა პალატალიზაციის გზით²⁸².

ქართული ძაღლ და მეგრულ-ქანური ჯოდორ ტიპის ფუძეთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მეგრულ-ქანურში ჯოდორ, უშქურ, თოფურ... ფუძეებისათვის ამოსავალია არა *ძაღლ, *ვაშალ, *თაფალ..., არამედ ორმარცვლიანი სტრუქტურის (ძაღლ) ტიპის ფუძეები²⁸³.

რაც შეეხება ფუძის ბოლოკიდურ ლ/რ-ს მონაცვლეობას ქართულსა და მეგრულ-ქანურში, ვარაუდობენ, რომ „ლ-ს რ-ში გადასვლის ალბათობა მეგრულ-ქანურში მატულობს იმის მიხედვით, თუ რამდენად უახლოვდება ფონეტიკური თვალსაზრისით ლ-ს წინაპვალი ელემენტი თანხმოვნურ ელემენტს“²⁸⁴.

სვანურში თანხმოვნის მომდევნო უმარცვლო /ლ/ უმახვილო პოზიციაში გაუმარცვლოვდა და მოგვცა უმარცვლო /ლ/ ელემენტი, რომელიც თავის მხრივ უ-ში გადავიდა: ძაღლ > ჯაღლ > ჟეღუ. ამგვარად მიღებული ბოლოკიდური უ რიგ შემთხვევაში მოკვეცილია; ჟეღუ ფორმა თითქმის არ იხმარება. ჩვეულებრივია ჟელ, (შდრ. ქართ. მატლი, ზან: მუნტური, სვან. მგტ²⁸⁵).

თურქულში მეძებარი ძაღლის მნიშვნელობით ნახმარ *zağar* (ზაღარ) ფუძეს (აქედან ახ. ბერძ. ζαγάρ. ბულგ. *zagăr*, სერბ.-სორვატ. *zagar*) არ ეძებნება პარალელი სხვა თურქულ ენებში. ვარაუდობენ, რომ ეს ფუძე შეთვისებულია თურქულში სელჯუკების მიერ ზანჯრიდან²⁸⁶.

შენიშნულია აგრეთვე ისიც, რომ ირანული ჯგუფის ენებში დასტურდება ხმაბაძვითი ფუძე *zaq* (ძაღ), რაც „ყეფას“ ნიშნავს²⁸⁷.

²⁸² გ. როგავა, ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისათვის ქართველურ ენებში, საზოგ. მეცნ. განუ. შობაზე, 1962, № 1.

²⁸³ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 81.

²⁸⁴ იქვე, გვ. 79.

²⁸⁵ იქვე, გვ. 82.

²⁸⁶ В. М. Иллич-Свитыч, *Caucasica*, Этимология, М., 1964.

²⁸⁷ 336—337.

²⁸⁷ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, гв. 236.

მწეპარი canis grajus

...მერმე მწიგნობარი გამოირჩევს ერთსა ძალსა ბერძულ-
ლი უნდა თუ მწეპარი (გარიგ. 11,27).

მეგრული

ჩემი წეარ-მეძობარი ვაქიგეთხოვნო შხვას (ი. ყიფ.
14,4), „ჩემი მწეპარ-მეძებარი სხვას არ დაღევენებია“.

სევანური

შიჩა წეპარ-მეძებარდ ლობ ხაყლუნი, მალო ლოქ მამ ხაყ-
რის წეპარ-მეძებარს? (ლუშნ. ამბ. 56,23), „თავისი მწეპარ-
მეძებრებისა ეშინიო და აბა რა უნდა უყოს მწეპარ-მეძებრებ-
სო?“.

მწეპარი სახელად ქეული მიმღობა წევ-(მწეპარ; დაწეა)
ზმნური ფუძისა. მწეპარი გამოირჩევა გამბდარი და გრაციოზული
სხელით. აქვს არაჩვეულებრივად ზანვითარებული ჰმენა და მხედ-
ველობა.

მეგრულსა და სევანურში ეს ფუძე შეთვისებულია ქართული-
დან.

რაც შეეხება ბერძულს, ესეც ძალის ერთგვარი ჭიშია.

ლემკ catullus

გამობრწყინდა მზე სიპართლისაჲ... იხილეს იგი ლომთა და
ლექუთა ლომისათა... (მამ. სწ. 69,22).

მოიწინენ ვითარცა ლომნი და წარმოდგენ ვითარცა ლექუ-
ნი ლომთანი (ეს. 5,29).

ლექუნი ლომთანი ყურიედ ტაცებად და ითხოვენ ღმრთო-
საგან საზრდელსა მათსა (ფსალმ. 103,21).

და იყო ნეშტი იგი იაკობისი წარმართთა შორის... ვითარცა
ლექუნი ლომისანი შორის სამწყსოსა ცხოვართასა... (მიქია,
5,8).

...უკუეთუ მოსცის ლექუმიან ლომისამან კმაჲ თვსი ბუ-
დით გამო... (ამოს, 3,4).

ქ ა ნ უ რ ი

მორღერი ლაქი დუდი გაიღუ დო ოშკომუ კოჩი (ი. ყიფ. 77,7), „მოზრდირღმა ლეკვა თაეი გამოყო და კაცი შეკამა“.

მკაფუ (მკვაფუ) ულურტუ, უკარხე ლაქი ნაფუ (ი. ყიფ. 77,14), „ტურა მიდიოდა, უკან ლეკვი მისდევდა“.

მ ე გ რ უ ლ ი

ქიქე ცუცქა ნოცუნუე, თიშა ქაწუეყოთამგ თი ნაონთხალი დო თი ლაკვი თ მონკათ გინორთგმე (მ. ხუბ. 238,26), „პატარა „ცუცქა“ ჰყოლია, მისთვის წინ დაუგდია ის მეოთხელი და ის ლეკვის მაკედ გამხდარა“.

ს ვ ა ნ უ რ ი

...ციცი ი ფ ა კ ე ნ ა ქა ლონრღაშ ამი მკქაფუ შინე ხოხერა უდილდ (სვ. ტექ. I,76,22), „კატა და ლეკვი მისცეს ამის სანაცვლოდ თავიანთ უმცროს დას“.

ეშხუ თხერე იღგარი, მარე შერე ათას ფაკუნა სედნი (მივლ. მას.), „ერთი მგელი კვრება, მავრამ სხვა ათასი ლეკვი რჩება“.

უედლ ლანჩქრალოშუ კოკარ ფაკულარ აშიდ (მივლ. მას.), „ძალმა სიჩქარით ბრმა ლეკვები დაყარა“.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლების მიხედვით ლეკვ უპირატესად ლომის ნაშიერზე ითქმის. მხოლოდ თითო მაგალითი გვაქვს იმ შემთხვევათა საილუსტრაციოდ, როცა ლეკვ სხვა ცხოველის ნაშიერს გულისხმობს, მაგ.:

..უეუეაუ ძუსა ლომსა უყუარნ ნაშობნი თვსნი და მგელი იბრძვის ლეკუთა თვსთათვს, რაჲ თქუას კაცმან? (ექ. დღ. 108,14).

და ვეშაბთაცა განიძარცუნეს ძუძუნეი. აწოებდეს ლეკუთა მათთა (გოდ. იერ. 4, 5თ).

რუს აღორძნდიან ლეკუნი იგი, განტურიტნიან გუერდნი. დედისა თვისანი [ასპიტისანი] (სახ. სიტყ. 17,23).

საბას ლექსიკონში ლეკვ განმარტებულია როგორც „მკეცთა და ძალთა შვილი“. ახალ ქართულში ლეკვი ითქმის ძალის, მგლის, მელის, ტურისა და ვეფხის ნაშიერზე (ქგლ. IV).

ლეკვის შესატყვისია მეგრულში ლაკვი და ქანურში ლაქი/

ლაკი. ლაკ- ფუძისაგან ნაწარმოები ჩანს ლაკოტი, რომელიც ხო-
ცურში „ლეკს“ ნიშნავს²⁸⁸.

ქართულ ლევ-სა და ზანურ ლაკვი/ლაჭი ფუძეებს აკად.
ივ. ჭავჭავაძის უკავშირებდა ძალის ლეკვისა და საერთოდ გა-
რეულ ცხოველთა ნაშიერის აღმნიშვნელ სვანურ ფაქტსა ფუძეს²⁸⁹.

არის ცდა ლევ ფუძის დაკავშირებისა სვანურში კურდღლის
აღმნიშვნელ რაჭუ/რეჭუ ფუძესთან²⁹⁰.

კ. ჰ. შმიდტს შესაძლებლად მიაჩნია ლევის დაკავშირება
ლოკვა ზმნასთან²⁹¹.

ვარაუდობენ, რომ ზანური ლაკოტი შეთვისებულია სოჭურ-
ში იმავე მნიშვნელობით²⁹².

ლორი sus

ნუ მისცემთ ზიწმიდესა ჩემსა ძალთა და ნუცა დაუსხამთ წი-
ნაშე ლორთა, ნუუკუე დათრგუნონ (სინ. მრ. 78,34).

ჭურიასა სძულს ლორი და იგი უფლიდეს მისსა არს (მამ.
სწ. 148,7).

მუხამ რამმე, რტო ნაყოფსა ლიწმარისასა საზრდელსა ლორ-
თასა მომღებელ იყო (ხრონღრ. 75,27).

დღესა შინა ერთსა ბწყსიდა: იგი ; ლორთა. (ლიმნ. 43, 22).

და იყო მუნ კოლტი ლორთა და დიდძალი, მთასა გარე მძო-
ვარი (მრ. 5,11).

ოვნებნ განძღება მოკლოსად კერატთა მათგან, რლსა, კა-
მელ ლორნი. (ქადგ. 35,513).

და ლორი, რამეთუ განპებულ არს კლაკი მისი... არა წმინ-
და არს თქუენდა (ლვ. 11,7).

და ვიარები მე ლორთა თნა ღნიოშთა და მოსაწყინელ-
თა... (გალობ. მინჩხ. 163,40).

ქ ა ნ უ რ ი

ღეჭი დოკაფუ ოქკომუ. ჰაწი მა. აპკომისენ! (ი. ყიფ.
37,25), „ლორი და ტურა შექამა, აწი მე შექამს“.

²⁸⁸ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 85.

²⁸⁹ ივ. ჭ ა ვ ა ძ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური..., გვ. 197.

²⁹⁰ მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969, გვ. 84.

²⁹¹ K. H. Schmidt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 121.

²⁹² ლ. ა ნ ა ი ხ ა ნ, ჯაყხეხნ ზარმანისაჲს ნაწარმი. ტ. III, გვ.

ექ წალებლო დეჯი ყვილუბტენან (ა. ჩიქ. II, 14, 15), „იქ. ქვემოთ, ღორს კლავდნენ თურმე“.

მ ე გ რ უ ლ ი

დემქა ქიგეულუ: ართი ირემი, ართი სქვეერი, ართი დეჯი ი ართი ყურდღელი (ცგრ. 35, 18). „დევმა დაუღო: ერთი ირემი, ერთი მშველი, ერთი ღორი და ერთი კურდღელი“.

სუმიში ჰეტი თე დეჯეფი არძო დააზლოდე... (ცგრ. 45, 4), „სამის გარდა ყველა ღორი დახოცე“.

„ღორი — ღორსა მამალსა ეწოდების უ შკ და დედალსა ქუბი, შკლთა მათთა თელი და გოჭი“ (საბა).

ღორ ფუძიდან ნაწარმოები მე-ღორ-ე შეგვხვდა ოთხთაეში. მაგ.:

DE

ხოლო მწყემსნი იგი
ივლტოდეს ქალაქად
(მთ. 8, 33)

C

ხოლო მეღორენი იგი
ივლტოდეს ქალაქად
(მთ. 8, 33)

ღორ ფუძის შესატყვისია მეგრულსა და ქანურში დეჯი. -ორ/ -ეჯ დეტერმინანტი სუფიქსებია²⁹³.

...ღორ/დეჯ ფუძეთა განხილვისას კ. შ. შმიდტი შენიშნავს, რომ ზანური ე ხმოვანი უნდა მომდინარეობდეს ო-დან და გავლენით (იქარაუდება ბრუნვისნიშნისეული ხმოვანი)²⁹⁴.

ახალ ქართულში „ეშვის, კბილის“ მნიშვნელობით ნახმარ ღორ/დეჯ ფუძეს გ. კლიმოვი ზანიშმად თვლის²⁹⁵, ხოლო ფ. ნაისერის აზრით რ/ჟ მონაცვლეობა დასტურდება საკუთრივ ქართულში. მაგალითისათვის იგი ასახელებს სწორედ ღორ/ღოჯ ფუძეებს²⁹⁶.

ზანურ დეჯს აკად. ნ. შარი უკავშირებდა სომხურში მამალი ღორის, ტახს აღმნიშვნელ ყჩხა/ყჩხა ფუძეს. ამგვარ დაკავშირებას შესაძლებლად მიიჩნევს ცრ. ლაფანციანი²⁹⁷.

...არის ცდა ღორ ფუძეს დაკავშირებისა ინდო-ევროპულ ფუ-

²⁹³ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 82.
²⁹⁴ K. H. Schmidt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139; იხ. აგრეთვე თ. გამყრელიძე, გ. მ. კ. ა. ჯ. დ. ა. ნ. სონანტა სისტემა..., გვ. 167.
²⁹⁵ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 205.
²⁹⁶ F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden 1953, გვ. 44.
²⁹⁷ Гр. Капанця и, О взаимоотношении..., გვ. 22.

ძებთან: საერთო-ინდო-ევროპული ოხორიო, აქედან, ბერძნული ოხორიო, გერმანული ოხორი ან ოხორიო უ²⁹⁸.

ქართველურ ენებს ნოსტრატულ ენათა ჯგუფში აერთიანებენ. ამ ენებისათვის საერთო ლექსიკურ ფონდში ღორ ფუძეც ივარაუდება²⁹⁹.

სვანურში ღორ ფუძე არ ჩანს. ამ მნიშვნელობით იქ დასტურდება ზამ. ამ უკანასკნელს უკავშირებენ აფხაზურ-ადიღეურ ენობრივ სამყაროს³⁰⁰.

თაგვ mus

და საძაგელებანი იგი და თაგვ ერთბამად მოიკოცნენ... (ეს. 66,17).

და განზრავლდა მათ ზედა თაგვ (მფ. I,5,6).

და ესეცა თქუენდა არაწმიდა არს ქუეწარმავალთაგანი, რომელნი ძურებიან ქვეყანასა ზედა: ქურცინი, და თაგვ და ხუთქი... (ლვ. 11,29).

და ვითარ მოჰხედნა, იხილნა ორნი თაგუნნი, ერთი თეთრი და ერთი შავი (ბალერ. 14,1).

გარნა ივინი ეჩუენებოდეს მას ვითარ ღრიანკალნი და ვითარ გუელნი, და ვითარცა თაგუნნი, და კუთაებრ მძრომალეობდეს... (იოან. 263,6).

...ვითარცა თაგუნთა მოსრვიდეს და ვითარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა (უხ. თამარ. 341,6).

...ეგრეთცა ცხოველთა აგებულეებასა შინა არა უმეტეს მიკვრს მე სიდიდე იგი პილოჟსაჲ, არამედ თაგვსათვისცა, რომელი იგი საშინელ არს პილოჟსა (ექ. დღ. 111,23).

ქანურთ.

მთუ გიქ დიდო იღუშუნუ (ა. ჩიქ. I,2,24), „თაგვმაც ბევრი იფიქრა“.

ქატუ მთუჲ კოფუჲ (ა. ჩიქ. II,113,18), „ქატა თაგვს იჭერს“.

²⁹⁸ გ მ ე ლ ი კ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და შავლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 210.

²⁹⁹ В. М. Иллич-Свитыч, Материалы к сравнительному словарю, 33-363.

³⁰⁰ ს. ყ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხედვრება, შრ., ტ. III, თბ., 1959, გვ. 110—111.

ს ვ ა ნ უ რ ი

ერგნ ხოჩა ეჭა ირი, შ დ ლ უ გ უ ლ ს ლაყელა ხოგგდა, ციციულ მგლჩად ხაყენა (ლუმ. აშბ. 84,16), „იმაზე უკეთესი ის იქნება, თავუნჳს ყველის ამოსაყვანი ეღვას და კატა (ციციუნია) ღარაჩად ჰყავდეს“.

შ დ ლ უ გ უ ლ რ ა ჰ ქ ე ე: ციციულ ხომა ბგვი ნადირ ღემე შრი (ვივლ. მას.), „თაგვმა თქვა; კატაზე ძლიერი ნადირი არ მოიპოვე-ბაო“.

ქართული თავუ ფუძის შესატყვისია ქანური მთუგი/მთუი. მეგრულში ეს ფუძე არ ჩანს. ამ მნიშვნელობით იქ ჰუკი დასტურდება³⁰¹. სვანურში თავუ წარმოდგენილია შდლუგუ ფორმით.

ქანურში მოსალოდნელი *თოგვის ნაცვლად (ქართ. ა- ზან. ო) გეაქვს მთუგი; ფუძისწული ო > უ-ში ვ/უ-ს გავლენით. მ- ფონეტიკური დანართია. ასეთივე უითარებაა სვანურშიც შდლუგუ < შდაგუ ბოლოკიდური უ-ს გავლენით. ქართულ-ზანური თ ბგერის შესატყვისად სვანურში მიჩნეულია -შდ- კომპლექსი³⁰².

რადგან ქართულ-ზანური -თ- სვანურში შესატყვისად გვაძლევს -შდ-ს, ვარაუდობენ, რომ ამოსავალში ქართულში უნდა გვექონოდა -*ხ,თ- კომპლექსი, ე. ი. შდაგუ > შდლუგუ ფორმა უნდა მიგვეღო *ს,თავუ ფორმიდან³⁰³.

რაც შეეხება თავვის აღმნიშვნელ მეგრ. ჰუკი ფორმას, შენიშნულია, რომ ესაა მეგრულ-ქანური თუგის ექსპრესიული ვარიანტი, რომელიც არტიკულაციის ცვლის შედეგად გამოიზატა³⁰⁴.

ქ უ ე წ ა რ მ ა ვ ა ლ ნ ი

ქუეწარმავალი/ქუეწარმარომელი/ქუეწარმარომი/ქუემარომელი, გუელი, გუელის შბრძოლი, გუელი მფრინვალე, მსუენი, მსუენლომი, მხულივი/მხულიკი, ჭინჭველ-ლომი/ლომ-ჭინჭველი, ღრიაკალი/ღრიაწკალი, ჭარბი

ქუეწარმავალი/ქუეწარმარომელი/ქუეწარმარომი/ქუემარომელი

და ყოველივე ქუეწარმავალი, რომელი ძურებზს პირსა ზედა ქუეყანისასა, საძაგელ არს ესე თქუნდა (ლვ. 11,41).

³⁰¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 91.

³⁰² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი..., 1, გვ. 201.

³⁰³ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა..., გვ.

³⁰⁴ K. H. S c h m i d t, დასახელებული შრომა, გვ. 112.

იხილა ქვენი... ურწყული, სავსე მკეცთა ბიერ და ქუეწარ-
მავალთა გესლიანთა (შიო, 92,15).

...მთაჲ... სავსე იყო მკეცითა და ქუეწარმავალითა
წამლეანითა (ციმ. I, 247,6).

...ბუნებაჲ მთი და პირუტყუთა და ქუეწარმავალთაჲ
ერთ არს და არარას ხედვენ შემდგომად მიცვალებისა მთისა ამიერ
სოფლით (იგნატ. 176,29).

და წყალთა შინა თევზთა თითოფერთა ბუნებაჲ და მკეცთა
თითოპირთა და ფრთოვანთაჲ და ქუეწარმავალთაჲ ური-
ცხვ ყო ნათესავი და ქუეყანასა ზედა განაჩინნა იგინი ყოფად (მე-
ლასიბ. 330,34).

გუელი იგი ჯარბი, რომელ არს უძკრეს ყოველთა ქუ-
ემძრომელთა, შეემთხვის გუელსა ზღვსასა... (ექ. დღ. უძკ-
რელ. 104,7).

ქუეწარმავალი ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ზოგადი სახე-
ლია ხერხემლიან ცხოველთა გარკვეული კლასისა, რომლებიც მი-
წახე ხოხვით გადაადგილდებიან.

ქუეწარმავალის მნიშვნელობით ტექსტებში გვხვდება აგრეთვე:
ქუეწარმძრომი, ქუემძრომელი, ქუეწარმძრომელი, ქუემძრომი. ეს
ფუძეები ზოგჯერ ხმარება გადატანითი მნიშვნელობით აღამიანე-
ბის მიმართაც. მაგ. ...ჰყვანდა მათ თანა მკელობლები და ბრძები,
ყრუნი და ქუეწარმძრომელნი... (მთ. 15,30).

ქუეწარმავალი იგულისხმება აგრეთვე გამოთქმაში „რომელი
ვალს მუცლით“, მაგ. ყოველი, რომელი ვალს მუცლით,
არა შუამოთ იგი, რამეთუ საძაგელ არს (ლვ. 11,42).

ქუეწარმავალთა ანუ მუცლით მავალთა აღმნიშვნელი ზოგადი
სახელი ზანურში თითქოს არა ჩანს. სვანურში ამ მნიშვნელობით
გვხვდება მეზული (ბ. ზ.), მუზული (ლშხ. „მხოხავი, „მძრომელი“.

ტექსტების მიხედვით გარჩეულია: ქუეწარმავალი კმელისაჲ და
ქუეწარმავალი წყლისაჲ. (მსჯელობა წყლის ქუეწარმავალთა შესა-
ხებ იხ. გვ. 172—173).

გუელი anguis

გუელი გულარძნილ არს და მრავალფერ; ამისთვისა დაესა-
ჯა მას, რამეთა ცურვიდეს მკრდითა თვისითა (ექ. დღ. 84,36).

ცემამან გუელი სამან ყვის წყლულებაჲ ხ. გუემამან ენი-
სამან შემუსრის ძუალები (ისო ზირქ., 28,19).

გუელი ქურელსა იწროსა შველს და განიძარცუავს სიბერესა... (სინ. შრ. 86,87).

გუელმან ვნებაჲ თულთაჲ განიკურნის, ძოვის რაჲ კამაჲ (ქვ. აღ. 106,27).

შენ გჳულს მცირე გუელი და შინაგან შენსა დამკვრებულს არს დიდი ვეშაპი (მამ. სწ. 148,13).

აჲ ესერა მიგვე თქუნენ ქელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა (ს. ლ. 10,19).

სახის-შეტყუელმან თქუა ირმისაჲ ვ'დ ჭეკმა მტერ არს გუელისა (სახ. სიტყ. 42,5).

ქ ა ნ უ რ ი

...ჲა მგვერი მოხთუ ღო ბოზომოთა ოკოფუ, დვოშქილუ (ა. ჩიქ. II, 138,21), „...ერთი გველი მოვიდა და ქალიშვილი დაიპირა, დაახრჩო“.

მ ე გ რ უ ლ ი

გუერი ირი დღასი თითო ხვითოსჲ უსქენდგ (ცგრ. 4;8), „გველი თითო ძვირფას ქვას დებდა ყოველ დღე“.

ს ვ ა ნ უ რ ი

უიჯ ქამენზან ლი კვრელ ი მარე — სგამენზან (მიელ. მას.), „გველი გარედან არის კრელი, ადამიანი კი — შიგნიდან“.

უიჯ დ კჳნ (ტუფ) ქჳდილე, მარე გუი უიჯიშ ლზხად (მიელ. მას.), „გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩა“.

„გველ ფუძის შესატყვისია მეგრულში გვ-ერ-ი, კანურში მ-გვერ-ი და სევანურში შიჯუ/უიჯ. მ-ფონეტიკური დანართია, -ელ/-ერ- დეტერმინანტი. სუფიქსებია³⁰⁵. ძირეული გ-ს შესატყვისად მეგრულ-კანურში გვაქვს გ, ხოლო სევანურში — ჯ³⁰⁶“.

ქ. ჰ. შვიდტის აზრით ქართ. გვ-ს შესატყვისია სევან. -ჯვ-რაც შეეხება მ-ვ-ს, იგი შეიძლება პრეფიქსად ჩაითვალოს სევანურში.

³⁰⁵ არნ. ჩ. ო. ბ. ა. ვ. ა., შედარებითი ლექსიკონი, გვ. 117.

³⁰⁶ ქ. თ. ლ. ყ. უ. რ. ი. ა., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, გვ. 203.

თავიკიდური მ- ქანურში არაა ძირეულ მასალად მიჩნეული. რ/ლ-ს მონაცვლეობა კი ჩვეულებრივია ქართველურ ენებში³⁰⁷.

გველი ერთ-ერთი იმ ცხოველთაგანია, რომლის სახელის წარმოქმნას ადამიანი გაუბრბის და ცვლის მას სხვა სახელით. — სწორად რომელიმე ეპითეტით. ამგვარ აკრძალვას საფუძვლად უდევს ადამიანთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები³⁰⁸.

ქართულში გველ ფუძის სინონიმებია: მცურავი (ქართ. კახ. ქიზ.)³⁰⁹, უბუნებელი/უხახელი (გურ.), უნახი/შავრეში. (რაკ.)³¹⁰, სურიელი (ხევს.)³¹¹; იმავე ხევაურულში გველს ხატის ენაზე მუცლით მქანავი ეწოდება³¹².

მეგრულში გველის მნიშვნელობით გამოყენებულია: უჩა-ღარ-თამი „შავ-ჩოხიანი“, თუღო გიღესარგალუნი „ქუემეტრევი“³¹³.

გუელის მბრძოლი

და ესე არს მათგანი, რომელი არა შუამოთ: ბუზი და მსგავსი მისი... გუელის მბრძოლი და მსგავსი მისი. (ლვ. 11,22).

ეს სახელი მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში.

„გუელის მბრძოლი — ანკარას უმცროსი, თავი მოშორებებით აბია, წვრილი კისერი აქუს“ — განმარტავს სავა. ნ. ჩუბინაშვილი იმეორებს საბასეულ ახსნას და ამასთან გვაძლევს ამ ქვეწარმავლის რუსულ სახელწოდებას — оѣиомах.

ბერძნულ ბიბლიაში შესაბამის ადგილას იკითხება შფც-მძ-ჯენ, სადაც ბ შფც ნიშნავს „გველს“, ხოლო მძჯუ- „ბრძოლას“.

ქართული ტერმინი გუელის მბრძოლი ბერძნულის თარგმანია.

³⁰⁷ K. H. Schmidt დასახლებული ნაშრომი, გვ. 101.

³⁰⁸ Л. К. Зеленин, Табу слов у народов восточной Европы и северной Азии, Часть I; Сборник музея антропологии и этнографии, т. VIII, 1929 гв. I—144.

³⁰⁹ ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1960.

³¹⁰ შ. ძიძიგური, ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან; თბ., 1954.

³¹¹ მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 111, თბ., 1943, გვ. 109.

³¹² თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954.

³¹³ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1910, გვ. 0145.

გუელი მფრინვალე draco volans

...რ თესლისაგან გუელთაჲსა გამოკლენ ნაშობნი ასპიტთანი და ნაშობთა მათთაგან გამოვიდენ გუელნი მფრინვეალენი (ეს. 14,29).

გუელი მფრინვალე ლექსიკონებში არაა განმარტებული. შესაბამის ადგილას რუსულ ბიბლიაში იკითხება летучий дракон, ლათინურში serpent და ბერძნულში ზჲყჲ κερμειοι.

ქართული ტერმინი ბერძნულის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს (ბ ზჲყჲ „გველი“, κερμειο „ფრენა“).

ლათინური serpent ლექსიკონში ახსნილია როგორც „ქვეწარმავალი, ცხოველი, გველი“ (пресмыкающийся, животное, змея).

ფრენის უნარის მქონე გველი სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არაა თუ რუსულ ბიბლიაში დადასტურებულ летучий дракон-ის მიხედვით ვიმსჯელებთ, გუელი მფრინვალე უნდა იყოს ხელოყის ფარკვეული სახეობა. იგი ჩვეულებრივ ხეზე ბინადრობს. დანარჩენ ქვეწარმავალთაგან იმით გამოირჩევა, რომ აქვს საფრენი მოწყობილობა გვერდებზე. ესაა რამდენიმე წყვილი ნეკნისებური გამონაზარდი, რომლებიც ერთმანეთთან კანის საშუალებითაა გადაერთებული. უძრავ მდგომარეობაში ეს ნეკნისებური გამონაზარდები სხეულს მკიდროდ ეკვრის; ფრენის დროს კი გამონაზარდებს შორის მოთავსებული კანი იჭიმება და ეს ქმნის სწორედ ფრთების შთაბეჭდილებას; აქედან წარმოდგება მისი სახელი მფრინვალე.

სპეციალურ ლიტერატურაში ხელოყის ეს სახეობა ცნობილია draco volans-ის სახელით³¹⁴ (volo, volatus „ფრენა“).

მსუენი Fremias velox

და ესეცა თქუენდა არაწმიდა არს... მხულოვი და მქუენი... (ლვ. 11,30).

არს რნი იწოდების მსუენი შზარისაჲ... რქს დამდენის და მოაკლდის თუალთა მისთა და დაბრმის... რაჲმე ზაკუვაჲ იძმაკეს (სახ. სიტყ. 1,1).

არს სხუაჲ მქეცი ნილოს მდინარესა მწავის მსგავს არს და მტერ არს კორკოდინოს მძვნვარისა რნი იგი ხატად მსუენის მსგავს არს (იქვე, 36,5).

³¹⁴ Жизнь животных. т. III, М.—Л., 1939, гл. 615.

მსუენი საბასთან მსუტნი ფორმით გვხვდება განმარტების გა-
რეშე. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით „მსუენი ხელიკის
მსგავსია—шар, шарниа“.

მსუენი შველა ფორმით გვაქვს მეგრულში; სენური შუალ
მეგრულ ფორმას იმეორებს. მსუენი თუშურში²¹⁵ გვხვდება ფსევ-
ნი და იმერულში ფსვენა ფორმით (შდრ. გაფსვენული „მოუე-
ლელობით ან ავადმყოფობისაგან გამხდარი და გაყვითლებული
ბავშვი“) ²¹⁶.

ძველ ქართულში დადასტურებული მსუენი²¹⁷ იგივე უნდა
ყოს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში მარდი ფხენის (Fremias
velox) სახელწოდებით ცნობილი ქვეწარმავალი. სხვა ბლოკე-
ბისაგან განსხვავდება კანის შეფერილობითა და ქერცლის განლა-
გებით. საქართველოში გავრცელებულია ქართლისა და კახეთის
ველებზე²¹⁸.

მსუენ-ლომეо chamaeleon vulgaris

და ძოვდენ შორის მისსა სამწყსონი და ყოველნი მკეცინი ქუე-
ყანისანი და მსუენ-ლომნი და გრძლადნი (სოფ. 2,14).

და ესეცა თქუენდა არაწმიდა არს: ...თაგუ-ქურცინი და მსუ-
ენ-ლომნი და მხულივი... (ლვ. 11,30).

მსუენ-ლომის საბასეული განმარტება, როგორც უკვე აღე-
ნეწნეთ (იხ. გვ. 94), მცდარია. ნ. ჩუბინაშვილთან ვკითხულობთ:
„მსუენ-ლომი-ისავრო, მიწის ლომი, ჯოჯოს ჰგავს და რასაც ფერს
შეხედავს, იმფრად იხილება — хамелеон“.

მსუენ-ლომის სინონიმებად ლექსიკონებში გვხვდება: მიწის-
ლომი, ისავრო/ისავრაჲ. მაგ.: სალამანდროჲ ცხოველი არს სწო-
რი ის ავრაჲსაჲ სიდიდითა გინა თუ მცირისა კორკოდილო-
ჲსა (ელა ზღაპ. 11,10).

მიწის-ლომი იგივეა, რაც ბერძნული ბ ოამαίλεα (ოამა „მი-
წა“ ბ ლეა „ლომი“).

²¹⁵ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

²¹⁶ ივ.ქაეთაძე, იმერული ლექსიკონი; ქართველურ ენათა სტრუქტურის
საკითხები, III, თბ., 1962, გვ. 127, 151.

²¹⁷ აკად. ნ. მარი მსუენ-ს უკავშირებდა ხელიკის აღმნიშვნელ სომეხურ მსოი
ფუძეს. იხ. Физниолог, иадал Н. Я. М а р р, Т. Р. ии. VI, СПб., 1904,

გვ. 51.

²¹⁸ არჩ. ქანაშვილი, ბერძენულიანთა ზოოლოგია, გვ. 303.

ძველ, ძველებში დადასტურებული სახელი მსუნ-ლოში საინტერესოა იმ მხრივ, რომ ეს ტერმინი ზუსტად მიგვანიშნებს იმაზე, თუ ცხოველთა რომელ კლასს განეკუთვნება მსუნ-ლოში.

ამ სახელით ძველ ქართულში აღინიშნებოდა ის ქვეწარმავალი, რომელსაც დღეს სპეციალურ ლიტერატურაში ქაშელეონს უწოდებენ.

მხულივი/ახალივი lazerta

და ესეცა თქუნდა არაწმიდა არს... თაგუ-ქურცინი და მხულივი (ლვ. 11,30).

მხულივი ქელითა ემტყიცებინ კლდესა დაღათუ აღვილად შესაყრობელ არს (ივ. სოლ. 30,28).

საბას ლექსიკონში არაფერია ნათქვამი ამ ფუძესთან დაკავშირებით. ნ. ჩუბინაშვილთან მხულივი იგივეა, რაც ბერძნული $\chi\alpha\lambda\alpha\iota\tau\eta\varsigma$.

ხელიკის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება ხვილარი/ხვიარი/ხველარი/ხოლარი³¹⁰. ქანურში გვაქვს ხოლურა³²⁰. სენსურში ამ მნიშვნელობით შტალ ფუძეა გამოყენებული.

ქართულ-ზანურ ფუძეთა დაკავშირებას, ძნელად, მაგრამ მაინც შესაძლებლად მიიჩნევს გ. კლიმოვი³²¹.

ჯინჯველ-ლოში/ლომ-ჯინჯველი murmeleon

ჯინჯველ-ლოში მოიხსოვრება, რამეთუ არა იყო მისა საზრდელი (იბ. 4,11).

ჯინჯველ-ლომ მან გამოჟდის ორთაგანვე მკვდრი, ზოგი ლომისაჲ არნ ხატით და ზოგი ჯინჯველისაჲ (სახ. სიტყ. 31,10).

სახის-მეტყუელმან თქუა ლომ-ჯინჯველისაჲ რამამისაჲ პირი ლომისაჲ არს და დედისაჲ ჯინჯველისაჲ. მამა იგი მძორის მკამელ არს და დედაჲ თვის მკამელ (იქვე, 31,5).

„ჯინჯველლოში — აფრიკის მკეცია ერთი, ვითა ლომი და მკეცი მძვნეარე“ (საბა). „ჯინჯველლოში — მსუნელოში, мравонен“ (ნ. ჩუბ.).

შესაბამის ადგილას ბერძნულ ბიბლიაში იკითხება $\mu\sigma\rho\mu\eta\chi\omicron\lambda\epsilon$.

³¹⁰ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

³²⁰ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь.

³²¹ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков.

ავ, ხოლო, „სახის სიტყუა“-ს სომხურ ტექსტში გვაქვს *მრეზა-
სქამ* ქართული ტერმინი ბერძნულ-სომხურის თარგმანია...

ტექსტებისა და განმარტებების მიხედვით ჭინჭველ-ლოში ნახევრად ლომისა და ნახევრად ჭინჭველის მსგავსი ცხოველია; ამ სახელს მქონე ცხოველი სპეციალურ ლიტერატურაში, ვერ დაუდასტურეთ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოოლოგიაში ჭინჭველ-ლომის (რუს. муравейный лев, ლათ. myrmeleon ან myrmecoleon) სახელწოდებით ცნობილ შწერს, რომელიც განეკუთვნება შწერთა ბადეფრთიანების რიგს—Neuroptera³²²).

ვ. პაპეს ლექსიკონში *μαρμυρολέων* განმარტებულია როგორც გაურკვეველი სახეობის ლომი³²³. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნულში ჭინჭველას აღმნიშვნელ ფუძეს *ბ* *μαρμυρ*— აქვს მეორე მნიშვნელობაც — ესაა მტაცებელი ცხოველის ჩვენთვის უცნობი სახეობა, რომელიც ინდოეთში ყოფილა გავრცელებული³²⁴.

ღრიანალი/ღრიანალი scorpionum

ღ რ ი ა კ ა ლ ს ა შნა შობილისათვის იტყვან, ვითარმედ მკენარ არს იგი მსგავსად მკეცისა მის (ექ. ღლ. 81,4).

შენ მოკლავ ღ რ ი ა კ ა ლ ს ა და ენამ შენი უბოროტეს ღ რ ი ა კ ა ლ ს ა კბენს (მამ. სწ. 148,14).

დასარგუნვიდენ იგინი... გუელთა და ღ რ ი ა ნ კ ა ლ თ ა (კიმ. I, 237,36).

ვეშანი და ასპიტნი და ღ რ ი ა კ ა ლ ნ ი უდაბნოსა ზედა იოვანჭსათეს ძწოდეს (სინ. მრ. 213,17).

მიეც ქელმწიფებაჲ შწუფთა შნთა დათრგუნვად გუელთა და ღ რ ი ა კ ა ლ თ ა. (საბა ასურთ, 196,30).

ღრიაკალი საბასთან ღრიანკალი ფორმით გვხვდება. „ღრიანკალი — მორიელი, скорпион“ (ნ. ჩუბ.).

ღრიაკალი იგივე მორიელი — ობობახებრთა კლასის წარმომადგენელი შხამიანი ფეხსახსრიანი ქვეწარმავალია.

ახალ ქართულში მხოლოდ მორიელ ფუძე გვხვდება.

³²² Жизнь животных по А. Бремю, т. III, СПб. 1903, გვ. 701—702.

³²³ Dr. W. Pape's Griechisch—deutsch Handwörterbuch, Braunschweig, 1888.

³²⁴ Древнегреческо-русский словарь.

ჯარბი/ჯირბი elaps

არა განუზოროტნეთ და ვიქმნნეთ ვითარცა ჟარბნი წამ-
ლეანნი და ძკრი დაემიარხოთ გულთა შინა ჩუენთა (მამ. სწ.
268,13).

...გუელი იგი ჟარბი წვა გუერდით მისა განუშორებე-
ლად (პანტ. 52,37).

გუელი იგი ჟარბი, რომელ არს უძკრეს ყოველთა ქუ-
ემძრომელთა, შეემთხვის გუელსა ზღვსასა, რომელსა პრქევან სმო-
რენა (ექ. დღ. უძგ. რედ. 104,6).

ჟარბმან მან წარმოხთხიის ცესლი თვისი პატივისათვის ქორ-
წილისა (იქვე, 104,18).

...მტერნი იგი შევიდოდეს გულის-წყრომითა დიდითა... და ვი-
თარცა ლომნი იზახდეს და ვითარცა ჟირბნი იქედნენი ისტ-
კნვიდეს (წარტყუნ. ივ,10).

„ჯარბი — მძენვარე ასპიტი“ (საბა). „ჯარბი — ასპიტი“ (ნ. ჩუბ.).
მაგალითებიდან ირკვევა, რომ ჟარბი შხამიანი გველის გარკვეუ-
ლი სახეობაა, რომლის კბენაც მომაკვდინებელია ადამიანისათვის.
ჟარბი იგივე ასპიტი უნდა იყოს — elaps.

ჟარბ ფუძიდან ნაწარმოები გულჯარბობა ფხვდება, მაგ.: გუ-
ლი სისხლით აეჭოს და ტუინი მისი გულჯარბობისა კუ-
ამლისაგან დულდა (ეისრ. 152,28).

ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა

ბაგა, ბაკი, ბერწი, ბოლო, ბოსელი ბულე/დაბულდება, გულა,
თხიერი/თხიერაკი, იქუანჩი, კირი, კული, მაკე, მატყლო, მრავალ-
ურჩხი, ნიკელი, ნიჩური, რქა (რქენა, რქოსან, მრქენელი),
ხაურველი, ხაფური, ტიკი, ფრთე, ფუშნიერი, ქეცი, ქიმი, ქუსები,
ცმელი, შუანი/შუვანი, ძუა/საძუე, ჳიმი

ბაბა

ხლდებოდეს დიაკეულნი ბაგათა მათთა ზედა (იოველ,
1,17).

სადა არა არიან კარნი მუნ ბაგანი წმიდა არიან (იგ. სოლ.
14,4).

გამოხვდეთ და ხლდებოდეთ ვითარცა კბონი ბაგათაგან
განტეებულნი (მალაქია, 4,2).

მოაკლდეს საკმელთაგან ცხოვარნი და კარნი არა არიან ბაგა-
თა (ამბაჯუბ, 3,17).

არა აქუნდა ცბედარი, არცა სარეელი, არამედ ჯმელსა შინა ბაგასა დაერლომილ არს (სინ. მრ. 38,1).

პროთ იგი შეხოვეოკლი და მწოლარ^მ ბაგასა მარიაშის თანა დედისა თვისისა (კიმ. I, 187,6).

„ბაგა — ესე არს პირუტყუთა საზრდელთა დასადებელი ადგილი. ბაგად ითქმის ახალი ვენაკი“ (საბა). „ბაგა — გომურთა შინა კედელს წინ მიშენებული ადგილი დაბმულთა ხვასტავთა საკმლის ჩასადებად, ЯСЛИ“ (ნ. ჩუბ.).

ახალ ქართულშიც ბაგა საყვების ჩასაყრელია დაბმული პირუტყვისათვის. ამ ფუძის სინონიმებია: ხანაყრე (მთიულ.), ხაპირე (იმერ.), პირის ბაგა (გურ.) (ქგლ. I).

ბაგა ფუძის მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს ბოგა — пол загона, хлева, дощатый мостик³²⁵. ქანურში ბოგა — загон для овец и коз³²⁶.

ბაგა/ბოგა საერთო ფუძეა ქართულ-ზანურისათვის; ხმოვანთა შესატყვისობა ფუძეში (ა-ო) და იდენტურობა აფიქსებში (ა-ა) კანონზომიერია მოცემული ენებისათვის. ლაშხურში ხმარებული ბაგა ფუძე შეთვისებულია ქართულიდან; ამასვე ვერ ვიტყვით სვანურის ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ ბაგ ფუძის შესახებ, — ასკვნის ვ. კლიმოვი³²⁷.

ბაგა საერთო-ქართველური ფუძეა და მისი არსებობა სვანურშიც ამით უნდა აიხსნებოდეს.

აკად. ივ. ჭავჭავაძის ცნობით ბაგა თავდაპირველად შემოლობილი, შემოზღუდული ადგილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო; შდრ. ბაგე, რომელიც პირსა და ნაპირს ნიშნავს ახლაც. სწორედ ამ ნიშანმა განაპირობა ამ სიტყვის თითქოსდა ორი განსხვავებული მნიშვნელობით ხმარება³²⁸.

ბაპი

რ^ნ დასდეე ს^{ლი} შ^ი ცხოვართა შენათოც რ^ა განაბნინე მგელნი მტაცებელნი რ^ა აღუმშნო მათ ბაკი მკეტო-შეუვალი (კიმ. I, 121, 11).

ვითარ მგელი რაჲ შექდის ბაკსა ცხოვართასა..., ეგრეცა

³²⁵ И. Кишидзе, Мингрельско-русский словарь.

³²⁶ Н. Я. Мэрр, Чанско-русский словарь.

³²⁷ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 48.

³²⁸ ივ. ჭავჭავაძის ცნობილი, საქ. ეკ. ისტორია, II, თბ., 1934, გვ. 312—313.

მან ურჩულომან მოსრნა ესე ახალნერგი ქრისტესანი (ქრისტე. XI, 25).

ხოლო იქმნა რაჲ შედის წლის, თესისა ძმისა ბაკსა ცხოვართასა წარივლინა (ანტიოქ. 3, 1).

მას ეამსა იქმნა შავშეთი ბაკ მკვეთ-შეუვეალ (გობრონ, 177, 19).

და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსანი (DE).

და სხუაცა ცხოვარ არიან ჩემნი, რომელ არა არიან ამის ბაკისანი, (C). (ივ. 10, 16).

„ბაკი — მოზღუდელი“ (საბა); „ბაკი — მრგულად მოვლებული ლობე ან ფიცრული ზეასტაგთ დასაყენებელი, ограда, изгородь“ (ნ. ჩუბ.).

ბაკის მნიშვნელობით ქართული ენის დიალექტებში შემდეგი ფუძეები გვხვდება: ბაკი (ქართ. კახ.), ქართა, ჩიხი (გურ.), ქალტა (იმერ.), ეზო (ხევს.)³²⁹, ბაკი (თუშ.) — ცხერის სადგომი ადგილი (შემოლობილია, ზოგჯერ ქვის ყორე აქვს შემოვლებული)³³⁰.

ბაკი ქანურში დასტურდება — ბაკი — ХЛЕВ, КОНК ШНЯ, სომხ. բակ, შდრ. „ახორი“ (ნ. მარი); ეს ფუძე მეგრულშიც უნდა ყოფილიყო (შდრ. სოფლის სახელი სამურზაყანოში ნაბაკევი (ი. ყიფ.).

ბაკის მნიშვნელობით სვანურში გვაქვს ქარბაქ — „საქონლის სადგომი ადგილი ქვის ყორით ან ხის ლობით შემოფარგლული“ (შდრ. მეგრ. ქაბარკა — ХЛЕВ ДЛЯ КОЗ. ქართ. „ქარაბაკი — ნაყოფის ბაკი“ (საბა); ნ. ჩუბინიშვილის განმარტებით „ქარაბაკი — ნაყოფთაგან წნული ბაკი (забор деревянный)“.

ბაკი ფუძე სომხურში გვხვდება; პროფ. ილ. აბულაძის აზრით ეს სახელი სომხურში შეთვისებულია ქართულიდან³³¹.

ბაკი ახალ ქართულში გვხვდება იმავე მნიშვნელობით; ბაკს უწოდებენ აგრეთვე ურმების დასაყენებელ მოზღუდულ ეზო-ყურესაც (ქგლ. 1).

პარწი

იხარებდ ბერწი ეგე, რომელი არა ჰშობდ (ეს. 54, 1).

ბერწი ქუეყანაჲ ნაყოფის გამომღებელად და შობად აღიძრა (ეჭ. დღ. 51, 15).

³²⁹ ლ. დეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

³³⁰ თ. კოტეხიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

³³¹ ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა...

აღვიდა რა იხილოს ცხოვარი ბერწი, რა ლა ოვტკრთავს კრავი მოზოკეებულისაგან (კიმ. I, 182, 33).

რომელმან დააშენა ბერწი სახლსა შინა მზიარულად, ვითარცა დედაა შვილთა მიერ სახარულევანი (ფსალმ. 112, 9).

რამეთუ რამ-ზომი და რაბამი იყო გლახაკთა მიმართ უხუებამა მოღუაწებისა მისისაჲ, ეგოდენივე და სწორი ბერწობაჲ აჩუენა უშვილოებამან (ანტიოქ. კლ, 27).

ევედრებოდა ისაჲ რებეკაჲსათჳს, ცოლისა თჳსისა, რამეთუ ბერწ იყო (ღაბ. 25, 21).

„ბერწი — არა მშობელი“ (საბა; „ბერწი — უხვი, მდედრა არა მშობელი“ (ნ. ჩუბ.) (ზღრ. ბელწი (ლეჩხ.) ძროხა, რომელიც ხანგამოშეებით მაკლდება³²²; გაბერწება (ქიზ.) — საქონლის მიერ მკვდარი ზბოს, ზაქის, კვიცის... დაბადება)³²³.

ბერწის შესატყვისია მეგრული ბურჭი და სვანური ბრუჭუ; ეს უკანასკნელი მეგრულიდან უნდა იყოს შეთვისებული სვანურში.

ბერწ/ბურჭ ფუძეთათვის გ. კლიმოვი ამოსავლად *ბარწ- ფორმას ვარაუდობს, რომელსაც ზანურში ო ხმოვნიანი ვარიანტი უნდა მოეცა; ბაგისმიერ ბგერასთან მეზობლობაში ო > უ-ში და მივიღეთ ბურჭ ფორმა. წ-ჭ შესატყვისობა კანონზომიერია ქართველური ენებისათვის. ამ ავტორისათვის არაა ნათელი, თუ როგორ შეიძლება დაუკავშირდეს *ბარწ ფუძე ჯორის აღმნიშვნელ ნ/ჲp2a ფუძეს ჩაჩნურში³²⁴.

ბერწ/ბურჭ ფუძეს უკავშირებენ ამავე მნიშვნელობის მქონე აფხაზურ აწიგრგ-ს და ვარაუდობენ, რომ აქ საერთო ძირთან უნდა გვექონდეს საქმე. ამ ფუძეთა დაკავშირება ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დალესტინის ენათა შემდეგ ფუძეებთან: ლაკური ბაარჩ — „ზბო“, კიურული ქაწ — „ხარი“, ხუნძური ბეჩე — „ზბო“³²⁵.

აკად. ნ. მარი ბერწ-ს მერწი-დან მომდინარედ თვლიდა და ამ უკანასკნელს უკავშირებდა სირიულს³²⁶.

³²² მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1941.

³²³ სტეფ. მენთეშაშვილი, ქიზიურული ლექსიკონი, თბ., 1943.

³²⁴ Г. А. Климов, დასახელებული ლექსიკონი, გვ. 49.

³²⁵ მ. ციკოლია, აწიგრგ ტერმინის შესახებ აფხაზურში; სოხუმის პედ. ინსტ. შრ., XX XI, 1960, გვ. 185—189.

³²⁶ Н. Я. Марр, Избран. работ. т. II, გვ. 28. შწვ.

ბოლო

...თევზნი... საქითა ბოლოთაჲთა მიმოქცევასა და მართლიად სლვასა თვსსა განაგებენ (ექ. დღ. 93,15).

ყოველი ნავი მესათხვევლთაჲ ვერ შემძლებელ იყო მოღებად ერთსა ქვესა ბოლოჲსა მისისასა (სინ. მრ. 88,21).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ბოლო თევზის კუდს გულისხმობს. „...რომელთა კუდნი ფრთოანი აქესთ, ვითარ ფრინველთა, და ფარფლოსანი, ვითარცა თევზნი, არა ითქმის კუდად, არამედ ბოლოდ“ — განმარტავს საბა.

ამ განმარტების მიხედვით ბოლოდ ითქმის აგრეთვე ფრინველის კუდიც (შდრ. ბოლოქანქარა, ბოლობეჭედა, ბოლოშავა — ჩიტის სახელებია).

ბოლო თევზისათვის ასრულებს ერთგვარი საქის როლს — „საქითა ბოლოთაჲთა მიმოქცევასა და მართლიად სლვასა თვსსა განაგებენ“.

ბოსალი

და კუალად ზროხათა მყუეარ ჟამ შეყენებულთა ჟამსა ზამთრისასა, რაჟამს ბუნებითითა გრძნობითა გულსქვა-ყვიან მოწუნენაჲ არისაჲ და მოახლებჲა ზაფხულისაჲ, ყოველნივე ერთითა ერთობითა ბოსლით გამოველად მიმართ ზედვიდიან და განსლვასა იზმნიდიან (ექ. დღ. 106,31).

...ზროხაჲ, რაჟამს დაწვის ჟამსა ზამთრისასა, დაყოვნის წოლსა მას, და რაჟამს აგრძნის ბუნებით ჟამი გაზაფხულისაჲ, ყოველნივე ველად მიმართ იხედვედ ბოსლით გამო და ჰნებავნ განსლვაჲ გარე (ექ. დღ. უძვ. რედ. 127,4).

ესრე იტყვის რწი ყოვლისა მპყრობელი; გამოგვიყვანე შენ ბოსლისა მისგან სამწყსოთა მათგან ცხოვართაჲსა (მფ. II,7,8).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ბოსელი საქონლის სადგომს ნიშნავს. ასევე განმარტავს მას საბა: „ბოსელი — სახლი საზროხე“; „ბოსელი — გომი, საძროხე სახლი, коровий хлев, сучьятник“ (ნ. ჩუბ.).

ეგვივე მნიშვნელობა აქვს ამ ფუძეს ახალ ქართულშიც. ბოსლის სინონიმებია: გომი, გომური, თუმ. ბაშტი, შდრ. ბაკი, თავლა (ქვლ).

ბოსელ ფუძე დავადასტურეთ ბასილი დიდის ექუსთა დღეთაჲს ორსავე რედაქციაში. პროფ. ილ. აბულაძის განმარტებით ბოსელი

ივევა, რაც გომი³³⁷; ასევე განმარტავს ამ ფუნქს მ. კახაძეც: აქვეა მოცემული ამ სიტყვის ბერძნული შესატყვისი ἡ βῆσα-αἰδοῦς³³⁸.

ბოსელი ბიბლიაში გვხვდება; შენაბამის ადგილას ბერძნულში იკითხება ἡ μάχη.

არის ცდა, ამ ფუნქს დაკავშირებისა ხარის, ძროხის აღმნიშვნელ ბერძნულ βῆσα და ლათინურ ხῆს, havis ფუნქციაზე³³⁹.

ბუდე/დაბუდევა

არა ატფობენ უმრავლესთა თევზთაგანნი ვითარცა ქათამნი და არცა დაიდგმენ ბუდესა... (ექ. დღ. 83,8).

ესე (მარგალიტი) მდებარე არს ზღვს-კიდეთა კბოლოვანთა და ლოდოვანთა ბუდესა შინა ოსტრეათასა მირდომილი (იქვე. 88.22).

კირჩხიბსა გული უქუთუამს კორცისათვის ოსტრეაჲსა, არამედ ძნელ არს მისსა მონადირებაჲ მისი ბუდეთა მათთვის ძუალისათა (ექ. დღ. 84,5).

სირვან პოვა სახლი და გურიტმან ბუდესა დაისხნა მართუნი თვსნი (აინ. მრ. 225,25).

ლომმან... აღავსო ნადირითა ბუდჳ მისი და საყოფელი მისი ნატაცეებითა (ნაუმ. 2,13).

...მაჩუ ნათესავი უძლური, რ'ლთა იქმნიან კლდესა შინა ბუდენი თვსნი (იგ. სოლ. 30,26).

ბუდე ფუძიდან ნაწარმოებია ზენა დაიბუდის, მაგ.:

კვირონი არს მფრინველი ზღვსაჲ და დაიბუდის მან კლდესა თანა ზღვსასა და დასხნის კუერცხნი თვსნი ქვშასა ზედა (ექ. დღ. უძე. რედ. 116,3).

„ბუდე — ფრინველთ სახლი. ვიეთნი ბუდეს უწოდენ წიგნის ჩალათასა და მისთანათა შთასადებელთა; ბუდედ ითქმის რკოსა და მისთანათა საცავი; ბუდედ ითქმის საყოფელი მკეცთა; ბუდედ ითქმის ქუთუთო თვალთა; ბუდედ ითქმის თვალთა პატიოსანთა პაყრობი; ბუდე ეწოდების კრმლის ქარქაშსა“ (საბა).

საბასეულ განმარტებას შეიძლება დაემატოს შემდეგიც: ბუდედ ითქმის აკრევე ლბილ-ტყავიანების ანუ მოლუსკების ნიჟარაც.

³³⁷ უძველესი რედაქციები ბასილიდიის ექუსთა დღეთაჲსა..., გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964, ლექსიკონი. გვ. 235.

³³⁸ ბასილიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, თბ., 1947, ლექსიკონი, გვ. 122.

³³⁹ გ. შ. ე. ლ. ი. შ. ე. ლ. ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 216.

ვაკრუდობენ, რომ ბუდე საერთო-ქართველური ფუძეა³⁴⁰.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუდე დასახელებულია იმ სიტყვათა შორის, რომლებსაც მიიჩნევენ ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვებად. საკუთრივ ბუდე განხილულია რიგორც კავკასიურ-სლავური ფუძე³⁴¹.

გულა

ბ მან შეკრა და შთადვა იგი ორთა გ უ ღ ა თ ა და ორი სა-
ნოსელი ქმნული და მისცა ორთა შონათა თჯთა (მფ. IV, 5,22).

...არაჲ მიიღონ მათ თანა გზად, გარნა კუერთხი ხოლო, ნუ გ უ-
ღ ა ჲ, ნუ პური (მკ. C 6,8).

„გულა- ტყავისაგან შთასადებელი“ (საბა). „გულა — გაუქრე-
ლად გაქრობილი ტყავი ზეასტაჲთა შთასადებელად რისაჲე; იმერნი
უხმობენ კუპრიელსა ტიკსაცა“ (ნ. ჩუბ.).

ეს ფუძე უცვლელად მეორდება მეგრულსა და ქანურში: მეგრ.
გულა, ჰან. გულა³⁴².

„ტყავისაგან გაკეთებული საცავის მნიშვნელობა გულას მც-
რულსა და ქანურშიც აქვს შენარჩუნებული, სადაც „ტიკის“ მნიშვნე-
ლობითაც იხმარება. ქანურად ტიკის მნიშვნელობით კიდევაც
ღინწიშ გულას — „ღვინის გულას“ ამბობენ. იქ გულას მშრალი ნივ-
თიერების შესანახადაც და სითბოსათვისაც იყენებდნენ“³⁴³.

გულა ფუძის შესატყვისად აკად. ნ. მარი სვანურში გულრა-ს ვა-
რაუდობს; ამ ფუძეში იგი რა-ს გამოყოფს მრავლობითობის სუფიქ-
სად³⁴⁴.

გულა³⁴⁵ ფუძიდან ნაწარმოებია: „ხაგულალი — გულაში ჩასასხ-
მელი“ (საბა). „გულანური — (ხევს. გულამაყ. მთიულ.) — ცხვრის
ტყავისაგან გაკეთებული საზამთრო წამოსახახამი, გრძელბეწვიანი,
საბნადაც ხმარობენ“ (ა. შან.)³⁴⁶.

³⁴⁰ Г. А. К л и м о в, დასახელებული ლექსიკონი, გვ. 54.

³⁴¹ გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 211.

³⁴² არს. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 167.

³⁴³ ივ. ქ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, თბ.,
1964, გვ. 66.

³⁴⁴ Н. Я. М а р р, Яфетическое название деревьев и растений, П. 1915,
გვ. 173.

³⁴⁵ იქნებ შესაძლებელი იყოს გულა ფუძის დაკავშირება ბერძნულ γῆμα—
ფუძესთან; γῆμα— შიგნულობა, ნაწლავები, იხ. Sophokle E. A. Greek
Lexikon of the Roman and Byzantine Periods, New-York, 1900. ამ ბერძნ.
γῆμα-ს დაკავშირებენ ძველ ინდურ gudam-ს „ნაწლავი“, იხ. Indogermanisches
etymologisches Wörterbuch von Julius Pokorny, fünfte Lieferung, Bern, 1951.

³⁴⁶ 393.

³⁴⁸ ლ. ლ ე ო ნ ი ძ ე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

თხიერი/თხიერაკი

შეკრებს იგი ვითარცა თხიერთა, წყალთა ზღვსათა (ფსალმ. 32,7).

აკიდა კაპრალსა ...თხიერი ერთი ღვწო... (მფ. I,16,20).

ყოველი თხიერი აღივსოს ღვწითა (იერ. 13,12).

...მოილო პური და თხიერთა წყალი (დაბ. 21,14).

...მაშინ იწყოს მან აღმოზოყინებად და აღმოთხევად ვა თხიერ შან რეს შთაასხიან თხიერთა ღვწო თხიერ თომისა (ქადაგ. 84,153).

მყისსა შინა განვიცალე ვითარცა თხიერი (შიო, 201,2).

...აღკიდა შემუნვარსა თვსსა თხიერაკითა ღვწო (იე-ლით, 10,5).

„თხიერი — ტიკი, თხიერაკი, ტიკორა“ (საბრ). „თხიერი — ტიკი, თხის ტყავი ღვინის ჩასასხმელი, mex“ (ნ. ჩუბ.).

თხიერი თხა ფუძიდან ნაწარმოები სახელი ჩანს; გამოიყოფა რთული -იერ სუფიქსი (მდრ. ხმნიერი „სამ წლისაჲ“ (საბა).

-ი-ერ- სუფიქსით ზედსართავების წარმოება ჩვეულებრივია როგორც ახალი, ასევე ძველი ქართულსთვისაც, მაგ.: გონ-იერ, თუალ-იერ, პოვნ-იერ, ხალმოზ-იერ, შვილ-იერ... ამავე რიგში შეიძლება მოთავსდეს ხმნ-იერ და თხ-იერ ფუძეებიც, ოღონდ ეს უკანასკნელი მხოლოდ წარმოების თვალსაზრისით. დამახვლებული მავალითები საგნის თვისების აღმნიშვნელია, თხიერი კი — საგანი: (მდრ. იმავე თხა ფუძიდან ნაწარმოები თხისური „თხის ბეწვი, თივთიკი“).

თხიერი, როგორც ამას აკად. ივ. ჭავჭავაძე ვარაუდობს, ყოველგვარი სითხის ჩასასხმელი საცავი უნდა ყოფილიყო³⁴⁷.

ივანანი/ინიავი

...არა უქმად მღებარე არიან ცხოველთა შორის ქუსეტნი და იკუანჩნი და მრავალ-ურჩხნი... (ექ. დღ. 110,8).

ამისთვის არა ცუდად იქმნა ცხოველთათვის, რომელთა აქუს სტომაქებ, და იკუანჩებ და ქუსეტებ... (ექ. დღ. უძვ. რედ. 131,18).

³⁴⁷ ივ. ჭავჭავაძე ილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 67.

ჩემსა ინჩაკუსა იღვა მარგალიტი სირაქლეშია კუერ-
ცხის ოდენი (ბალერ. 58,13). შდრ. „არს იკუანჩსა შინა
ჩემსა მარგალიტი...“

„ქუსეტი, იქვანჩი და მრავალურჩხი შიგანურები რამ არის
ცხოველა“ (საბა.).

იქუანჩი გვხვდება „ექუსთა დღეთაჲს“ როგორც უძველეს,
ასევე ათონელისეულ რედაქციაში (შდრ. ბალავარიანის ქართულ
რედაქციებში დადასტურებული ინჩაკვ).

ეს ფუძე პროფ. ილ. აბულაძის განმარტებით იგივეა, რაც
ჩინჩახვი³⁴⁸, ხოლო მ. კახაძის განმარტებით ესაა კუჭი — ბ ჭყ-
იც, იმასუმი³⁴⁹.

იქუანჩი იგივე უნდა იყოს, რაც ჩინჩახვი. ჩინჩახვი — (ჩინჩახ-
ვი, „კუჭ-მეჭა“ (ხეცს.) ფრინველის მკერდის წინ გამობერილი საკმ-
ლის საყლაპავი მილი, სადაც წინასწარ ღებება საკვები, ვიდრე კუჭ-
ში ჩავიდოდეს³⁵⁰.

ჩინჩახვის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება ჩიუვაყვი.
სენურში გვაქვს კვინჩაბ (ბზ.), ქვანჩ (ლშხ.), შდრ. ჩინჩახ — ნა-
ნადირევს გულ-ღვიძლი (მონადირის ენაზე)³⁵¹.

იბრი

(მსჯელობა ამ ფუძესთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 212—
214).

კუდი

...და იყო კუ დებსა (მელთასა) ლამპრები აღნთებული
(ქბ. ქბ. 20,55).

შეიპყრნა სამასნი მელნი და შეკიცუნა ურთიერთას: და ყოე-
ლისა მის კუ დებსა გამოაბშიდა მუგუზებსა (ქბ. ქბ. 20,35).

და აქუს კუ დებო (მქალთა), მსგავსი ღრიაკალთაჲ, და
საწერტელები, და კუ დებითა მათითა აქუს ქელმწიფებამ
ვნებად კაცთა (გამოცხ. იოვ. 9,10).

ჩემ თანა მსგავს ხარ შინ ხატითა კაცსა და დიდებითა მეფე-

³⁴⁸ ექუსთა დღეთაჲს უძველესი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ; ლექსი-
კონი, გვ. 243.

³⁴⁹ ექუსთა დღეთაჲს, გამოსცა მ. კახაძემ; ქართულ-ბერძნული ლექსიკონი,
გვ. 141.

³⁵⁰ ლ. ლეონიძე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

³⁵¹ სენურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

სა, ხ² სახითა და სიცილითა ველსა, რ³ლი ცბინ კუდითა და ძმაყენ (იგნატ. 181,29).

რ⁴ეს ვალნ იგი (ლომი) გინა თუ ზუაობნ, სული ეცის მონადირეთაჲ და კუდითა თვისთა კუალსა მას შეპრყუნინ (სახ. ზიტყ. 2,14).

ქ ა ნ უ რ ი

კოკარი ოჩხვინდეს დო კუდელი ქოდოლუქვეს (ი. ყიფ. 13,30), „კაუქი გაახურეს და კუდი დაუწვეს“.

მგერი ქოგოიჭუდორენ დო კუდელი მონდრეკილი დაღიშა იმტუდორენ (ა. ჩიქ. II,12,9), „მგელი დამწვარა და კუდამოძეებელი (კუდმოდრეკილი) ტყეში გაქცეულა“.

ს ვ ა ნ უ რ ი

...ციცი თხვიმს ჩვესდუწნებ ლაგანდ, ციცი ჰაკეანდს ულმაშარ ლანკეცანდ (სვ. ტექ. I,14,5), „კატის თავს ჰაქმელად დაგიდებთ, კატის კუდს — ულვაშების მოსაწმენდად“.

ქართული კუდ- ფუძე მეგრულსა და ქანურში წარმოდგენილია კუდელ და სევანურში ჰაკუად (ბზ.), აკუად (ლშზ.) ფორმით. ეს ფუძე საერთო ქართველურია. მეგრულ-ქანურში -ელ დეტერმინანტი სუფიქსია. იგი არც ქართულში ჩანს და არც სევანურში³⁵².

როგორც ვარაუდობენ, „სევანურში არსებული ჰაკუად (ბზ.) ფორმა საერთო-ქართველურისათვის აღგვადგენინებს კუდის აღმნიშვნელ ფუძედ სრულ-საფეხურიან კუად- ფორმას, რომლის ნულ-საფეხურიანი კუდ- ვარიანტი ქართულსა და მეგრულ-ქანურში არის წარმოდგენილი. კუად/კუდ აღმორფების არსებობა საერთო-ქართველურში შეპირობებული უნდა ყოფილიყო სრულ და ნულ-საფეხურიან ვარიანტთა მონაცვლეობით ბრუნების პარადიგმებში...“³⁵³.

K. H. Schmidt-ის მიხედვით ქართული კუდ- შესაძლოა კოდლიდან მომდინარედ ჩაითვალოს, ე. ი. საერთო-ქართველურ ფუძედ კოდი ივარაუდება³⁵⁴.

³⁵² არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 92.

³⁵³ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. გ. შ ა ქ ა ე ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა, გვ. 285.

³⁵⁴ K. H. S c h m i d t, Studien zur Rekonstruktion..., გვ. 120.

შესაძლებლად მიიჩნევენ ქართული კუდ ფუძის დაკავშირებას ლათინურში კუდის აღმნიშვნელ coda-cauda-ფუძესთან³⁶⁶.

შააა

მწყემსი მწყსიღეს სამწყსოსა მას თჳსსა და ქელითა თჳსითა შეკრიბნეს კრავნი და ნუგეშის-მცემელ ექმნეს მაკეთა მათ დამძიმებულთა (სინ. მრ. 229,11).

ფურმან მათმან არა მოაგლო, განერა მაკე იგი მათი და არა შეეცოლა (იბ. 21,10).

მოსრნა იგინი და მაკენი მათნი განაპნა (მფ. IV,14,16).

მიეახლა წყლით მაკე და განიკურნა (მატხოვ. 26,29).

რეს მამალი შეეხის დედალსა, პირით მაკნდის (სახ. სიტყ. 16,7).

და იყო, რაეამს მაკნდებოღეს ცხოვარნი და მუცლად-იღებდეს, ვიხილე თუალითა ჩემითა ძილსა შინა (დაბ. 31,10).

„შაკე — ორსული პირუტყვი“ — წერს საბა. „შაკე — ორსული ხეასტაგი — рихатая“ (ნ. ჩუბ.).

ქართული შაკე ფუძის შესატყვისია მეგრული შოკა/შონკა და კანური შონკა. ამ ფუძეთა მნიშვნელობებია: „მძიმე“, „ძნელი“, „ფეხმძიმე“. ნ-არი ორსავე შემთხვევაში განვითარებულია³⁶⁶.

შოკა/შონკა ფუძიდანაა ნაწარმოები მეგრულში: შონკათალა — „ფეხმძიმობა“, სი-შონკა — „სიმძიმე“, შონკობა — „დამძიმება“, делать тяжелым, обременять³⁶⁷.

შაკე სიტყვისათვის „მძიმის“ მნიშვნელობა არც ქართულშია უცხო, მაგ.: ...ნუგეშინის-მცემელ ექმნეს მაკეთა მათ დამძიმებულთა (სინ. მრ. 229,11); (მღრ. ახ. ქართ. ფეხ-მძიმე).

შაკე ფუძეში ე ხმოვანი დეტერმინანტისეულ -ენ სუფიქსის ნაშთად ივარაუდება³⁶⁸ (შესაბამისად ზანურ შონკა-ში ა ხმოვანია სუფიქსის ნაშთი) (მღრ. ნასახელარი ზმნა მაკნდის <შაკენდის). იგივე ნ-არი პროფ. ა. შანიძის აზრით ნასახელარ ზმნათა საწარმოებელი აფიქსია დ-ონთან ერთად, ამასთან ნ-არი უფრო ძველია მღრ. დამაკნა/დამაკნდა > დამაკდა³⁶⁹.

³⁶⁶ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. 1, гл. 638.

³⁶⁷ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 242.

³⁶⁸ И. Кипушдзе, Мингрельско-русский словарь.

³⁶⁹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 18.

^{369a} შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, თსუ მოამბე, 1, თბ., 1919—1920, გვ. 96.

მაკე-დან ნაწარმოებია: საშაკინო — „ზრდ:დასრულებული დეკე-ული დასამაკებელი ასაკის (3—4 წლის), უშობელი“ (ლეჩხ.)³⁶⁰ და საშაკინელი (ძროხის ასაკი), „დასამაკებელი“ (გურ.)³⁶¹.

სევანურში მაკე ფუძე არ ჩანს. ამ მნიშვნელობით იქ იხმარება აშოქე³⁶².

მახალი/მახუიარ

...მატყლი უწინარეს იყო ქსოვისა, ხოლო ქსოვამ შემოვი-და და ნაკლულევანება ბუნებისაჲ სრულ ყო თავისა მიერ თვისითა (ექ. დღ. 17,1).

ვერძმან განიყარის მატყლი თვის უშრომელად და კუა-ლად სხუაჲ შეიმოსის (ექ. დღ. უძვ. რედ. 85,21).

მატყლ — დასაბამისა იგი აღამის ტყავი (სინ. მრ. 40,27).

არა შეიმოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ ჰმოსი-ედ მას სელისა სამოსელი... (სინ. მრ. 55,11).

მოიგო მატყლი და სელი და ქმნა საქმარი ჭელითა თვისითა (იგ. სოლ. 31,13).

...ზრდიან პინანი ზღესანი მატყლსა მას ოქროსასა (ექ. დღ. 88,23).

ხოლო მწყეფსმან ჰგონა, ვითარმედ სისხლი დამოსდის ძალსა, ამისთვის მოილო საწმისი მატყლისაჲ და მოჰკოცა შთამომა-ვალი იგი პირისაგან მისისა (ხრონღრ. 7,19).

და იყო თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ, ვითარცა მატყლი წმიდაჲ (დომენტი, 92,35).

აჲ ეგერა სძესა შეჰშკამთ და მატყლსა შეიმოსთ (ეზექ. 34,3).

დადვის თოვლი ვითარცა მატყლი და ნისლი ვითარცა ნა-ცარი მიბფინის (ფსალმ. 147,1).

მატყლის მოკმედი ვინ-მე მახლობელ მისა მის მიერ საქ-მედ განწესებულ იყო (ბუნ. კატ. 91,28).

და მათ ჰქქეს კაცო მატყიერი და ზარტყელი ტყავისაჲ ერტყა წელთა მისთა (მფ. IV,1,8).

...იქმნენ ვითარცა ცხოვარნი მატყიერ და საშინელ იყო კაცთაგან ხილვად მათი (მესუქ. 23,18).

³⁶⁰ მ. ა. ლ. ა. ე. ძ. ე. მასალეში ლეჩხუმური ლექსიკონისათვის; ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, XIII, 1955.

³⁶¹ გ. შ. ა. შ. ი. ძ. ე. გურული ლექსიკონი.

³⁶² სევანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

„მატყლი — ცხოვართ თმა“ — განმარტავს საბა. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში. მატყლიდან ნაწარმოები მატყიერი გვხვდება ძველ ქართულში, რაც „თმიანს“, „ბეწვიანს“ გულიანობის (მღრ. ხევს. მატყიერი „ცხვარ-ვერძი“)³⁶³.

მატყლის შესატყვისია მეგრულში მონტყორი, ქანურში — მონტკორი/მონტკოი და სვანურში — შატყ; ძირეულ მასალად გამოყოფენ -ტყ-/-ტყ-ს; -ორ-/-ლ — დეტერმინანტი სუფიქსებია ზანურსა და ქართულში³⁶⁴; სვანურში ამგვარი სუფიქსი არ ჩანს³⁶⁵.

აკად. ივ. ჭავჭავაძის მატყლ-სა და ბურტყლ-ს საერთო ძირის შემკველ ფუძეებად მიიჩნევდა, გამოყოფდა რა ცალკე ფორმანტად მა-სა და ბუ-ს (მა-ტყლ-, ბუ-რტყლ-); მისივე აზრით ბურტყლი შემოვლელს უნდა აღნიშნავდეს; მატყლიც ამავე ძირის სიტყვაა, ოღონდ ან მისი ფორმანტია დროთა განმავლობაში შეცვლილი, ანდა იგი პირველთან შედარებით მერმინდელ წარმოებად უნდა ვიგულისხმოთ³⁶⁶.

როგორც გ. კლიმოვი შენიშნავს, გ. დეტერმინანტის შესაძლებლად მიაჩნია მატყლ ფუძის დაკავშირება ტყავ ფუძესთან³⁶⁷.

მრავალ-ურჩხი

...არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის ქუსტენი და იქუანჩნი, და მრავალ-ურჩხნი, და წელ-სხვლნი... (ექ. დღ. 110,9).

მრავალ-ურჩხი საბასთან განმარტებულია როგორც „მრავალ ნაწლევნი“; იმავე ავტორთან ურჩხი „უქანა ნაწლევია“.

ეს ფუძე „ექუსთა დღეთაჲ“-ს მხოლოდ გ. ათონელისეულ თარგმანში შეგვხვდა: განმარტებულია როგორც „ბადე“, ბერძნ. ἔλεγμα, ლათ. reticulum³⁶⁸.

ნიკელი

ეწ საყური ნიკელსა ღორისასა, ეგრეცა დედაკაცსა საბებოროტსა სიკეთმ (ივ. სოლ. 11,22).

³⁶³ ალ. კინკარაული. ზევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 237.

³⁶⁴ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 95.

³⁶⁵ განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. თ. ვამყარელიძე, გ. მავარიანი, სონანტო სისტემა..., გვ. 280.

³⁶⁶ ივ. ჭავჭავაძისეული, ქართული და კავკასიური..., გვ. 619.

³⁶⁷ Г. А. Климов, Этимологический словарь..., გვ. 184.

³⁶⁸ ბასილდიდი, ექუსთა დღეთაჲ..., გვ. 151.

ეს ფუძე საბასთან ნიკველი ფორმით გვხვდება; განმარტებულია როგორც „ლორის დინგი“. ამ მნიშვნელობით მეგრულში იხმარება ნი-ქითი³⁶⁹, სვანურში — ჩუენჩხ (ბზ.), ჩვინდ (ლშხ.).

ნიკელ ფუძის ფონეტიკურ შესატყვისად ივარაუდება მეგრ. ნიკუ/ნუკუ „ნიკაბი“ და ქან. ნუნკუ „ნიკაბი“, „სახე“. ქართ. -ელ (ნიკ-ელ) და ზან. -უ(ნიკ-უ, ნუკ-უ, ნუნკ-უ) კვალიფიციკრებულია როგორც ფონეტიკური შესატყვისობა³⁷⁰.

ნიჩური

...რაჟამს აღივისს პირი მისი (ვეშაპთევზისაჲ) მაშინ შეიმტკიცნის ნიჩური ნი მისნი და შთანთქნის წულილნი იგი თევზნი (სახ. სიტყ. 26,33).

...(იქნამონ) შეიგოზის თავი თჳსი თიკითა და მიუქდის მარტოდ და პბრძაფნ ვეშაპსა მას და კუდითა ნიჩურთა იფარავენ (იქვე, 37,10).

რასა მოაწაფეუბს წინა-მცურეალი იგი ნიჩური პილოჲსაჲ? (ექ. დღ. 110,18).

ზოლო საზრდელსა... წინამძღუარი იგი ნიჩური მისი ქუეთ აღპართ შიანწეეს მისსა, რომელი-იგი არს გუელის-სახე რაჲმე და ლბილ ბუნებით (ექ. დღ. 111,7).

რად საქმარ არს პილოჲსა ნიჩური იგი? რამეთუ ცხოველი ესე დიდ არს მალალ შორის მკეცთა ქუეყანისათა (ექ. დღ. უძვრედ. 131,26).

ნიჩური საბასთან ნიჩვრი ფორმით გვხვდება და ახსნილია როგორც „ჩიჩვირი“; ეს უკანასკნელი კი სპილოს ზორთუმა.

ჩიჩვირი — ნიჩვირი, სპილოს ზორთუმი, ХОРОТ (ნ. ჩუბ.).

მაგალითების მიხედვით ნიჩური ითქმის არა მხოლოდ სპილოს ზორთუმზე, არამედ ცხოველის ცხვირ-ტუჩზე საერთოდ.

ახალ ქართულში გვაქვს ჩიჩვირი. მისი მნიშვნელობებია: 1. ცხენისა და მისთანათა ქვედა ტუჩი; 2. გრძელი ბიბილოსებური წანაზარდი ინდაურის ნისკარტზე (ქგლ. VIII). შდრ. კვიჰვირი (იმერ. ქგლ. VI). „ჩვინჩვირანი — პირუტყვის ცხვირ-ტუჩი, ჩირბე, ჩორბე (ხევს.) — ცხოველის ქვედა ტუჩი“³⁷¹.

³⁶⁹ И. К я п ш и л з е, Мингрельско-русский словарь.

³⁷⁰ ბ. გოგინეიშვილი, ქართველური ეტიმოლოგიები, მაცნე, 1972, № 3, გვ. 153—154.

³⁷¹ აღ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 239.

ნიჩურის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება ნიჩვი — морда, рываი (ი. ყოფ.). ეგვევე ფუძეა სვანურში — ნიჩუ (ბზ.), ნინჩუ (ბქ.) — პირისახე, დრუნჩი. ქანურში გვაქვს ტიმტირი, შდრ. ჩაბრი (ნ. მარი).

ნიჩურ/ნიჩვირ ფუძეში იგივე ცხვირ ფუძე უნდა გვეკონდეს (ქან. ჩხვინდი/ჩხინდი, მეგრ. ჩხვინდი). ცხვირ-ჩხვინდი ფუძეში ხ ფონეტიკური დანართია (შდრ. ქან. ჩინდი, მეგრ. ჩიონ — „ცხვირის დაცემინება“) ³⁷² (შდრ. ჩვინთრავს (ქართ. მთიულ.) — იწუნებს (საქმელს და მისთ.), ცხვირის იბზუებს (რამეზე) (ქვლ. VIII). რაც შეეხება ნი-პრეფიქსს (ნი-ჩური), იქნებ იგი გავიანზროთ როგორც დანიშნულების აფიქსი — ნი-ჩური/ნი-ჩვირი — ე. ი. საცხვირე, რაც ცხვირის მოვალეობას ასრულებს.

ხომ არ არის -ჩურ-/ჩვირ- ცხვირ- ფუძის ზანური ფორმა საერთოდ; წინააღმდეგ შემთხვევაში ზანურში უნდა გვეკონოდა -ჩქ-კომპლექსიანი ვარიანტი ³⁷³. ასეთი რამ ზანურში თითქოს არ ჩანს.

რაც შეეხება ჩიჩვირს, აქ რედუპლიცირებული ფუძე უნდა გვეკონდეს (შდრ. ხეეს. ჩვინჩვირანი).

რჷა (რჷანა, რჷოსან, შრჷანელ)

აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილე და აჷა ესერა ვერძი ერთი... და ესხნეს მას რჷანი შალალნი (დან. 8,3).

არს მვეცი რჷი იწოდებოს ავთოლოფოს... რჷანი შისნი გრძელ არიან და ხერხის სახედ... (სახ. სიტყ. 5,7).

და აჷა-ესერა ვერძი ერთი დამოეკიდა რჷითა ნერგსა საბეკსა (დაბ. 22,13).

...რომელთა ხილვითა დღეს განიპოზა სიბერჷ ჩემი და აჷალღა ზიხარული ჩემი ვითარცა რჷაჷ მარტორქისაჷ (ზანძ. თ. 7).

აწ იხილჷ ქჷე სადამე ვჷა ქურციკი, სრბად მალჷ და სადამე ვჷა არემი რჷა შუენიერი (ქბ. ქბ. 22,27).

„რჷა — არს პირუტყუთა თავსა ნაბაში“ — განმარტავს საბა. რჷა ფუძის შესატყვისია მეგრული ჭა/რჷა-ლ და ქანური ჭრა/ჷია. დასახელებული ენებისათვის საერთო ფუძედ რჷალ ივარაუდებო ³⁷⁴.

³⁷² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 48, 376.

³⁷³ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 20... და შემდგ.

³⁷⁴ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 94.

სვანურში რქა ფუძე არ ჩანს. ამ მნიშვნელობით მიჰყურებ ფუძე გამოიყენება. ეს უკანასკნელი ქართული წვირ ფუძის შესატყვისი უნდა იყოს (მდრ. მიჰყურებ „წვერი“). რქა ფუძისათვის „წვერის“, „სიმაღლის“ მნიშვნელობაც არაა უცხო. მაგ.: წარვედ, ძმაო, რქასა ამოს კლდისასა (გარეჯ. 166,31).

...ნებითა შენითა ამაღლდეს რქაჲ მათი (ფსალმ. 88,18).

აღამალდა მან რქაჲ იგი ერისა თვისსაჲ (ისო ზირქ. 47,6).
ძველ ძეგლებში შეგვხვდა რქა ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი სიტყვები: რქოსანი, მრქინელი, რქენა. მაგ.:

იწყო შინებად მისდა ოდესმე სახითა მკეცთაჲთა, ოდესმე სახითა ქუეწარმავალთაჲთა, რამეთუ იქმნის ლომ და ვეფხ და დათუ და გუელ რქოსან (შოი, 93,25).

ვიხილე ვერძი იგი მრქენელად ზღუად მიმართ (ხრონღრ. 209,34).

რამათვის შემოგიყვანებებს აქა ვერძი ესე, რომელი მირქენს მე? (ლიმნ. 23,30).

აკად. ნ. მარის აზრით რქა იაფეტურ ენათა წრის კუთვნილებაა და ვარაუდობს, რომ რუსულში por შეთვისებულია სწორედ იაფეტურიდან³⁷⁵.

არის ცდა რქა ფუძის დაკავშირებისა რუს. por, ლიტვ. rągas, ლატვ. raģis, ძვ. პრუს. rāgis ფუძეებთან³⁷⁶.

საერთო-ქართველური რქა³⁷⁷ ფუძე ივარაუდება ე. წ. ნოსტრატული ენებისათვის გამოყოფილ საერთო ლექსიკურ ფონდში³⁷⁸.

საზრკველი

რუს შეიან ხუადი კიცვ მამამან დაუცოხნნის საურველნი და უქმ ქმნის (სახ. სიტყ. 15,6).

არს ნადირი კასპორიოს თავკ ქმელისაჲ; მდაბალ და ფრდ ყუდრო არს ნადირი იგი და საურველნი მისნი საყურნებელად წამლად არს (იქვე, 34,1).

³⁷⁵ Н. Я. Марр, Избранные работы, т. III, стр. 138.

³⁷⁶ გ. შელიქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 215.

³⁷⁷ რქა-დან ნაწარმოები რქენა-ს ფონეტიკური ვარიანტი ზომ არ არის რჩო-ლა? რჩოლა—რქით შეტევა, რქის ამოკერა, რქენა; რქენა—რჩოლა (ქვლ. VI). ე. ი. აქ უნდა გვქონდეს ქ-ს აფრიატიზაცია (მდრ. ქია — ჩია, ჩიჭვითი — ქიჭვითი).

³⁷⁸ М. Иллнч-Свитыч, Материалы к сравнительному словарю южнотатических языков, М., 1965, стр. 361.

ძველ ქართულში ხაურველი testiculum-ის მნიშვნელობით გვხვდება. ეს სიტყვა საბას ლექსიკონშიც დასტურდება. იგი ურვა ზმნის მიმღობა ჩანს სა- და -ელ აფიქსებით ნაწარმოები.

ხაურველი ევფემისტური ფუძეა ქართულში.

საშარბი (იხ. გვ. 31)

ბიკი

და შეგვემთხვენ მუნ სამნი კაცნი აღშავალნი ბეთლემდ, ერთსა ჰქონდენ სამნი თიკანნი და ერთსა ჰქონდეს ტიკითა ღვნოჲ (მფ. I, 10, 3).

„ტიკი — სომხურია, ქართულად თხიერი (ქვიან“, — განმარტავს საბა. „ტიკი და ტიკპორა, ე. ი. ტიკ-ქური, ტურდუკ“ (ნ. ჩუბ.).

ეს ფუძე იშვიათად გვხვდება ძველ ძეგლებში. ტიკი სომხურშიც დასტურდება იმავე მნიშვნელობით; როგორც ვარაუდობენ, ეს სიტყვა ინდო-ევროპულია და ამდენად, ნასესხები სომხურში³⁷⁹.

იქნებ შესაძლებელი იყოს ტიკ- და თიკ- (თიკან-ში რომ გვაქვს) ფუძეთა ერთიანობის დაშვება (შდრ. თხა — თხიერი, თიკანი — თიკრუნი < *თიკნური; თიკრუნი — გულის სახეობაა, ხბოს ტყავისაგან მზადდება“) ³⁸⁰.

თიკან ფუძე პარალელს პოულობს მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში (შდრ. მამალი თხის აღმნიშვნელი კაპუქ. ტიგა, ჰუნზ. ტუქა, ანდ. ტუქა...) ³⁸¹.

იგივე ძირი ამავე მნიშვნელობით ფართოდაა გავრცელებული ინდო-ევროპულ ენებში: გერმ. ziege, საშ. ზემოგერმ. zige, ზემოგერმ. ziekin, ძვ. საქს. ticæn ბერძ. diza, სომხ. tik, ალბან, dhi. ყველა ეს ფუძე გამოჰყავთ თხის აღმნიშვნელ საერთო ინდო-ევროპულ dik- *digh ძირიდან ³⁸².

ფრთა

ყოველსა, რომელსა არს მათ თანა ფრთჳ და ქეცი წყალთა შინა და ზღუასა შინა და მდინარეთა, მას კამდით (ლვ. 11, 9).

³⁷⁹ ლ. მ. ს. ხ. ხ. ნ., დასახელებული ლექსიკონი, ტ. VI.

³⁸⁰ აღ. კ. ი. ნ. კ. რ. ა. უ. ლ. ი., ზევსურულის თავისებურებანი, გვ. 248.

³⁸¹ ელ. ლ. მ. თ. ა. ძ. ე., ზოგი საერთო-ძირიანი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყი, VII, თბ., 1955, გვ. 435-536.

³⁸² ე. მ. ე. ლ. ი. მ. ე. ი. ლ. ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 209.

აქს მკეცი ზღუასა შინა რ^სა სახელი ჰრქვან ხერხ, ფრთე-
ნი მისნი გრძელ არიან (სახ. სიტყ. 6,2).

...ვითარცა იგი თევზნი წყალსა განაპებენ და ძრვითა ფრთე-
თა მათა წალმართ ვლენ და წარემართებიან... ეგრეთვე სახელ
იხილვების მფრინველთათვის, რამეთუ ცურვენ იგინი ფრთითა
მიერ ჰაერთა შინა (ეჭ. დღ. 93,18).

და რომელთამე უწოდეს ფრთე-განპებულ, ვითარცა სა-
ხელ ორბი; და რომელთამე ფრთე-ტყავის, ვითარცა სახელ
მღამიობი, და რომელთამე ფრთე-წულილ, ვითარცა სახელ,
ბზიკი (ეჭ. დღ. უძვ. რედ. 111,17—18).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველ ქართულში ფრთე აღ-
ნიშნავდა როგორც ფრინველის ფრთას, ასევე თევზის ფარფლსაც.
„ფრფლი — თევზის ფრთე“ (საბა).

„ფრთე — ფრინველის მქარი; ფრთენი ეწოდებიან გრძელს ნაქ-
რტენს ფრინველისასა, რომლითა ფრინვენ“ (საბა). „ფრთა, ფრთე,
ფთა — მფრინველთ მხარნი გრძელს ნაქრტენით შემოსილნი, რომ-
ლითაცა ჰფრინვენ, крыло, перо“ (ნ. ჩუბ.).

ევარაუდობენ, რომ ფრ-ენ და ფრთე (ახალი ქართ. ფრთა) ერ-
თი და იგივეა, ოღონდ ასახსნელია -თ-ე ელემენტების ფუნქცია
და გენეზისი; ამავე ძირის ჩანს სევანური ლი-პერ „ფრენა“; ამის
მიხედვით შესაძლოა ხმოვანი ქართულშიც ფქქონოდა ფრ<ფარ.
სხვა ენებთან ძირის მსგავსებას ხმაბაძვით ხსნიან³⁸³.

ფრთე ფუძეში შესაძლებლად მიიჩნევენ ფორმალური ანალი-
ზის საფუძველზე -თ-სა და -ე-ს გამოყოფას სუფიქსებად³⁸⁴.

ფრ- ძირის შემცველი ქართ. ფრინ/ფრენ, მეგრ. ფური, ქან.
ფურთინ- საერთო ქართველურ ფუძედ ივარაუდება; ფრ- ძირი ამა-
თუ იმ გახმოვანებით ჩვეულებრივია კავკასიურ ენებში ფრენის
აღმნიშვნელად³⁸⁵. არ გამოირიცხავენ არც იმას, რომ ეს სიტყვა შე-
იძლება ხმაბაძვითი იყოს³⁸⁶.

ევარაუდობთ, რომ ფრთე/ფრთა შეთვისებული ფუძეა ქარ-
თულში. მხედველობაში გვაქვს ფრთის აღმნიშვნელი ბერძნული
το περιον/φτερον ფუძე.

³⁸³ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის..., გვ. 127.

³⁸⁴ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 314.

³⁸⁵ Г. А. Климов, დასახელებული ლექსიკონი, გვ. 190.

³⁸⁶ ტ. გუღია, ქართულ-ზუნძური ლექსიკური შეხვედრები, სპამ, ტ. XV,
№ 10, 1954, გვ. 702.

პტერ/ფტერ ფუძეში ქართულისათვის არაბუნებრივი პტ/ფტ კომპლექსი შეიცვალა ბუნებრივი ფრ- კომპლექსით — ფრტვე; შემდგომი საფეხურია ფრთე ფორმა — ასევე ბუნებრივი ბგერითი თანმიმდევრობა ქართულისათვის (შდრ. ფრთხილი, ფრჩხილი...). ფრთეს ვარიანტებია: ბრთე (ინვ. ლექს.), თბე (ხეცა.)³⁸⁷.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფრთე/ფრთა ფუძე ქართულის მონათესავე მეგრულ-ქანურსა და სვანურში არ ჩანს. ამ მნიშვნელობით ქანურში გვაქვს სუა/ფსვა/ფსუა/მსვა, მეგრულში — სუა/ფსუა³⁸⁸, ხოლო სვანურში — ჯაღე.

ფაშნიერი

ზუარაკი იგი და ტყავი მისი და ყოველი ქორცი ჰისი და ფუშნიერი მისი დაწუეს ცეცხლითა (ლვ. 8,17).

და შეწიროს მღდელმან მან საკურთხეველსა ზედა ნაყოფათასა და ტყავი კბოხსაჲ მის და ყოველი ქორცი მის თავ-ფერკითურთ და ნაწლევით და ფუშნიერით (ლვ. 4,11).

...და ქორცი, ტყავი და ფუშნიერი მისი დაწუეს გარეშე ბანაკსა (ლვ. 9,11).

„ფუშნიერი — ფაშე-ფულანგი“ — წერს საბა. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ეს სიტყვა ფაშნიერ ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „ფუნე ფაშისა“, МОУЛО.

ახალ ქართულში ფუშნიერი იგივეა, რაც ფაშნიერი -- ფაშვიანი (ქგლ. VII).

ვფიქრობთ, სწორია ნ. ჩუბინაშვილი, როდესაც იგი ფუშნიერს МОУЛО-დ თარგმნის (შდრ. ხეცურული ფუშნიერი — „ის მონელებელი საკვები, რაც ფაშეშია“)³⁸⁹. (შდრ. ფაშე-ფუში — საუბ. იგივეა, რაც შიგნული, ქგლ. VII).

ფუშნიერი იგივეა, რაც ბერძნული χ α ρ ι σ „нечистота“.

ფაღი

ყოველსა, რომელსა არს მათ თანა ფრთმ და ქეცი წყალთა შინა და ზღუასა შინა და მდინარეთა, მას კამდით (ლვ. 11,9).

ყოველი ნავი შესათხველეთაჲ ვერ შემძლებელ იყო მოღებად ერთსა ქეცსა ბოლოასა მისისასა (სინ. მრ. 88,20).

³⁸⁷ ილ. კინკარული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41.

³⁸⁸ არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 101.

³⁸⁹ ილ. კინკარული, დასახელებული ნაშრომი, გვ. 239.

მყის აღმოვიდა ემბაზისაგან განმრთელებული და წყალსა შინა
დაძტევებელა ნაგუმეთა კორცთასა, ვითარცა ქეცთა რათმე
თევზთა (ზრონლრ. 254,14).

...არა გარეშემომდვა ჩუენ არცა ზრქელი ტყავი, ვითარ ზრო-
ხათა და სხუათა ზრქელტყავთა..., არცა ქეცნი, ვითარ გუელ-
თა და თევზთა (ბუნ. კაც. 14,27).

არიან უმრავლესნი თევზთაგანნი ქეცეანნი და უქეცო-
ნი... (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,27).

„ქეცი — თევზის ქიცი“ (საბა). „ქეცი, ქეცილი — ქიცი თევზ-
თა, чешуя (ნ. ჩუბ.).

ქეცის მნიშვნელობით ქართულში ქერცლო-ც გვხვდება (შლრ.
ქერტლი).

ქეც/ქერცლო-ის მნიშვნელობით მეგრულშია ქირცა/ქერცა/ქერცა
чешуя, перхоть, параш (ი. ყიფ.); ქანღრში გვაქვს ქერცელა/ცელა—
корошка на руне, чешуя (ნ. მარი) (შლრ. სვან. ცილ. ხის ჭერჭი“);
სვანურში ქერცლის მნიშვნელობით გამოიყენება ქვარჩა³⁰⁰.

არის ცდა ამ ქეც ფუძის დაკავშირებისა ქურქის აღმნიშვნელ
ოსტრ. каггс/кагсаე ფუძესთან³⁰¹.

ქიცი

ხოლო თევზნი განხუმითა ქიმთა მთა და შეყოფითა მი-
იღებენ წყალსა და განუტევებენ და ესრეთ სრულ იქმან ძალსა მას.
ყნოსისასა (ექ. დღ. 81,36).

ხოლო თევზნი განხუმითა ქიმთა მთა და შეყოფითა მიიღე-
ბენ წყალსა და განუტევებენ და ესრეთ არს საყნოსელი
მათი (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,8).

ამ შავალითების მიხედვით ქიში თევზების სასუნთქ ორგანოს
— ლაყურებს გულისხმობს. საბასთან ქიში განმარტებულია რო-
გორც „დიდთა ქურქელთა და ნავთა ნაპირი“. ქიში ფუძის გამოყუ-
ნება ლაყურის მნიშვნელობით, ალბათ, შეპირობებულია იმით, რომ
ლაყურისც ერთგვარი დაბოლოებაა, კიდურია, ნაპირია სხეულისა;

³⁰⁰ სვანურში ერთ-ერთი პარკოსანი მცენარის ოსპის აღმნიშვნელია ქარხ/
ქარც ფუძე. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ეარაულობს, ამგვარი სახელი
ოსპისათვის შეპირობებულია იმით, რომ გარეგნულად ოსპის ზედაპირი დანაკე-
ბულია თევზის ქიციისა თუ ქეცის მსგავსად; სწორედ ამ გარეგნულმა მსგავსებამ
შეპირობა ოსპისათვის სახელი ქარხ/ქარც; თვით ეს ფუძე ზანნიშნა სვანურში.
იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ენ. ისტორია, II, გვ. 67.

³⁰¹ შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 118.

თეათ ლაყუჩი საბას მიხედვით არის „თევზის ყბა“. ნ. ჩუბინაშვილ-თან „ლაყუჩია თევზთა ღაწუთა შორის ნაყეც-ნაყეცო ღრაჰები წყლის გამოსაშვები“.

ქიმ ფუძის სინონიმი ჩანს საყნოსელი.

ქუსები

და ამისთვის არა უქმად მდებარე ცხოველთა შორის ქუსეტი და იქუანჩი (ეჭ. ღლ. 110,8).

...არა უღად იქმნა ცხოველთათვის, რომელთა აქუს სტომაქებ და იქუანჩებ და ქუსეტიებ, ყოველივე აღმასრულებელად საჭმარისა თვისისა (ეჭ. ღლ. უძვ. რედ. 131,18).

და მოილო შესაწირავისა მისგან ცხოვრებისა და წაყოფად ღმრთისა ცმელი იგი გარდაბურვილი ქუსეტი და ყოველი ცმელი მუცლისა (ღვ. 3,3).

და მოილო ცმელი მუცლისა და ცმელი ქუსტისა და ძირი იგი ღვძლისა (ღვ. 8,25).

„ქუსები — გრძელი ნაწლევი“ — ჟანმარტაუს საბა. ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონ“-ში ქუსები ახსნილია როგორც „გრძელი ნაწლევი ანუ ფაში, утрина, треньха“.

შესაბამის ადგილას ბერძნულ ბიბლიაში იკითხება ἡ χιλιὰς ἑνδρίκχο, желудок, ყრუო (შორ. რუს. внутренности).

„ექუსთა ღღეთაჲს“ ათონელისეულ თარგმანში დადასტურებული ქუსები ახსნილია როგორც „მსხვილი ნაწლევი, ფაში, χιλύος“³⁰². ამავე ძეგლის უძველესი რედაქციის მიხედვით ქუსები „გრძელი ნაწლევი“³⁰³.

ზუანი/ზუვანი

და შემდგომად ამისა ეიზილე და აჰა ესერა მჭეცი იგი მეოთხშ საშინელი და ზარის-განსაჭდელი უძლიერესი პირველთა მათ. შუანი მისნი რკინისანი (ღან. 7,7).

ნაშობსა ბოროტსა კბილნი ასხენ მახვლნი და შუანი მკუთელნი განლევად და უქმად მდებალთა ქუსით (იგ. სოლ. 30,14).

ღმერთმან შემუსრნეს კბილნი მათნი პირსა შინა მათსა, და შუანი ლომთანი შეფქვენეს უფალმან (ფსალმ. 57,7).

შევმუსრენ შუვანი ცრუთანი და შოვრის კბილთა მათთა ნატატები გამოულე (იბ. 29,17).

³⁰² ე. კ. ხ. ა. ძ. ბერძნულ-ქართული ლექსიკონი.

³⁰³ ილ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ლექსიკონი.

ქენი როდელთანი ვაქარნი ქალაქთაგან განამრავლებდეს სავაჭროთა შენთა შუეათაგან პილოასათა (ეზეკ. 27,15).

ხოლო სისხლმან კობლიოასმან შეღებნა შუეანი ძაღლისანი (ელინ. ზღაპრ. III,65).

„შუანი — მკეცთა და ძაღლთა მაგარნი და ღიდნი კბილნი“ — განმარტავს საბა. ამ მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა ძველ ქართულში.

მონათესავე ენებში ეს ფუძე არ ჩანს.

ვეარაუდობთ, რომ შუანი შუა სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა — შუა-ნ-ი. რადგან შუანის სახელით ცნობილი „მაგარნი და ღიდნი კბილნი“ ცხოველს ჩვეულებრივ ორი აქვს, შეიძლება ითქვას, რომ საგნის განსაზღვრულმა რიცხვმა განაპირობა ამ საგნის სახელის მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით ხმარება. ასე რომ შუანი/შუვანი Pl. tantum-ის შემთხვევა უნდა იყოს ქართულში.

ახალ ქართულში შუანის მნიშვნელობით ეშვი ფუძე გვხვდება. შდრ. რუს. бивень, клык).

ცაელი

და დაითროს ქუეყანაჲ სისხლითა მათითა და განძლეს მიწაჲ ცმელითა მათითა (ეს. 34,7).

სავსე ვარ მე მრგულიად შუუართაგან ვერძთა და ცმელითა კრავთაჲთა (ეს. 1,11).

ალილო ერმან მან ცმელი იგი ვიდრე შესუარვადმდე თმისა მათისა (გამოსლ. 12,34).

ესე გულის-თქუმაჲ აღავსებს სულსა ვითარცა ცმელითა სიბოზისაჲთა (მამ. სწ. 16,39).

ცმელი ცხიმის ერთ-ერთი სახეობაა; კერძოდ, „ქონი ვარდაუნდნარი“ (საბა). ცმელის შესატყვისია ბეგრულში ცვმუ „ქონი“ (ი. ყიფ.), სვანურში -ცვმრა (ბ. ქ.) — „ლორის მუცლის ქონი“. ცმელ/ცვმრა — საერთო-ქართველური ფუძეა. გ. მაჭავარიანის აზრით ცმელ ფუძე შეიძლება დაუკავშირდეს ხმა — წახმა ზმნას³⁹⁴

შესაძლებლად მიიჩნევენ ცმელის დაკავშირებას ოსურ сает ჯუძქსთან, რაც ნიშნავს „талый снег, сало на реке“³⁹⁵.

³⁹⁴ Г. Мачавариани, О трех рядах сибилантих спирантов у африкат в картвельских языках, 1960 გვ. 5,9.

³⁹⁵ ვხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 122.

შა (საქა)

უღიღესი მათი შეიკროდა უმცროსისა მიერ თვისისა და უწარ-
ჩინებულესი მათი მოიყუანებოდა ცამობშული ძუასა ცხენისაჲა
(ცხ. თამარ. 349,1).

ცხენი რაჲ ითხოვოს მეფემან, ზარდახანის მოლარე აღვირთ
მისცემს, მისრატული პირსა აუხანამს... ზარდახანის მოლარე უნაგირს
გარდასდგამს, საძუეთ აღარ ჩაუყრის, იგივე ზარდახანის მეჯი-
ნიბე შექკაზმავს (გარიგ. 10,209).

მ ე გ რ უ ლ ი

ქვეერი ჩიტქი უირიხოლო კუჩხით შიბუ ძუასია (ი. ყიფ.
ანდ. 124), „ქკვიანი ჩიტი ორივე ფეხით ძუას შიება“.

ს ვ ა ნ უ რ ი

ამნემ ქახიკი ძუა ი ჩვადშხინ (სვ. ტექ. 1,165,17); „ამან
გამოადრო ძუა და შეინახა“.

ადქუთენე ლჩე-ფური ძუა, ვბრილ ხში ძაგვი ფარშეგი ლაღე,
შეგ ამერუნ ესფაშედხ (იქვე, 141,10), „ფურ-ირმის ძუა რომ გააქნია,
ველური ღორის ქაგარი და ფარშეგანგის ფრთა—ყველა იქ გაჩნდა“.

„ძუა- ცხენის კულის თმა“ — განმარტავს საბა „ძუა, ძუვა
ცხენთ კულის გრძელი ბალანი“ (ნ. ჩუბ.). ძუა ფუძე გვხვდება მეგ-
რულსა და სვანურში. მნიშვნელობა ამ ფუძისა ყველგან ერთნაი-
ბია.

ძუა-დან იწარმოება ამოიძუებს ზმნა ახალ ქართულში („კუღს
ამოიძუებს“ — „კუღს დაუშვებს, ფეხებს შორის მოიქცევს“, ქგლ.
1).

ძუა გამოიყოფა კომპოზიტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად,
მაგ. შელაძუა — „ბალახია ერთგვარი“. „გველაძუა — ძუის მსგავსი
ქუა“ (საბა).

სვანურში საცრის აღმნიშვნელ ძუშერა ფუძეში ეგვეც ძუა ფუ-
ძე გამოიყოფა, (შდრ. ხევსურული „ძუის საცერი“)³⁶⁶.

საცრის აღმნიშვნელ ჯილა ფუძეში აკად. ნ. მარი გამოყოფს
ჯი/ჯღ-ს და მიიჩნევს მას ძუა-ს ზანურ ვარიანტად³⁶⁷.

³⁶⁶ ალ. კ ი ნ კ ა რ ი ლ ი, დასახელებული ნაწარმი, გვ. 210.

³⁶⁷ Н. Я. М а р р, Яфетические названия деревьев и растений, Петроград,
1915, გვ. 773.

ნუ იყოფვით ვითარცა ცხენი და ქორი რომელთა თანა არა არს გულისხმისყოფად, **კ ი მ ი თ ა** და აღვრითა ქცევად დაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ (ფსალმ. 31,9).

„**კიმი-კანათის ავშარა**“ (საბა). „**ავშარა**“ განმარტებულია როგორც „სილა, ქორაკი, ულაგმო აღვირი, **недоуздок**“ (ნ. ჩუბ.).

კიმი, როგორც ტექსტიდანვე ჩანს, აღვირის სინონიმია.

ეს სახელი ინტერესს იწვევს წარმოების თვალსაზრისით; იგი, აშკარაა, **კიმივა ზმნურ ფუძეს უკავშირდება**, წარმოდგენილია ფუძის სახით — უაფიქსებოდ.

მოკმეღების აღმნიშვნელი სახელები

თხევლა (მესათხველღ, მთხევარი, ხათხველი, სათხველობა), კიმიანება, რქენა, ყიფა (მყიფარი), ცოხნა, ცურვა (მცურვალი, მცურვალობა), ძოვა (მძოვარ, სამძოვარ), წბა (წბობა, მომწბობელობითი), წკმუილი, წუილი, კკვილი/მქვანობა

თხევლა (მესათხველღ, მთხევარი, სათხვეალი, სათხველობა)

DE

C

ითხველიღეს რაჲ იგი-ნი ზღუასა, რამეთუ იყვნეს იგი-ნი მესათხველღე

ისათხველიღეს სათხველითა ზღუასა, რამეთუ მთხევარი იყვნეს

(მრ. 1,16)

გყვენთ თქუნ მესათხველღე კაცთა

...იყვნეთ თქუნ მონადირე კაცთა

(მრ. 1,17)

დაუტევეს ბადე მათი და შეუღდგეს მას

დაუტევენს სათხვეელნი იგი და მისდევდეს მას

(მთ. 4,20)

წარვიდეთ სათხველო-ბად

მივიდეთ თევზობად

(ივ. 21,3)

მივაელინებ მესათხველღეთა მრავალთა (იერ. 16,16).

თხევლა ძველ ქართულში თევზობის სინონიმი ჩანს. ამ ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი სახელები გვხვდება: სათხვეელი იგივეა, რაც „ბადე“, მესათხველღე, მთხევარ, მთხველარ — „მებადღური“...

ძველი ქართულის თხევლას უკავშირებენ ნადირობის აღმნიშვნელ ლითხელი ფუძეს სევანურში³⁹⁸. იმავე თხევლას უფრო ადრე აკად. ნ. მარი უკავშირებდა სევანურ შეთხვარს, რაც „მონადირეს“ ნიშნავს³⁹⁹.

კიშანება

ამისთვის აწ ტყუე იქმნენ დასაბამსა ძლიერთასა და მოისპოს კიშანებაჲ ცხენებთსა ეფრემისგან (ამოს. 6,7).

„კიშანება — კიხვინიეთ“ — წერს საბა. „კიშანება — კიხვინი ანუ კივილი“ — განმარტავს ნ. ჩუბინაშვილი.

ამ სიტყვაზე სხვა მაგალითი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ვერ დავადასტურეთ. კიშანება არ გვხვდება მონათესავე ქართველურ ენებში.

კიშანება კივ- ფუძეს ხომ არ იმეორებს (მ/ვ-ს მონაცვლეობა?).

რძინა

(მსჯელობა ამ ფუძესთან დაკავშირებით იხ. აქვე, გვ. 126 — 127).

უფუა (უვაფარი)

შენ შეპრისხნი ძაღლსა, ყეფნ რაჲ იგი (მამ. სწ. 148,3).

მაგათ ძაღლთა აქუს ბრძანებაჲ, რაჲთა არა გარდამოკლენ ზღუდით, არამედ მით ყეფდენ (ლიმნ. 91,11).

ყოველნივე არიან ძაღლ მცბიერ, რომელნი ვერ შემძლებელ არიედ ყეფად, საჩუენებელსა იბილვედ საწოლსა თვისსა (ეს. 56,10).

იყენეს ყლნივე დიდსა სიბორგილესა შინა ყეფდეს ურთიერთას და იტყოდეს (კიმ. I,190,36).

ბევრწილად ეშმაკთ-საყუარელო ძაღლო მომკუდარო, ცუდად მყეფარო (კიმ. I,139,18).

არს აწ ძალი მამისა შენისა ეშმაკისაჲ და სიქადული შენი ძაღლისა მყეფარისაჲ (კიმ. II,35,23).

„უფუა — ძაღლთ ქაღილი“ — წერს საბა. ამ ფუძის შესატყვისი მონათესავე ენებში არ ჩანს. ყეფის მნიშვნელობით ზანურში ლალ- ძირია. (მდრ. კან. ლალოჲ/ლალომს, მეგრ. ლალუნს —

³⁹⁸ Г. А. Климов, Этимологический словарь, გვ. 98.

³⁹⁹ Н. Я. Марр, Древнегрузинско-русский словарь, СПб. 1913, გვ. 10—11.

„ყეფს“) ⁴⁰⁰, სვანურში გვაქვს ლივშიდე ფუძე, ქეშიდე (ბზ., ლშხ.) — „ყეფს“; შდრ. ზეფა (ჩბზ. ლშხ.) — „ყეფს მოყვარული“, „სულ მუდამ რომ ყეფს“ ⁴⁰¹.

აკად. ნ. მარი ყეფას უკავშირებს ტურის აღმნიშვნელ ქანურ კაა-ფუ ფუძეს ⁴⁰², (შდრ. სვან. ლიქეფ — „ჭენა“) რაც, ვფიქრობთ, სარწმუნოა (შდრ. ძველ ძველებში დადასტურებული მყეფარი; აგრეთვე ხევსურული მყეფავი (ძალი) ⁴⁰³.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ყეფის მნიშვნელობით ყეფილი — დასტურდება; (ყეფილი (ზ. იმ., რაქ.) — ძალის ყეფილი ისმის) ⁴⁰⁴.

ცოხნა

ყოველთა შოვრის პირუტყუთა, რომელთა ქლაკო ვანყოფილ არს და ფრჩხილითა ფრჩხენს და არა აღმოიციოხნის, არა წმიდა იყავნ თქუენდა (ლვ. 11,26).

მეყსეულად ეშმაკმან მან ბოროტმან შეიპყრა იგი და ყო უკულისხმო, და ვა ქარი იციოხნიდა (კიმ. I, 327,6).

რამეთუ არცა რაა აღმოიციოხნის მათ შორის, გარნა სკაროსი ხოლო მარტოდ (ექ. დღ. 83,15).

ხოლო ენათა ცოხნაა გარდამეტებულთა მათ ქართა და საღმობათა ზახეა არს, რომელნი მის მიერ ცთუნებულთა ზედა მოიწუნენ (გამოცხ. იოვ. 89,5).

ამისი ცოხნაა არავისსა დაენახა არცა ერთა მათ ბუთასთაგანსა (კიმ. I,206,5).

და მეხუთემან დასთხია საყდარსა მას ზედა მკეცისა მის, და იქმნა მეუფება მისი დაბნელებულ და იციოხნიდეს ენათა თვისთა ტკივილისაგან (გამოცხ. იოვ. 16,10).

„ცოხნა — კბილით დაწულილება“ — წერს საბა. „ცოხნა — ღეკა, დაღეკა, დაციოხნა, жевать“ (ნ. ჩუბ.).

ცოხნა ფუძის მნიშვნელობით ქართული ენის დიალექტებიდან მოხეურში გვხვდება კევნა, ხოლო ფშაურში — ლოხმარება „მცოხნავი საქონლის მიერ ფაშვიდან საკმლის ამოღება და ხელმეორედ

⁴⁰⁰ არნ. ჩ ი ქ ო ზ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 301.

⁴⁰¹ სვანურ ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

⁴⁰² Н. Я. М а р р, Извнрн. рнрноты, т. V, გვ. 242.

⁴⁰³ თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130.

⁴⁰⁴ შ. ა ლ ა ე ი ძ ე, ქართული დიალექტური ლექსიკონიდან; ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XXIV, 1962.

გადაღებვა⁴⁰⁶. ალ. ჰინჭარაულის ცნობით კევნა ხევსურულშიც იხ-
მარება, კაცებდაც იტყვიან — „პური ჰამე, რას იკევნებოი“; კევნა
ლოლნაა.

ცოხნის აღმნიშვნელია მეგრულში ნკვერა ფუძე. ინკვერხ —
„იცოხნის“, ხოლო სვანურში — ლიწხვი; იწხვი — „იცოხნის“.

ცოხნა ფუძის ფონეტიკური შესატყვისი ჩანს სვანური ლიჩხუჭ,
რაც „ძოვას“ ნიშნავს (შდრ. ქართული ცეხვაფხ: *ცეხენის > *ცეხ-
ნის > ცოხნის)⁴⁰⁶.

სურავა (მსურავალი, მსურავალობაი)

ყოველი მცურვალი, გინათუ პირსა ზედა ცურავს
წყლისასა, გინათუ სიღრმესა შინა განჰკუეთს წყალსა, არს იგი
ბუნებისაგან ქუეწარმავალთაჲსა, რომელი-იგი ცურავს გუამსა
ზედა წყლისასა. და გინათუ ფერკ ასხენ და ვალს წყლისათაგანი
ჩაჲმე. და უფროჲსლა უმრავლესნი მათგანნი არიან ორცხოველ, ვი-
თარცა სახედ კუნი და ჯუტქნი..., არამედ თავადი საქმე მათი არს
მცურვალობაჲ (ექ. დღ. 81,6—11).

...მსგავს არიან იგინი (ვეშანი) მათაჲ მათ ღიღ-ღიღთა სიღი-
ღითა გუამსაჲთა ვიღრე-ლა მრავალ-გზის ქალაკთა მათ ღიღთა სა-
ოცრებასა აჩუენებდიან რაჲამს-იგი ოდესმე პირსა ზედა წყალთასა
აღვიდიან ცურვად (ექ. დღ. 89,3).

...არიან ფერქნი მათნი (ზღვის ცხოველთა) ტყავის სახედ, რაჲ-
თა ადვილ იყოს მათდა ცურვად წყალთა შინა (ექ. დღ. უძვ.
რედ. 120,12).

წყალში წყლის ცხოველები ცურავენ, ხოლო ჰაერში — ფრინ-
ველები, რადგან „შორის მფრინველთა და შორის მცურვალთა ნა-
თესაეობაჲ არს. დაბადებაჲ მფრინველთაჲ წყალთაგან იქმნა“.

...თევზნი წყალსა განაპებენ და ძრვითა ფრთეთაჲთა წარმართ
ვლენ და წარემართებიან, ხოლო საჭითა ბოლოთაჲთა მიმოქცევა-
სა და მართლიად ღლვასა თვისსა განაგებენ, ეგრეთვე სახედ იხილ-
ვების მფრინველთათვისცა, რამეთუ ცურვენი იგინი ფრთეთა
ძიერ ჰაერთა შინა, ვითარცა იგინი წყალთა შინა (ექ. დღ. 93,17).

ცურვა ფუძე გველის მოძრაობის აღსანიშნავადაც არის გამო-
ყენებული ძველ ქართულში. მაგ.; გუელი გულარძნილ არს და მრავ-

⁴⁰⁶ ლ. ლეონიძე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

⁴⁰⁶ ამ მაგალითზე მიგვითითა ალ. ჰინჭარაულმა.

ვალფერ, ამისთვისა დაესაჯა მას, რაჟთა ცურვიდეს მკრდითა თვისითა (ექ. დღ. 84,37).

ცურვა ფუძე, იშვიათად, მაგრამ შინც გვხვდება ავადმყოფი, დავრდომილი ადამიანის მოძრაობის გამოსახატავად. მაგ.; ესე დავრდომილი იყო და ქუეჯდომით ცურვიდა (არიმთ. 55,65).

„ცურვა — წყალში გლინვით გავლა; გლინვა — გველივით გა-
ცორვება“ (საბა). ცურვა ფუძის შესატყვისია მეგრ. ჩურ/ჩურუნს —
„ცურავს“ და ქან. ჩვირ/ინჩვისხხ — „ცურავს“. -ც/-ჩ- საერთო ძი-
რია ქართულ-ზანურისათვის. -ჯრ დეტერმინანტი სუფიქსია⁴⁰⁷.

სევანური ენის ბ.ზ. დიალექტში ცურვის მნიშვნელობით ლილ-
ცუნალ ფუძე გვხვდება — სახელიდან ცხუ — „თევზი“; ლაშხურში
გვაქვს ქართულიდან შეთვისებული ფუძე — ლიცრაჭ — „ცურვა“.

საინტერესოა ლაშხურშივე ხმარებული ცურვის გამომხატვე-
ლი გამოთქმა — კალმახშნლ იცხულიელ. კალმახ თევზის აღმ-
ნიშვნელია სევანურში; იცხულიელ ცხუ სახელიდან ნაწარმოები
ზმნური ფუძეა (ცხუ — „ისარი“, ბ. ზ. იცხუ); მთლიანად გამოთქმა
უნდა ნიშნავდეს — „თევზივით, ისარივით გაეარდნას, — გაცურ-
ვას“.

ძოვა (შოვაპარ, ხაშოვაპარ)

ქარი და დათვ ზოგად ძოვდენ და მართუენი მათნი აღრე-
ულად იქცეოდინან (ეს. 11,7).

ასუთ ცხოვართა და წარვედით და აძოვებდით მათ
(დაბ. 29,7).

და ძოვდენ შორის მისსა სამწყსონი და ყოველნი მქეცნი
ქუეყანისანი (სოფ. 2,14).

რ¹ ცხენნი ძოვდეს და ც²ა კრავნი ხლდებოდეს (სიბრძ.
სოლ. 19,9).

და მოვიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა,
ხოლო მან წარავლინა იგი ველად თქსა ძოვნად ღორთა (ლქ.
C 15,15).

ხოლო განვიდიან რაჟ კარაულნი ძოვნად, გამოვიდიან
მქეცნი იგი და მავნებელ ექმნებოდინან კარაულთა მათ (წიო, 114,8).

ცუელმან ვნებაჟ თუალთაჟ განიკურნის, ძოვის რაჟ კა-
მაჟ (ექ. დღ. 106,27).

⁴⁰⁷ არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437.

მოვიდიან მფრინველნი ცისანი... და ბაბილოსა მას მოისთუ-
ლებდიან და ყუავეილსა მას ძოვდიან (მოქც. ქართ. 123,6).

...კონიოს შაშუნი ძოვენი (ექ. დღ. 54,20).

და ძოვდენ შორის მისსა... მსუენ-ლომნი და გრძლბნი
(სოფ. 2,14).

ნუ იხილოს წუელაჲ მძოვართაჲ, ნუცა ნაყოფი თაფლი-
საჲ და ერბოჲსაჲ (იბ. 20,17).

გვწესს ჩუენ ქუეყანაჲ გამოცხადებად მკეტთა მათვს და ქუე-
წარმავალთა და მძოვართა განზზადებული უწყებად ჩუენდა,
რომელი-იგი შეეტყუების მცენარეთა და ნათესავსა მცურვალთასა
და მფრინველთასა (ექ. დღ. უძვ. რედ. 120,29).

...ყოველნი ერთსა საძოვარსა ვძოთ (მამ. სწ. 106,11).

...მტერმან ვითარცა სრსკლმან საძოვარი პოოს შენ თანა
(შუშან. 8,13).

„ძოვნა — მოლის მოკმა“ — წერს საბა. „ძოვნა — ჭამა მოლ-
თა და მღელთა, пастись. ძოვება (ვაძოვებ) — გაშვება ხვას-
ტაგთა საძოვართა მინდორთა ზედა საკვებად, пасты, травить (ნ.
ჩუბ.).

ძოვ- ფუძიდან ნაწარმოები მძოვარ და საძოვარი გვხვდება
ძველ ძეგლებში. რადგან ძოვა გულსხმობს ბალახის, თივის ჭამას
საერთოდ. ამდენად იგი გამოიყენება როგორც ცხოველებს, ასევე
ფრინველების, თევზებისა და ქვეწარმავლების მიმართაც.

ძოვა ფუძის შესატყვისია ქანურში ჭვინ/ჭუფ-; მეგრულში ამ
მნიშვნელობით მხოლოდ დიარ ფუძე გვხვდება იდიარხ — „ძოვს“⁴⁰⁶
(შდრ. სვან. დიარ — „პური“).

სვანურში ძოვის აღმნიშვნელია ლიჩხუ; ფონეტიკურად იგი
ქართ. ცოხნა ფუძის შესატყვისი ჩანს (იხ. აქვე, გვ. 138).

ვაა (ვაოაა, ვოავაოაალოაითი)

.....მოქალ და დაიმკვდრე აგარაკი მისი... ადგილსა რომელსა
წბეს ძაღლთა სისხლი ნაბუთმსი, მუნ წბონ ძაღლთა სისხლი
შენი (ხრონდრ. 122,31).

და წბეს ძაღლთა მუნ ადგილსა მას სისხლი მისი სიტყვსა
ნისებრ (ხრონდრ. 123,16).

მზრდელობითისა ბუნებითში ძალნი არიან ოთხ: მომწბო-

⁴⁰⁶ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437.

ბელობითი, პყრობითი, შემცვალელობითი, განმავლინებლობითი. რამეთუ თითოეული ნაწილი ცხოველისაჲ ბუნებით მონიშნობს: თესდა-მიმართ თესსა საზრდოსა და, ოდეს რაჲ მიიწობს, იპყრობს... (ბუნ. კაც. 110,11).

...თითოეული ნაწილი მიიზიდავს და მიიწობს სისხლსა, და იპყრობს და შესცვალეებს თესად ბუნებად... (ბუნ. კაც. 111,27).

შეერთობის უკუშ მსხვლსა არტირიასა ვრონხოჲ, რომელ არს ლაქლაჲი თანშედგმული სამთა-გან დიდთა ხონდროთა; და ამათ — ქორკის თავიცა და მერმელა — პირი და ცხკრი. რამეთუ ორთავე მიერ მოვიწობთ გარეგნით ჰაერსა (ბუნ. კაც. 122,18).

წბა/წბოლა საბასთან განმარტებულია როგორც „თქლეფა“. ამავე ლექსიკონში გვხვდება შოწბობა. ამ ფუძეს საბა შემდეგნაირად განმარტავს: „ესე არს ცხოველმან რა საზრდელი ჰამოს, მისი ძალი ბუნებით თესად მიიწობს და ნამეტნავი გაყაროს“. წბა/წბოლა ასულეჲა, полочет, полижет (ნ. ჩუბ.).

როგორც მაგალითებიდან, ასევე განმარტებებიდანაც ჩანს, რომ წბა/წბობა ფუძე გულისხმობს „რისამე მიზიდვას“ (იქნება ეს ჰაერი, სითხე თუ სხვ. притягивать, втягивать).

წბა ფუძე ხომ არ არის წებ- ფუძის (ზან. ჰაბ — „დაწებება“) რედუცირებული ვარიანტი?

წამუილი

მოიყვანა კარაულნი მგელმან და მწუხარე წკმუოდა და ტიროდა (შიო, 116,36).

ხოლო მგელი იგი... გამოვიდა და ტიროდა წკმუვილით (შიო, 116,36).

„წკმუილი — ძაღლის ტირილი“ — წერს საბა. ჩვენს მაგალითებში მხოლოდ მგლის მიმართაა ეს სიტყვა ნახმარი. მაგალითები ცოტაა.

წკმუვილის მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს წკუმინუა, ქანურში — წკუმინ. სევანურში ამ მნიშვნელობით ლიწკული ფუძე დასტურდება.

წკმუილი/წკუმინ-/ლიწკული — ხმაბაძვითი ფუძეა⁴⁰⁹.

⁴⁰⁹ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, გვ. 245.

წელი

ნუ იხილოს წელია მძოვართაჲ, ნუცა ნაყოფი თაფლი-
საჲ და ერბოჲსი (იბ. 20,17).

იხილნეს ირემნი მდგომარენი და წმიდაჲ ლუკიანე წულ-
და ირეჲთა მათ (გარეჯ. 163,20).

ძმაო, მიიღე პინაკი და მოწუელენ ირემნი ისი (გარეჯ.
156,37).

ქართული წველ ფუძის შესატყვისია ჰანურში მ/ჰვ-ალ ნ/ჰვ-ალ
და მეგრულში ჰვ-ალ; ძირეულია წვ-/ჰვ-, მ-/ნ- ჰანურში ფონეტი-
კური დანართია⁴¹⁰.

სვანურში ამ წვ-/ჰვ- ძირის შემცველი ფუძე არ ჩანს. წველის
მნიშვნელობით სვანურში იხმარება ლიშვი.

შესაძლებლად მიიჩნევენ წველის წვ<წუ — დაუკავშირდეს
წუეთის წუ-ს, შდრ. წუმს — „წუთაჲს“⁴¹¹.

ჰვადი/ მჰვანობა

კმისაგან ჰვადი ისა აღმკედრებულთა ჰუნეთა მისთასა
შეიძრას ყოველი ქუეყანაჲ (იერ. 8,16).

არა მოაკლო მორბედმან სრბისაგან თვისისა, ვითარცა ცხენმა
ოფლიერმან ჰვადი ისა შინა მისსა (იერ. 8,16).

ხოლო დამე რაჲ იქმნა, ცხენებრ მჰვადი ისა მისა
მთასა შინა (იოან. VIII,31).

„ჰვიფილი არს სავედრებელი ჰმაცოფა; რაჲ საზრდელისა ეამი
მოუვიდეს ჰვიფის პატრონისა მიმართ. ჰვიჰვინი ესე არს ცხე-
ნისაგან ოგურის ცხენისა მიმართ, გინა დედისაგან კიცს მოწო-
დება. ხოლო ჰვიჰვინი ჰმა მრისხანებისა ცხენისა“ — განმარტავს
საბა. ასევე განმარტავს ამ ფუძეებს ნ. ჩუბინაშვილი.

მაგალითები ამ სიტყვაზე ცოტაა; რაც დაიძებნა, იმის მიხედ-
ვით შეიძლება ითქვას, რომ ცხენის ხმისანობის საბასეული დაყო-
ფიდან ტექსტებში დაცულ ჰვადი ფუძეს ჰვიჰვინის — განმარტება
უფრო უდგება. ძველ ქართულში ეს უკანასკნელი არ გვხვდება.
ახალში იხმარება ჰვიჰვინ- ფუძეც. ეს სიტყვა გვხვდება მეგრულ-

⁴¹⁰ არნ. ჩ ი კ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 409.

⁴¹¹ იქვე, გვ. 409.

ში — ხვიხვინ, კანურში — ხირხინ-/ხიხინ-⁴¹² და სვანურში ლიხვიხ-
ვინი ფორმით.

ხვიხვინის პარალელურად ქართველურ ენებში ჭიხვინიც გვხვდებ-
ა. (მეგრ. ჭირხინი, სვან. ლიჰგრხგნი (ბზ.), ლიჰიხვნე (ლშხ.)

როგორც ჭიხვინი, ასევე ხვიხვინი/კვილი ხმამაძვითი სიტყ-
ვებია; ამასთან კვილი/ხვიხვინი გავრცელებული ფუძეა *ჰუნჰუნ>
*ხვინხვინ>ხვიხვინი; *ჰვლჰვლ>*ჰჰვლ>ჰვლი-; ძველ ქართულში
ეს ფუძე -ილ სუფიქსიანია, ახალში -ინ ენაცვლება.

⁴¹² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 428.

თ ა ვ ი II

ცხოველების აღნიშვნელი ნასესხები სახელები

კრებითი სახელები

არვე, კოლტი, ნადირი, ნახირი, რემა/რემაკი, ყათარი, ზუახტაგი
/ზუახთაგი/ზუახსდაგი, ჭოგი (თანამეჭოგი), თანაჯოგება

არვე

არა შევიწირავ მე სახლისა შენისაგან ზუარაკთა, არცა არ-
ვისა შენისაგან ვაცთა (ფსალმ. 49,9).

და იყო მუნ კაცი ერთი მანს და არვე მისი კარმელს (მფ.
I,25,2).

რამეთუ ვინაჲ ბევრეულთა ცხოვართა შინა აღიმღერნის რაჲ
კრავმან და განხლდის არვისაგან, იცნის კმაჲ დედისაჲ და
მისავე მიისწრაფინ და ეძიებნ თჳსისა მის სძისა წყაროთა (ექ. დღ.
108,21).

რაჲამს იგი არვისაგან ცხოვართასა ივლტოდა ტიმოთე
და წარვიდა დაბასა მას, სადაცა აღიზარდა, ყოველთა ადგილთა
მამოვიდოდეს (ანტიოქ. 22,9).

კბილნი შნნი ვა არვე მორისულთაჲ აღმოძვეალი საბანე-
ლით (ქბ. ქბ. 4,2).

„არვე — ჭოგი თხათა და ცხოვართა“ — (საბა); „არვე — ფარა
თხათა და ცხუართა“ (ნ. ჩუბ.).

ქართულს მონათესავე ენებში ეს სიტყვა არ ჩანს. როგორც
ვარაუდობენ არვე იგივეა, რაც ოსური arwar/ærwær ძვ. ირ.
vraza, რაც ირმის ჯოგს ნიშნავს¹.

კოლტი

და იყო მათგან შორს კოლტი ლორთაჲ მძოვარი (მთ. DE
8,30).

¹ შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი
ურთიერთობიდან თბ., 1966, გვ. 77.

ნახირი

და დღესა ერთსა, განცხრებოდეს რაჲ ზღვსპირსა, შეკრბა მუნ ნახირი ზროხათაჲ, რომელთა შორის იყენეს კურონი დიდ-დინი და ფიცხელნი (ტავრომ. IV,34).

„ნახირი“ — მროწეული, ზროხის ჯოგი — წერს საბა. „ნახირი — მროწლე ზროხათა“ (ნ. ჩუბ.).

ნახირი წარმოშობით თურქული სიტყვაა და ნიშნავს „საქონლის ჯოგს, ცხერის ფარას“⁴.

რემა/რემაკი

...და მოვიდეს შენდა რემაკები აქლემთაჲ და დაგუარონ შენ აქლემებთან მადიამისთან (ეს. 60,6).

არა აცხოვნებდა მამაკაცსა და წარმოსტყუენვიდეს ცხოვარსა და მროწელსა მათსა და რემაკებსა და აქლემთა (მფ. I,27,9).

უღლეული ქართაჲ ჯნვიდა და რემაკი იგი ვირთაჲ მათ ჯდალთაჲ ძოვდა მახლობელად მათსა (იხ. I,14).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ძირითადად რემაკი ფუძე გვხვდება. ტექსტებში დასტურდება რემა-დან ნაწარმოები შერეში, შერეშეთუხუცეხი. გვაქვს აგრეთვე შერემაკე, მაგ.: მე რეშეთუხუცესი მქარსა უთქს და მქარსა საგდებელი აცვა და მერეშენი უქან უდგანან (გარიგ. 16,375).

აჩუზჩი და ამირ-ჩქარი და მერეშეთუხუცესნი წინათ დგანან შორს და სიარულადაც წინათ იარებიან (გარიგ. 9,191).

კატბანი მერემაკჲ არს (სახ. სიტყ. 15,5).

საბას განმარტებით „რემა — ცხენთა ჯოგია, ხოლო „რემაკი — უქედი ჰაკი ცხენი“. ამავე ლექსიკონში რემა ახსნილია როგორც „უქედი ცხენი“. „რემა, რემაკი — ხრდალი ვირი ანუ ჯოგი მათი“ (ნ. ჩუბ.).

ტექსტებში რემაკი ფუძე აქლემთა, ვირთა და მისთანათა. სიმრავლის აღმნიშვნელი ტერმინია, განმარტებების მიხედვით კი ეს ფუძე კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელია. საინტერესოა

⁴ Русско-персидско-тюркский словарь, составил Аббас-кули-Хан-Сафтин, Тегран.

ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რემა ცხოველთა სიმრავლის აღმნიშვნელია, მაგ.:

ამილახორო მოასხი რე მ ა, ჯოგი და ცხენია (54,2).

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერში ფუტყარის რემაც დავადასტურეთ:

„მთა იყო მეტად მაღალი შუა ჰინდოთა თემის,

მთას აქათ იდგეს ჰინდონი მსგავსნი ფუ ტყ ა რ თ ა რ ე მ ი ს“.

რემა/რემაკი მომდინარეობს საშ. სპ. ram-ak ფუძიდან, რაც ნიშნავს „ჯოგს, ფარას“⁶. ვარაუდობენ, რომ ეს ფუძე ქართულში შეთვისებულია სომხურიდან; სომხურში იგი *հրամակ* ფორმით გვხვდება და ნიშნავს „ცხენის ნაშიერს“⁷.

როგორც ვხედავთ, ქართულში ამ სიტყვას მნიშვნელობა თანდათან დაუეწიროვდა.

რემა/რემაკი ახალ ქართულშიც გვხვდება; მნიშვნელობა იგივეა, რაც ძველ ქართულში ჰქონდა ამ ფუძეს (ქგლ. VI).

ქართული ენის დიალექტებიდან რემა ხევსურულში გვხვდება კარგი ცხენის მნიშვნელობით, მაგ.:

„თუშეთით გამემართა ქორ-შავარდნების ჯარია,

ცხენთა გადასხდეს რე მ ა თ ა, მახქრიან, როგორც ქარია“ (227,26)⁸.

ერწოში „კვიციის“ მნიშვნელობა აქვს რემახ. საინგილოში ერაშუჯ ფორმით გვხვდება ეს ფუძე (ზღრ. სომხ. *հրամակ*) და „ფურ-კამეჩს“ აღნიშნავს. რემა გურულსა და იმერულში აღადმიანთა სიმრავლის გადმოსაცემად იხმარება (მესაქ. ლექსიკონი).

შათარი

და სალაროსა წინათ იარების სიკისტრიონი და ერთი ყ ა თ ა რ ი. სხვაჲ ჯორი სასაგებლე ტურფადე მოკაზმული (გარიგ. 7,128).

„შათარი — სხუათა ენაა, ქართულად სტრატული ჰქვან“ — წერს საბა. სტრატული საბას ლექსიკონშივე განმარტებულია როგორც „ჯორთ შვიდეული“.

⁶ რუსთველოლოგიური ძიებანი, I, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ეარიანტები, ნაკვეთი IV, გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963, გვ. 1050.

⁷ შ. ა ნ დ რ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები..., გვ. 365.

⁸ ლ. ა მ ო ხ ი ა ნ, დასახლებული ლექსიკონი; ტ. II, გვ. 759.

⁹ ხევსურული მასალები, ბეს. გაბურის მიერ შეკრებილი..., წელიწადგული, I, თბ., 1925.

ყათარი არაბული სიტყვაა — qitār და ნიშნავს „აქლემების ქარავანს“, „მატარებელს“. ეს სიტყვა თურქულშიც იხმარება kafar — ასევე „ქარაენის, ცხოველთა გრძელი რიგის“ მნიშვნელობით⁹.

ხაასტაგი / ხაასთაგი / ხაასდაგი

არცა დაშთებთან მდიდარნი და არცა ხუასტაგისა მოყვარულნი (მამ. სწ. 230,26).

...ნებაჲ მონაგებთაჲ და სიხარული ხუასტაგისაჲ გუაქთუნებს და არა ვიურეით საგზალსა გზისა მისთვის (მამ. სწ. 253,8).

...რომლითა იგი ზრდის ხუასტაგსა შენსა, შენისა ცხოვრებისა საქმართა აღაორძინებს (ეჭ. ლლ. 50,22).

...ერისა კაცი ფარანელნი განემზადნეს ბრძოლად დედა-წულისა მათისათვის, ხუასტაგისა მათისათვის (სინ. მრ. 272,2).

...ილაღებოდეს დედის ძმაჲ მისი ერმიონ და მამის ძმაჲ გრიგორი სახლისათვის და მამულისა, ხუასტაგისა მისისა (კიმ. II,3,27).

და იყო ნეტარი იგი... დაბასა თვისა მეტლასკენს მამულსა თვისა ზედა, ხუასტაგსა და სხლსა დედის ძმის თვისისა თანა (კიმ. II,2,20).

ხუასტაგი/ხუასდაგი/ხუასთაგი პირუტყვის, საქონლის მნიშვნელობით გვხვდება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში. ასევეა განმარტებული ეს სიტყვა ლექსიკონებში: „ხვასტაგი — საქონელი, საყოლელი“ — წერს საბა. „ხვასტაგი — მოსაშენებელი პირუტყვი, შინაური საქონელი, საცხოვარი, скот, скотоводство“ (ნ. ჩუბ.).

ეს ფუძე არ ჩანს არც ზანურსა და არც სვანურში. ქართული ენის დიალექტებიდან ხვასტაგი ხვადაგი ფორმით გვხვდება გურულსა და იმერულში საქონლის მნიშვნელობით¹⁰; შღრ. ხევსტურული სახოზდაგე — „სამყოფოს უკენ ლუბის საქონის სადგომი სითბოსად“¹¹ (შღრ. გვარი ხვადაგიანი).

ხვასტაგ ფუძე ირანულ ენობრივი სამყაროს კუთვნილებათ; ეს იგივეა, რაც სპ. Xoaštak — „ქონება“, „სიმდიდრე“¹².

⁹ H. Wehr, Arabisches Wörterbuch für die Gegenwart, Leipzig, 1958.

¹⁰ ლ. ლეონიძე, შესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

¹¹ ილ. ჭინჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

¹² შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 412.

ჯოჯი (თანამეჯოჯი, თანაჯოჯაა)

ვიეთ-მე უკუშ თანამეჯოჯისა და თანასხეულობისა ქალაქად სახელ სდევს, ვინაჲ მახლობელობით და არა მშორებლობით ერთი-ერთარსსა სარგებელსა მივიწყოფებთ, რამეთუ ბუნებით თანამეჯოჯედ და მოქალაქედ ცხოველად შეიქმნა კაცი (ბუნ. კაც. 16,4).

ყუაენი ვინაჲვე და ყორანნი თანაიჯოჯებენ უკუშ მრავალნი მრავალგზის და განიყოფვიან ვინაჲვე თვთეულისაებრ მუღლუობისა თვთეულისაგან მეცნედ თანამეუღლისა (ბუნ. კაც. 167,26).

...ვითა ჯოჯი კანჯრისა ლომმან, დაკოცნა, ამოსწყვდნა და რისხეა ღმრთისაჲ მოაღლინა თავსა მათსა ზედა (ქართ. ცხ. II, 77, 12).

იარეს და ზედან შეჰხლეს ნურადინის მეჯოჯეთა.

ჯოჯი ნახეს, მოეწონა ფრიდონისთვის ფავეთა (ე. ტყ. 1375,1).

ვინ გიშერი დააჯოჯა და წამწმისა არემა-რე (ე. ტყ. 1532,3).

ჯოჯ ფუძე მოგვიანო ხანის ძეგლებში გვხვდება; უძველეს ძეგლებში ჯოჯ-იდან ნაწარმოები თანაჯოჯება, თანამეჯოჯე ფუძეები შეგვხვდა.

საბას ლექსიკონის მიხედვით ჯოჯი ყოველგვარი ცხოველის სიმრავლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია; იქვე ჩამოთვლილია სხვადასხვა ცხოველთა სიმრავლის აღსანიშნავად ქართულში გამოყენებული ზოგადი სახელები, მაგ., „ცხენის ჯოჯს ეწოდების რემა; ჯოჯს ზროხათასა — მროწლე...“ (საბა).

ჯოჯი — ხროვა ნადირთა, ანუ ზეასტავთა საძოვარზედ, табух, стадо... ჯოჯი უფრო ითქმის ცხენისათვის — конский завод (ნ. ჩუბ.).

ვარაუდობენ, რომ ჯოჯი არაბული სიტყვაა *jaux* — толпа, стадо, სპ. *jok*, ოსური *ჯაფ/ჯოგ* — стадо, гурт, стая. ეს ფუძე გვხვდება სომხურშიც; პრ. აქარიანის აზრით სომხური *ჯოკ* მომდინარეობს ფალაური *jok* ფორმიდან და აღნიშნავს ხალხისა და ცხოველების სიმრავლეს¹³.

ვარაუდობენ, რომ *ჯაფ/ჯოგ* ფუძე ოსურში შეთვისებულია მეზობელი კავკასიური ენებიდან: ქართ. *ჯოგი*, თუშ. *ჯოგ*, სვან. *ჯვეგ*, სომხ. *ჯოკ*¹⁴.

¹³ ჯ. ბ. ა. ნ. ხ. ა. ნ. დასახ ლექსიკონი, ტ. VI.

¹⁴ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь, т. I. М.-Л., 1958.

ყოფი ფუძე ხევსურულში ცხენების გროვას გულისხმობს მხოლოდ¹⁵.

ცხოველთა სახელები

ავაზა, ავთოლოფოს, არნი, აპის, აფთარი, აქლეში, ბატრუქაი/პატრუქაი, ბოტი, ბრანგუ, ვიგრი, ზუარაკი, იქნამონ, კამბეჩი, კერდო, კურო, მუტრუკი, პანფილი, პილო, ტაიჭი, ტარიგი, ტახი, ქურციკი, ყვანდიზი, ჭინიზი, ჰუნე/პონე, ასპიტი, ბახილიკონი/ვახილიხკო, იქედნე

ავაზა *acinonyx jubatus*

...ვექნე მათ ვითარცა ავაზნი და ვითარცა ვეფხი (ოსე, 13,7).

ავაზნი მშუღ არს ჭეკმადა ყუდრო მკეცი იგი. რქს ჭამის საქმელი, განძლის და დაწყს... (სახ. სიტყ. 24,17).

... შევექანემე, დარბაზს მივე, დამხედა ჭარი ავაზისა (ვ. ტყ. 474).

„ავაზა — ვეფხსა ჰგავს, მცირეა“ (საბა). „ავაზა — მომცრო ვეფხი“ (ნ. ჩუბ.) ავაზა მტაცებელი ცხოველია; მისი სხეულის აგებულებაში შეიქმნევა როგორც კატის, ასევე ძაღლის დამახასიათებელი ნიშნები. მას ახასიათებს არაჩვეულებრივი სისწრაფე. ავაზა ადვილად შინაურდება; ცხოველებზე ნადირობის იშვიათი თანდაყოლილი უნარის გამო მას ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა ნადირობაში¹⁶.

ავაზა სპეციალურ ლიტერატურაში გეპარდის სახელითაა ცნობილი. ავაზა იგივეა, რაც სომხ. *լուխ*. ქართულში ეს ფუძე სომხურიდან უნდა იყოს შეთვისებული¹⁷. თვით ეს ფუძე მომდინარეობს სპარსულიდან — *jus* — ავაზა.

ავთოლოფოს *antilopes*

არს მკეცი, რთ იწოდებთ ავთოლოფოს, მძენარშ და სასტიკ არს მკეცი იგი. რ მონადირეთიგან ვერ ეგებთ ქელთ დებად იგი, რქანი მისნი გრძელ არიან და ბერხის სახედ (სახ. სიტყ. 4,3).

¹⁵ ხევსურული მასალები ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი..., წელიწადულობ. I, თბ., 1925.

¹⁶ Жизнь животных, т. III, М., 1930, გვ. 418—419.

¹⁷ Т. Р. кн. VI. СПб., 1904, გვ. 93.

ავთოლოფოს იგივეა, რაც ანტილოპა — მცობნელი ძუძუმწოვარა ცხოველი წყვილიჩიქიანთა ოჯახისა. ავთოლოფოს, ისევე როგორც სომხ. *սակիդիփոս*, იმეორებს ბერძ. *μυθόλοφος*, ჯ *μυ- ταιότης* ფუძეს.

არნი

ადვილად მოსანადირებელნი ცხოველნი მრავლის-მშობელ არიან, ვინაჲცა ფრიად შობენ უურდგელნი, თხანი და არნიი ველური ტყუბთ-მშობელ არიან (ექ. დღ. 109,25).

„არნი — გარეული ცხოვარი“ (საბა). ასევე განმარტავს მას ნ. ჩუბინაშვილი.

როგორც გარკვეულია¹⁸ არნი აღმოსავლურ ენობრივ საწყაროს კუთვნილებაა ძვ. ირ. *arana, aruna* „ველური“, „არაშინაური“. ეს სიტყვა შემონახულია ოსურში — *арна* ფორმით „ველური, გაველურებული“ (ცხოველი, მცენარე). შხ. აღრონიკა-შვილი იზიარებს ვ. აბაევის აზრს, რომლის მიხედვითაც ეს სიტყვა ოსურიდან შეთვისებულია მალყარულსა და აფხაზურში — „ველური“¹⁹.

აპის ხოს

...იგი მეგკატელნი აპისს კარსა და მენდისიონს ვაცსა ღმრთად თაყუანის-სცემენ (ზრონღრ. 24,31).

...იყვენეს მეგკატელთა შორის ზროზანი, რომელთა აქუნდეს ნიშანი რაჲმე ენასა ზედა და კუდსა, რომელთაგან იცნობებოდეს ვითარმედ აპის არს (იქვე, 25.8).

ტაძარსა მას შინა იზარდებოდა ...ქარი, რომელსა აქუნდა ფერსა შინა თქსსა ნიშანი რაჲმე, რომელი სახელისაგან მისისა აპის იწოდებოდა იგიცა, ხოლო სოროჲ ამისი აპიდოისი, რომელსა შინა ვუამი მისი მდებარე იყო... (იქვე, 307,34).

„აპის. — რომელმან ტვირთი ვერ ზილოს“ — განმარტავს საბა. აპის იგივეა, რაც ბერძნულ „*Απιδ, ιβος, β-σвятенный бык у египтян* (древнегреч-русск. сл.).

აფთარი huana

კურელი ანუ აფთარისაჲ არს სამკვდრებელი ჩემი ჩემდა, ანუ ქუაბი ნუ არს გარემო მისსა (იერ. 12,9).

¹⁸ შხ. აღრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 78.

¹⁹ ინტერესს იწვევს ქართულში ხმარებული არსისა და ბერძნულში კრავის აღნიშნულ ძროგ ფუძეთა მსგავსება.

ნუ უკუე ქუბნი აფთართანი ჰყენე სამკვდრებელად ჩემდა (სახ. სოც. 35,9).

სახის-მეტყუელმან თქუა აფთარისაჲ ვლ მამალ და დედალ არს, სადამე მამალ იქმნის, სადამე დედალ, ბილწი მკეცი არს, რიცვალუბის (იქვე, 35,2).

მჯულსა წერილ არს: ნუ შკამთ აფთარისასა და რი მსგვს მისა არს (იქვე, 35,2).

აფთარი (ლათ. hyaena რუს. гиена) მტაცებელი ცხოველია. მას აქვს შეკუმშული სხეული, სქელი კისერი და დიდი თავი; სახე ფართოა და ულამაზო. წინა კიდურები უკანაზე გრძელი აქვს. აფთარი ღამის ცხოველია, გამოირჩევა არაჩვეულებრივი სიხარბით; საერთოდ ეს ცხოველი ადამიანზე ურთობ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

აფთართან დაკავშირებულია მრავალი თქმულება და ცრურწმენა. ძველად ფიქრობდნენ, რომ აფთარს აქვს უნარი თავისი ხმა მიამსგავსოს ადამიანისას და ამით მიიტყუოს მსხვერპლი. აფთარს, მართლაც, გამყივანი ხმა აქვს, რომელიც ზოგჯერ ადამიანისათვის დამახასიათებელ ხარხარს მოგვაგონებს. სწამდათ, რომ აფთარი თავის თავში აერთიანებს როგორც მღვდრობითი, ასევე მამრობითი სქესის ცხოველს, უფრო მეტიც, ეგონათ, რომ საკუთარი სურვილით, ვაქვით, დედალი აფთარი შეიძლება გარდაიქმნას მამალ აფთარად და სხვ.²⁰ (იხ. მაგ. ზემოთ).

აფთარი შეთვისებული ფუძეა ქართულში. ეს იგივეა, რაც სპარსული ქავთარ²¹.

ქართულში ქავთარ ფორმაც არის დადასტურებული, ოღონდ გვარსახელებში: ქავთარამე, ქავთარაული...; ქავთარ საკუთარ სახელადაც შეგვხვდა:

'...ლარობას ძისა სძალთა მამა-დედამა დადუნაჲ და ჩუნთა შეილთა: ქავთარ, რელამა, ფოცხუერ... მოგეციტ მკედლის უბნის ერთი ყანაჲ (ვაჰან, გვ. 44).

აქლემი camelus

სამოსელი მათი და აქლემები მათი წარიღონ თავისა მათისად (იერ. 49,29).

²⁰ Жизнь животных, т. III, М., 1920, гл. 390—391.

²¹ ფარსადან ვორგიჯანიძე, ქართულ-სპარსული ლექსიკონი, ვაშლიცკი. დუთურიძემ, თბ., 1941.

შენ განაცვ აქლემსა მუსმარი ცხვრთა და მით დაიმორ-
ჩილე იგი (მამ. სწ. 148,2).

აქლემი, რამეთუ აღმოიციონნს და კლაკი მისი არა გან-
პებულ არს, არაწმიდა არს ესე თქუნდა (ლუ. 11,4).

უკუეთუ სამე იგუემის აქლემი, მრავალყამ დაიუნჯის
ძკრის კსენებაჲ, უკუეთუ სამე პოვის ეამი, ბოროტი ბოროტისა
წილ მიაგის (ეჟ. ღლ. 91,30).

და მივსცნე მათ ქალაქში ძეთა ამონისთანნი საძოვრად აქ-
ლემთა მათთა (ეზექ. 25,5).

ხოლო თავადსა იოჰანესა ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემ-
მისა (მთ. C 3,4).

აქლემი ფუძე ხშირად გვხვდება ძველი ქართული სალიტერა-
ტურო ენის ძეგლებში. ქართულიდან ეს ფუძე შეთვისებულია მეგრულსა და სვანურში (მეგრ. არქემი, სვან. აქლემ). თუშურში აქ-
ლიში ფორმა გვხვდება²².

როგორც გარკვეულია, ეს სახელი წარმოშობით სემიტურია,
მიღებულია ებრაულ-არაბულ *gammas* ფორმიდან შემდეგი გზით:
გამალი > გამელი > ქამელი > აქმელი > აქლემი²³.

პატრუჟაჟი/პატრუჟაჟი oves

ხოლო იყვენეს მღვმესა მას შინა შვდნი ლომნი და შეეცემოდა
მათ ორი კაცისა გუამი და ორი ბატრუჟაკი დლითი დლე
(დან. 32).

და მოვილო პური ჩემი და ღვინო ჩემი და პატრუჟაკი
ჩემი რ'ლ დაუკალ მრისუველთა ჩემთა და მივსცე კაცთა მათ
რ'ლ არა ვიცი ვინაჲ ვინ არიან (მფ. 1,25,10).

საბას ლექსიკონში მხოლოდ პატრუჟაჟ ფუძეა დადასტურე-
ბული; „პატრუჟაჟი — ტარიგი, გინა თხა სახორცი“. ეგვეე სიტყვა
მას შეტანილი აქვს ცხოვართან — „მკლესა და ცუდსა ცხო-
ვარსა [ევწოდების] ბალლი, რომელ არს პატრუჟაკი“. ნ. ჩუბინა-
შვილთან გვაქვს „პატრუჟაჟი — საკლავი ცხვარი, ანუ თხა“.

ბან-იანნი ვარიანტი ამ ფუძისა დავადასტურეთ დანიელის წიგ-

²² თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.

²³ ა. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული
ეულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნ. სესიები, №1, მოხსენებათა კრე-
ული, თბ., 1947, გვ. 7.

ნის უქანასკნელი თავის (ბელ და ვეშაპ) 32-ე მუხლში — ბატრუ-
ჭაკი (პარალელურ ლათინურ ტექსტში იკითხება oves)²⁴.

როგორც ვარკვეულია, ბატრუჭაკი/პატრუჭაკი მომდინარეობს
საშ. სპ. patrŕčak ფუძიდან, რაც ნიშნავს: „ღლიური საზრდო,
საქონელი, ცხვარი“²⁵.

ზოტი caper

და უქმო ციხის თავმან კალაფთ ტფილისისაფთ მეფესა პერეკ-
ლეს ვაც-ბოტობით (მოქც. ქართ. 95,32).

ზოტი მამალი თხის აღმნიშვნელია ქართულში. „თხათა გამო-
უყუჭრავსა ზოტი და საბოტე წალსა ვაციკი ეწოდების“ — წერს
საბა.

ქართულის მონათესავე ენათაგან ზოტი ფუძე სვანურში
გვხვდება — ზოტა — „დაუკოდავი ვაკი“. ქართულში ზოტი ფუ-
ძიდან ნაწარმოები აბოტებს — ვადააბოტებს... ზმნა გვხვდება (შდრ.
ფშაური ნაბოტარი — „ნავალი დიდთა ცხოველთა, აგრეთვე თხა და-
უკოდავი“)²⁶.

ზოტი ნასესხები ფუძეა ქართულში. (შდრ. თურქ. бота, ყაზახ.
бота, ყირგ. бото, მონღ. ботго „верблюжонок“)²⁷.

ბრანგ

აწ რად მოჰქადე ზღუდე მისი, და მოჰყურძნიან მას ყოველნი
თანწარმეალნი გზისანი? განრყუნა ეშუმან მალნარისამან და
ბრანგუმან მძუნვარემან მოძოა იგი (ფსალმ. 79,14).

ბრანგვ საბასთან განმარტებულია როგორც დათვ, ბრანგვ —
დათვ, медведица, уединенный дивный, полевой зверь (ნ. ჩუბ.).
ბრანგვ მარგვი ფორმით გვხვდება მეგრულში და ნიშნავს „დათვის
ბელს“²⁸. ვარაუდობენ, რომ ეს ფუძე კავშირშია ოსურში ლეოპარ-
დის, ვეფხის აღმნიშვნელ faerank ფორმასთან, შდრ. ავღ. pŕaŕg,
სპარ. palang სოლდ. pwrŕ'nk, ძვ. ინდ. pŕdaku²⁹. ამავე მკვლევრის
აზრით ქართული ფორმა ბრანგვი მიღებულია ფრანგიდან — ომონი-
ბური სუბპერადიის გზით სიტყვა ფრანგთან [aeŕank > ფრანგ > ბრანგვ“³⁰.

²⁴ ვსარგებლობთ წინასწარმეტყველთა წიგნების პარიზული გამოცემით, P. O. I. XXIX, Fasc. 5, Paris, 1951.

²⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, პატრუჭაკი, თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს,
საოლბილო კრებული, თბ., 1969, გვ. 45.

²⁶ ილ. ქ ყ ო ნ ი ა, სიტყვის კონა, СПб. 1910.

²⁷ А. М. Щ е р в а к, Названия домашних и диких животных в тюркских
языках, გვ. 106.

²⁸ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

²⁹ მხ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები..., გვ. 80.

³⁰ იქვე.

ადრე გამოქვეყნებულ შრომაში მზ. ანდრონიკაშვილი ამ ფუძესთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ აქ საქმე გვაქვს სემანტიკური გადანაცვლების შემთხვევასთან, როდესაც ერთი ცხოველის სახელი გადადის მეორეზე³¹.

ვიგრი

მოკლე არს და შთასუმულ მქართა შინა ყელი დათვსაჲ და ლოშისაჲ და ვიგრი ს აჲ და ვეფხისაჲ (ექ. დღ. 110,13).

ბე უწყი, რამეთუ ასპიტნიცა ნელითა სიტყვთა დაიმწყსებთან და ვეფხნიცა ფუფუნებით დამშვდლიან, ლომნიცა და ვიგრინიცა (სინ. მრ. 214,14).

ვიგრის შესახებ საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: „აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უკმობენ და ჭმელთა ცხოველიც არის. მისი ტყავი ეგრევე ძვალთ მოლურსმულია“.

„ვიგრი/იგრი — ხულიტის მსგავსი ცხოველია, უდიდესი მისი, რომლისაცა ტყავი არს ძუალებით მოლურსმული და გააკურენ ქარქაშთა სასწრაფო საპირისწამლეთასა და სხუათა საომართა საქურველთასა“ — წერს ნ. ჩუბინაშვილი.

ამ განმარტებების მიხედვით ივარაუდება „ხვტი“ (იხ. აქვე, გვ: 288) და არა ვიგრი; ამ ფუძის მნიშვნელობა არც სხვა ლექსიკონების მიხედვით ირკვევა.

სინურ მრავალთავში დადასტურებული ვიგრი- ფუძის შესახებ აღნიშნულია, რომ ვიგრი იგივეა, რაც ჭიჭი, ლეოპარდი, რადგან შესაბამის ადგილას ბერძნულში იკითხება *παιδμαλξ*³².

როგორც ვარაუდობენ, ვიგრი ფალაურიდანაა შეთვისებული ქართულში. ამ ფუძის საშუალი სპარსულის ფორმაა *vagr*, რაც ნიშნავს „ვეფხეს, „ლეოპარდს“. ფალაური ფორმისათვის კი ამოსავალთა სანსკრიტი — *vyaghra*, რაც ასევე „ვეფხეს“ გულისხმობს. *Vagr* ფალაურიდან შეთვისებულია სომხურში — *վաგრ* — „მხეცი“, ხოლო ამ უკანასკნელიდან უნაოდის ქართულში³³.

ვიგრი ვიგრის სახით ხევსურულში დასტურდება³⁴ (მდრ. გვა-

³¹ მზ. ანდრონიკაშვილი, ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან, ენათმეცნ. ინსტ. შრ., 11, 1957, გვ. 191.

³² სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ი. შანიძემ, თბ., 1959, გვ. 323—325.

³³ ლ. Անառիան, დასახ. ლექსიკონი, ტ. VI, გვ. 500; მზ. ანდრონიკაშვილი, ეტიმოლოგიური შენიშვნები, თსუ შრ., ტ. 91, გვ. 87.

³⁴ ხევსურული პოეზია, გამოსცა ი. შანიძემ, თბ., 1931, გვ. 5.

რი მიგრიაული); მიგრი გვხვდება ფშაურში და ნიშნავს „განრის-ხებულს, გაბრაზებულს“³⁵.

ზუბარაჲ vitulus

მდიდარი შესწირვიდა ზუარაკთა და გლახაკი მართუეთა ტრედისათა (მამ. სწ. 277,1).

მსჯობს სტუმრობაჲ მზლით მიყუარებით და მადლით, ვჲ ზუარაკთა დაკლულთა ბაგათაგან მტერობით (იგ. სოლ. 15,17).

...შემწე ვეყო მე ღმერთსა ჩემსა მალალსა, უკუეთუ ვეწიო მას მსხუერპლებითა ანუ ზუარაკებითა წელიწადეულითა (მიქ. 6,6).

მაშინ შეწირენ საკოვრთხველსა შენსა ზედა ზოვარაკ-ნი (ქადაგ. 41,517).

...აჲ ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზუარაკები და უხებები ჩემი დაკლულ არს (მთ. 22,4).

საბას ლექსიკონის მიხედვით „ნასუქარსა კბოსა ზუარაკი ეწოდების, ხოლო შეწირულს „ზვარა“. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: „წელიწადზედ მეტს სახარესა ეწოდების მოზვერი და ზვარაკი, ხოლო შესაწირავს კურატი და ზვარაკი“.

ძველ ძეგლებში მხოლოდ ზუარაკი ფორმა დასტურდება. მეგრულ-ქანურში ეს ფუძე არ ჩანს. სვანურში იგი შეთვისებულია ქართულთან და დასტურდება ზორაკ-ფორმით, „შესაწირავის“ მნიშვნელობით (მდრ. ხეყსურული ზვარა „მოზვერი“)

როგორც გარკვეულია, ზუარაკი იმეორებს საშ. სპარ. zohrak ფუძეს, რაც ნიშნავს „სამსხვერპლოს“ (ცხოველს); იგივე სახელი ყოყარასი ფორმით დასტურდება სომხურში „ზბოს“, „მოზვერის“ მნიშვნელობით.

ქართულში ეს ფუძე შეთვისებული უნდა იყოს სომხურიდან³⁶.

იქნემონ mungos ichneumon

არს მკეცი რლსა სახელი ჰრქვან იქნემონ რი ითარგმანების ვიკტოლ (სახ. სიტყ. 37,2).

„იქნემონ — მკეცია ერთი“ — წერს საბა. „იქნემონ — მკეცია ერთი, ИХНЕМОН, фораинова мышь“ (რ. ერისთ.).

³⁵ ალ. კინკარაულე, ფშაური სალექსიკონო მასალა; ივე. ტ. XVII, თბ., 1970, გვ. 251.

³⁶ მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 245—247.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ეს ცხოველი განეკუთ-
ნება იქნამონთა ანუ მანგუსთა კლასს. იქნამონი (Pungos ichne-
umoni) მტაცებელი ცხოველია. იგი სავსებით იმსახურებს სახელს
იქნამონ, რაც „მეძებარს“ ნიშნავს. იქნამონი ერთობ ფრთხილი
ცხოველია; ხასიათდება მოთმინების არაჩვეულებრივი უნარით.
მას შეუძლია ელოდოს საკბილოს საათობით და როგორც კი შე-
ამჩნევს, ელვისებური სისწრაფით მიუახლოვდეს და დაიჭიროს
იგი.

ძველ ეგვიპტელებთან ეს ცხოველი წმინდა ცხოველად ითვ-
ლებოდა. თანამედროვე ეგვიპტელების აზრით იქნამონზე ნადირო-
ბა სანაქებო საქმედ ითვლება, რადგან მისი დაჭერა ზემოთ დასახე-
ლებული თვისებების გამო დიდ სირთულეებთან არის დაკავშირე-
ბული²⁷.

იქნამონ იგივეა, რაც ბერძნული $\delta\iota\chi\nu\epsilon\mu\alpha\nu, -\sigma\nu\sigma$ — ихневмон
(или фараонова мышь) хищное млекопитающее из семейства ви-
веров (Древнегреч.-русск. сл.).

რაც შეეხება ვიკტორ ფუძეს, იგი აკად. ნ. მარის აზრით უნ-
და იყოს სომხური $\text{վիկտուսը} — \text{отыскивающий след}$ ²⁸.

ბაბაიჩი (ბაბაიჩი) bubalus bubalus

მეჩამეთ-უხუცესისა კელისა არს: ნიგოზი, ზეთი... კმელი თევ-
ზი, ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი (გარიგ. 5,98).

„კამბეჩი — გამეჩი, ამასაც მამალსა ქარი და დედალსა ფური
და შეილსა მათსა ლოლო ეწოდების და გამოზამთრულსა ზაჭი და
წელიწადზე მეტსა შიშავი“ — განმარტავს საბა.

ქართულიდან ეს სახელი შეთვისებული უნდა იყოს შეგარულსა
და სვანურში (მეგრ. კამბეში, სვან. კამბეჩი).

კანურში გვაქვს თურქულიდან შეთვისებული ჭამუშ ფუძე²⁹.
ჭამუში გურულში გვხვდება ზედსართაული მნიშვნელობით: „უსუ-
ფთაო“, „ბინძური“.

კამბეჩი/კამეჩი აღმოსავლურ ენობრივ სამყაროს კუთვნილე-
ბაა; პირველ წყაროდ ივარაუდება ძვ. ინდური gau-mais; აქე-
დან სპარსული — gōmeš , სომხ. gomēs , ოსური kambec , ქართ. კამე-

²⁷ Жизнь животных, т. III., 1930. г. 388.

²⁸ Т. Р. КН. VI. Физиолог, г. 119.

²⁹ Н. Я. Марр, Чанско-русский словарь.

ჩი, ხუნძური *გამაჲ*⁴⁰ (კამეჩ- ფუძესთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე გვ. 280—81).

ამარო *lurus*

კერდო ეწოდების მელსა, რომლისა მსგავსებითა მელებრ მცბიერსა კაცსა სახელ ედვა კერდოს (ელინ. ზღაბ. 111,44):

ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა. კერდო იგივეა, რაც ბერძნული ზე *αερδω* „მელა“.

კურო *laurus*

...მიუძღვანა ესავს, ძმასა თქსა: თხაჯ' ორასი, ვაცი ოცი... ზროხაჯ ორმოცი და კუროჯ ათი (დაბ. 32,15).

უკუეთუ ვისმანმე კურომან ურქინოს კუროსა მოყუსისასა და მოკლას, განყიდოს კუროჯ იგი ცოცხალი (გამოსლ. 21,35).

...სტრიობლით, ვითარცა ზროხანი მწუნენსა შინა და ირქენლით, ვითარცა კურონი (იერ. 50,11).

...გულის წყრომითა მათითა მოწყვდნეს კაცი და გულის თქუ- მითა დაპკუთნეს ძარლუნი კუროსა (დაბ. 49,6).

მაშინ უპყრა ტავროს ერთსა კუროსა, ყოველთა უდიდესსა და უფიცხლესსა, დასცა და შეკრა... (ტავრ. IV,30).

ერთსა უკუე დღეთაგანსა ბრძანა სიმონ და მოჭჳარეს მას კუროჯ ყოვლად დიდი, რომლისა ყურთა შთასჩურჩნა რაჲმე და წევსეულად მოკუდა კურო (ხრონლრ. 184,20).

გარე მომადგეს მე ზუარაკებ მრავალ და კუროთა მართებულთა მომიცვეს მე (ფსალმ. 21,13).

უკუეთუ ურქინოს კურომან მამაკაცსა ანუ დედაკაცსა და მოკუდეს, ქვითა განიტვნოს კუროჯ იგი... (გამოსლ. 21,28).

...სისხლი იგი კუროსაჲსაჲ მაკუდინებელ არს შენდა (ექ. დლ. 54,5).

„კურო — ქარი გამოუყვერაჲი“ (საბა). ასევეა ეს სიტყვა განმარტებული ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონ“-ში.

სვანურში კუროს მნიშვნელობით ბულა ფუძე იხმარება. ეგვეგ სიტყვა ქართულშიც გვაქვს: „ბულა — დაუკოდავი ხარი, კამეჩი, რომელსაც ინახავენ სანაშენოდ, — კურო“ (ქგ. I). ბულა. თურქუ-

⁴⁰ В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, гл. 618.

ლი წარმოშობის სიტყვაა: თურქ. ყირგ. ნუჯა, მონღ. ნუჰ(ა) აზერბ. ნუჯა— „წყაროს მწარმოებელი“⁴¹.

რაც შეეხება კურო ფუძეს, იგი ლაშხურის ნაკურთხ ფუძეში უნდა იყოს შემონახული, რაც კუროდ, ბუღად ნამყოფს ნიშნავს.

ვარაუდობენ, რომ ამ სიტყვას კავშირი უნდა ჰქონდეს ნენ-ცურში ხარის აღმნიშვნელ kura ფუძესთან; შღრ. კომი—kür „არგ-მი“, ოსური ko,r/kur „ხარი“, „ბულა“; პირველწყაროს მითითება ქირს⁴².

მუტრუკი

...მოსცნა ეკლესიასა ჩუენსა მუტრუკი, ნასყიდი პერპერად (აღაპები, № 144).

„მუტრუკი — ვირის კიცივი“ (საბა); „მუტრუკი — ვირის კიცივი, ჩოჩორი“ (ნ. ჩუბ.) ეს ფუძე აღმოსავლურ ენობრივ საშყაროს კუთვნილებაა.

მუტრუკ- ფუძე *ჭორაკ* ფორმით დასტურდება სომხურში ანალოგიური მნიშვნელობით. ვარაუდობენ⁴³, რომ ეს სიტყვა ქართულში შეთვისებულია სომხურიდან.

პანფილი pardus pardus

ო¹ო თუ ვიყო ვ¹ა ლომი სახლსა იუღამსსა და ვ¹ა პანფილი სახლსა ეფრემისასა და ვიყო ვ¹ა ავაზნი (სახ. სიტყ. 24,3).

პანფილი ნასესხები ფუძეა ქართულში; ეს იგივეა, რაც ბერძნული *δ παμφίρη*, -*ρη*;—*λεопард* (სომხ. *պանթեր*).

პილო elephas

ხოლო აწ მცირე კოჭი არს ფერკთა პილო მსათა და არცა სადრეკელი აქუს და არცა მუკლი (ეჭ. დღ. 110,32).

...ცხოველთა აგებულებასა შინა არა უმეტეს მიკვრს მე სიდიდე იგი პილო მსათა, არამედ თავკსათვისა რომელი-იგი საშინელ არს პილო მსათა, (ეჭ. დღ. 111,22).

...ვაჭარნი ჭალაკთაგან განამრავლებდეს საეპროთა. შენთა შუათაგან პილო მსათა (ეზეკ. 27,15).

...განმყოფელმან პილოთამან რაზმთა მიუდგინნა თითო-ეულსა პილოსა ათასნი კაცნი შექურვილნი ჭაჭკთა (ხრონღრ. 145,23).

და წარწყმდენ სახლნი იგი პილო მსათა ძულადნი (ამოს, 3,15).

⁴¹ А. М. Щербак, Названия домашних и диких животных..., გვ. 99.

⁴² В. И. Абаев, Историко-этимологический словарь, გვ. 600.

⁴³ ლ. მ. ნ. ა. ხ. ნ. დასახელებული ლექსიკონი, ტ. IV.

აღმოვიდა ბაბილოვნით ი¹⁴შმდ ცოლით შვილით მისით... ეტ-
ლებითა შემკულებითა, ჰუნებითა, ტაიქებითა, პილოებითა
(ციბ. I, 166, 22).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში მხოლოდ პი-
ლო ფორმა გვხვდება; ახალ ქართულში გვაქვს სპილო; ხ-ანი გან-
ვითარებული ჩანს (შდრ. სპარ. პირინჯ, ქართ. სპილენძი, აგრეთვე
ნიკარტი — ნისკარტი)⁴⁴.

პილო ფალაური წარმოშობის სიტყვაა pil⁴⁵, ზოგი მკვლევარის
აზრით pil ფუძე ირანულ ენათა საკუთრება არ უნდა იყოს. იგი
შეიძლება დაუკავშირდეს სანსკრიტის pilu-ს და ასირიულ piru-
ფუძეს⁴⁶.

ტაიქი

მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიქნი კარგნი (აღაპები, № 55).

ვითარცა რაჲ ტაიქი ველად ვაკედ განვექანე და შრომაჲ
უკუე დავითმინე არა ზომიერი (ქსიფ. 347, 4).

მოწყვიდნა იგინი და არა განერა მათგანი გარნა ოთხას ოდენ
ყრმა, რ⁴⁷ლნი აღსხდეს ტაიქთა და ივტოდეს (მფ. I, 30, 17).

აღმოვიდა ბაბილოვნით... ჰუნებითა, ტაიქებითა... (ციბ.
I, 166, 22).

დაუწყეს პყრობა ტაიქთა ფრილონის უკეთესებსა (ვ.ტყ.
1377, 2).

„ტაიქი — გამოყვერული ცხენი“ — განმარტავს საბა. „ტაიქი—
ცხენი დაკოდლი, იაბო, мерин“ (ნ. ჩუბ.).

ეს სახელი სვანურში გვხვდება ტაიქ (ბზ.), ჭაიტ (ლხმ) —
ფორმით.

ტაიქი ფუძე არაბულ ენობრივ სამყაროს კუთვნილებათა და მომ-
დინარეობს იამანური წარმოშობის ჩრდილო არაბული ტომის ტაის
სახელწოდებიდან. ეს უკანასკნელი ტაისის სახით სპარსულში (X ს.)
და ტაჯიკის სახით თურქულში (XI ს.) იხმარება არაბის აღსანიშნა-
ვად.

ამავე მნიშვნელობით ეს ფუძე ვრცელდება სომხურშიც
თაჰჩქ ფორმით⁴⁷. დასახელებული მნიშვნელობით იგი შეგვხვდა

⁴⁴ ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 85.

⁴⁵ შ. ა ნ დ რ თ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთ-
ბოდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1957.

⁴⁶ A. H. Ill e p e z a k, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

⁴⁷ ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა..., თბ., 1947

სომხურიდან ნათარგმნ ორ ძეგლში: „იოანე დრასხანაკერტელი“ და „მარტვილობაჲ დავით ღვინელისა“, მაგ.:

მხედართმთავარს ტაქიკთა ჯარისას... სღვენის... ნერსე ქართლისა მთავარი (დრასხანაკ., 14,8).

ლაშქარნი ტაიკიკთანი დგეს სომხითს (ღვინ. 127,5).

სომხურიდან ეს სიტყვა ვრცელდება ქართულში ჯერ, ალბათ, არაბის, ბედუინისა საერთოდ და შემდგომში არაბული ჯიშის ცხენის აღსანიშნავად.

ვარაუდობენ, რომ ქართულში დადასტურებული ტაიკი და ტაიკიე საშ. სპარსული და სომხური ფორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ გვაქვს თ-ხმოვანი (შდრ. საშ. სპარ. tāzik, სომხ. տաքիկ „ტაიკი“.). შესაძლოა ქართული ფორმა უფრო ძველია შედარებით საშ. სპარსულ და სომხურ ფორმებთან⁴⁸.

ტარიგი agnum

...შეწიროს მთავარმან მან უფლისა დღესა შაბათსა ექუსნი ტარიგნი უბიწონი... (ეზეკ. 46,4).

და დაადგინა აბრაჰამ შუდნი ტარიგნი თესაგან (დაბ. 21,28).

მოიბთ ვაცი ერთი თხათაგან ცოდესათჳს და ვერძი და კბოჲ და ტარიგი წელიწდული მსხუერპლად ყოველივე უბიწოჲ (ლვ. 9,3).

ხოლო ტარიგები იგი დაარჩია იაკობ და დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი მოსპეტაკე და ყოველად ქრელი ტარიგთა შორის (დაბ. 30,40).

მწყემსთა ზედა განრისხნა გულის წყრომაჲ ჩემი და ტარიგთა მათ მიეხედო (ზაქ. 10,3).

კეთილი მწყემსი დაეადგინე ტარიგსა მას ზედა ქრისტესსა (მამ. სწ. 292,22).

და არა შეძრწოვნდეს მოსლვასა მგელთა მათ მძვნვარეთასა ტარიგნი იგი ქმსნი (ციმ. I, 108,31).

ტარიგ ეწოდა, რამეთუ ჩუენთვის დაიკლა, და მარადის ცხოველ არს (ჰაბო, 60,26).

DE

C.

და მიჰხედა იესუს, ვიღოდა და ხედვიდა იესუს, რამეთუ

⁴⁸ შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 376.

რამ იგი. და თქუა: აჰა ქრისტე
ტარიგი ღმრთისაჲ

მოვიდოდა, თქუა: აჰა ესე-
რა ქრისტე, კრავი ღმრთისაჲ

(ივ. 1,36)

„ტარიგი — კრავი უბიწო“ — წერს საბა. იგივე ავტორი ცხოვარ-თან ამ ფუძეს განმარტავს როგორც „დიდი კრავი და უბიწო“; „ტარიგი—კრავი წლისა და უბიწო, агнец“ (ნ. ჩუბ.).

აქ დასახელებული მნიშვნელობით ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ძველ ძეგლებში: ტარიგი მსხვერპლად შეწირულ კრავს გულისხმობს ჩვეულებრივ; ზოგჯერ ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აღამიანის მიმართაც იხმარება (იხ. მაგ. ზემოთ).

ტარიგი უნდა მომდინარეობდეს სომხური სიტყვიდან *თარქ*, რაც ნიშნავს „წელს“ (ГОД); *თარქსან* „წლიანი“, „წლიური“⁴⁹.

ტახი *sus scrofa*

ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ (გარიგ. 1,8).

ტახ-ი ფუძე იშვიათად გვხვდება ძველ ძეგლებში. ამ ცხოველის აღსანიშნავად ჩვეულებრივ ღორ ფუძე დასტურდება. ზოგჯერ გვაქვს ეშვ-ც.

„ტახი — ღორი მამალი“ — განმარტავს საბა. „ტახი — მამალი ღორი, ეშვი, кабан“ (ნ. ჩუბ.).

ტახი შეთვისებული ფუძეა ქართულში. იგი შეიძლება დაუკავშირდეს თურქ. *тахі* ფუძეს, რაც ნიშნავს „გარეულ ვირს“; შდრ. მონღ. *тахі/такі* — „გარეული ცხენი“, ჩინ. *дэхн/тэхн* „გარეული ცხენი“⁵⁰.

გაზელი *gazella*

ქურციკი იგი ივლიტინ ვეფხისაგან და შენ თავი შენი შეგიკრავს ჰვეციისა თანა (შამ. სწ. 151,8).

...განერე ვითარცა ქურციკი საფრქესა და ვითარცა სირი ირექსა (სინ. მრ. 226,3).

⁴⁹ ცნობა მოგვაწოდა შხ. ანდრონიკაშვილმა. ტარგ ფუძეს არც აკად. ნ. შარი თვლიდა ქართულ სიტყვად, მაგრამ წარმომავლობაზე არაფერია აღნიშნული, იხ. მისი *Заметки по текстам св. Писания*, XV. т. II, вып. III, 1914, გვ. 269.

⁵⁰ В. С. Т а с к и я, Тюркские названия домашних животных в языке сюнну; Краткие сообщения Ил-та Народов Азии, т. 85, 1964, გვ. 18—20.

მოიქეც და დაემსგავსე შენ, ჩემო ძმისწულო, ქურციკსა ანუ ნუქრსა ირმისასა (ქბ. ქბ. 2,17).

აღდგა ეგე და ხლდომით ვილოდა ვითარცა ქურციკი (გარეჯ. 172,27).

...[ტავრო] იყო ხილვითა საშინელ, პასაყითა ჯრძელ, მკლავითა ძლიერ, ვითარცა ლომი, ფერკითა მალ, ვითარცა ქურციკი (ტავრ. X,25).

„ქურციკი — ფარე თხა“ — განმარტავს საბა. „ქურციკი — ნიამორი, გარე თხა, серна, сангака“ — წერს ნ. ჩუბინაშვილი.

ქურციკი იგივეა, რაც სპეციალურ ლიტერატურაში Gazella-ს სახელით ცნობილი ცხოველი (რუს. газель) ანტილოპების ოჯახიდან. ჩვეულებრივ ეს ცხოველი გავრცელებულია აფრიკისა და აზიის ტერიტორიაზე. სიდიდით შველის ხელაა, ოღონდ მასზე გაცილებით მოხდენილი და ნაზი; ალბათ, ამიტომაცაა, რომ ქურციკს აღმოსავლეთის ხალხთა პოეტურ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია⁵¹.

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით ქურციკი იმეორებს საშ. სპარსულ გორჯიკ ფორმას, შდრ. საშ. სპარ. გორ „ჯეირანი“, -Eik სუფიქსითა⁵².

მუხდნიჭი cestor fiber აბ. თაბჯ. (გვ. 208—212).

ჯინიბი (მეჯინიბა)

...სუფრის ბოლოს მერემეთ-უხუცესი და ფარეშთ-უხუცესი სხედან და მათ ქვემოთ მეჯინიბენი (გარეჯ. 18,415).

„ჯინიბი — მარქაფა ცხენი“, აგრეთვე „გვარიანი და კეთილი“ (საბა). ჯინიბი შეთვისებული ფუძეა ქართულში, შდრ. სპარსული ჯანიბათ (janibat) — „სასაბლნე ცხენი“⁵³.

ჰუნე/ჰონე equus

ჰუნეთა ზედა ჯდომისა წილ უქამურნი მკვრცხლ წარვიდეთ (მამ. სწ. 147,5).

შენ აღკრითა და ტაჯგანაგითა სწავლი ჰუნესა შენსა კეთილად სლვად, და შენ გნებაეს, რაჟთა ღმერთმან უსწავლელად დაგიტეოს? (მამ. სწ. 148,1).

⁵¹ Жизнь животных..., т. III, М., 1930, გვ. 595.

⁵² მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 392.

⁵³ Б. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953.

1. და მითვე სახითა მყოფმან შემომვედრა ცხენი და შერმე წა-
რიყვანა ჰ უ ნ ე თვისი წშიდამან (აბ. ტბ. XVI, 121).

და ვითარცა ეკლესიასა შინა ვიქცეოდე, ჰონე იგიცა ჩემ
თანვე ვილოდის (აბ. ტბ. XVI, 114).

აღმოვიდენ ჰ უ ნ ე ბ ი თ ა ყოველი კრებული დიდი... (ეზექ.
38,15).

...პოვნეს იგინი ზღუასა მას ზედა დაბანაკებულნი და ყოველი
ჰ უ ნ ე ე ბ ი და ეტლები... (გამოსლ. 14,9).

...და წარავლინნა მეფემან ასურასტანისამან ჰ უ ნ ე ე ბ ი და
ეტლები (მფ. IV,5,14).

...განიყვანნე კაცი მოსავნი ძალისა მათისანი და მკვრცხლთაჲ
ას ოცი ათასი კაცი და სიმრავლჳ ჰ უ ნ ე თ ა და მკედართაჲ...
(ივლით, 2,4).

1. გარდაჰქდა ჰ უ ნ ე ს ა და მადლობაჲ შეწირა ღმრთისა (გარეჯ.
172,18).

„ჰუნე — გვირანსა და კეთილსა ცხენსა ეწოდებოდა“ — განმარ-
ტავს საბა. ჰუნე-ს პარალელურად იშვიათად ჰონე ფორმაც
გვხვდება.

ქართულში ხმარებული ჰუნე/ჰონე (მდრ. ხუნდ. ხონი) იგივეა,
რაც ბერძნული ბ ν ο ι ε „ვირი“, ცხადია, მნიშვნელობაცვლილი.

ბ ნ ο ι ε ფუძესთან დაკავშირებით აკად. ივ. ჭავჭავიძე იგივე
ბერძნულში შეთვისებული ჩანს რომელიღაც აზიური ენიდან. იქ-
ვე აღნიშნულია, რომ თავდაპირველად ცხენის სახელი ვირის სა-
ხელთან ყოფილა დაკავშირებული; ეს საკითხი თავისთავად მნიშ-
ნელოვანია ცხენის სადაურობისა და გაჩენის ხანის გამოსარკვევად.
ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არც ქართულის ვითარე-
ბაა⁵⁴.

ახიზი coluber aspis

მე უწყი, რამეთუ ასპიტნიცა ნელითა სიტყვთა დაიმწ-
ყსიან (სინ. მრ. 214,14).

რამათვის ისმენთ ამას ყოველსა და დაიყოფთ სასმენელთა
თქუენთა, ვითარცა ასპიტნი (მამ. სწ. 269,23)...

⁵⁴ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის
ისტორიის სფეროში; ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ.,
1956, გვ. 93—94.

სხუანი ეშმაკნი ისტუენდეს და უბერვიდეს ქუეშე კერძო ხალხსა მისსა ვა ასპიტნი (კიმ. I, 225, 19).

ენაჲ მისი შავ და გესლიან, ვა ასპიტისაჲ (კიმ. I, 55, 10).

და ყრმამან მცირემან კურელსა ასპიტისასა და საწოლსა ნაშობთა ასპიტთასა კელი დასდვას და არა რაჲ ავნონ (ეს. 11, 8).

სახის-მეტყუელმან თქა ასპიტისაჲ, რუს მამალი შეების დედალსა, პირით მაკნდის... (სახ. სიტყ. 16, 6).

გულის წყრომაჲ მათი მსგავს არს გუელისა ვითარცა ასპიტისა და იქედნისა ყრუისა, რომლისანი დაყოფილ არიედ ყურნი მისნი (ფსალმ. 57, 5).

„ასპიტი — გუელია ფრიად გესლოვანი“ — წერს საბა. ასპიტო იგივეა, რაც ბერძნული ἡ ἀσπίς, მიც. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ქვეწარმავალი გაერთიანებულია elapinae-ის ჯგუფში⁶⁵.

ბასილიკონი/ვასილიხო basiliscus

მსგავს არს საქმე ესე კაცისა მეზობლისა ბასილიკონი. — სა გუელისა მიხედვით მაკუდინებელისა და მეოტი მისგან მეზობელ იქმნა მკეცისა საშინელისა ლომისა ლალისა და საზარელისა (კიმ. I, 168, 7).

კუერცხი ასპიტთა განაპეს და ქსელი დედაზარდლისაჲ ვოქსოვეს და რლსა უნდეს ჳამაჲ კუერცხისა მისისაჲ გან-რაჲ-ამოს, პოს მას შინა ბასილიკონი, მთავარი იგი გუელთაჲ (კიმ. I, 297, 29).

ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი (ფსალმ. 90, 13).

„ბასილისკო/ვასილიხო — ესე არს თვალთ მაკუდინებელი მკეცი გესლიანი“ — განმარტავს საბა. „ვასილიხო basilisk — змей баснословный, basilisc“ (დ. ჩუბ.). „ვასილისკო — ერთგუარი გეელია გესლიანი, basilisk, βασιλισκος“ (ნ. ჩუბ.). „ვასილისკო, ბასილიხო — ქვეწარმავალთა ოჯახის წარმომადგენელი; ზურგზე აქვს ქერცილი, ბინადრობს გენიუში — Basilisk Basiliscus“ (რ. ერისთ.).

ზოოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ის ქვეწარმავალი, რომელიც ძველ ქართულში ბასილიკონი/ვასილიხო-ს სახელითა ცნობილი, განეკუთვნება ხელიკების კლასს⁶⁶.

ბასილიკონი/ვასილიხო იგივეა, რაც ბერძნული ἡ βασιλισκος.

⁶⁵ Жизнь животных, т. III, М., 1939, გვ. 158.

⁶⁶ იქვე, გვ. 640.

იქედნე vipera

ხოლო კუა განძლის რაჲ კორცითა იქედნისაჲთა, ჳამითა ქონდრისა ველურისაჲთა განერის ენებისა მისგან წამლენისა (ექ. დღ. 106,26).

რომელსა ეგულებოდა კუერცხთა მათ ჳამაჲ განტეხა და ღრი-აქალი პოეა და მას შინა იქედნე (ქს. 59,5).

და აჲ ჩუენ ნათლის-ღებადმდე სიბოროტე იგი პირველი გან-ეიშორით და გესლი იქედნისაჲ წარმოესთხოთ (სინ. მრ. 78,27).

გუელნო და ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ-მე განერ-ნეთ სატანჯველსა გეჳენიამსასა? (მთ. 23,33).

გულის წყრომაჲ მათი მსგავს არს გუელისა ვითარცა ასპიტისა და იქედნისა ყრუისა, რომლისანი დაყოფილ არიედ ყურ-ნი მისნი (ფსალმ. 57,5).

„იქედნე — ესე გველი რამე არს, საშო არა აქუსდა პირით დამაკდება და შეილნი მუცელს გამოსჳამენ და ეგრე გამოვლენ; თუ კაცს უბინა, აღარ მორჩება“ — წერს საბა.

ცნობილია, რომ გველებს მხედველობა და სმენა არა აქვთ დიდად განვითარებული; განსაკუთრებით დაქვეითებული აქვთ სმენა, ალბათ, ამიტომაც იმსახურებენ უპითეტს „ყრუ“ — იქედნე ყრუჲ — (ფსალმ. 57,5). ასევე იკითხება ბერძნულშიც — *δοκίμιος κωφός*. „ყრუ“ ითჳმის ასპიტზეც, მაგ.:

ყენეს გოვლნი მათნი მსგავს გოველისა მის ასპიტისა ყროჳასა, რ-ლსა არა ესმინ ქ-ა მსახვრალისა ჳელოვნისაჲ (კიმ. I,64,33).

იქედნე შხამიანი გველების Viperidae-ების ოჯახის წარმომადგენელია⁵⁷. იქედნე იგივეა, რაც ბერძნული *ἡ ἔχιδνα* — *змея гадюка*.

ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა

აღვრი, ლაგაში, მათრაჳი, ნალი, ხტევი, ტაჭგანაგი,
ჭლაჳი/ჭლაჳი/ჭლოჳი

აღვრი

შენ აღვრითა და ტაჭგანაგითა სწავლი ჳუნესა შენსა კეთილად სლვად (მამ. სწ. 149,30).

⁵⁷ Жизнь животных, т. III, М., 1939, გვ. 769.

დაჯედ აქა წინაშე თუალთა ჩემთა და შექმნენ სამშუქუალნი ესე
შუად აღკრისა ჰუნისათჳს მეფისა (სინ. მრ. 244,6).

ნუ იყოფვით ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა
არს გულისხმისყოფაჲ, კიმითა და აღკრითა ქცევად ლაწუნნი
მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნენ (ფსალმ. 31,9).

აღკრანი მისნი, ბრწყინვიდეს ნათლის სახედ (კიმ. I, 282,25).

„აღვირი — უგრგოლო ლაგამი“ — განმარტავს საბა. ძველ ძეგ-
ლებში სწორედ ლაგამის მნიშვნელობით გვხვდება ეს ფუძე.

აღვირი იდიომურ გამოთქმაში გვხვდება — აღკრ-ხხმა, რაც
ნიშნავს: „გაჩერებას, დადუმებას, დამორჩილებას“. მაგ.:

აღახუნა კაბარკთა მისთა და განმამბოროტა მე და აღკრ-
ნი აღმასხნა პირსა ჩემსა (იბ. 30,11).

სიხარული იგი აქუნდა გულსა თვისსა, ხოლო პირსა მისსა
ესხნეს აღკრანი (სინ. მრ. 27,35).

რამ უშუენიერტს არს კორცთა, რომელნი სიწმიდით დაცულ
არიან, აღკრ-უსხამან გულის-თქუმათა (სინ. მრ. 134,6).

...ქვშითა მით, რომელი-იგი უუსუსურეს არს ყოელისა, აღ-
კრ-ესხამის ფიცხელსა მას და მკინეზარესა (ექ. დღ. უძვ. რედ.
56,21).

აღვირის განშორება ნიშნავს „განთავისუფლებას, გაშვებას“,
მაგ.:

ხოლო აწ ამას ორმეოცსა დღესა აღკრანი მარხვისანი
განგუაშორნა ჩუენგან (სინ. მრ. 180,20).

ერთგან შეგვხვდა აღვირთ-მართებელი, მაგ.:

აღკრთ-მართებელი იგი გზით სამეფუფოფთ უძლოდინ კა-
რაულსა (პეტრე ახ. IV,3).

აღკრ ფუძის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

ლაგამი

სიკისტრიონი ჯორი ესრე მოკაზმული... ლაგამი ერთობ
მოთვალული დიდი მაფრაში (გარიგ. 6,119).

...და მოგუცა პურისათჳს დუკატი მ და ბ ჯორი ლაგამ-
უნაგრით (აღაპ. № 141).

„ლაგამი — ცხენის საკბილაკე“ — განმარტავს საბა. „ლაგამი —
ცხენთ საკბილე რკინა გრგოლებიანი — удили“ (ნ. ჩუბ.).

ლაგამ ფუძე ქართულში შეთვისებულია აღმოსავლურ ენობ-
რივ სამყაროდან; შდრ. არაბული liḡām/luḡām „აღვირი“⁵⁸.

⁵⁸ H. Wehr, დასახელებული ლექსიკონი.

მათრავი

...ამას მათრავსა მოპყრობილსა ჳელი მოყავ და მევედრე და წარგიყვანო უეპუელად (აბ. ტბ. XVI, 118).

„მათრავი — ცხენის საწყები“ — წერს საბა. ქართულიდან ეს ფუძე შეთვისებულია მეგრულსა და სვანურში (მეგრ. მართახ, სვან. შვრდახ).

როგორც გარკვეულია, მათრახი არაბული სიტყვაა და ნიშნავს „საცემელს“. ეგვეე ფუძე *metrāy* ფორმით დასტურდება სპარსულში და ნიშნავს „ჩაქუჩს“⁵⁹.

ნალი

ბ უკანასკნელ ეგეოდენი სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენთა (ცხ. თამარ. 349,37).

„ნალი — სხუათა ენაა, ქართულად საქედარი და ლუმბა ჰქვან“ — წერს საბა. ქართულიდან ეს ფუძე შეთვისებულია როგორც ზანურში, ასევე სვანურში.

ნალი არაბული სიტყვაა — *na'l* და ნიშნავს: „ფეხსაცმელს, ტყავს, ძირს ფეხსაცმლისას“⁶⁰. ნალი ფუძე ამავე მნიშვნელობით დასტურდება სპარსულსა⁶¹ და თურქულშიც⁶².

საგვი

სამოსლად ემოსა სტევისაგან აქლემისა და მონაზონებისა საქმესა თვსაგან აჩუნებდა (სინ. მრ. 86,7).

...შეუმოსიეს სტევისა აქლემისაჲ, და ძოწეულთა შემოსილსა შჯულსა დაუდებს უდაბნოჲსა მავალი იგი (სინ. მრ. 208,2).

DE

ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა სტევისაგან აქლემისა

C

ხოლო თავადსა იოჰანესა ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემისა

(მთ. 6,4).

⁵⁹ შხ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსელის მავალითები, თსუ შრ., ტ. 105, 1965, გვ. 302.

⁶⁰ H. W e h r, დასახელებული ლექსიკონი.

⁶¹ Б. М и л е р, Персидско-русский словарь.

⁶² Д. М а г а з а н и к, Турецко-русский словарь.

„სტევი — აქლემის მატყლი“ — წერს საბა. ეს ფუძე ქართულის მონათესავე ენებში არ ჩანს⁶³.

როგორც გარკვეულია, teva/deva თურქული წარმოშობის სიტყვაა და იმავე თურქულში ნიშნავს „აქლემს“. ქართულში ეს სიტყვა შეთვისებულია მნიშვნელობის ერთგვარი დავიწროებით teva/deva — აქლემი“; სტევი — „ბეწვი, თმა აქლებისა“⁶⁴,

რაც შეეხება ამ ფუძის ს-ანიან ფორმას ს-ტევი-, რომელიც მხოლოდ ქართულში დასტურდება, ვარაუდობენ, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს ს-ანის განვითარებასთან, რაც გარკვეულ შემთხვევებში დამახასიათებელია ქართულისათვის⁶⁵.

ტაჯიკანური

შენ აღვრითა და ტაჯიკანა გითა სწავლი ჰუნესა შენსა კეთილად სლუ:დ (მამ. სწ. 147,30).

ტაჯიკანაგო საბასთან ტაჯიკანალა ფორმით გვხვდება და განმარტებულია, როგორც „მათრახი“.

ეს ფუძე ქართულში შეთვისებული ჩანს (მდრ. სომხური *ուս ճկանակ* „მათრახი“) (დ. ჩუბ.).

ზღაპი/ჯღაპი/ჯლიპი

სათნო-ვეეყო შე ღმერთსა უფროჲსა კბოჲსა მის ჩიჴლისა, რომელსა გამოჰქონდეს რქანი და ჳლაკნი (ფსალმ. 68,32).

ყოველთა შოვრის პირუტყუთა, რომელთა ჳლაკი განყოფილ არს... და არა აღმოიციოხნის, არა წმიდა არს თქუენდა (ლევ. 11,26).

და საცხოვარიცა ჩუენი განვიდეს ჩუენ თანა და არა დაუტეოთ მისგანი ჳლაკიცა ერთი (გამოსლევ. 10,26).

და ვირიცა არა იციოხნის, არცა ჳლაკნი განჰებულ ასხენ (სინ. მრ. 133,33).

...ორნი იგი ნაპებნი ძუალისანი მტკიცედ მოზავებულნი ურთიერთას გარე შეიცავენ ოსტრეასა, იძულებით უკმ იქმნიან ჳლაკნი იგი კირჩხიბისანი (ექ. დღ. 84,7).

⁶³ სტევი ფუძეს აკად. ნ. შარი მოჩნედა ქართ. თმა. მეგრ. თომა — ფუძეთა სვანურ შესატყვისად — შთვე /სტავ/შტავ; იხ. Н. Я. Марр, Из поездок в Сванию, ХВ. т. II, вып. I, СПб., 1913.

⁶⁴ შ. ანდრონიკაშვილი, ორანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან, ენათმეცნიერების ინსტ. შრ., II, 1957.

⁶⁵ ივ. ქაეთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 185.

...არა აღჭურვილ არს აღმოცენებითა რქათაჲთა და არცა ფრჩხილთაჲთა და არცა ტერფთაჲთა და კლაკთაჲთა და არცა შუვათაჲთა (ექ. დღ. უძვ. რედ. 152,11).

ჭლაკი საბას ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ჩლიქი“.
ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით ჭლაკი იგივე „ჭლიკია, копыто“.

მესაქონლეობის ლექსიკონში ჭლიკი მითითებულია ჩლიქ-ზე. ამ უკანასკნელის შემდეგი დიალექტური ვარიანტებია დასახელებული: „ჩლიქი — (საბა), (ქართ. კახ.), ქიჩი (გუდ. მთ.), ქაჩი (მოხ.), ჩლიქი (გურ), ფლოქვი (იმერ. ლეჩხ.), ჭლაკვი (საბა), ჭიკილ (ინგ.) — ფერხ გაობილის ფრჩხილი“ (საბა)⁶⁶.

ვარაუდობენ, რომ ჭლაკი იგივეა, რაც სომხური *չնդակ*, ოღონდ ქართულში წინამდებელი კ- ბგერა არ ჩანს. ეს კ- ბგერა თვით სომხურშიც იკარგვის⁶⁷.

სომხურში ეს სიტყვა უცნობი წარმომავლობის სახელადაა მიჩნეული⁶⁸.

⁶⁶ ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

⁶⁷ И п л о ж т, Толкование песни песней, издал Н. Я. Марр, Т. Р. кн. III, СПб., 1901, გვ. LX.

⁶⁸ ლ. მნათიანი, დასახელებული ლექსიკონი, ტ. III, გვ. 1241.

წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები

ქართულ-უცხოური ფუძეები

წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელები

მცურვალი, წყლისხათაგანი /წყლის-შორისნი/ ცხოველი წყლისაჲ,
ქუეწარმავალი წყლისაჲ, ზღუს-შორისნი/ცხოველნი ზღუსანი/
ზღვს ცხოველი

მცურვალი

ყოველი მცურვალი, რომელი ცურავს ზურგსა ზედა წყლისასა და განაღებნ სიღრმეთა, არს იგი ბუნებისაგან ქუეწარმა-ვალთაჲსა (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,17).

ვითარცა-იგი ცხორებაჲ კმელისათაჲ ჰაერისაგან არს, ეგრეთ-ვე ცხორებაჲ მცურვალთაჲ წყალთაგან (იქვე, 97,5).

...ზღუასა ელმონდა შობად ყოველთათჳს პირად-პირადთა მცურვალთა, და თესლთა, რომელნი ვლენან მათ შინა (ექ. დღ. 80,20).

თევზთა მცურვალთა მხედველ ვართ (ბუნ. კაც. 79,15).

...რომელნიმე მცურვალთაგანთა მკერდსა შორის სა-გრძნობელთ მქონებელ არიან, ამისთვის რომელ არა ადგს მათ თავი (იქვე, 60,3).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი გამოვლინდა. ერთ-ერთი მათგანია მცურვალი. მცურვალთათვის ისევე აუცილებელია წყალი, როგორც ხმელეთზე მცხოვრებთათვის — ჰაერი, რადგან

„სიზრქესა შინა წყლისასა იქცევიან და მის მიერ არს არსებამ მათი“ (ექ. დლ. 91,3).

„ექუსთა დღეთამ“-ს გ. ათონელისეულ თარგმანში მცურვალ-ფუძე კომპოზიტის შემადგენლობაში გვაქვს. მაგ.:

რასა მოასწავებს წინა-მცურვალ იგი ნიჩური პილოძსაჲ (ექ. დლ. 110,18).

აქუს ნიჩური იგი წინა-მცურვალ ი აღმასრულებელად საქმარსა ქედისასა (იქვე, 110,25).

მცურვ-ალ-ი ცურავს ზმნური ფუძიდან მიღებული მოქმედებითი გვარის მიმღობა მ- და -ალ აფიქსებით ნაწარმოები.

წალისათაგანი /წალის-შორისნი/ ცხოველი წალისაჲ

რომელი ჰგავს წყლისათაგანი ანუ კმელისათაჲ აქლემისა ძვრის მოქსენობასა და გულის წყრომასა? (ექ. დლ. უძვ. რედ. 108,28).

უკუეთუ არიან რაჲმე წყლისათაგანნი. მრავალნი, უმრავლესნი მათნი არიან ორცხოველებითა... (იქვე, 96,19).

ხოლო წყლისანი არა ხოლო თუ უქმო ოდენ არიან, არამედ ველურცა და კსუ და განუწურთელ (ექ. დლ. 91,22).

გაიგონნეს ვინ-მე თქუბულნი, მიმხედველმან ყოველთა ნერგთა და ცხოველთამან წყლის-შორისთა და მფრინველთა და კმელითთამან, რამეთუ დაუწყუშდელ ვიდრემე ამათი შეცვალებამ (ბუნ. კაც. 158,13).

გაზაფხული...არს დასაბამი გამოღებისაჲ ყოველისა მცენარისაჲ... და მცველი ნათესავისა ცხოველთა ქუეყანისათა და წყლისათაჲ (ექ. დლ. უძვ. რედ. 88,30).

წყლისათაგანი/წყლის-შორისნი /ცხოველი წყლისაჲ — ზოგადი ტერმინი ჩანს წყალში მცხოვრებ ცხოველებისა ანუ, როგორც ჩვენნი ტექსტი ამბობს, „ქუეწარმავალთა ცხოველთა წყლის-მოყუარეთა“. წყლის-შორისნი უპირისპირდებიან, ერთი მხრივ, ფრინველებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხმელეთის ცხოველებს.

წაწარმავალი წალისაჲ

არცა ნაყოფთა დამწიფებამ, არცა მშენვერთა შობამ, და არცა ქუეწარმავალთა წყლისა და კმელისათა ცხოვრებამ და ზრდამ თვნიერ მქურვალეებისა არცამცა პირველითგან აგებულ იყო (ექ. დლ. 34,2).

ქორციელი ცხორებაა წინა უძღვის სულისა აღძრვათა მშვნე-
ერთა მათ და ქუეწარმავალთა წყლისათა (იქვე,
91,9).

ზლუასა ელმოდა ყოველთათუს ქუეწარმავალთა
წყლისათა (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,2).

ესე ზლუაჲ დიდი და ვრცელი, მას შინა არიან ყოველნი ქუ-
ეწარმავალნი, რომელთა არა არს რიცხვ (ფსალმ. 103,25).

ქუეწარმავალი წყლისაჲ — წყლის ცხოველთა აღმნიშნელი
ზოგადი ტერმინია. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ქუეწარმავა-
ლი წყლისაჲ უპირისპირდება ქუეწარმავალთა კმელისათა ანუ
ქუეყანისათა. ამათგან პირველადია ქუეწარმავალი წყლისაჲ,
რადგან ხმელეთის ქვეწარმავალნი დასაბამს წყლის ცხოველთაგან
იღებენ; გარდაშვალ საფეხურად კი — ამფობიებო ანუ ორ-ცხო-
ველებო იყარაულდება.

ქუეწარმავალი თავდაპირველად რომ წყალში მცურვალს გუ-
ლისხმობდა, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან. — „ყოველი
მცურვალი, რომელი ცურავს ზურგსა ზედა წყლისასა და განადე-
ბენ სიღრმეთა, არს იგი ბუნებისაგან ქუეწარმავალთაჲ-
სა“ (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,17).

თუ წყალში მცურვალი ქუეწარმავალი-ა, მაშინ ის ცხოველი,
„რომელი ძურების პირსა ზედა ქუეყანისასა“, არის ქუემძრომელ/
ქუეწარმძრომელ-მაჲ: გუელი იგი ჭარბი, რომელ არს უძკრეს
ყოველთა ქუემძრომელთა, შეემთხვის გუელსა ზღვსასა...
(ექ. დღ. უძვ. რედ. 104,7).

ზღვს-შორისნი/ცხოველნი ზღვსანი/ზღვს ცხოველი

არიან მრავალნი ცხოველთაგანნი არააღმომტმუნველნი ჰაერი-
სა, ვითარ საშუალგანუქრელნი ყოველნი, ვითარცა: ფუტკარნი და
ბზიქნი და ჭინკველნი და უსისხლო და მრავალნი ზღვს-შო-
რისნიცა... (ბუნ. კაც. 28,12).

ხოლო აქლემის ძვრის-მოქსენეობასა და მრისხანებასა და გან-
გრძობილად გულის წყრომისა დამარხვასა, რომელიმცა ემსგავსა
ზღვს-ცხოველთაგანი? (ექ. დღ. 91,31).

...ტვნი ცხოველთაჲ და ცხოველნი ზღვსანი ნოტია-
ნი და გულნი ხეთანი და არამცა მისწუთა მთოვარე შეცვალებასა
ამათ ყოველთასა (ექ. დღ. უძვ. რედ. 93,15).

ზღვს-შორისნი/ცხოველნი ზღვსანი/ზღვს ცხოველი წყალში მცხოვრებ ცხოველთა სახელია. საბას ლექსიკონში გვაქვს „ზღვირნი — ზღუაში მყოფნი“.

ზღვს ცხოველი ზოგჯერ შესაძლოა რამდენადმე ვიწრო მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი განსახვევებით ისეთი ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელებისაგან, როგორცაა: მცურვალი, ქუეწარმავალი წყლისა და წყლისათაგანი. მაგ., ვეშაპი მხოლოდ ზღვს ცხოველი შეიძლება იყოს, რადგან „ვეშაპნი განჩინებულთა მათ მათთს ბუნებისა მიერ ადგილთა ზღვსათა იყოფებიან... რამეთუ მსგავს არიან იგინი მათათა მათ დიდ-დიდთა სიდიდითა გუამისათა“ (ექ. ლ. 88,3).

ზღვის ცხოველებად იწოდებიან აგრეთვე გარკვეული სახის თევზები და მოლუსკები, ასევე ზღვის უხერხემლო ცხოველები.

სსოველთ-მშობალები

ცხოველთ-მშობელი/მშობელი ცხოველთა/ცხოველთ-შობა, დელფინი, ვეშაპი, ფალენე, ზვგანე, ლალეოდი, ნარკი, ძაღლთევზი/ძაღლი ზღვსაა/ფუკინი, ხელაჰინი/ხელაჰი/ხალაჰი/სელაჰი

სსოველთ-მშობალი/მშობალი სსოველთა/სსოველთ-შობაა

არა მყის წარმოაჩინნესა ცხოველთ-მშობელნი იგი, ვითარ ფუკინნი და დელფინნი და ნარკნი და რომელსა იგი ჰპქვან სელაჰინ და მსგავსნი ამათნი (ექ. ლ. 81,14).

რამ არა იქმნა დაბადებულთაგანი მშობელი ცხოველთა ვითარცა ფუკინნი და დელფინნი და ნარკი და მსგავსი ამათნი (ექ. ლ. უძვ. რედ. 96,24).

მათი ცხოვრება მეყსეულად მოქმედად და მოძრავად გამოაჩინა დიდმან მან და გამოუთქმელმან ღმრთისა ძლიერებამან და ბრძანებასავე თანა იქმნა წყალთა შინა ძალი ცხოველთ-შობისა (ექ. ლ. 80,29).

ცხოველთ-მშობელი (ახ. ქართ. ცოცხალმშობი) ზოგადი ტერმინი ჩანს ცოცხალთ-მშობელებისა, რომლებიც უპირისპირდებიან ე. წ. კუერცხის-ღამსხმელთ ანუ მკუდრცხეებს, ე. ი. თევზებს, რომლებიც ქვირილს ყრიან.

ცხოველთ-მშობელი შეიძლება იყოს როგორც წყლის, ასევე ხმელეთისა. ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითების მიხედვით

ცხოველთ-მშობელია შემდეგი ცხოველები: დელფინი, ვეშაპი, ნარკი, სელაპინი და ფუკინი.

ცხოველთ-მშობელი შეიძლება იყოს: მრავლის-მშობელ, ტყუბთ-მშობელ და მცირედ მშობელ. მაგ.:

ადვილად მოსანადირებელნი ცხოველნი მრავლის-მშობელ არიან, ვინაჲცა ფრიად შობენ ყურდგელნი, თხანი, და არნნი ველურნი ტყუბთ-მშობელ არიან, რაჲთა არა მოაკლდეს ნათესავსა მათსა განლევითა კორცის მკამელთაჲთა. ხოლო ცხოველთ-განმხრწნელნი იგი მცირედ-მშობელ არიან, ვინაჲცა ერთისა ლომისა ძნიად სამე იქმნის დედა ძუჲ ლომი (ექ. ღლ. 109, 25—30).

დელფინი delphinus delphis

ვეშაპთაგანნი უმრავლესნი მშობელ არიან და დელფინნი და ფუკინნი (ექ. ღლ. 82,23).

არა თუ ძალენი იგი ზღვსანი და დელფინნი და მსგავსნი ამათნი ოდენ არიან შემამრწუნებელ (ექ. ღლ. უძვ. რედ. 105,32).

დელფინი ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველია. განეკუთვნება კბილუბიანი ვეშაპების კვერაზმს. ამ ცხოველთან დაკავშირებით დ. ბაგრატიონთან კვითხულობთ: „დელფინი — ესე არს ცხოველი ზღვისა მსგავსი თევზისა. ნაცვლად ფრთეთა აქვს შას ფრთენი გაბმულ ლამურათაებრ, რომელსაცა აქვსცა სუნთქუაჲ და შობს ცხოველთა. ამას აქვს კეფასა ზედა ნაკვრეტი, რომელიცა მუნით უშვებს წყალსა, ამასვე უწოდებენ ღორადაცა ზღვისა“¹.

ეს არასრული დახასიათება დელფინისა სავესებით ეთანხმება სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ ცნობებს ამ ცხოველთა შესახებ იმ განსხვავებით, რომ ე. წ. „ნაკვრეტი კეფასა ზედა“ აქეთ არა დელფინებს, არამედ უკბილო ვეშაპების წარმომადგენლებს.

სახელწოდება დელფინი მომდინარეობს ბერძნულიდან ბ მელფინ. ახალ ქართულშიც დელფინ ფუძე გამოიყენება ამ ცხოველის აღსანიშნავად.

¹ დავით და იოანე ბაგრატიონების „ლექსიკოგრაფიულ ნაშრომები“, რეკსტი გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1967, გვ. 112.

ვეშაპთაგანნი უმრავლესნი მშობელ არიან (ეჭ. დღ. 82, 23).

და უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმამ იონაჲსი და იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღჳ და სამ ღამჳ (იონ. 2,1).

უფალმან ჩუენმან შემუსრა თავები ვეშაპისაჲ წყლითა მით ნათლისღებისათა (სინ. მრ. 20,37).

ხოლო შეამდგომელობითა სასწაულისა მის ვეშაპისათა იონაჲს მიერ აღდგომაჲ ყლთაჲ გუეუწყა (კიმ. I,262,32).

ვეშაპი — თევზია დიდი ზღვისა შინა უკიანესა, რომელმან იონა შთანთქა — ZA; ვეშაპად ყოველთავე უფროსად დიდთა ცხოველთა წყალთასა უწოდს წერილი² C — განმარტავს საბა.

„ვეშაპი — დიდი თევზი ანუ ცხოველი წყლისა — КИТ. ვეშაპი იგივე გველვეშაპი, გველაშაპი — ფრთებიანი და ფეხებიანი გველი“ (ნ. ჩუბ.).

ვეშაპ ფუძე ქართულიდან შეთვისებულთა მეგრულსა და სვანურში. მეგრულში გვაქვს გვირშაპი (ი. ყიფ. მ. გ.), ხოლო სვანურში — გველჲარშაპ, მაგ., გველჲარშაპ დ ჩეადურტყვე ამირან (სვ. ტექ. I, 95,11), „გველვეშაპმა ჩაყლაბა ამირანი“.

ვეშაპი მვეშაპში ფორმით გვხვდება ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტში³. თუშურში გვაქვს გველვეშაპი⁴.

ვეშაპ ფუძესთან დაკავშირებით აკად. ნ. მარი აღნიშნავს შემდეგს: ქართული ვეშაპი მომდინარეობს სომხური *վիշապ* ფუძიდან და ბერძნული *τὸ χέτις*-ის შესატყვისად იხმარება. თვით სომხურში ეს ფუძე ზოგადად საშიშ ცხოველს — ურჩხულს — ნიშნავს. როცა ეს სიტყვა ზღვის დიდი ცხოველის აღსანიშნავად უნდოდათ გამოეყენებინათ, მაშინ მას თევზის აღმნიშვნელ ძეჟს *ჭიქს* ფუძეს უმატებდნენ, ხოლო როცა გველვეშაპს გულისხმობდნენ, მაშინ ქართულის მსგავსად გველ სიტყვას „ოდ“-ს (*ად*) უმატებდნენ. ქართული ვეშაპი ცხოველსად ზღვის უზარმაზარი, ცხოველია, გველვეშაპი კი — ზღაპრული ურჩხულის აღმნიშვნელი⁴.

² მ. ბ. ა. ვ. ი. ძ. ე, მასალები ლეჩხუმური დიალექტისათვის; ქუთ. პედ. ინსტ. შრომები, XII, 1954.

³ მ. ბ. ა. ვ. ი. ძ. ე, თუშური კილო, თბ., 1960.

⁴ Н. Я. Марр, Я. И. Смирнов, Вишаны, 1930; გვ. 217.

ძველ ქართულში ვეშაპი ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაც გვხვდება. მაგ.; კუალად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაქსა (ხანძ. იე, 9).

სომხურში ვეშაპი უშაპ *ուշապ* ფორმით ნახმარია მამაკაცის საკუთარ სახელად⁵.

ვარაუდობენ, რომ ვეშაპი მომდინარეობს ავესტის *višapa* ფუძიდან. ამასვე უკავშირდება სომხური *վիշապ*, ხოლო რაც შეეხება გველვეშაპს, იგი აზი *višapa*-ს სიტყუასიტყუვით თარგმანს წარმოადგენს, სადაც აზი ნიშნავს „გველს“. თვით სახელში *višapa* გამოიყოფა *viša*, რაც ნიშნავს „შხამს“, აე. *viša*, სერ. *viša*. მეორე ნაწილს მკვლევართა უმრავლესობა უკავშირებს *apa*-ს, რაც ნიშნავს „სითხეს“, „წყალს“. ე. ი. ვიშაპა ნიშნავს „შხამის მთხ ელს“⁶.

ქართულსა და სომხურში რიგ საერთო ფუძეთა და, კერძოდ, ვეშაპ, *վիշապ* ფუძეთა არსებობის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეს ზემოთ დასახელებული ფუძეები შეთვისებული უნდა იყოს ხურიტული ენიდან. როგორც ავტორი ვარაუდობს, ქართველთა და სომეხთა უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები თავის წყაროს ხურიტულში პოულობს. ამის ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია ამ ხალხში ერთობ გავრცელებული წარმოდგენა ვეშაპებზე, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ხურიტულში ერთ-ერთი ღვთაების აღმნიშვნელ ვიშაიშაპა სახელს⁷.

ვეშაპის მნიშვნელობით ძველ ძეგლებში ვეშაპთევიზიც შეგვხვდება. მაგ., არს მკეცი ზღუასა შინა რი იწოდების ვაპანაკრაჲ კუვი ზღვსაჲ. ვეშაპთევიზის მსგავს არს (სახ. სიტყ. 26,6).

„სახის სიტყუაჲს“ სომხურ ღედანში შესაბამის ადგილას გვაქვს *վիշապածխան*. აკად. ნ. მაზი მას თარგმნის როგორც *реша-дракон* და ვარაუდობს, რომ იგი ბერძნული *χρῶς*-ის შესატყვისია⁸.

ძველ ძეგლებში ვეშაპის მნიშვნელობით ბერძნული *χρῶς*-იც შეგვხვდა. მაგ.; განერა იონა ვეშაპკჳტიისაგან (სახ. სიტ. 27,57).

ბ მდიდარნი დიდ დიდნი თევზნი არა იპოვებდ მახლობლად კ მ ტ ვ ე შ ა პ ს ა თევზსა (სახ. სიტყ. 27,38).

⁵ О. Г а л у с т. Вишاپ и Ушاپ в армянской приписке XIV века. ХВ. т. I, вып-I, СПб., 1912, გვ. 30—36.

⁶ მზ. ა ნ ღ რ ო ნ ი კ ა შ ე ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 238—239.

⁷ Г. М е л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 178.

⁸ Т. Р. хн. VI. Физнолог, издад Н. Я. Марр, СПб., 1904, გვ. 98.

ვეშაპქსტი და კსტვეშაპი სომხურის კალკია. ერთ შემთხვევაში სომხურში იკითხება *ქჩჯაყაბაძის ქისონ* (27,57), ხოლო მეორეში — *ქსონ ქჩჯაყაბაძის* (27,38).

კისტოს ფორმით ბერძნული *χέτις* დადასტურებულია „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს თარგმანში. მაგ. ამათ შინა იშვნეს თევზნი უფსკრულისანი... და მარტონი და კისტოსთანი და დიდდინი (96,37).

კისტოს ფუძეში ბერძნულ *χέτις* -თან შედარებით ხ-ანი განვითარებულია; ბერძ. *ε* გადმოიცემა *ე*-ხმოვნით.

ფალენა *Balaena*

...არა ხოლო თუ ქსიფიანი და ხერხნი და ძალნი ზღვსანი და ფალენე და ზვგენე არიან საშინელ (ექ. დღ. 89,12).

ფალენე ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ მხოლოდ გ. ათონელისეულ თარგმანში შეგვხვდა. იგი ვეშაპის ერთ-ერთ სახეობას გულისხმობს.

ფალენიდების სახელით ზოოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია უკბილო ვეშაპების ქვერასში ე. წ. ნამდვილი ვეშაპები (ლათ. *Balenidae*). ფალენე, ისევე, როგორც ყოველგვარი სახეობის ვეშაპი, გარეგნულად მიაგავს თევზს; აქვს საცურაო ფარფლები და კუდი. ფალენე არაჩვეულებრივად დიდი სხეულის მქონე ვეშაპია. სხვა ვეშაპებისაგან განსხვავებით უკბილო ვეშაპებს და კერძოდ ფალენებს, თავის ზემო ნაწილში მოთავსებული აქვთ სუნთქვის ორგანო — ჰაერის შესასვლელი ხერელი (ამ ხერელიდან ასხამს იგი წყალს)*. საინტერესოა ის, რომ ძველ ქართულში ამ სასუნთქი ხერელის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი *თუალი*. მაგ., ვეშაპი იყო წყალთა შინა, ...რომელმან შთააწრიდის იორდანჭ თუალსა მისსა (სინ. მრ. 88,16).

ფალენე ფუძე იმეორებს ბერძნულ *ή φαλαίνα*-ს, რაც ნიშნავს „ვეშაპს“ (ლათ. *Balaena*, გერმ. *Walfisch*).

ზვანე *zygaena malleus*

...არა ხოლო თუ ქსიფიანი და ძალნი ზღვსანი და ფალენე და ზვგენე არიან საშინელ (ექ. დღ. 89,12).

ზვგენე ბერძნული სახელწოდებაა ერთ-ერთი ხრტილოვანი

* Жизнь животных по Бремю, т. III, М., 1930, стр. 376—377.

თევზისა, რომელსაც ქართულში თავ-ჩაქუჩა-ს ან კვერ-თევზა-ს უწოდებენ. ამ თევზს თავი ჩაქუჩივით აქვს წაგრძელებული, რომლის ორსავე ბოლოზე მოთავსებულია თვალები. ეს ცხოველი ცოცხალ-მშობელია¹⁰. ზვიგენისებრთა (ლათ. Selachoidae) ოჯახის ამ ერთ-ერთი წარმომადგენლის მიმართ სახელი კვერ-თევზა ნახმარი აქვს დ. ბაგრატიონს თავის „სალექსიკონო მასალა“-ში, სადაც ვკითხულობთ: „კვერ-თევზა ამას აქვს თავი დიდი კვერისა მსგავსად, ტანთა თანა შეერთებული. ორსავე მხარესა თავთა ზედა აქვს თვალნი და პირი ქვეშე. მონადირეთა თევზისათა ეშინიან ამისგან, ვინათგან არს მტაცებელ, მოლოტოკ, ჩაქუჩაალულ“¹¹.

სახელწოდება ზვგენე მომდინარეობს ბერძნულიდან ἡ ζυγαίνα (ლათ. zygaena malleus).

დღეს ზოოლოგიურ ლიტერატურაში ზვგენე ზვიგენი ფორმით გვხვდება და გამოყენებულია ხრტილოვან თევზთა კლასის (ლათ. Selachoidae) აღსანიშნავად; ზვიგენი ფუძით აღინიშნება აგრეთვე ამ კლასში შემავალი ცალკეული სახეობა, მაგ. გიგანტური ზვიგენი, ძაღლისებრი ზვიგენი და სხვ.¹².

ღალღოდი galeus

შობს უკუე დაღეოდი და ძაღლ-თევზი და რომელსა-იგი პრქვან სელაპი (ექ. დღ. 82,22).

ღალღოდი ფუძე „ექუსთა დღეთა“-ს მხოლოდ გ. ათონელი-სეულ თარგმანში გვხვდება. ღალღოდი ზვიგენისებრთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია. სპეციალურ ლიტერატურაში ეს თევზი ძაღლისნაირი ზვიგენი-ს სახელითაა ცნობილი — ლათ. Galeus canis¹³.

ქართული — ღალღოდი იმეორებს ბერძნულ ἡ γάλιος ფუძეს.

ნარკი torpedo

არა მყის წარმოიჩინნესა ცხოველთ-მშობელნი იგი, ვითარ ფუკინნი და დელფინნი და ნარკნი და რომელსა იგი პრქვან სელაპინ (ექ. დღ. 81,14).

რამ არა იქმნა დაბადებულთაგანი მშობელი ცხოველთაჲ, ვითარცა ფუკინნი და დელფინნი და ნარკნი და მსგავსნი ამათნი (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,25).

¹⁰ Жизнь животных..., т. III, М., 1939, стр. 116.

¹¹ დ. ბაგრატიონი, სალექსიკონო მასალა, გვ. 124.

¹² არჩ. ქანაშვილი, ხერხეულიანთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 169.

¹³ Жизнь животных, т. III, М., 1939, стр. 117.

ნარკი ცხოველთ-მშობლების ერთ-ერთი წარმომადგებელია; განეუთვნება სკაროსების ოჯახს — კერძოდ სკაროსებს. მისი სხეული დისკოსებრი მოყვანილობისაა. სხვა თევზებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას არა აქვს ქეცი. თავის ორსავე მხარეს მოთავსებული აქვს ელექტრული ორგანოები¹⁴.

საბას სიტყვის კონაში ნარკი ნარკნი ფორმით გვხვდება და ახსნილია როგორც სელაპი. ამავე ლექსიკონის 1965 წლის გამოცემაში ეს ფუძე განმარტებულია როგორც სელანო (sic!), სელაპინ (S).

ნარკი ბერძნული სახელწოდებაა ამ თევზისა — *γυδρ η — γηιουc*, *электрический скат*, ლათინური *torpedo*.

ძველ ქართულში ნარკის სახელით ცნობილი თევზი დ. ბაგრატიონის „სალექსიკონო მასალა“-ში გვხვდება სახელწოდებით — ტორპილი. აქვეა მოცემული ამ თევზის სწორი დახასიათება¹⁵.

ძალღ-თევზი/ძალღი ზღვსამ/ფუჩინი phosa

შობს უკუე დალეოდი და ძალღ-თევზი და რომელსა-იგი ჰრქვან სელაპი (ექ. დღ. 88,22).

რამეთუ არა ხოლო თუ ქსიფეანი და ხერხნი და ძალღნი ზღვსანი და ფალენე და ზკვენე არიან საშინელ (იქვე, 89,12).

და არა თუ ძალღნი იგი ზღვსანი და დელფინნი და მსგავსნი ამათნი ოდენ არიან შემადრწუნებელ (ექ. დღ. უძე. რედ. 105,31).

ძალღ-თევზი/ძალღი ზღვსამ იგივეა, რაც სპეციალურ ლიტერატურაში *phoca*-ს სახელით ცნობილი წყლის ძუძუმწოვარა ცხოველი ფეხფარფლიანთა (ლათ. *phinnipedia*) ოჯახიდან (რუს. *ластоногие*).

საბასთან ძალღ-თევზი განმარტებულია როგორც სელაპი; ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით ზღვს ძალღი იგივეა, რაც „ძალღ-თევზა, ფუჩინი, тюлень“.

დ. ბაგრატიონთან ამ ცხოველისათვის გამოყენებულია რუსული დასახელება — კერძოდ თულეინი, რომლის შესახებაც კვითხულობთ შემდეგს: „თულეინი — ესე იგი ძალღი ზღვისა, არს ცხოველი ოთხფერნი, მცხოვრები წყალთა შინა. თავი აქვს მგრგვალი

¹⁴ Жизнь животных..., т. III, М., 1939, გვ. 126—129.

¹⁵ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

თვნიერ ყურისა, ზემოთი ტუჩი აქვს დიდი და გაყოფილი ჯაგებ-
რითა ულუაშითა. წინა ფერხი აქვს მოკლე, გვერდებზედ გამოსხ-
მული თით-შეერთებულთა გარსითა ესრეთ, რომელ მხოლოდ
ეს ჩანს... მიზეზითა ფერკისაჲთა არა აქვს ძალი მსველელობისა და
ამისთვის ცურავს იგი მუცლითა. ბალანი აქვს მოკლე და სქელი,
საკუთრება მისი არს მყოფობაჲ ზღვათა შინა. ესე ცხოვერებს
თევზითა და ესე დამჭირნე ჰაერისა ხშირად ამოჰყოფს თავსა
წყლითა“¹⁶. ამ დახასიათების დასასრულს აღნიშნულია, რომ ქარ-
თულად ამას უწოდენ კონხლიოს რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს
სწორი. კონხლიო ბერძნული სახელია ძველ ქართულში ლოფოთ-
ქინის სახელწოდებით ცნობილი მოლუსკისა (იხ. აქვე, გვ. 191—
192).

ძაღლ-თევზი/ძაღლი ზღვსაჲ ქართული ტერმინია სპეციალურ
ლიტერატურაში phoca-ს სახელით ცნობილი ძუძუმწოვარა ცხო-
ველისა. ეს ბერძნულ-ლათინური ფუძე ფუჟინი ფორმით დადას-
ტურებულია ძველ ძეგლებში; მაგ.; ვეშაპთაგანნი უმრავლესნი
მშობელ არიან და დელფინნი და ფუჟინნი... (ექ. დღ. 82,23).

რაჲ არა იქმნა დაბადებულთაგანი მშობელი ცხოველთაჲ, ვი-
თარცა ფუჟინნი და დელფინნი... (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,25).

ფუჟინი იმეორებს ბერძ. φάση, ლათ. phoca ფუძეს, რაც
ასევე ძაღლ-თევზს გულისხმობს.

ზოოლოგიურ ლიტერატურაში დღეს ამ ცხოველის აღსანიშ-
ნავად გამოყენებულია ტერმინი სელაჲ.

სელაჲინი/სელაჲი/სალაჲია/სელაჲი Selachos

არა მყის წარმოიჩინესა ცხოველთ-მშობელნი იგი, ვითარცა
ფუჟინნი და დელფინნი და ნარკნი და რომელსა-იგი ჰრქვან სე-
ლაჲინი და მსგავსნი ამათნი (ექ. დღ. 81,14).

კუალად მრავალნი არიან უსიხლო უკუშ სულიერ, ვითარ-
სელაჲინი და მალაკნი და სიპეანი... (ბუნ. კაც. 27,22).

მშობელნი იგი არიან, რომელსა ჰრქვან სელაჲია, ვითარ-
ცა სახედ: ძაღლნი ზღვსანი და დელფინნი და ფუჟინნი... (ექ. დღ.
უძვ. რედ. 97,30).

შობს უკუე ლალოდი და ძაღლ-თევზი და რომელსა-იგი
ჰრქვან სელაჲი (ექ. დღ. 82,22).

სელაჲინ/სელაჲი/სალაჲია/სელაჲი — ბერძნული τὸ σέλαχος ფუ-
ძის ვარიანტებია.

¹⁶ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

სპეციალურ ლიტერატურაში სელახოიდების სახელით ცნობილია თევზების ერთი ჯგუფი, რომელთაც ძვლის ნაცვლად აქვთ ხრტილი; ეს თევზები ცოცხალთაშობელებია.

ძველ ქართულში დადასტურებული ბერძნული $\alpha\beta$ ძღჯი ფუძის შესატყვისად ოთხი ვარიანტიდან სწორ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს ორი: ხელაჰინ და ხელაჰი, რადგან, როგორც გარკვეულია, ბერძნული χ ქართულში გადმოიცემა: ხ, ქ და ჰ ბგერებით¹⁷. მოულოდნელი ფორმებია: ხალაჰია და ხელაჰია.

ხელაჰ ფუძის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქ.რთ. პ ბერძ. χ -ს შესატყვისი უნდა იყოს, მაგრამ ამ მაგალითის გარდა ასეთი შესატყვისობა არსად არ დასტურდება. როგორც გარკვეულია, ეს შეცდომა ნუსხური ხ-სა და ხ-ს აღრევის საფუძველზეა წარმოშობილი. ეს მცდარი ფორმა დღეს გაბატონებულია როგორც ლექსიკონებში, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში¹⁸.

მსგავსად ხელაჰისა უმართებულო ფორმაა აგრეთვე ხალაჰია, ზადაც ბერძ. χ ქართულში გადმოცემულია ბ-ანით (ანალოგიურია ებენის ფუძე. ეს უკანასკნელი ბერძნულიდანაა შეთვისებული ქართულში და გამოყენებულია ზღვის ზღარბის სინონიმად). (ამ ფუძის შესახებ იხ. აქვე, გვ. 202—203).

ორივე ეს მაგალითი „ექუსთა დღეთაჲ“-ს უძველეს რედაქციაშია დადასტურებული: ხალაჰია — ძღჯი და ებენის — ჰ ჰღჯიჲ. ორსავე შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს ბერძნულ დედანში ამ ფუძეთა არასწორ წაკითხვას.

საბასთან გვაქვს ხელაჰ- ფუძე. იგი განმარტებულია როგორც „ღალღოსი“; იქვე ვკითხულობთ: „ძალღთევზი და ხელაჰი, უქვრი-თოდ შობენ შეილთა“. ხელაჰი, რა თქმა უნდა, ღალღოსი არ არის. ამავე ლექსიკონში ძღჯი ფუძის მეორე ვარიანტიც გვხვდება, ოღონდ უმართებულო ფორმით; ნაცვლად ხელაჰი-სა გვაქვს ხელჰანი.

დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონთა მიხედვით ხელაჰი იგივეა, რაც რუსული тюлень.

ზოოლოგიურ ლიტერატურაშიც დღეს ხელაჰი გულისხმობს ფარფლფეხიანთა ერთ-ერთ წარმომადგენელს (ლათ. Phoca რუს.

17. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, გ. ამარტოლის ხრონოგრაფი..., გამოკვლევა გვ. 76.

18. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ..., გვ. 067.

ΠΙΟΛΗΝ). რაც შეეხება σέλαχος ფუძეს, მისი შესატყვისია ზვიგენი. დღევანდელი სელაჰი იგივეა, რაც ძველი ქართულის ძალღ-თევზი, ფუჟინი.

კეც-ლბილნი

კეც-ლბილი/ჩვლ-კეცო/ჩჩვლ-ქეცო, ლბილ-ტყავი/ლბილ/
შალაკი, აკალიფადი, ზმული, მრავალ-ფერკი, სიპეა, ტევთიდი,
ცხოელ-ნერგი, ღრუბელი/ღრუბელი ზღვსაჲ

კეც-ლბილი/ჩვლ-კეცო/ჩჩვლ-ქეცო

...კუალად სხვსა თესლისანი არიან კეც-ლბილად წოდებულნი იგი, ვითარ კარაველი და კირჩხიბნი... (ეჭ. დღ. 82,12).

...არა გარე შემომდვა ჩუნ... არცა კეცნი, ვითარ ქელონთაკუთა და ოსტრაკუთა, არცა ჩვლკეცნი, ვითარ კარავილთა... (ბუნ. კაც. 15,1).

კუალად მრავალნი არიან უკუშ სულიერ, ვითარ სელაქნი და შალაკნი... და ყოველნი კეცტყავოანნი და ჩჩვლქეცნი (ბუნ. კაც. 27,22).

...ჩვლკეცნი არიან: კირჩხიბი, კიბორჩხალი, ასთაკ და მისთანანი აღვილ შესამუსრობისათვის“ (საბა). ასევე განმარტავს ამ სიტყვას ნ. ჩუბინაშვილი.

კეც-ლბილი/ჩვლ-კეცო/ჩჩვლ-ქეცო ზოგადი სახელია იმ ცხოველებისა, რომელთაც რბილი ტყავი აქვთ ძვალტყავიანი ცხოველებისაგან განსხვავებით.

კეც-ლბილთა ჯგუფში განვიხილავთ შემდეგ ცხოველებს: აკალიფადი, ზმული, მრავალ-ფერკი, სიპეა, ტევთიდი, ცხოელ-ნერგი, ღრუბელი, (კირჩხიბის შესახებ მსჯელობა იხ. ორცხოველების ჯგუფში).

კეც-ლბილ-ის სინონიშია ლბილ-ტყავი/ლბილ/შალაკი.

ლბილ-ტყავი/ლბილ/შალაკი π:rlacus

კუალად სხუაჲ თესლი არს კუალად რომელსა-იგი ჰრქვან ლბილ-ტყავი, რომელთა კორცნი ლბილ არიან და მოშუშ, ვითარცა სიპეანი და მრავალ-ფერკნი.... (ეჭ. დღ. 82,14).

და სხუაჲ თესლი არს კუალად, რომელსა ჰრქვან ლბილ,

რომელთა კორცი ლბილ არს და მოშუშ, ვითარცა სიპეაჲ და მრავალ-ფერკი (ეჭ. ღლ. უძვ. რედ. 97,22).

კუალად მრავალნი არიან უკუშ სულიერ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტევთიდნი და ზმულნი და ყოველი კეცტყავოანნი... (ბუნ. კაც. 27,22).

„ლბილ-ტყავი — სიპიანი, მრავალფერკი და მისთანა“ — განმარტავს საბა. ლბილ-ტყავი/ლბილი წყლის უხერხემლო ცხოველების — მოლუსკების აღმნიშვნელი ზოგადი სახელია (ზღრ. ლათ. molluscus „რბილი“).

ლბილ-ტყავი/ლბილ- ფუძის სინონიმია ძველ ქართულში მალაკია. ეს უკანასკნელი იმეორებს ბერძნულ ფუძეს $\mu\alpha\lambda\alpha\kappa\iota\alpha$ — моллюски სახელიდან $\mu\acute{\alpha}\lambda\acute{\alpha}\kappa\acute{\alpha}\varsigma$ „რბილი“.

აქალიფადი scyphomedusae

...პინასნი და აკალიფადნი, ვითარ გრძნობადნი ხენი, შეკმზადნა, რამეთუ ძირთან ყენა იგინი შორის ზღვსა, მსგავსად ნერგთაჲსა და ვითარ შეშაჲ, კეცი გარეშემოსდვა მათ და ვითარ ნერგნი შექმნნა იგინი (ბუნ. კაც. 9,4).

აკალიფადი მელუზათა ერთ-ერთი კლასის სციფომედუზების წარმომადგენელია (ლათ. scyphomedusae სახელიდან ბ თახფიც „ბოკალი“).

იგი მხოლოდ ზღვაში ბინადრობს. სხვა მელუზებისაგან იმით განსხვავდება, რომ შედარებით დიდია და არა აქვს გვერდითი საცურაო აფრები. აკალიფადი ფორმით ქოლგის მოყვანილობისაა, ხოლო როცა გაიწელება თავისი ღერძის მიმართულებით, მაშინ ემსგავსება მალალ ზარს¹⁹.

აკალიფადი ბერძნული სახელწოდებაა ამ მელუზისა $\mu\alpha\lambda\alpha\kappa\iota\phi\eta$, რაც ნიშნავს „ჩინჭარს“. ჩინჭარ ფუძის გამოყენება ამ ცხოველის მიმართ, ჩანს, შეპირობებულა იმით, რომ მისი სხეულის ირგვლივ განლაგებულია ჩინჭარივით მსუსხავი საცეცები, რომლებიც შეგრძნების ორგანოთა ფუნქციას ასრულებენ. აკალიფადს, იმის გამო, რომ იგი მელუზათა კლასის წარმომადგენელია, არ შეიძლება ჰქონდეს გარსშემოვლებული კეცი, მსგავსად ნიჟარიანი ცხოველებისა, როგორც ეს ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითშია აღნიშ-

¹⁹ В. А. Д о г е л ь, Зоология беспозвоночных, М., 1947, გვ. 95.

ნული. ამავე მაგალითიდან უნდა მომდინარეობდეს აკალიფადის არასწორი განსაზღვრაც საბას ლექსიკონში — „აკალიფადი სადაფის მსგავსია ზღვაში“.

ქართული აკალიფადი იმეორებს ბერძნულ ფუძეს *ἡ ἀκαλή-φη*—1. κρανηβα; 2. σοολ. ακαλεφα, μεδυσα (Древнегреч.-русск. сл.).

ზმული *osmila*

კუალად მრავალნი არიან უსისხლო უკუშ სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტევთილნი და ზმულნი და ყოველნი კეცტყავოანნი და ჩვლქეცნი ვითარ კარაკინნი და ასთაკვნი... (ბუნ. კაც. 27,23).

ზმული მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა და ისიც ნემესიოს ემესელის ნაშრომში „ბუნებისათვის კაცისა“. საბასთან ეს ფუძე ზუმილი ფორმითაა წარმოდგენილი და განმარტებულია შემდეგნაირად: „ზუმილი — ტევთილი, სელქანი, მალაქნი, სიპიანი და მისთანანი კეცტყავოიანნი არიან, უსისხლო და სულიერნი, ვითარცა: სადაფი, ხამანწკა და მისთანანი მრავალ არიან“ (საბა).

საბასეული განმარტება ამ ფუძისა არაა მართებული და უნდა მომდინარეობდეს ტექსტის არასწორი გაგებიდან. ტექსტის მიხედვით ზმული მალაქთა ანუ რბილსხეულიანთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, მსგავსად სიპეანთა და ტევთილთა; ხოლო რაც შეეხება კეცტყავიანებსა და ჩვლ-ქეცთ, ისინი ქმნიან ცალკე ჯგუფს ცხოველებისა.

ზმული ზღვის პოლიპის ერთ-ერთი სახეობაა. თვითეს სახელი იმეორებს ბერძნულ ბამსღ ფუძეს. *ἡ ὀσμύλη*—*осмила*, вид морского полипа, из-за его сильный запах (Древнегреч.-русск. сл.).

ქართველ მთარგმნელს, როგორც ჩანს, ბერძნულის ფუძისეული *ο* გაგებული აქვს ართრონად, რის შედეგითაა ზმული ნაცვლად *ოზმული ფორმისა (ბამსღ რუს. *осмила*,²⁰).

მრავალ-შმარი *polyrus*

არა თან-წარმკლეს მე მპარვობაჲ იგი და ზაკულეობაჲ მრავალ ფერკისაჲ, რომელი-იგი ვითარსაცა ქვასა შეევედრის, მისიცა ფერი მიილოს (ექ. დღ. 84,21).

და სხუაჲ თესლი არს კუალად, რომელსა პრქვან ლბილ,

²⁰ Н. Е м е с с к и й, О природе человека, гл. 44, №7. 23.

რომელთა კორცი ლბილ არს და მოშუე, ვითარცა სიპეაჲ და მრავალ-ფერქი და მსგავსნი ამათნი (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,23).

მრავალ-ფერქი ლბილ-ტყავიანების ერთ-ერთი წარმომადგენელია. ამ ცხოველს შეუძლია მიილოს ფერი „ყოველსავე ლოდისაჲ, რომელსაცა შეეკრის“. ზოგჯერ მრავალ-ფერქი შეუმჩნევლად მიეკვრის რომელსაჲ თევზს და „იქმნის თევზი იგი ნადირ განმზადებულ მზაკუეარისა მისთვის“.

ზოოლოგიურ ლიტერატურაში ამგვარი თვისებებით ხასიათდება წყლის ცხოველთა ერთი ჯგუფი, რომელიც პოლიპების სახელითაა ცნობილი. ქართული ტერმინი მრავალ-ფერქი ბერძნული სახელის თარგმანია — ἡ πολίπους — 1. многоногий, мокрица. 2. полип (Древнегреч. — русск. сл.).

სიპეა sepla

და სხუაჲ თესლი არს კუალად, რომელსა პრქეკან ლბილი, რომელთა კორცი ლბილ არს და მოშუე, ვითარცა სიპეაჲ და მრავალ-ფერქი და მსგავსნი ამათნი (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,23).

...მრავალნი არიან უსისხლო უკუშ სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტევთილნი... (ბუნ. კაც. 27,22).

სიპეა ზღვის ათფეხიანი (ლათ. decapoda) მოლუსკების წარმომადგენელია. როგორც მაგალითებიდან ჩანს, სიპეა ლბილ-ტყავიანია, რომლის ხორცი „ლბილ არს და მოშუე“. სიპეას დიდად განვითარებული მელნის ჭირკვლები აქვს, რომელიც შეიცავს შავ სითხეს. საშიშროების შემთხვევაში იგი ასხამს ამ სითხეს, იქმნება ე. წ. კვამლის ფარდა, რითაც იგი მტრისათვის შეუმჩნეველი ხდება. ეს შავი სითხე არის ბუნებრივი საღებავი, რასაც დიდი გამოყენება აქვს მხატვრობაში. ამ საღებავის სახელია სეპია²¹. სწორედ ეს უკანასკნელი იქცა შემდეგში ამ ცხოველის აღმნიშვნელ სახელად.

საბასთან სიპეა სიპიან ფორმით გვხვდება. „სიპიანი — პინას ჰგავს, მოგრძეა და ჩკლკეცი“ (საბა).

სიპეა ქართულში ცნობილია აგრეთვე მელნის თევზის/მელან-თევზის სახელწოდებით. „მელნის თევზი — შიგ მელანი დგას“ (საბა). „მელან-თევზი — არს ესე ესე გუარი, რომ ოდეს შებყრობა გნებაეს, მაშინ ტანიდან შავ წყალს გაუშეებს და ასე აღამღვრევს, ველარ ნახო“ (დ. ბაგრატი).

²¹ Л. Ш. Д а в и т а ш в и л и, Курс палеонтологии, М.-Л., 1949, გვ. 348.

სიპეა იგივეა, რაც ბერძნული η σπία—сепия, κακαტიца (Древнегреч.-русск. сл.).

სპეციალურ ლიტერატურაში დღეს ამ ცხოველის აღსანიშნავად გამოყენებულია სიპეა ფუქე²².

ბავთიფი *Ioligo vulgaris*

კულად მრავალნი არიან უსისხლო უკუქ სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტევთიდნი და ზმულნი და ყოველნი კეტტყავოანნი და ჩჩვლქეცნი, ვითარ კარაქინნი და ასთაქნი... (ბუნ. კაც. 27,22).

ტევთიდი, ისევე როგორც სიპეა, ათფეხიანი (ლათ. decapoda) მოლუსკების წარმომადგენელია. მას აქვს მცირე ზომის წითელი ფერის ნიჟარა. მასზე, ჩვეულებრივ, დიდი მოთხოვნილებაა მისი გემრიელი ხორცის გამო. სიპეას მსგავსად ტევთიდსაც აქვს სამელნე ჭირკვლები, რომლებშიც მოთავსებულია შავი სითხე — „სიპეას“ სახელწოდებით ცნობილი ბუნებრივი საღებავი; (ამ მოლუსკს იტალიაში უწოდებენ calamaiო-ს, რაც „მელნის კასრს“ ნიშნავს)²³.

საბას ლექსიკონის მიხედვით სიპეანი, ტევთიდნი და ზმულნი კეტტყავიანი ცხოველებია, რაც არაა ზუსტი და უნდა მომდინარეობდეს ტექსტის არასწორი გაგებიდან (საბა ამ ტერმინს ჩვენ მიერ დასახელებული ერთ-ერთი ძეგლის „ბუნებისათვის კაცისა“ — მიხედვით განმარტავს). ზემოთ დასახელებული ცხოველები ლბილტყავიანი ცხოველებია, ანუ როგორც ტექსტშია — „მალაქნი“; სხვა ჩგუფს ქმნიან ე. წ. კაც-ტყავოანნი და ჩჩვლქეცნი.

ტევთიდი ბერძნული სახელია ამ მოლუსკისა — η τεσπία — кальмар, *Ioligo vulgaris*; თვით *Ioligo* ახსნილია, როგორც *κακατιца, сепия* (Древнегреч.—русск. словарь).

ცხოველ-ნარბი Zoophytes

...პინასნი და აკალიფადნი, ვითარ გრძობადნი ზენი, შექმზადნა, რამეთუ ძირთან ყვნა იგინი შორის ზღვსა, მსგავსად ნერგთაჲსა და ვითარ ნერგნი შექმნნა იგინი, ხოლო მგრძობებლობაჲ მისცა მათ შემხებლობისა, რომელ არს საზოგადო გრძობაჲ ყოველთა ცხო-

²² დ. კობახიძე, უზერზემოთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 290.

²³ Жизнь животных по Брему, т I, М., 1948, გვ. 549.

ველთა, რათა ეზიარებოდინ ნერგთა, უკუშ ძიროვნობითა და დგომითა, ხოლო ცხოველთა — შემხებლობითა... ესე ვითარცა ყოველთა ცხოველ-ნერგად წოდებად ჩუქულებაჲ აქუს ყოველთა უძულესთა ბრძენთა (ბუნ. კაც. 9,14).

„ცხოველ-ნერგი — სადაფი და პინასნი და ოსტრია და მისთანანი ცხოველ ნერგად აღუწერიათ, ამისთვის რამეთუ კლდეთა, ანუ უყეთა ზღვსათა შეწყებულ არიან და ვერა ელენან, ვითა ნერგნი, ხოლო მგრძნობელობითი ძალი აქუსთ. უკუეთუ მაიძულებელი რამე მიეახლოს, პირთა შეიკრებენ და უკუეთუ მარტოობენ, კსნილ არიან“ — განმარტავს საბა.

„ცხოველ-ნერგი — живстнорастение, zoophytes (დ. ჩუბ.).

„ცხოველ ნერგი — რომელნიმე მცენარენი ზღვსანი, გრძნობის მქონებელნი“ (ნ. ჩუბ.).

ცხოველ-ნერგად იწოდებოდნენ ის ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ ზღვის ფსკერზე. მცენარეებს, ანუ როგორც ჩვენი ტექსტი ამბობს, ნერგებს ისინი ემსგავსებიან „ძიროვნობითა და დგომით“, ხოლო ცხოველებს — მგრძნობელობით.

ეს ტექსტის ბერძნული წაბჟაიცი-ის კალკია, სადა წითონიზნაჲს „ცხოველ“, ხოლო წაბჟაიცი — „მცენარე“.

ცხოველ-ნერგი ანუ ზოოფიტები უძველესი სახელწოდებაა უხერხემლო ცხოველთა იმ ჯგუფისა, რომელშიც გაერთიანებული იყო: ღრუბლები, ნაწლავდრუიანი და ეკალტყავიანი ცხოველები. ზოოფიტები დიდხანს ითვლებოდა გარდამავალ ფორმებად მცენარეებსა და ცხოველებს შორის.

ღრუბელი/ღრუბელი ზღვსამ Siphonia

...მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ღერწამი და ასუმიდა მას (მთ. 27,48).

...გუამნი იგი ჩჩვლნი, ნაკლულნი სიკმელისაგან, რიან განუმარტველ და უძრავ, ვითარცა იგი ღრუბელი ზღვსაჲ, რომელი იპოხების და იზარდების ზღუასა შინა დიდად ნოტიობისაგან და არა აღიძრვის (კაც. აგებ. 223,4).

„ღრუბელი... არის რამე ზღვათა შინა მცირე ცხოველი, იგი შეიქმს თვსად ბუდედ და ქვათა მოაბამს ზღვს კიდეთა, ვითა მხავსთა“ (საბა).

ღრუბელი/ღრუბელი ზღვსაჲ ზღვის უხერხემლო ცხოველია. მის მრავალუჯრედიან სხეულს აქვს ცილინდრის ფორმა. ზღვის

ცხოველებისაგან განსხვავებით ღრუბელი ზღვსაჲ ეწევა უმოძრაო (დამჯდარ) ცხოვრებას. იგი ფუძით მიმაგრებულია ზღვის ფსკერზე ან რომელსაჲმე საგანზე. ამის გამო „ღრუბელნი ზღვსანი“ ქმნიან ერთგვარ კოლონიას²⁴.

ზემოთ დასახელებული ცხოველი უნდა ივარაუდებოდეს გამოთქმაში „ღრუბლის გუარი, ძუალი“, რომელიც შეგვხვდა ნემსიოს ემესელის ნაშრომში „ბუნებისათვის კაცისა“. მაგ.:

შეერთობის უკუშ მსხვლსა არტირიასა ვრონხოჲ, რომელ არს ლაქ-ლაქი თანაშემდგმული სამთა-გან ღიდთა ხონდროთა; და ამათ ჯორკის-თაეცა და შერმელა პირი და ცხერი რამეთუ ორთა-ვე-მიერ მოვიწობთ გარეგნით ჰაერსა. არამედ მიეცემის ამიერი-თ-გან ითმოჲს-გუარისაგან, რომელ არს ცხვის-გუარი და ღრუბ-ლის-გუარი ძუალი, ვითარცა იგი ითქუა, რათა უზომობასა შინა ჰაერისა რომელობით შეცვალებისასა არარაჲ თაეისშორისსა ტუნსა ევენებოდის იჩქითად სულისა მუნ შთაქრისაგან (ბუნ. კაც. 122,19).

ამ მაგალითის მიხედვით ღრუბლის-გუარი ძუალი იგივეა, რაც ცხვის-გუარი ძუალი და ითმოჲს-გუარი ძუალი. ითმოს საცრის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვაა ἰσχυρὸς საცერიცა და ცხვიც ბადის მსგავსი ნასვრეტებიანი (უჯრედებიანი) საგანია (შდრ. ცხვის ძვალი — „ცხრილის მსგავსად დასვრეტილი პატარა ძელის ფირფიტა ცხვირის ზემო ნაწილში შუბლის ძვალში“)²⁵. ე. ი. ღრუბლის-გუარი ძუალი ნიშნავს ზღვის ღრუბლის მსგავსად დასვრეტილ ძელის ფირფიტას.

ღრუბელი/ღრუბელი ზღვსაჲ ქართული სახელწოდებაა ბერძნული σπόγγος/σπόγγος და ლათინური spongia-ს სახელით ცნობილი ზღვის ცხოველისა (რუს. губка). ეს სახელწოდება ამ ცხოველს უნდა მიეღო ცის ღრუბლის ანალოგიით, რომელიც „წყალთა და მიწათა ჰაერისა ორთქლისა მიერ შეიქმნებიან“ (საბა). შდრ. „...გამოუჩნდა მას ზეით ღრუბელი ცუარითა საესჴ და აგრილობდა“ (ლიმნ. 27,6).

²⁴ А. В. Д о г е л ь, Зоология беспозвоночных, М., 1947, გვ. 72.

²⁵ ნ. ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, ლექსიკონი, გვ. 193.

კეც-ტყავინაეზი (ნიტარინი მოლუსკაეზი)

კეც-ტყავი/კეც-ტყავონი/ტყავ-კეცი/ძუალ-ტყავი, კოვზი
ზღვსაჲ/ხტრომეი, ლოფოთქინი ზღვსაჲ/კოხლიო/კონქული, ომიდი,
ორ-ბუდე, ოსტრეა/ბუდე, პინა, სავარცხალი, ყურდგელი ზღვსაჲ/
ყურდღელი ზღვსაჲ

კეც-ტყავი/კეც-ტყავონი/ტყავ-კეცი/ძუალ-ტყავი

სხესა ნათესავისაჲ არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ კოხლიოჲ და ლოფოთქინი ზღვსაჲ (ექ. დღ. 82,8).

კუალად მრავალნი არიან უსისხლო უკუშ-სულიერ, ვითარ: სელაქნი და მალაქნი და სიპეანი, ტევეთინი და ზმულნი და ყოველნი კეც-ტყავონანი და ჩხვლქეცნი... (ბუნ. კაც. 27,23).

ბუნებამან ცხოველისამან ყო თავისა თვისისათვის საფარველი ფიცხელი სიჩროხსა მისთვის კორცისა მისისა. ამისთვის ეწოდების მას ტყავ-კეცი (ექ. დღ. უძვ. რედ. 99,23).

კეც-ტყავი/კეც-ტყავონი/ტყავ-კეცი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში გვხვდება ცხოველთა გარკვეული კლასის — ტყავბაკინაეზის (ლათ. ostracodermos) აღმნიშვნელად.

„კეც-ტყავი — კუთა, ოსტრაკუთა, სადაფთა, პინასთა და მისთანათა ქერქთა სახელი არს; კეც-ტყავონი, რომელნი კეც-ტყავითა შემოსილ არიან“ (საბა).

როგორც მაგალითებიდან, ასევე საბას განმარტებიდანაც ჩანს, რომ სახელი კეც-ტყავონი გულისხმობს ისეთ ცხოველებს, რომელთაც გარსშემოვლებული აქვთ კეცი განსხვავებით ზრქელტყავონებისაგან, ქეცეანთაგან და ჩვლქეცთაგან. საკუთრივ კეც ფუძე საბას ლექსიკონის მიხედვით არის „მიწა საჭურჭლე“. ძველი ძეგლების შესწავლამ გამოავლინა ამ ფუძის შემდეგი მნიშვნელობები: 1. მაგარი ტყავი, 2. თიხის ჭურჭელი და 3. თიხის ფირფიტა. მაგ; არა გარეშემომდგა ჩუენ არცა ზრქელი ტყავი, ვითარ ზროხათა და ზრქელტყავთა..., არცა ქეცნი, ვითარ გუშლთა და თევზთა, არცა კეცნი ვითარ ქელონთა-კუთა და ოსტრა-კუთა, არცა ჩვლქეცნი, ვითარ კარავიდთა (ბუნ. კაც. 14,27).

მეკეცემან რაჟამს ქმნის კეცის ჭურჭელი და შედგის იგი საცხობელსა, საზომით შეუდგის ქუეშე მისადა არა ფრიად აღუდგის, რაჟთა არა დაილეწის კეცის ჭური (მამ. სწ. 33,35).

ხოლო დღესა ერთსა პოვა კეცი დაწერილი კარსა ზედა მისსა და მოართუა იგი ბერსა (პატერ. VII,5,10).

ახალ ქართულში კეცო თიხის ბრტყელი მრგვალი დაბალკიდიანი ჭურჭელია, რომელშიაც აცხობენ შქადს, პურს; კეცოვანი იგივეა, რაც კეცტყავიანი, კეცოვით მაგარ ტყავს გულისსმობს. საკუთრივ კეცტყავი მაგარი, უხმარი ტყავია (ქგლ. 17).

კეცტყავიანის სინონიმი ჩანს ძველ ქართულში ძუალ-ტყავი, ე. ი. კეცის სიმაგრე გაიგივებულია ძელის სიმაგრესთან. მაგ.:

სხვსა ნათესავისაჲ არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ კობლიოჲ და ლოფოთქინი ზღვსაჲ, სავარცხალი და კუჲ და სტრომვი და სხუანი ბევრეულნი ძუ ა ლ - ტ ყ ა ვ თ ა განყოფილებანი (ექ. დღ. 82,11).

ორნი იგი ნაპებნი ძუ ა ლ ი ს ა ნ ი მტკიცედ მოზავებულნი ურთიერთას გარეშეიცვენ ოსტრეასა (ექ. დღ. 84,7).

კეც-ტყავიანთაგან ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებში დასახელებულია შემდეგი ცხოველები: კოვზი ზღვსაჲ, ლოფოთქინი ზღვსაჲ, /კობლიო, ომიდი, ორ-ბუდე, ოსტრეა, პინა, სავარცხალი, ყურდგელი ზღვსაჲ.

კოვზი ზღვსაჲ/სტრომვი strombus

სხვსა თესლისაჲ არს ქეცეანი იგი, ვითარცა ლოფოთქინი და სავარცხალი და კოვზი ზღვსაჲ... (ექ. დღ. უძე. რედ. 97,18).

კოვზი ზღვსაჲ მოლუსკების ტიპის წყლის ცხოველია. ეს ქართული ტერმინი გვხვდება „ექუსთა დღეთაჲ“-ს მხოლოდ უძველეს რედაქციაში. ამ ძეგლის გ. ათონელისეულ თარგმანში კოვზი ზღვსაჲ-ს ნაცვლად გამოყენებულია ბერძნული ფუძე სტრომვი: მაგ.: სხვსა ნათესავისაჲ არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ კობლიოჲ და ლოფოთქინი ზღვსაჲ, სავარცხალი და კუჲ და სტრომვი... (ექ. დღ. 82,8).

სტრომვი საბასთან სტრომი ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „კეცტყავიანი“.

სტრომვი იგივეა, რაც ბერძნული ὀστράκιον—коническая раковина, რაც თავის მხრივ მომდინარეობს ὀστράκιον-ειδής ფუძიდან—конусообразный, конический (Древнегреч.-русск. сл.).

პროფ. ილ. აბულაძის განმარტებით კოვზი ზღვსაჲ „ზღვის ლოკოინაა“²⁶. სტრომვის თევზად მიჩნევა სწორი არ უნდა იყოს²⁷.

²⁶ უძველესი რედაქციები..., გვ. 244.

²⁷ ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ..., გვ. 165.

სხვსა თესლისაჲ არს ქეცეანი იგი, ვითარცა ლოფოთქინი და საეარცხალი... (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,18).

ვინაჲ ლოფოთქინმან, რომელსა პრქვან კოხლოს, მინიქის მეფეთა სამოსელი მათი და ფერსა მისსა უძლევიეს ყუავილთა სამოთხისათა? (ექ. დღ. უძვ. რედ. 105,10).

სხვსა ნათესავისაჲ არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ კოხლიოჲ და ლოფოთქინი ზღვსაჲ (ექ. დღ. 82,8).

ლოფოთქინი/ლოფოთქინი ზღვსაჲ მუცელფეხიანი მოლუხების (ლათ. Castropoda) ერთ-ერთი წარმომადგენელია. აქვს სქელკედლიანი ნიჟარა, რომლის ზედაპირზე მოთავსებულია ქაცვისმაგვარი გამონაზარდები. ლოფოთქინი მტაცებელი მოლუსკია; მას ამ გამონაზარდების საშუალებით შეუძლია გახერხოს მეზობელი მოლუსკის ნიჟარა და შით იკეცოს. ლოფოთქინი სხვა ამ რიგის მოლუსკებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას მანტიაში მოთავსებული აქვს ე. წ. „ძოწის ჯირკვლები“ (чирпырхые железы). ამ ჯირკვლებში არსებული ნივთიერება მოთეთრო-მოყვითალოა, რომელიც სინათლის მოქმედების შედეგად თანდათან მუქდება. ეს ნივთიერება სწორედ ბუნებრივი წითელი საღებავი, რომელსაც ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ქსოვილის შესაღებად²⁸.

ზღვის ლოფოთქინის აღსანიშნავად საბას ლექსიკონში გამოყენებულია სახელი ლოქორა; ამავე ლექსიკონში ლოფოთქინი — ლოპორქინი ფორმითაც გვხვდება.

დღეისათვის ზოოლოგიურ ლიტერატურაში ლოფოთქინი გულისხმობს ხმელეთის ლოკოინებს ანუ ჰელიქსებს (ლათ. Helix).

ქართული ენის დიალექტებში ლოფოთქინი ფუძე შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: იმერ. გურ. ლოფოთქინე/ლოქორიე, აქარ. ლექორია, ქიზ. ლოფოთქინა²⁹, ინგ. ლოფოთქინა³⁰, თუშ. ლოფოთქინაცი/ლოფოთქინცი³¹.

დღეისათვის სახელი ლოქორია გამოყენებულია ხმელეთის იმ

²⁸ Жизнь животных по времени, т. I. М., 1948, გვ. 422—423.

²⁹ მ. ჭ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საინგილო, III, ლექსიკონი; ძველი საქართველო, II, თბ., 191.

³⁰ სტეფ. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიურის ლექსიკონი, თბ., 1943.

³¹ თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, თბ., 1960.

უნიუარო მოლუსკის აღსანიშნავად, რომელიც ზოოლოგიაში ცნობილია arion-ის სახელწოდებით²².

ლოფოთქინი ზღვაში აღმნიშვნელი ბერძნული ფუძეც გვხვდება ძველ ძეგლებში. მაგ;

...იხილა სამწყემსოა ძალი, რომელი ჰამდა კონქულად სახელდებულსა კონქლიოსა (ხრონდრ. 7,18).

ვინაა მინიჭებენ მეფეთა კონქლიონნი პორფირსა, რომლისა იგი ფეროვნებაა წარქდა ყუთვილთა ეელისათა ბრწყინვალე-ბითა (ექ. დღ. 88,25).

ბრძანა კონქულისაგან შეღებვამატყლისა (ხრონდრ. 7,23).

კონქლიო იგივე კონქლიო; კონქუთი — იგივე კონქლიო; კონქილიო — მსგავსი არს ლოფოთქინისა, რომლისა სისხლით იტყვან პორფირის შეღებვასა — განმარტავს საბა.

კონქლიო/კონქული იმეორებს ბერძნულ ფუძეს — *βράχλιος* — моллюск с витой раковинной; *βράχλιος* 1. улитка — со спиральной раковинной. 2. витая раковина, ლათ. *Concha* — раковина, *Conchylium* — моллюск, мягкотелое, пурпурная улитка (Древнегреч.-русск сл.).

მოცემულ შემთხვევაში *χ* ბერძენი ქართულში გადმოცემულია როგორც *ხ*-ანითა ასევე *ქ*-ანით.

ძველად იმ ბუნებრივი საღებავის აღსანიშნავად, რომელსაც შეიცავს ლოფოთქინი ანუ კონქლიო, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ძოწი ფუძე.

მაგ.: ზღუასა შინა შთაქდიან მეყურჭუმენი, რაათა აღმოიღონ მიერ ძოწი იგი მრავალ-სასყიდლისა და ხმელსა ზედა დაშურიან მრავალნი, რაათამკა შეიღებნეს სამოსელი ბრწყინვალედ და შუენიერად ფერითა განსაკვრებელი ხილვითა (მამ. სწ. 191,7).

ძოწი ლოფოთქინის წითელი საღებავის ფერი უნდა იყოს, ხოლო ძოწეული მისი წითელი ფერის საღებავისაგან შეღებილი ქსოვილი (იგივე პორფირი).

ძოწეული ადამიანის სხეულის სიწითლის აღსანიშნავადაც ყოფილა გამოყენებული, მაგ.,

რამეთუ სირცხვლელ იქმნეს რაა სული, ძოწეულ იქმნების სხეული, და შეშინდეს რაა — უფერულ (ბუნ. კაც. 29,12).

²² დ. კობახიძე, დასახ. ნაშრომი; გვ. 269.

ოშილი *mytilus*

...არს სხუაჲცა წაშებაჲ კეთილად გამომაჩინებელი წყლით-რღუნისთვის, ვითარცა იტყვს იოსიპოს. რამეთუ ვიდრე აქამომდე მათა ზედა მალალთა და ძნიად სავალთა ქუეყანისა და ზღვსათა ნიშანნი იპოებიან კობლიოთა და ოშიდთა და სხუათა ეგვიპტართანი მქადაგებელნი საშინელისა მის და მსოფლიოჲსა ნავთ-დანთქმულებაჲ (ხრონღრ. 18,14).

„ოშილი — კონხლიოსავით არის“ — განმარტავს საბა. „ოშილი — ნიჲარა კონხლიოსავით, მათა შინა პოვებული, წარღუნის ნიშანია“ (ნ. ჩუბ.).

ოშილი ორსაგდულიანი მოლუსკების (ლათ. *Bivalvia*) ერთ-ერთი წარმომადგენელია. აქვს შავ-მოლურჯო ფერის ნიჲარა, რომლის ერთი ბოლო ნისკარტივითაა წაწვრილებული. ოშილნი, ჩვეულებრივ, სანაპირო ზოლში სახლობენ. წყალქვეშა ქვებს ან სანაპირო კლდეებს მტევნებივით მიემაგრებიან სპეციალური მწებავი ბისუსებით. ისინი იმდენად მჭიდროდ ეკვრიან კლდეს, რომ უძლევენ ტალღების საკმაოდ ძლიერ შემოტევას.

ოშილნი მხოლოდ დიდი შტორმის დროს წყდებიან კლდეს³³. სწორედ კლდეზე ალაგ-ალაგ შერჩენილი ნიჲარა და ბისუსების ხშირი ქსელი ნიშანია „წყლით-რღუნისა“.

ოშილი იმეორებს ბერძნულ, *τὸ βῦσσιον* ფუძეს³⁴ (ახ. ბერძ. *τὸ βῦσιον* — *сѣдочная ракушка* (შდრ. რუს. *мидия*).

დღეს ზოოლოგიაში ამ მოლუსკის აღსანიშნავად გამოყენებულია ლათინური ტერმინი მიტილუსი (*mytilus*)³⁵.

ოშილი ფართოდ გავრცელებული სარეწაო მნიშვნელობის მოლუსკია.

ორ-ბუღე *pleria margarifera*

ვინაჲ ცხოველსა მას ორ-ბუღესა უძლურსა შექმნა მას შინა ბუნებამან ქვეა პატიოსანი, რომელ არს მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ, რომელი-იგი ჰნებავნ საგანძურსა მეფისასა, მდებარე არს ზღვს კიდეთა და ლოდოვანთა ფიცხელთა ბუღესა შინა თვისსა (ეკ. დღ. უძვ. რედ. 105,5).

³³ Жизнь животных..., т. I, М, 1946, გვ. 494—495.

³⁴ Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, by E. A. Sophocles, Neu-York, 1900, გვ. 807.

³⁵ დ. კობახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.

ამ მაგალითის მიხედვით ორ-ბუდე გულისხმობს ისეთ მოლუსკს, რომელსაც შესწევს უნარი მარგალიტის წარმოქმნისა. სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი თვისებით ხასიათდება ერთ-ერთი ორსაგდულიანი მოლუსკი, რომელიც ცნობილია *Pteria margaritifera*-ს სახელით (რ. ერისთავის ლექსიკონის მიხედვით ესაა მარგალიტის ლოქორია).

ქართული ტერმინი ორ-ბუდე შეგვხვდა ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს რედაქციაში. ამავე ძეგლის გ. ათონელიძისეულ თარგმანში შესაბამის ადგილას გვაქვს სახელი ოსტრეა, მაგ.:

ვინაჲ შექმნა ბუნებამან ოსტრეასა შინა, ცხოველსა მას უძლურსა, მრავალ-სასყიდლისა იგი მარგალიტი, რამეთუ რომლისათვის-იგი სურის სამეუფოთა საუნჯეთა ესე მდებარე არს ზღვსკიდეთა კბოლოვანთა და კლდოვანთა, ლოდოვანთა ბუდესა შინა ოსტრეათასა მირღომილი (ექ. დღ. 88, 19—22).

თუ სპეციალური ლიტერატურის მონაცემთა მიხედვით ვიმსჯელებთ, ოსტრეა არ შეიძლება იყოს ორ-ბუდეს ანუ მემარგალიტეს სინონიმი. ოსტრეას არ შესწევს უნარი მარგალიტის წარმოქმნისა. სხვა მოლუსკებისაგან განსხვავებით ოსტრეას არა აქვს ბისუსი. ეს ცხოველები თავისივე ნიჟარით უკავშირდებიან წყალში სხვა საგნებს ან უფრო ხშირად მეზობელ ნიჟარებს. ამ გზით იქმნება ე. წ. ნიჟარის ქილები, რომლებიც თანდათანობით იზრდება. ოსტრეას ნიჟარა ორსაგდულიანია. მარცხენა საგდულზე მოთავსებულია თვით მოლუსკი, ხოლო მარჯვენა საგდული სახურავის როლს ასრულებს³⁸. ეს საგდულები, ანუ, როგორც ჩვენი ტექსტი ამბობს, „ორნი იგი ნაბეზნი ძუალისანი მტკიცედ მოზავებულნი ურთიერთას გარე-შეიცვენ ოსტრეასა“. ამ მოლუსკზე დიდი მოთხოვნილებაა მისი გემრიელი ხორცის გამო. ოსტრეას ხორცს დიდად ეტანება აგრეთვე კირჩხიბიც, მაგ.,

კირჩხიბსა გული უთქუაშს კორცისათვის ოსტრეაჲსა, არამედ ძნელ არს მისსა მონადირებაჲ მისი ბუდეთა მათთვის ძუალისათა (ექ. დღ. 84,4).

ამ ძეგლის უძველესი რედაქციის შესაბამის ადგილას ოსტრეას ნაცვლად გვაქვს ბუდე, რომელიც თავისი სიმაგრით შედარებულია ტყავ-ეცთან მაგ., კირჩხიბსა უნებნ კორცი, რომელ არნ ბუდეჲსა შინა, და ძნელ არნ მის ზედა მონადირებაჲ მისი ბუდეთა მათ-

³⁸ Жизнь животных, т. I, М., 1948, гл. 484.

გან. რამეთუ ბუნებამან ცხოველისამან ყო თავისა თვისისათვის საფარველი ფიცხელი სიჩჩოხსა მისთვის კორცისა მისისა. ამისთვის ეწოდების მას ტყავ-ეკეც (99,20—24).

ოსტრეა იმეორებს ბერძნულ *τὸ βυρρεὸν* ფუძეს, რაც ნიშნავს: 1. *покрытый раковинной моллюск, улитка*, 2. *устрица* (Древнегреч.-русск. сл.).

ოსტრეას შესატყვისი ჩანს ბუდე, ხოლო ორ-ბუდე გულისხმობს მემარგალიტებს (შესაძლებელია, ორ-ბუდე ზოგადად ორსაგდულიანი მოლუსკების აღმნიშვნელადაც ყოფილიყო გამოყენებული).

თანამედროვე ზოოლოგიურ ლიტერატურაში ოსტრეას აღსანიშნავად იხმარება ტერმინი *ხამანწყა*³⁷.

ოსტრეა/ბუდე *ostrea* იხ. ორ-ბუდე

პინა *pinna*

ვინაჲ ზრდიან პინანი ზღვსანი მატყლსა მას ოქროხსასა, რომელსა-იგი ვერვინ ღებილის მღებვართაგანმან უძლო მისგავსებად აქამომდე (ექ. ღლ. 88,23).

...პინასნი და აკალიფადნი, ვითარ გრძნობადნი ხენი, შეჰმზადნა, რამეთუ ძირთან ყუნა იგინი შორის ზღვსა, მსგავსად ნერგთაჲსა, და ვითარ შეშაჲ, კეცი გარეშემოსლდა მათ (ბუნ. კაც. 9,11).

„პინა ბერძულად და პინასი ქართულია, სადაფსა ჰკავს და გრძელია“ — წერს საბა.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, პინა განეკუთვნება ე. წ. კეცტყავიანებს. ამასთანავე „პინანი ზღვსანი ზრდიან მატყლსა მას ოქროხსასა“.

პინა ორსაგდულიანი მოლუსკია. მისი ნიჟარა სამკუთხედის ფორმისაა მაღალი წიბოთი. ნიჟარის ზედაპირი დაფარულია ფირფიტებით, რომელთა განლაგება სახურავზე კრამიტების განლაგების მსგავსია. ნიჟარის შიგნითა მხარე მოწითალო ფერისაა. მასში ზოგჯერ პოულობენ წითელს, ვარდისფერსა და მოშავო ფერის მარგალიტს. სხვა მოლუსკების მსგავსად პინასაც აქვს ბისუსი, რომლითაც იგი მიმაგრებულია უძრავ საგანზე, ოღონდ განსხვავება იმა-

³⁷ ღ. კო ბ ა ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

შია, რომ პინას ბისუსები წარმოადგენს აბრეშუმის მსგავსი ძაფის კონას, რომელსაც ძველად იყენებდნენ ქსოვილის ერთ-ერთი სახეობის — ბიხონის — დასამზადებლად²⁸.

პინა ბერძნული სახელია ამ მოლუსკისა — ἡ πύσα — моллюск с двусторчатой раковинной давящей шелковистые нити и перламутр (Древнегреч.-русск. сл.).

სავარცხალი pecten

სხვა ნათესაისაა არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ კობლიოა და ლოფოთქინი ზღვსაა და სავარცხალი და კუა (ექ. დღ. 82,8).

სხვა თესლისაა არს ქეცეანი იგი, ვითარცა ლოფოთქინი და სავარცხალი და კოვზი ზღვსაა (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,18): „ხავარცხალი ეწოდების... თევზსა, ხამანწყასა ჰგავს“ — წერს საბა. „ხავარცხელი თევზი — ხამანწყასა ჰგავს, πηλα ραβδα“ (ნ. ჩუბ.).

ნ. ჩუბინაშვილისეული რუსული თარგმანი ამ ფუძისა არაა სწორი. ხავარცხელი იგივეა, რაც „гребенка“, ხოლო რაც შეეხება „πηλα ραβδα“ -ს, ესაა ზერხის სახელით ცნობილი თევზი (იხ. აქვე; გვ. 208).

სავარცხალი თევზი არ არის. იგი ორსაგვლიანია მოლუსკეების წარმომადგენელია კარგად განვითარებული სმენისა და მხედველობის ორგანოებით. მისი მრგვალი ნიჟარის როგორც ზედაპირი, ასევე შიგნითა მხარე, სავარცხლის მსგავსად დაყოფილია სიმეტრიულად²⁹. სწორედ ზედაპირის ამ გარეგნულმა მხარემ განსაზღვრა მისი სახელიც.

ქართული ტერმინი ხავარცხალი შექმნილია ბერძნულ-ლათინურის ანალოგიით. ბერძნულში ამ მოლუსკის აღსანიშნავად გამოყენებულია სავარცხლის აღმნიშვნელი ფუძე ἡ πηλα, πηλός 1. гребень, грабли. 2. зоол. гребенка (вид моллюска) (Древнегреч.-русск. сл.).

უზრავილი ზღვსად/უზრავლილი ზღვსად aplisia depilans

ყურდღელიცა ზღვსაა არა უღარეს არს შემადრწუნებელ, რომელმან იგი მსწრაფლი და თანაწარუვალი ხრწნილება მოაწიის (ექ. დღ. 89,14).

...არა თუ ძაღლნი იგი ზღვსანი და დღღფინნი და მსგავსნი ამათნი ოდენ არიან შემადრწუნებელ, არამედ ეკალიცა იგი ეგვპ-

²⁸ Жизнь животных..., т. I, М., 1948, გვ. 494.

²⁹ Л. Ш. Давиташвили, Курс палеонтологии, М.—Л., 1949, გვ. 426.

ტისა ზღვსაჲ, რაჲემს მოკუდის იგი. და კუალად ყურდგელი ზღვსაჲ რაჲემს მოკუდის იგი არა თუ შემადრწუნებელ ოდენ არიან იგინი, არამედ მსწრაფლ მოიყვანიან განხრწნილებჲჲ (ეჭ. ღლ. უძვ. რედ. 105,34).

ყურდგელი ზღვსაჲ/ყურდღელი ზღვსაჲ (ლათ. *aplisia depilans*) მოლუსკების ერთ-ერთი წარმომადგენელია. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ცხოველის სახელი მიიწვევს გარეგნული მონაცემებითაა შეპირობებული. მას თავზე აქვს ოთხი საცეცი; წინა ერთი წყვილი საცეცით იგი მიიკვლევს გზას და ეძებს საცეცებს, ხოლო მეორე წყვილი, მსგავსად კურდღლის ყურებისა, ამართულია.

ეს მოლუსკი ინგლისში ზღვის ფურის სახელწოდებითაა ცნობილი; ეს სახელი შეაპირობა იმან, რომ ამ ცხოველის კუჭი, მსგავსად საქონლის კუჭისა, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება⁴⁰.

„ზღვის ყურდღელი... იზრდება ბაკანმეჭონის ცხოველითა. ამს უდის სუნი საძაგი და ოდეს ჭირკულიერისა შხამი შეეხების თმასა, მყის დასკვოდების თმაჲ“⁴¹. ეს შხამი იგივე ანილინია. ამ უკანასკნელით იგი ორმაგად იცავს თავს: ერთი — სუნით, — მას მძაფრი სუნი აქვს, ხოლო მეორე — ფერით. საშიშროების შემთხვევაში იგი ჭირკლეებიდან გამოუშვებს მუქ-იისფერ სითხეს და ეს ცხოველი მტრისათვის შეუმჩნეველი ხდება.

ყურდგელი ზღვსაჲ ბერძნულ-ლათინური სახელწოდების კალკია—ბერძნ. λέρυς θάλασσα, ლათ. *Iepus marinus*.

კუარცხის ღამსხმელი (თევზაზი)

კუარცხის-ღამსხმელი/მეკუარცხე, თევზი, გუელ-თევზი/გუელი ზღვსაჲ/გრძელ-თევზი, ზმირინი/სმორენა/ხმორენე, გრძლაბი ზღვსაჲ, ეკალი ზღვსაჲ/ზღვს საწერტელი/ტრილონი, ზუთხი, თუნახი, მენილოჲ/მენილოსი, ორაგული, სკაროსი, ქსიფეა, კარიდი/კარიდასი, ხერხი

კუარცხის-ღამსხმელი/მეკუარცხე

სხუაჲ თესლი არს კუერცხის-ღამსხმელთაჲ და სხუაჲ ცხოველთ-მშობელთაჲ (ეჭ. ღლ. 82,21).

სხესა თესლისაგან არს კუალად, რომელი იგი კუერცხსა

⁴⁰ Жизнь животных, т. I, М., 1948, გვ. 432.

⁴¹ ღ. ბ. გ. რ. ი. ნ. ი., სალექსიკონო მასალა, გვ. 119.

დაასხამს და სხსაგან — შშობელნი იგი (ექ. დღ. უძვ. რედ. 97,28).

რამ არა იქმნა დაბადებულთაგანი შშობელი ცხოველთაჲ, ვითარცა ფუკინნი და დელფინნი და ...რომელსა პრქვან სალაბია? და თესლნი მეკუერცხეთანი, რომელ არიან უმრავლესნი თევზთაგანნი (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,26).

კუერცხის-დამსხმელი/მეკუერცხე ზოგადი სახელი ჩანს თევზებისა, რომლებიც კუერცხებს დებენ (ქვირითს ყრიან). ეს კლასი ცხოველებისა უპირისპირდება ცხოველთ-შშობელთ — ცოცხალი არსების შშობელთ. შდრ.:

შობს უკუე ღალეოდი და ძალღ-თევზი და რომელსა-იგი პრქვან სელაპი და ვეშაბთაგანნი უმრავლესნი შშობელ არიან (ექ. დღ. 82,22).

თევზი piscis

ხოლო უკუე აღმოკდეს თევზი ჳმელად. გარეწარჳდაიგი საზღვარსა ცხოვრებისა თვისისა და მოკუდა (მაგ. სწ. 188,32).

მოიღო იესუ ხუთი იგი პური და ორი თევზი (მთ. 14,1).

არა უწყია რ თევზსა რაჳამს ეცის სული საცივისაჲ უფროჲსად დატკბის ხორცი მისი კიმ. I, 252,17).

რა განკმენ თევზნი მათნი ნაკლულევიანებითა წყალთაჲთა (ეს. 50,2).

ნუ შეურაცხყოფ თევზსა ამისთვის რამეთუ უკმო არა და პირუტყუ ყოვლითურთ (ექ. დღ. 86,9).

და აღმოგიყვანო შენ შორის მდინარისაგან შენისა და ყოველნი თევზნი მდინარისა შენისანი (ეზეკ. 29,4).

„თევზი — ყოველნი წყლიერი“ (საბა). თევზი წყლის ხერხემლიანი ცხოველია, რომელიც ლაყუჩებით სუნთქავს. ეს ფუძე ხშირად გვხვდება ძველი ქართულის როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ ძეგლებში.

ძველ ქართულში თევზ- ფუძიდან ნაწარმოები შემდეგი ფუძეები გვხვდება: თევზობა, მეთევზე, მეთევზურ-, მაგ.;

ხოლო მოიხუედრა ჟამი, რომელსა წარვიდა ძე თვისი თევზობად, რამეთუ იყო იგი მეთევზე (პატერ. V,7,10).

...იყენეს იგინი მეთევზურ (მთ. 48,18).

თევზი ერთ შემთხვევაში ფერის აღმნიშვნელადაა გამოყენებული (ალბათ, ივარაუდება „ნაცრისფერი“, „ვერცხლისფერი“), მაგ.:

ჰყავნ მას კარაულნი სავსენი ნაჰშირითა: ერთი მათგანი იყო შავ და მეორე თევეზის ფერ (კიმ. I, 301, 16).

თევზი კომპოზიციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად გვევლინება ძველ ქართულში: ძალღ-თევზი, გუელ-თევზი, ვეშაპ-თევზი, გრძელ-თევზი.

საერთოდ ცნობილია თევზების მრავალგვარი სახეობა. ხოლო ჩვენ მიერ განხილული ძეგლების მიხედვით შეიძლება დაეასახელოთ შემდეგი: 1. ...რომელნიმე თევზნი არიან მიმომავალ... რაჟამს-იგი მოიწიის ჟამი შობისა მათისაჲ, რომელიმე წარვიდის სხვთ კერძოთა ზღვსათა და რომელიმე სხუად კერძოთა შჭულითა მით ბუნებისაჲთა, და მიიწინიან იგინი ზღუასა მას ჩრდილოჲსასა (ექ. დღ. უძვ. რედ. 101, 24—28).

2. არიან უმრავლესნი თევზთაგანნი, ქეცეანნი და უქეცონი, ფრთოვანნი და უფრთონი (ექ. დღ. უძვ. რედ. 96, 27).

3. იშვნეს თევზნი უფსკრულისანი და ზღვს-პირისანი, და სილრმეთანი და ლოდოვანთანი, და კოლტისა, და მარტონი და კისტოსთანი და დიდ-დიდნი, და წულილნი თევზნი (იქვე, 96, 35—38).

4. თევზთაგან რომელიმე მათგანი ძოვს უყსა და რომელიმე თივასა, რომელ არს წყალთა შინა, უმრავლესნი მათგანნი ჰამენ ერთმანერთსა, დიდი იგი ჰამს მცირესა (იქვე, 99, 2—4).

ქართველურ ენათაგან თევზი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სვანურში თებზ ფორმით (შეთვისებულია ქართულიდან). მაგ., დიკვენს მინეში თებზ ათყანვეხ ლეშყვიდლ სარაგთეჟი (სვ. ტექ. I, 74, 21), „ღიაკვანს მისი თევი წყაროზე გასარეცხად გაატანეს“. იმავე სვანურში თევზის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, ეხმარება კალმახ. სვანურშივე დადასტურებულია აგრეთვე ცუზ ფუძე, რომელიც „ყოველგვარ თევზს“ გულისხმობს.

მეგრულსა და ჰანურში თევზის მნიშვნელობით ჩხომ ფუძე იხმარება, რომელსაც ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ქართულ ცხომ ფუძეს⁴².

თევზ ფუძის შესატყვისი მონათესავე ქართველურ ენებში არ ჩანს. ინტერესს იწვევს თურქულში თევზის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი tersi ფუძე. როგორც ვარაუდობენ, tersi ბერძნული

⁴² არნ. ჩ ი ზ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 118.

წარმომავლობის სახელია და თურქულში ნიშნავს ხვიახ (KEMBALA). W. Redhaus-ის ლექსიკონის მიხედვით tersi ბერძნული ფუძეა და ჯაშაყის ჯიშის პატარა თევზს უღლისხმობს.⁴³

Ağakay-ის ლექსიკონში⁴⁴ კიდევ უფრო დაზუსტებულია ამ ფუძის მნიშვნელობა—tersi—clupea Pontika, რაც შავი ზღვის ქაშაყს უღლისხმობს. ter:i/tirsi ბერძნულში თევზის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ჩანს. ასევე ერთ სახეობას უღლისხმობს ეს ფუძე თურქულში. იქნებ შესაძლებელი იყოს თევზ ფუძის დაკავშირება ამ tersi ფუძესთან მით უფრო, რომ აგებულია თევზ ფუძისა ექვს ბალებს მისი ქართული წარმომავლობის შესახებ. თევზი ქართულში ზოგადი მნიშვნელობით იხმარება (შდრ. სვან. თევზის აღმნიშვნელი კალმახ; ეს უკანასკნელი ქართულშიც ევხედება, ოღონდ მას აქ კონკრეტული სახეობის აღნიშვნა აკისრია—კალმახი ორაგულისებრთა ოჯახის ერთ-ერთი წარმოადგენელია).

გაულ თევზი/გაული ზღვხამ/გრამელ-თევზი. anguilla

იხ. ზირინი/სორანა/სორანე muraena

და კუალად ამის შორისცა არიან ბევრეულნი განყოფილებანი: ვითარცა ვეშპანი და გრძელ-თევზნი და ზმირინი, და გუელ-თევზნი, რომელნი იგი უყვანთა მდინარეთა და ტბათა შინა იშვებიან, რომელნი-იგი უფროასლა გესლიანთა მათ ქუეწარმავალთა უმახლობელეს არიან ბუნებითა, ვიდრე-ლა თევზთა (ექლდ. 82,17).

და კუალად ამათ შინა არიან მრავალნი განყოფილებანი: ვითარცა სახელ გუელ-თევზი და ვეშპანი და სმორენე (ექლდ. უძვ. რედ. 97,25).

გუელი იგი ჯარბი, რომელ არს უძკრეს ყოველთა ქუემძრომელთა, შეემთხვის გუელსა ზღვსასა, რომელსა ჰრქვან სმორენა (იქვე, 104,7).

გაულ-თევზი/გაული ზღვხამ/გრძელ-თევზი ქართული სახელწოდებაა გველსახა თევზისა, რომელიც ზოოლოგიაში ცნობილია Anguilla-ს სახელით (რუს. угорь).

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით გველთევზა იგივეა, რაც угорь. რ. ერისთავთან ეს ფუძე ახსნილია როგორც ანგალი⁴⁵ (ანგალი ლათ. Anguilla — ფუძეს ხომ არ იმეორებს?).

⁴³ W. Redhaus, Turkish and English Lexicon, Constantinople, 1921.

⁴⁴ Türkçe sözlük, Ağakay, Ankara, 1959, გვ. 755.

⁴⁵ P. Эрнст, დასახლებული ლექსიკონი.

გუელთევზი-სა და გუელი ზღვსაჲ-ს სინონიმი ჩანს გრძელ-თევზი; ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს აგრეთვე ზოგადი სახელი გველივით გრძელი სხეულის მქონე თევზებისა.

რაც შეეხება ზმირინი/სმორენა/სმორენე ფუძეს, ზგი გველ-თევზისებრთა ოჯახის (ლათ. muraenidae, რუს. мурены) ერთ-ერთი წარმომადგენელი მტაცებელი თევზის სახელია. სპეციალურ ლიტერატურაში ეს თევზი Muraena-ს სახელითაა ცნობილი (რუს. мурена)⁴⁶.

ზმირინი/სმორენა იმეორებს ბერძნულ ფუძეს $\mu\sigma\rho\alpha\upsilon\epsilon\alpha/\sigma\mu\rho\alpha\upsilon\epsilon\alpha$.

საბასთან დადასტურებულია ზმირნი ფორმა; ასევეა დ. ბაგრატიონთან, რომლის მიხედვითაც ზმირნი — ზღვის გუშლთევზია⁴⁷.

ბერძნული σ -სიგმა ქართულში ჩვეულებრივ გადმოიციემა ხ და ზ ბგერებით. ჩვენს მაგალითში ორივე ეს შემთხვევაა დადასტურებული (ბერძ. $\sigma\mu\rho\alpha\upsilon\epsilon\alpha$ ქართ. ზმირინი — სმორენა). რაც შეეხება ხმოვნებს, ბერძ. υ ერთ შემთხვევაში გადმოიციემა σ ხმოვნით, ხოლო მეორეში — σ -ნით⁴⁸. საერთოდ კი ბერძნულ ფუძესთან ახლო დგას სმორენა ფორმა.

ახალ ქართულში თევზის ამ სახეობის აღსანიშნავად გამოყენებულია სახელი გველთევზა.

გრძლაბი ზღვსამ echeneis remora

მესმა ვიეთგანმე ზღვსა მავალთა, ვითარმედ გრძლაბი ზღვსაჲ, მცირე და შეურაცხი ცხოველი, მრავალ-გზის ღელვატეხილობისა და მყუდროების მასწავლელ იქმნების მენავეთა (ეჭ. დღ. 87,11).

...ზურგი მისი შექურვილ არს ეკალითა და ეკალი მისი ჰგავს ზღვს გრძლაბსა (სახ. სიტყ. 22,4).

გრძლაბი ზღვსაჲ გულისხმობს იმ ცხოველს, რომელსაც მიეწერება უნარი ზღვაში ნაგების გაჩერებისა. ამასთან იგი „არს მასწავლელ მენავეთა დაყუდებასა და აღძრეასა ზღვსასა“.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ თევზთან დაკავშირებით ვკითხულობთ: გრძლაბი ზღვსაჲ პატარა თევზია. სხვა თევზებისაგან

⁴⁶ Жизнь животных, т. III, М., 1939, გვ. 284.

⁴⁷ დ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

⁴⁸ ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, გვ. 067.

ომით განსხვავდება, რომ ცუდად ცურავს. ამ ნაკლის შესავსებად მას სხვა საშუალება აქვს — თავზე მოთავსებული დისკო, რომელიც იწყება ნესტოებიდან და გრძელდება ზურგის ნაწილამდე. დისკოს ნაპირები მოქნილია. სწორედ ამ დისკოთი ეწებება იგი მასზე უფრო დიდ თევზს ან ნავს და ასე ცურავს სხვისი ძალის გამოყენებით. გრძლაში ზღვსაჲ იკვებება ნაეიდან გადმოყრილი ან დიდ თევზის მიერ მიტოვებული ნარჩენებით. ამ თევზის უნარმა — მიეწებოს სხვა საგანს — განსაზღვრა მისი რუსული სახელი — прилипала⁴⁹.

გრძლაში ზღვსაჲ-ს პარალელურად ძველ ძეგლებში ამ თევზის აღმნიშვნელი ბერძნული ფუძეც გვხვდება — ეჰინე/ეჰინი/ეჰინის. მაგ.:

...დიდთა მათ ნავთა და აფრათა მიერ განთენილთა და ჰამოჯთა ნიაეითა მავალთა მცირე იგი თევზი, რომელსაცა ჰრქვან ეჰინე, ესრეთ ადვილად დაადგენს, ვიდრე-ლა მრავალყამ შეუძრველად ეგნიან, ვითარცა დამსკუალულნი რაჲმე უფსკრულთა შინა (ეჰ. დღ. 89,9).

მერცხალნი და მწერონი და ჯინქველნი მოსლვასა ზამთრისასა აგრძნობენ, ვითარ იგი ეჰინნიცა და ალკონნი ბუნებით მომგებელნი ამისნი (ხრონღრ. 114,7).

და რაჲმს გესმეს მცირისათჳს თევზისა, რომელსა ჰრქვან ე ბ ე ნ ის, რომელ არს თარგმანებით ნავისა დამაყენებელ, რამეთუ დააყენის ნაეები დიდ-დიდნი, მავალეები ქარსა მარჯუესა (ეჰ. დღ. უძვ. რედ. 105,27).

საბასთან გვხვდება როგორც ეჰინი, ასევე ეჰანი/ეჰინე/ეჰანი. ეჰინი — ზღვის ზღარბი. ეჰანი — თევზი რამე არს მცირე, ზღვასა შინა, ნავთა დააყენებს, რა ნავს მოეკიდოს“ (საბა).

ეჰინის სახელწოდებით ეს თევზი გვხვდება დ. ბაგრატიონთან⁵⁰.

გრძლაში ზღვსაჲ იგივეა, რაც ბერძნული ἡ φάλασσις ἔχουος (φάλασσις მსრ.; ἐχθύς, ἰθὺς-ს задерживающая корабли. 2. останавливающая суда; ἐχθύς, ἰθα; рыба прилипала, ремора “ თვით Remora მომდინარეობს სახელიდან remora, აე, რაც ნიშნავს задержка, промедление (ლათინსკო-რუსსкий словарь).

რამდენადაც ჩვეულებრივია ბერძნული χ ბგერის ადგილას ქართულ ხ ან ჭ ბგერა, იმდენად მოულოდნელია იმავე ბერძნ. χ -ს

⁴⁹ Жизнь животных, т. III, М., 1939, гл. 382.

⁵⁰ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115.

შესატყვისად ქართული ბ-ანი (ἐχένης — ეჰინი — ეჰინე — ებენის). (ებენის ფორმის შესახებ იხ. აქვე გვ. 181).

ზოოლოგიაში ეს თევზი ცნობილია echeneis rch'ora-ს სახელით.

მკალი ზღვსამ/ ზღვს საწერტელი/ ტრიღონი trigon past naca

არა თუ ძალღნი იგი ზღვსანი და დელფინნი და მსგავსნი ამათნი ოდენ არიან შემადრწუნებელ, არამედ ეკალიცა იგი ეგვტისა ზღვსამ, რაჟამს მოკუდის იგი (ექ. დღ. უძვ. რედ. 105,33).

...არა ხოლო თუ ქსიფიანი და ხერხნი, და ძალღნი ზღვსანი, და ფალენე, და ზვგენე არიან საშინელ, არამედ ტრიღონიცა ზღვს საწერტელი და იგიცა რაჟამს მოკუდის (ექ. დღ. 89,14).

ეკალი ზღვსამ სახელია ზღვის თევზისა, რომელიც განეკუთვნება ე. წ. კულტერხიანთა ოჯახს (ლათ. trigonidae). მისი სხეული დისკოს მოყვანილობისაა; კული აქვს გრძელი და შოლტივით მოქნილი, რომელზედაც ხერხის მსგავსად განლაგებულია კბილანები. ეს კული ეკალივით იჩხვლიტება⁸¹. ჩანს, სახელწოდება ეკალი ზღვსამ ამ თვისებამ შეაპირობა.

ეკალი ზღვსამ-ს სინონიმია ზღვს საწერტელი. ამ სახელებით ძველ ქართულში აღინიშნება ის თევზი, რომელიც ჩვეულებრივ ცნობილია ჟერცა/ერცა-ს სახელწოდებით. ესაა ბერძნული დასახელება ამ თევზისა. ტექსტებში ეს ფუძეც შეგვხვდა ტრიღონ ფორმით. საბასთან გვაქვს ტრიგონი.

ზოოლოგიურ ლიტერატურაში ამ თევზის აღსანიშნავად დღეს გამოყენებულია სახელი ზღვის კატა — *dasyalis pas'inaca*⁸².

ჯუთხი acipenser

...განთიადამდე ათნი თევზნი შეაწყუდინეს, რომელთა ჩუელებამ არს ჩუენ შორის ზუთხად წოდებამ (იოან. XXI,36).

გელათური ძღვენი: საქარმაგო სეფისკვეერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი... ფიცხლავ მოაგებონ საქრისტიშობოდ მომავალსა (გარიგ. 15,337).

⁸¹ Жизнь животных, т. III, М., 1939, гв. 130—131.

⁸² არჩ. მანუჩილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

ვეა, რაც *анчоусы-хамса*. ამ რიგის თევზების ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ ზედა ყბა გაცილებით გრძელი აქვთ ქვედა ყბასთან შედარებით⁵⁵.

მენიღო/მენიღოსი იმეორებს ბერძნულ ფუძეს ჭ *μᾶνῃ*, *μᾶνιῃ*, (ლათ. *maena*—*морская мелкая рыба*).

ორაგული *salmo*

...მაშინ აქუნდა ციხესა მას შინა ორაგული ახალი და ღვინოსა მას წილ წარმოსცა ო რ ა გ უ ლ ი ა ხალი (ქართ. ცხ. I, 489, 4, 6).

ორაგული ქაშაყისნაირთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ამ თევზს აქვს თითისტრისებრი მოყვანილობის სხეული. მისი ზურგი მოცისფრო-მონაცრისფროა მუქი წერტილებით დაფარული, ხოლო გვერდები და მუცელი ვერცხლისფერ-მოთეთროა. ორაგული საჩუქარო მნიშვნელობის თევზია⁵⁶.

ამ თევზის სახელის წარმომავლობის გარკვევისათვის ინტერეს-მოკლებული არ უნდა იყოს ვაჟა-ფშაველას აზრი, რომ ორაგულს სახელი მდინარე არაგვის მიხედვით უნდა შერქმეოდა⁵⁷.

სკაროსი *scarus*

...არცა რაჲ აღმოიციონის მათ შორის, გარნა სკაროსი ხოლო მარტო (ეჭ. დღ. 83, 14).

და არარაჲ არს მათ შორის, რომელიმცა აღმოიციონიდა, გარნა სკაროსი იგი მარტო (ეჭ. დღ. უძვ. რედ. 98, 27).

„სკაროსი — თევზი აღმომციონელი“ — განმარტავს საბა. სკაროსი იმეორებს ბერძნულ *σκαρίος* ფუძეს, რაც ნიშნავს—*σκαρ*, *scarus cretensis*—*рыба* из семейства губанов (*labride*)—*якобы отгрыгивающая жвачку* (*Labrum*—*губа*) (Древнегреч.-русск. сл.).

ძხიშაა *xiphias gladius*

...არა ხოლო თუ ქსიფეანი და ბერხნი და ძალნი ზღვსანი და ფალენე არიან საშინელ (ეჭ. დღ. 89, 12).

⁵⁵ Жизнь животных, т. I, М., 1948, გვ. 190.

⁵⁶ იქვე, გვ. 13.

⁵⁷ ვაჟა-ფშაველა, IV, თბ., 1961, გვ. 53.

ქსიფთა ქსიფიდების (ლათ. xiphidae რუს. меченосные) ერთ-ერთი წარმომადგენელია⁸⁹. საბას ლექსიკონში ეს ფუძე ქსიფენი ფორმით გვხვდება.

ქსიფთა ბერძნული სახელწოდებაა სკუმბრიათა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის — თევზ-მახვილასი. ამ თევზს ზედა ყბა წაგრძელებული აქვს მახვილისებურად; სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს მისი სახელიც — თევზ-მახვილა.

ქსიფთა იგივეა, რაც ბერძნული ზბ ჭიფად (ლათ. gladius-mech), mech-рыба (Древнегреч.-русск. сл.).

ქსიფთა ფუძე „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს რედაქციაში არ გვხვდება.

პარიდი/პარიდასი trachurus trachurus

დაჰბადნა ღმერთმან, ვითარცა სახედ დიდნი იგი ვეშაპნი. არა თუ ვინაჲთჳან უფროჲს არიან იგინი კარიდისა და მენიდოსა, ამისთვის ეწოდა მათ დიდ, არამედ რამეთუ მსგავს არიან იგინი მათათა მათ დიდ-დიდთა სიდიდითა გუამისაჲთა (ექ. დღ. 88,31).

დაჰბადნა ღმერთმან, ვითარცა სახედ ვეშაპნი დიდ-დიდნი. არა თუ რავედენ უფროჲს არიედ იგინი კარიდასისა და მენიდოსისა, ამისთვის ეწოდა მათ დიდ (ექ. დღ. უძვ. რედ. 105,20).

კარიდი/კარიდასი ბერძნული სახელწოდებაა იმ თევზისა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში სტავრიდას სახელითაა ცნობილი (ლათ. trachurus trachurus. რუს. анчоусы ან хамса).

ეს თევზი განეკუთვნება სკუმბრიათა რიგს. მისი სხეული დაფარულია წვრილი ქეცით, ხოლო გვერდითი ხაზები — ფირფიტებით. ამ თევზის სხეულის სიგრძე 30 სმ-ია. კარიდი ფართოდ გავრცელებული სარეწაო მნიშვნელობის თევზია⁹⁰.

კარიდი/კარიდასი იმეორებს ბერძნულ ჯაჲც, მძიჯ ფუძეს. კარიდი/კარიდასი და მენიდო/მენიდოსი (ეს უკანასკნელიც ზღვის წვრილი თევზია) ამ მაგალითების მიხედვით უპირისპირდებიან ვეშაპებს სხეულის სიდიდე-სიპატარავით. ამიტომ არ შეიძლება კარიდი ვეშაპის ტოლი თევზი იყოს, როგორც ამას საბა განმარტავს; ასევე არ უნდა იყოს სწორი ამ ფუძის მ. კახაძისეული ახსნა: კარიდი — სკვალი, ზვიგენი, ნათულთევზა, ჯაჲც მძიჯ ჯ, squilla⁹⁰.

⁸⁹ Жизнь животных, т. III, М., 1939, გვ. 306.

⁹⁰ მ. კახაძე, ქართულ-ბერძნული ლექსიკონი, გვ. 141.

ხირსი serra

...არა ხოლო თუ ქსიფიანი და ხერხნი... არიან საშინელ (ექ. დღ. 89,12).

არს მკეცი ზღუდასა შინა რსაძახელი ჰრქვან ხერხ, ფრთენი მისნი გრძელ არიან. რეს იხილნის ნაენი ეზობმულნი, ემსგავსიან მათ და აღიპყრნის ფრთენი მისნი (სახ. სიტყ. 6,2).

ხერხი ცხვირხერხიანთა ოჯახის (ლათ. *Pristiophoridae*) წარმომადგენელია. განეკუთვნება მცირე ზომის ზვიგენებს. ამ თევზს ცხვირი, ანუ როგორც მას სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ, როსტრუმი, აქვს საკმაოდ გრძელი, რომლის ორსავე მხარეს განლაგებულია კბილებისნაირი გამონაზარდები⁶¹. ეს უკანასკნელი ქმნის ხერხთან ასოციაციას. აქედანვე წარმოდგება მისი სახელწოდება — ხერხი. ამ თევზს აქვს ფართო და ძლიერი გვერდითი საცურაო ფარფლები — ძველი ქართულის ტერმინოლოგიით — ფრთენი (იხ. მაგ. ზემოთ).

ქართული ხერხი იგივეა, რაც ბერძნული *βερξυ* და ლათინური *serra*; სომხურშიც *սղից* ფუძე იკითხება შესაბამის ადგილას, რაც ასევე „ხერხს“ ნიშნავს⁶².

ხერხ ფუძე „ექუსთა დღეთაჲ“-ს უძველეს თარგმანში არ ჩანს. თანამედროვე ზოოლოგიურ ლიტერატურაში ეს თევზი ცხვირხერხას სახელწოდებითაა ცნობილი.

ორსოველები (ამფიბიები)

ორ-ცხოველი/ორცხოველება, თაქვ/ყუნდუზ/კასპორიოხ, კირჩხიბი/კარავიდი/კარაბილაჲ/კარაკინი, კუჲ/კუვი, მყუარი, მწავი/მწავ-ძაღლი, ხალამანდროჲ, ცხენი მდინარისაჲ, ხვთქი/კორკოდილოჲ

ორ-სოველი/ორსოველება *amphibia*

გინა თუ ფერკ ასხენ და ვალს წყლისათაგანი რაამე და უფრო-ასლა უმრავლესნი მათგანნი არიან ორ-ცხოველ, ვითარცა სახედ კუნი და ხვთქნი და ცხენნი მდინარისანნი და კირჩხიბნი და მყუარნი, არამედ თავადი საქმე მათი არს მცურვალობაჲ (ექ. დღ. 81.9).

...არიან რაამე წყლისათაგანნი მრავალნი, უმრავლესნი მათნი არიან ორცხოველებითა... (ექ. დღ. უძვე. რედ. 96,20).

⁶¹ Жизнь жипотных, т. III, М., 1939, გვ. 123.

⁶² Т. Р. кн. VI, გვ. 6, 7.

...გრიკი ვითარცა ორცხოველი რამე არს და აღრიცხულ სარწყავთა თანა და აღორძინებულ უდაბნოთა შინა (ექ. დღ. 62,18).

ორ-ცხოველი წყალ-ხმელეთა ცხოველების ზოგადი სახელია ძველ ქართულში. „ორ-ცხოველი ესე არს კმელზე რო ცოცხალ იყოს და წყალთა შინაცა; არცაჲ წყალთა ოდენ იყოს და კმელთა ზედა მოკვდეს, ანუ კმელთა ოდენ იყოს და წყალთა შინა შეიშთოს“. — განმარტავს საბა.

„ორცხოველი რომელიცა წყალსა შინა და ხმელსა ზედაცა შემცლებელ არს გაძლებად, ე. ი. წყალში არა მოიშობის და ხმელზედ იცოცხლებს უწყლოდ, ვითა კიბო, კუ, კორკოდილო და მისთანანი, водоземное животное, амфибия“ (ნ. ჩუბ.).

ქართული ტერმინით ორ-ცხოველი/ორცხოველება აღინიშნება გარკვეული კლასი იმ ხერხემლიანთა ცხოველებისა, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში ამფიბიების სახელითაა ცნობილი. მათ შეუძლიათ ცხოვრება როგორც წყალში, ასევე ხმელეთზეც, თუმცა „თავადი საქმე მათი არს მცურველობა“.

ორ-ცხოველი ბერძნული ἀμφίβιος-ის თარგმანია (ბერძ. ἀμφί- приставка со значением: 1. обисюдности. 2. двойственности და βίος — 1. жизнь. 2. образ жизни).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში დასახლებულია შემდეგი ორ-ცხოველები: თაქვ, კირჩხიბი, კუვი, მუშარი, მწავი, ხალამანდრა, ცხენი მდინარისაჲ და ხვთქი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

თაქვ/თუნდუზ/კასტორიოს castor fiber

ესე არს ტბაჲ მღრვე ყოვლადე, რომელსა ეწოდების სათაქუე და არს მას შინა სიმრავლე თაქუთაჲ დასხუათანადირთაჲ (ზარზმ. 160,28).

არს ნადირი კასტორიოს თაქვ კმელისაჲ. მდებალ და ფედ ყუდრო არს ნადირი იგი და საურველნი მისნი საკურნებლად წამლად არნ (სახ. სიტყ. 34,1).

...თაქუ მან მან მოიკუეთნის საურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა მას (სახ. სიტყ. 34,8).

თაქვ ძვირფასბეწვიანი წყალხმელეთა ცხოველია. განეკუთვნება მღრღნელების ოჯახს. „თაქვ/მთაქვ — კოსტორიოს“ CDE — წერს საბა. საინტერესოდ ახასიათებს ამ ცხოველს დ. ბაგრატიონი: „თაქვ

ცხოველი ესე ცხოვრობს წყალსა შინა და სკამს თევზსა და ხის ქერქსა და მცენარესა. ესენი, საზოგადოდ შეყრილნი დააგუბებენ წყალთა დიდითა საკვირველებითა... წინა ფერხნი აქვს მოკლე, განყოფილი თითებითა, და უკანა ფეხი ტყავითურთ გაბმული. კული აქვს თევზის მსგავსად; ბალანი აქვს ამოწერილი (!) და არა თანასწორი ბალანი. ამას აქვს ოთხი კბილი, ორი ზევით და ორი ქვევით, დიდად გრძელი, რომლითაცა მოსჭრის დიდ-დიდთა ხეთა. ხოლო ყვერთა მისთა იხმარებენ წამლად — ბობრ, ყუნღუზ⁶³.

სპეციალურ ლიტერატურაში ამ ცხოველთან დაკავშირებით ვკითხულობთ: თახვი — მღრღნელების ოჯახის რვაკბილიანთა კლასს განეკუთვნება. ჩვეულებრივ ჰაობის თახვი გვხვდება (ჩვენს მაგალითებშიც ეს უკანასკნელი ივარაუდება — ი. ქ.). მას აქვს ჩასკენილი სხეული, მოკლე და სქელი ყელი. სახე — ჩამოსხეპილი, თავი — პატარა; გრძელი კული დაფარული აქვს ქერკლით... ამ ცხოველს ზურგზე მორუხო-წაბლისფერი ბეწვი აქვს დამახასიათებელი მბზინვარე ღერებით; სწორედ ამ ღერებზეა დამოკიდებული ბეწვის ფერი... თახვი ცხოვრობს სოროში, რომელსაც თვითონ თხრის. იგი ცურავს კარგად, ხმელეთზე კი ნელა მოძრაობს, რადგან ძლიერ მოკლე ფეხები აქვს. თახვს დიდი გამოყენება აქვს ძვირფასი ბეწვის გამო⁶⁴.

ვახუშტი ბაგრატიონი მთახვს ასახელებს საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა შორის⁶⁵, თუმცა დღეს ზოგი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ თახვი საქართველოში არ მოიპოვება და არც წარსულში უნდა ყოფილიყო⁶⁶.

ქართულის მონათესავე ენათაგან თახვის მნიშვნელობით ჰანურში დასტურდება ღალი-კატუ (ხოფ.) — წყლის კატა⁶⁷. ჰანურის ათინურ კილოში თახვის აღსანიშნავად თურქულიდან შეთვისებული კუნღუზ ფუძეა გამოყენებული⁶⁸.

ქართველურ ენებში თახვ- და მწავ- ფუძეთა მნიშვნელობები ჩვეულებრივ აღრეულია. მაგ., ჰანურში წვინარი (ხოფ.), წინარი

⁶³ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120.

⁶⁴ Жизнь животных, т. III, М.-Л., 1930, გვ. 218—219.

⁶⁵ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 30.

⁶⁶ არჩ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ცხოველთა მოსახლეობა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით; საქ. მეცნ. აკად. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, I, 1947.

⁶⁷ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь, гв. 153.

⁶⁸ იქვე, გვ. 159.

(ათინ.) — განმარტებულია როგორც ნიწრ, ხოლო აღწერითად ეს ფუძე ახსნილია როგორც ღალიშ ჯოდორი — წყლის ძაღლი⁶⁹. სვანური ენის ლაშხურ დიალექტში თავი წავის მნიშვნელობით იხმარება⁷⁰. ლახამულურში იმავე წავის მნიშვნელობით გამოიყენება ყუნდღუ ფუძე. მსგავსად ლაშხურისა, ლეჩხუმურშიც წავის მნიშვნელობა აქვს თავს⁷¹, ხოლო ფშაურში — თხუნელასი⁷².

თაქვ-ს მნიშვნელობით ძველ ქართულში შეგვხვდა ყუნდი ფუძე, მაგ.:

თავსა და საყელოსა კარგისა ყუნდიზისა და მალლად ამვერილსა, მჭლოდ შეეკერულსა ქუდსა დაარქვამს (ვარიგ. 1,6).

ყუნდიზი თურქული ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა: თურქ. кундуз, აზერბ. гундуз, ყირგიზ. უზბეკ. თურქმ. кундуз — ნიწრ⁷³.

აღსანიშნავია, რომ თაქვ-ს არა მარტო თურქულმა, არამედ სავსებით ინდო-ევროპულმა ფუძემაც პოვა ასახვა ქართულში. მხედველობაში გვაქვს დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონები: ბაბრი — бобр, ნიწრ, castor fiber. ბაბრაბი — шакура боброваз (ღ. ჩუბ.). „ბაბრი — (ოთხფ.) ჭიჭი, თახვი, წავი, ნიწრ, ნიწრ“ (ნ. ჩუბ.).

როგორც ამ უკანასკნელი ლექსიკონიდან ჩანს, აქ გაიგივებულია ჭიჭის ახალი სპარსული სახელწოდება ბაბრი, რომელიც მომდინარეობს ფალაური ვაგარ ფორმიდან⁷⁴, თავის ინდო-ევროპულ fiber სახელთან. ბაბრის ჭიჭის მნიშვნელობით გამოყენება, ცხადია, სწორია, ოღონდ შეეცდომაა წავის ბაბრად მიჩნევა. ბაბრაბი — ბაბრის ტყავი; „ბაბრი — სხვათა ენაა, ქართულად ჭიჭი ჰქვან“ — განმარტავს საბა. თავის მნიშვნელობით გამოყენებული ბაბრი კი იგივეა, რაც რუს. бобр, ლტ. бибр, ჩეხ. bobr, პოლნ. bobr, ძვ. ინდ. babhrus, ავესტ. bowri, გერმ. biber, ლათ. fiber. ეტიმოლოგიურად ეს ფუძე უკავშირდება ზედსართაული მნიშვნელობის მქონე გარკმაგებულ ინდო-ევროპულ bhe-bhru ფუძეს, რაც „ნაცრისფერს“ ნიშნავს⁷⁵. ამ ფუძის ეტიმოლოგიის კვლევისას, ცხადია, მხედველობაშია მიღებული თაქვ-ს ბუწვის შეფერილობა, რომელიც, მართლაც, მორუხო-მონაცრისფერია.

⁶⁹ Н. Я. Марр. Чанско-русский словарь, გვ. 218.

⁷⁰ სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი).

⁷¹ შ. ჩოქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1941.

⁷² ი. კეცოია, სიტყვის კონა, СПб, 1910.

⁷³ А. М. Щербак, Названия домашних и диких животных, გვ. 146.

⁷⁴ შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, ..., გვ. 240.

⁷⁵ М. V a s m e r, Russisches etymologisches Wörterbuch, გვ. 97.

საინტერესოა კიდევ ერთი ფუძე, ამჟერად ბერძნული, რომელიც შეგვხვდა სომხურიდან ნათარგმნ ძეგლში „სახისა სიტყუაჲ“. ეს ფუძეა კასპორიოს. მაგ., არს ნადირი კ ა ს პ ო რ ი ო ს თ ა კ ე... (სახ. სიტყვ. 34,1).

კასპორიოს იმეორებს თავის აღმნიშვნელ ბერძნულ *χασορ* -
რიც ფუძეს, სადაც ბერძნ. τ ქართულში შეცვლილია პ ასოთი⁷⁶.
რამ გამოიწვია ეს ცვლილება?

სომხურ ტექსტში ბერძნული სიტყვა უცვლელადაა წარმოდგენილი — *ყასორი*. სომხური *თ* ასო წააგავს ძველი ქართულის ნუსხური დაწერილობის *ჰ* ასოს. თარგმნისას, ჩანს, სომხური წაკითხულ იქნა როგორც ქართული, ე. ი. გრაფიკულ ნიადაგზე წარმოშობილი შეცდომის საფუძველზე ქართულში დამკვიდრდა ბერძნული ფუძის უმართებულო ფორმა — კასპორიოს.

ქართულსა და სომხურში ამ სიტყვის ბოლოს გვაქვს ხ-ანი, ხოლო ბერძნულში -ნ-არი (კასპორიოს — *χασορσιον* — *ყასორჩიოს*). როგორც აკად. ნ. მარი აღნიშნავს, ამგვარი შენაცვლება (ზოგჯერ კი პირიქითაც) ჩვეულებრივია ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში⁷⁷.

თავის მნიშვნელობით საბასთან კოსტოტიროს ფუძეც გვხვდება. „კოსტოტიროს — ნადირია, რომლისა საურვეალი წამალია საკურნებელი და რა მონადირე სდევს, მოიკუთეს და მიუყრის“ (საბა).

ეს ფორმა რამდენადმე უნდა იმეორებდეს ბერძნულ *χασορι*, -*ორი* ფუძეს, რაც „თახვს“ ნიშნავს. ძველი ბერძნული ენის ლექსიკონის მიხედვით *χασοრი* იგივეა, რაც „თავის ყაირი“ *θινροβαχ* *στυρα* — ერთგვარი ნივთიერება, რომელიც თავის ე. წ. მუშის ჯირკვლებშია მოთავსებული; გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში.

საბას ლექსიკონში დაცული კოსტოტიროს ფორმა ფუძის აგებულების თვალსაზრისით მიაგავს ძველ ზემო გერმანულსა (*ahd.*) და შუა ზემო გერმანულში (*mhd.*) დადასტურებულ ვეფხის აღმნიშვნელ *tigertior* და *tigertier* ფუძეს, სადაც *tier* ნიშნავს „ცხოველს“, „მხეტს“⁷⁸.

⁷⁶ Т. Р. кн. VI, Физиолог, издал Н. Я. Марр, СПб., 1904.

⁷⁷ იქვე, გვ. 113.

⁷⁸ F. Kluge, Etimologisches Wörterbuch der deutschen sprache, Berlin, 1957, გვ. 779.

კოსტოტიროს ფუძეშიც, ვფიქრობთ, იგივე *lier* გამოიყოფა, ხოლო კოსტორ შეიძლება დაუკავშირდეს ლათინურ *castor* — თახვის აღმნიშვნელ ფუძეს, რომელიც თავის მხრივ უნდა მომდინარეობდეს *castro* — ზმნური ფუძიდან, რაც ნიშნავს *подчищать, подрывать, подрезывать*.

აქედანვეა ნაწარმოები *castratio—оскопленне, кастрация, подрезывание*, ე. ი. კოსტოტიროს შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: ესაა ცხოველი, რომელსაც შესწევს უნარი თვით დაკოღვისა, კასტრაციისა, — საურვალის მოკვეთისა.

კირჩხიბი cancer

...სხვსა თესლისანი არიან კეც-ლბილად წოდებულნი იგი, ვითარ კარავედნი და კირჩხიბნი და მსგავსნი ამათნი (ექ. დღ. 82,12).

კირჩხიბსა გული უთქუამს კორცისათვის ოსტრეაჲსა (იქვე, 84,5).

და რავედენ ორკერძონივე იგი ბუდენი შეიყოფვიან მაგრიად, კელნი იგი კირჩხიბისანი ცუდად დარჩიან (ექ. დღ. უძვ. რედ. 99,24).

სიმრულდე კირჩხიბისაჲ ბუნებით არს, ხოლო სიმრულდე შენი ნებითა შენითა არს (მამ. სწ. 148,10).

შენ ეცინი კირჩხიბსა და სიბრძნე შენი უმრულდესს მისსა არს (იქვე, 148,9).

კირჩხიბი არს ასთაკვ და მისთანანი ZA; ამავე ლექსიკონის B-რედაქციაში საბა წერს: „კირჩხიბი (თევზ.) — არს კიბორჩხალი, ასთაკვ და მისთანანი; კირჩხიბი ეწოდების ზოდიაქოსა მაისისასა; კირჩხიბი ჰქვან მუწუკსა მკაშელსა, კიდევ წისქვილის ლითონის საპყრობსა“.

„კირჩხიბი — არის рак—знак зодиака, рак—болезнь“ (დ. ჩუბ.). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით კირჩხიბი (მძრ.) — არის ასთაკვ, კიბო, კარკინო და მისთანანი.

როგორც განმარტებებიდან ჩანს, კირჩხიბი ბერძნული *καρκίνος* -ისა და *καρκίνος* -ის ფარდია და გულისხმობს კიბოს. აღსანიშნავია, რომ ძველ ძეგლებში კიბო ფუძე არ შეგვხვედრია.

კირჩხიბი რთული შედგენილობის ფუძე ჩანს. შესაძლებლად მიგვაჩნია ერთი მხრივ კარ- და მეორე მხრივ ჩხიბ- ფუძეთა გამოყოფა. რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

კირი ფუძე ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში იშვიათად ხმარებული სიტყვაა. მაგ.:

ვითარცა სახელდ გამოსტაცნის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი კირნი ანუ ყურის ძირნი, ეგრეცა გამოიტაცნენ ძენი იშლისანი, რნი მკვდრ არიან სამარიის წე ტომთა დამასკუს შინა“ (ამოს, 3,12).

იგი იყო ასოვთ მდაბალ, თმითა ლულარკნილ, ყურითა განცქეულ, კირ-დრეკილ, გრემან თუალითა... (თეკლ. 92,16).

კირი საბასთან კირნი ფორმით ვვხვდებოდა და განმარტებულია როგორც „კისერნი თუ შეშა ძარღუნი“. კირი აკად. ნ. მარს შეხვედრია იპოლიტეს ქართულ თარგმანში — „კურთხევათა მათვის იაკობისთა, „ვითარ იგი ათურმეტნი ნახპეტნი აკურთხნა“, სადაც ვკითხულობთ: რრისხვთა თვისთა მოწყვდეს კაცი და გულის წყრომითა თვისთა კირნი დაჰკუთვნეს კუროსა (იპოლტ. I,300,11).

კირნი აკად. ნ. მარს Pl. I.-ად მიაჩნია და განმარტავს როგორც жны⁷⁹. კირი არ უნდა ნიშნავდეს კისერსა თუ შეშა ძარღვს: იგი არც Pl. I.-ად უნდა გაეგოთ. კირნი მრავლობითი რიცხვია კირ ფუძისა. ჩვენ მიერ ბიბლიიდან მოტანილი მაგალითების მიხედვით კირი უნდა ნიშნავდეს „ფეხს“, „წვივს“, რადგან შესაბამის ადგილას ბერძნულში იკითხება σχλιδ ფუძე⁸⁰, რაც ნიშნავს: „თეძოს“, „წვივს“, „ფეხს“. რუსულ ბიბლიაშიც ქართული კირ-ისა და ბერძნული σχλιδ-ის შესატყვისად დასტურდება წვივის აღმნიშვნელი голени — ფუძე.

კირ ფუძის მნიშვნელობა „თეკლას მარტვილობა“-ში დადასტურებული კირ-დრეკილ-ის მიხედვით სწორად აქვს დადგენილი პროფ. ილ. აბულაძეს. კირ-დრეკილ-ის შესატყვისია სომხურში կարժ-ჟს; ჟს იგივეა, რაც მრუდე, ანუ როგორც ჩვენი ტექსტი ამბობს „დრეკილ“, ზოლო კარქ ფუძის ძირითადი მნიშვნელობაა: „ფეხი, ფეხის ძარღვები, წვივი“. მოცემულ შემთხვევაში, — აღნიშნავს მკვლევარი, კარქ ნიშნავს „ფეხს“, რომლის ფარდია ქართული კირი⁸¹.

ეს კირ ფუძეა სწორედ კირჩხიბის პირველი შემადგენელი ნა-

⁷⁹ Т. Р. кн. VI, Физиолог, гл. XVI.

⁸⁰ Velus Testamentum graecum... Parissis, 1882.

⁸¹ ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები; ენციკლ. მოამბე. XIII, თბ. 1940, გვ. 85.

წილი (მდრ. კვირისთავი (ანატ.) — „მუხლის თავის პატარა ძვალი“ (ქგლ.).

რაც შეეხება ჩხიბვა ფუძეს, საბას ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც „გრძნებით შეკვრა“. ეგვე ფუძე დღეს ქიზიყურში იხმარება და ნიშნავს „ერთმანეთში გაცმა-გახლართვას“⁸². გაჩხიბვა ფუძე იმერულშიც დასტურდება ანალოგიური მნიშვნელობით⁸³. ჩხიბვა ფუძის შესატყვისად სვანურში ივარაუდება კერვის აღმნიშვნელი ლიშხბი ფუძე⁸⁴.

ამ მონაცემების საფუძველზე კირჩხიბი შეიძლება განმარტოს როგორც „ფეხმარუდე“, „ფეხებ-დახლართული“, ე. ი. ამ ცხოველს სახელი შერქმევია მისი გარეგნული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, რაც უცხო არ უნდა იყოს საერთოდ ცხოველთა სახელდებისათვის.

თანამედროვე ქართულში კირჩხიბი არ გვხვდება. მის ნაცვლად იხმარება კიბო და კიბორჩხალა.

კიბო განმარტებულია როგორც წყლის ათფეხა ცხოველი, რომელსაც სხეული დაფარული აქვს მაგარი ქიტინოვანი საფარველით; აქვს დიდი მარწუხები და კუდის მსგავსი მუცელი, ხოლო კიბორჩხალა — პატარა ბრტყელზურგა კიბოა დეღე-მდინარეთა — ცხრაფეხა (ქგლ. IV).

მეგრულში ქართულიდან შეთვისებული კიბოია ფუძე იხმარება⁸⁵; ქანურსა და სვანურში ეს ფუძე არ ჩანს⁸⁶.

კიბორჩხალი უნდა მომდინარეობდეს *კირ-ბორჯლალ-ისაგან. ბორჯლი გვხვდება საბას ლექსიკონში და განმარტებულია როგორც „კაპებიანი, ბორჯლელი“. საბა აქვე მიუთითებს გრჯლა ფუძეზე, რომელსაც შემდეგნაირად განმარტავს: „გრჯლა — დიდთა ხეთა რა სხვლნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გრჯლა; მასზედეთ განეყოფილთა ეწოდებიან ბორჯლი, ხოლო მასზედეთა რტონი“; (მდრ. ახ. ქართ. ბორჯი — ფესვი; ბორჯს გაიდგამს — „ფესვს გაიდგამს“; ბორჯლიანი — რასაც ბორჯლი აქვს, — გამლილი ტოტების მქონე) (ქგლ. 1).

⁸² სტფ. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

⁸³ პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის; ქუთ. პედ. ინსტ. შრ., X, 1950—1951.

⁸⁴ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, ივე, XII, თბ., 1953, გვ. 153.

⁸⁵ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

⁸⁶ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, გვ. 112.

კიბოს მიმართ ისეთი ეპითეტის გამოყენება, როგორცაა კირ-ბორჯღალი, არ უნდა იყოს შეუძლებელი, თუ გავითვალისწინებთ ამ ცხოველის გარეგნულ მონაცემებს: მრავალ კიდურს, მარწუხებსა და წანაზარღებს მის სხეულზე. ყველაფერი ეს ქმნის განშტოებულ საგანთან ასოციაციას.

შეიძლება ითქვას, რომ თვისების აღმნიშვნელი სახელი იქცა ამ ცხოველის საკუთარ სახელად. კირ-ბორჯღალი-იდან რ-ს დაკარგვისა და ჯღ-ს ჩხ-დ შეცვლის საფუძველზე მივიღეთ კიბორჩხალი.

*კირბორჯღალი—*კიბორჯღალი—კიბორჩხალი. (ჯღ/ჩხ-ს მონაცვლეობისათვის შდრ. ჯღა/ჩხა; ჩხართვი) თუშ. ჯღართვი; რ-ს დაკარგვის მაგალითებია: ძიმწარე—ძირმწარე; კვეკვერა—კვერკვერა...).

რაც შეეხება კიბო ფუძეს, მისი დამოუკიდებლად ხმარებისათვის, ვფიქრობთ, მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გრჯღა/ჯღა ფუძის არსებობას ენაში. შემდეგში ენამ ეს ორი განსხვავებული ფუძე კიბო და კიბორჩხალი გამოიყენა ბუნებაში სისტემატიკურად ახლო მყოფ საგანთა აღსანიშნავად: „კიბო — წყლის ათფეხა ცხოველია — რუს. рак, ხოლო კიბორჩხალი აღნიშნავს ცხრაფეხა ცხოველს ღელე-მდინარეთა — რუს. краб.

ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამივე სახელი კირჩხიბი, კიბორჩხალი და კიბო — ქართულ ნიადაგზე შექმნილი სახელებია. მათი ფუნქცია თავდაპირველად თვისების აღნიშვნა უნდა ყოფილიყო; მხოლოდ შემდეგში იქცა ისინი საგნის საკუთარ სახელად. ყველა დასახელებულ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული ამ ცხოველის გარეგნული ნიშნები. საერთოდ კი ამ გზით ცხოველთათვის სახელების შერქმევა არაა უცხო ენობრივი სინამდვილისათვის⁸⁷.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში კირჩხიბის პარალელურად გვხვდება ბერძნულიდან შეთვისებული ამ ცხოველის აღმნიშვნელი შემდეგი ფუძეები: ასთაკვ, კარავედი/კარაბი/კარაბიდაჲ და კარაკინი. მაგ.:

კულად მრავალნი არიან უსისხლო უკუშ სულიერ, ვითარ სელაქნი და მალაკნი და სიპენანი... და ყოველნი კეტყაეოანნი და

⁸⁷ მაგ. კიბორჩხალაბ აღმნიშვნელი რუს. краб. გერმ. die Krabbe, ინგლ. crab უკავშირდება ფორთხვის, ზოხვის აღმნიშვნელ krabbeln ფუძეს, ე. ი. Краб ისეთი ცხოველია. რომელიც ფრთხვით, ზოხვით გადაადგილდება. იხ. M., V a s m e r, Russisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg, 1953, I. Band, გვ. 653; F. Kluge, Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache-Berlin, 1957, გვ. 396.

ჩჩვლქეცნი, ვითარ კარაკინნი და ასთაკენი (ბუნ. კაც. 27,23).

„ასთაკვ — ღუმინი კიბორჩხალი“ (საბა). ასთაკვ იგივეა, რაც ბერძნული ბ *μαρμαρις*.

კიბორჩხალას აღმნიშვნელი ბერძნული ბ *αεραβιας* ფუძის ვარიანტებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ფუძეები ქართულში: კარავედი/კარავიდი/კარაბიდაა. შავ.:

და ამათგან კიდე კულად სხვა თესლისანი არიან კეც-ლბილად წოდებულნი იგი, ვითარ კარავედნი და კირჩხიბნი და მსგავსნი ამათნი (ექ. ღლ. 82,12).

...არა გარეშემომდვა ჩუენ არცა ზრქელი ტყავი... და არცა ჩვლ-კეცნი, ვითარ კარავედთა... (ბუნ. კაც. 15,21).

და სხვა თესლისაგან კულად, რომელსა-იგი ჰრქვან კეც-ლბილ, ვითარცა სახედ კირჩხიბნი და კარაბიდაა... (ექ. ღლ. უძვ. რედ. 97,21).

...რომელნიმე არიან უფერკო, ვითარ თევზნი და გუენნი, ხოლო რომელნიმე უთავო, ვითარ კარაკინნი და კარაბნი (ბუნ. კაც. 60,12).

და სხუაჲცა დედაკაცი ძუძუსა ზედა კარკინო მსა მქონებელი, შესამედ ცხებითა ზეთისაჲთა მრთელ იყო (იოან. 268,22).

ზემოთ დასახელებულ ფუძეთაგან ბერძნულთან ყველაზე ახლოს დგას კარაბი ბერძნ. ბ *αεραβιας*; ე. ი. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს სქმე, როცა ბერძნული მ ქართულში გადმოცემულია ბ-ანიტ. ბ-ანიანი ფორმის პარალელურად გვაქვს ვ-ინიანი ფორმაც — კარავედი/კარავიდი. ეს ფუძე გართულებულია -ედ/-იდ- სუფიქსებით.

საბას ლექსიკონში ეს ფუძე კარავნი ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „ღუმინი კიბორჩხალი“.

კარაკინი საბასთან კარკინო ფორმითაა წარმოდგენილი. „კარკინო — ესე არს დიდი ცხრაფება, რომელსა ბერძენნი პალურს უწოდენ, ხოლო სომეხნი ხიჩაფარს“. ეს ფუძე იგივეა, რაც ბერძნული ბ *αεραβιας* „კიბორჩხალი“, „καραβ“.

კაჲ/კაჲჲ (testudo (chelone))

...და უფრო მსლა უმრავლესნი მათგანნი არიან ორცხოველებითა, ვითარცა სახედ კუნნი და ხუჭინი... (ექ. ღლ. 81,10).

სხვა ნათესაისაჲ არს კეც-ტყავად წოდებული იგი, ვითარ

კობლიოჲ და ლოფოთქინი ზღვსაჲ და სავარცხალი და კუჲ... (იქვე, 82,8).

...გამოჩნდა წინაშე მისსა, ვითარცა კუჲ რამემ დიდი, მკონებელი ოთხისა გინა ზუთისა მტკაველისაჲ სიერცით, და ჰჳონა უკუე, ვითარმედ ნუსადა კეშმარიტებით კუჲ არს (იოან. 264, 14—16).

არს მკეცი ზღუასა შინა რ^ი იწოდების ვაჰანაკრაჲ კუ-ვი ზღვსაჲ, ვეშაპთევზის მსგავს არს (სახ. სიტყ. 26,6).

ორცხოველების ერთ-ერთ წარმომადგენლად ძველ ტექსტებში დასახელებულია კუვი/კუჲ.

„კუჲ ბალა, კუჲ, ცხოველსაჲმას ჰრაცხენ წყლისად და კმელისადცა. მექონი ბაკანისაჲ, რომელსაცა ეზრდების თანად ბაკანიცა; ესე არს წინათ და უკანით განღებულ, რომელთაგანცა თავსა და ფერკთა გაიღებს და შეიღებს, ხოლო რომელი ცხოვრებს ზღვათა შინა, აქუს მას ფერკი ტყავითა გაბმული. ოდეს განძლის ესე კორცითა იქედნისაჲთა, მაშინ ჰამითა ჰონდრისაჲთა განიკურნის შხამი იგი; და ესე იშვების კვერცხთაგან — ჩერეპახა, კურიი, თოზბალა“⁸⁸.

ეს ფუძე ძველ ძეგლებში კუვი/კუჲ ფორმით გვხვდება. რ. ერი-სთაის ლექსიკონში გვაქვს რკუ.

ქართულურ ენათაგან კუ ფუძე მეგრულში გვხვდება. ცხადია, შეთვისებულია ქართულიდან. ჰანურში ამ მნიშვნელობით თურქულ-ლიდან შეთვისებული კაჰლია ფუძე იხმარება⁸⁹. სვანური სინამდვილისათვის კუ საერთოდ არ უნდა იყოს დამახასიათებელი. კუვი/რკუ ფორმებში რ-სა და ვ-ის განვითარებულად მიიჩნევენ⁹⁰.

სომხურიდან ნათარგმნ ძეგლში — „სახისა სიტყუაჲ“ — შეგვხვდა კუ-ს აღმნიშვნელი სომხური ფუძე *ქარანასკრისაჲ* — ვაჰანაკრაჲ. ეს უკანასკნელი გულისხმობს ე. წ. გიგანტურ კუს, რომელიც შედარებულია ვეშაპთევზთან. როგორც აკად. ნ. მარი ვარაუდობს, ამ სომხურ ფუძეში გამოიყოფა *ქარან* ფუძე, რაც ნიშნავს „ფარს“, ხოლო მთლიანად სახელი *ქარანასკრისაჲ* ახსნილია როგორც „ფარის მქონე კუ“, რუს. щиточерепаха.

კუხ ბერძნული სახელწოდება შეგვხვდა ნემესიოს ემესელის

⁸⁸ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 127.

⁸⁹ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь...

⁹⁰ Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, გვ. 157.

ნაშრომში „ბუნებისათვის კაცისა“. ესაა ქელონი-ფუძე. Ἰηλῶνη—
კუ. მაგ., ...არა გარემემომდვა ჩუენ არცა ზრქელი ტყა-
ვი, ვითარ ზროხათა და სხუათა ზრქელტყავთა, ...არცა კეცი,
ვითარ ქელონი-კუთა და ოსტრა-კუთა, არცა
ჩკლკეცი, ვითარ კარავილთა (ბუნ. კაც. 15,1).

ქელონი-კუხ გვერდით ტექსტში დასახელებულია აგრეთვე ოს-
ტრა-კუ. ამ უკანასკნელში უნდა ივარაუდებოდეს არა მხოლოდ
კუ, არამედ ზოგადად ის ცხოველები, რომელთაც კუს მსგავსად
გარსშემოვლებული აქვთ კეცი⁹¹. ოსტრა-კუ⁹² უნდა მომდინარეობ-
დეს სახელიდან τὸ βουρᾶλον, რაც ნიშნავს: скорлупа, костный пан-
цырь, щиток, раковина; აქედან βουρᾶλονος—черепообразный,
покрытый жесткой кожей, панцирем, скорлупой, раковиной
(Древнегреч.-русск. словарь).

მუშარი გაა

და გინათუ ფერკ ასხენ და ვალს წყლისათაგანი რაიმე (და უფ-
რომსლა უმრავლესნი მათგანი არიან ორცხოველ, ვითარცა
სახედ კუნი, და ხუტქნი... და კირჩხიბნი და მყუარნი), არა-
მედ თავადი საქმე მათი არს მტურვალობაჲ (ექ. დღ. 81,12).

განამრავლნა ქუეყანამან მათმან მყუარნი საუნჯეთა მეფე-
თა მათთასა (ფსალმ. 104,3).

აღმოკდა მყუარნი და დაფარა ქუეყანაჲ ეგვიპტისაჲ (ვა-
მოსლ. 8,7).

და არარაჲ დაშთა მათ შინა ცუდად, რომელი იყო ტბათა შინა
და უყთა უსრული დაბადებითა, არამედ მყუარნი და მუმ-
ლნი მათგან გამოვიდოდეს (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,4).

...შავი ვინმე შიშუელი გამოუჩნდა მას, ყოველსავე სხეულსა
შორის თვისსა დამოკიდებულად მქონებელი გუელთა და მყუ-
ართაჲ (იონ. 264,8).

...ესე სიტყუჲ მსგავს არს ქლავილსა მყუართასა და ჩხი-
კუთასა (კაც. აგებ. 215,8).

...არათუ მქუორინენი ოდენ აღმოვლენ წვმათაგან, არცა სხუა-
ნი ბევრეულნი თესლნი მფრინეალენი ჰაერთა შინა, რომელთაგანნი

⁹¹ Т. Р. кн. VI, гл. 98.

⁹² შესაბამის ადგილას რუსულ თარგმანში იკითხება раковины ვ. ი. ივარაუდება
კაც-ტყავიანი ცხოველები; იხ. Н. Эмесский, О природе человека, გვ. 29.

უმრავლესნი უსახელო არიან სიწლოჯსათვის მათისა, არამედ თავ-
ცა და მყუარარი მისგანვე აღმოცენებიან (ექ. დღ. 105,14).

...ოდეს ვილოცო შენთვის და მსახურთა შენთათვის... რაჯთა გან-
ქარდეს მყუარარი შენგან და ერისა შენგან, ...გარნა მდინარეთა
ხოლო დაშთეს (გამოსლ. 8,9).

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში ბაყაყის მნი-
შენელობით მხოლოდ მყუარ-ფუძე გვხვდება. თვით ბაყაყი ფუ-
ძე წერილობით ძეგლებში არ ჩანს.

მეგრულსა და ქანურში ბაყაყის მნიშვნელობით იხმარება ფვა-
ბუ, ქან. მ-ჭვაბუ/მ-ფვაბუ, რომელსაც უკავშირებენ რუსულ-
жѣдѣ²³-ს და, აგრეთვე, გორდო ფუძე (ეს უკანასკნელი ძხო-
ლოდ მეგრულშია). ქანურში გვაქვს მყაყი-ც. მყაყი (ხოფ.), მა-
<შააი; (ჩა-მყაყი — „ხის ბაყაყი“). შენიშნულია, რომ ეს ფუძე ქა-
ნურში შეთვისებულია ენათა თუბალკაინური ჯგუფიდან, სადაც ბ>
მ-ში²⁴. იქნებ აქ საპირისპირო პროცესთან გვაქვს საქმე, ე. ი.
მ>ბ-ში? ამოსავალში ვვარაუდობთ მიმღეობური წარმოების მ-
ყაყ-ფუძეს (მდრ. მყუარო), რომელიც დაცულია ქანურში. თუ
ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ბაყაყი ფორმა მეორეული უნდა იყოს.

სევანური ენის ლაშხურსა და ლენტეხურ დიალექტში აკად-
ნ. მარს დადასტურებული აქვს ქართულიდან შეთვისებული ბაყაყ-
ფუძე (მრ. ბაყარ)²⁵. ბაყაყის აღმნიშვნელ სევანურ აფხჭ ფუძეს
უკავშირებენ ამავე მნიშვნელობის მქონე ინგ. ფხიდ, ჩაჩნ. ფჰიიდ-
სა და წოვ. ფჰიიტ ფუძეს. -ფხ-/-ფჰ- საერთო ძირად გამოიყოფა²⁶.

ხუნძურსა და ქართულს შორის შეინიშნება რიგი ხმაბაძვითი
სიტყვების ერთგვარობა. ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია
ხუნძ. ყუერყ, ბოთლ. ყურყუ, ქამ.ლ. ყუნყუ, და ქართ. ბაყაყი. ყაყ-
ძირი ხმაბაძვითია და იგი გვაქვს ძველ მყუარ ფუძეში, — წერს
მკვლევარი. მისივე აზრით მყუარ შეიძლება გავიგოთ მიმღეობად²⁷.

იქნებ შესაძლებელი იყოს მ-ყუ-არ-ის -ყუ- ძირი დაუკავშირ-
დეს ყოვ-ზმნურ ფუძეს ყოვილ-ში რომ გვაქვს. „ქმიანთა სიტყვთა
ღალადისსა ყოვილი ეწოდება. ქათმისა და მისთანათა ზახილსაც

²³ არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 118.

²⁴ Н. Я. Марр, Чанско-русский словарь.

²⁵ Н. Я. Марр, Извлечение..., გვ. 33.

²⁶ თ. გო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკური შეხვედრები..., ენიმის მოამბე, V—VI,
1941 გვ. 619.

²⁷ ტ. გ უ ღ ა ვ ა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრები..., სმამ, XV,
№ 10, 1954 გვ. 702.

ყვილად იტყვან“ (საბა). ყივ საერთო-ქართველური ფუძეა: მეგრ. იონი⁹⁸, კან. ყი (ზოფ.), კი (ათნ.)⁹⁹. მყუარაი ამოსაეალში უნდა წარმოვიდგინოთ მ-ყივ-არ ფორმით:

***მყივარ>მყვარ>მყუარ.**

მ-ყივ-არ ყივ- ზმნური ფუძიდან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობაა (შდრ. მყივან-). მაგ.; მადრასთა წილ აღმართანეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძელსა (ქ. ცხ. I, 72, 11).

შემდგომში ეს მიმღეობური ფუძე იქცა იმ ცხოველის სახელად, რომელიც ყივილისმაგვარ ხმას გამოსცემს.

ბაყაყის აღმნიშვნელ მეგრულ გორდ-ს ი. ყიფშიძე უკავშირებს თუშურ ყვარტ-ს, ხოლო ორივეს აკავშირებს ძველი ქართლის მყუარ-თან¹⁰⁰ (შდრ. ფშ. ყოტი, ფერეიდ. ყოტი)¹⁰¹.

გორდ- ფუძე ბაყაყის მნიშვნელობით დასტურდება სომხურშიც — *Գորտ*. ი. ყიფშიძის აზრით ეს ფუძე სომხურში შეთვისებულია მეგრულიდან. ამ აზრს იზიარებს სომხური ენის მკვლევარი გრ. ლაფანციანი¹⁰².

გორდ-თან დაკავშირებით ვრცლად მსჯელობს პროფ. გ. როგავა¹⁰³. მისი აზრით გორდი და ყვარტი შედგენილი ფუძეებია: გორდ- და ყვარტ-ტ. გორ-/ყვარ- ერთი და იმავე ფუძის ვარიანტებია, ხოლო -დ/-ტ- სიტყვა დიდიხ ელემენტებია. თვით დიდი რედუპლიცირებული ფორმაა, რადგან ზედსართავი სახელებისათვის, — აღნიშნავს მკვლევარი, — დამახასიათებელია ასეთი წარმოება (შდრ. დიდ-დიდი, პატარ-პატარა). ფუძისეული გ- და ყ- ბგერები პრერუპტივის რეფლექსებად ივარაუდება. ამათგან ყ- პრერუპტივის უშუალო რეფლექსია, ხოლო გ- პრერუპტივის შემცველი ფ-ს რეფლექსია, ე. ი. ყვარტ/გორდ ფუძეებში ყ- მეორეულია, ხოლო გ- მესამეული¹⁰⁴.

მყუართან დაკავშირებით საინტერესოა უაჰიჰა/ლუაჰიჰა ფუ-

⁹⁸ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

⁹⁹ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь.

¹⁰⁰ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, гл. XX.

¹⁰¹ ფშური ლექსიკონი, ფერეიდული ლექსიკონი; ქართული დიდილექსიკონი, 1961.

¹⁰² Гр. Капанцяи, О взаимноотношении..., гл. 18.

¹⁰³ გ. რ ო გ ა ვ ა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის, იკვ, I, 1945, გვ. 7—8.

¹⁰⁴ გ. რ ო გ ა ვ ა, დასახელებული წერილი, გვ. 8.

ძე. იგი გვხვდება გურულში „ბაყაყის“ მნიშვნელობით. აკად. ნ. მა-
რი მიუთითებდა, რომ ყუაჰიჰა ფუძეში ყუარ-/ლუარ- ნიშნავს „ბა-
ყაყს“¹⁰⁵. ამავე აზრს იზიარებს პროფ. გ. როგავა¹⁰⁶; ე. ი. ყუაჰიჰა/
ლუაჰიჰა უნდა ითარგმნოს როგორც „პატარა ბაყაყი“, მყუარი
(მეგრ. ჰიჰე — „პატარა“).

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილ ბაყაყის რამდენიმე სა-
ხეობათაგან ინტერესს იწვევს ერთ-ერთი მათგანი — ესაა Rana ex-
liathi „лягушка голиаф“ (იგი გავრცელებულია აფრიკაში; მისი
სხეულის სიგრძე 25 სმ-ია, ზოგჯერ 32 სმ-ს აღწევს) და Rana
catesbyana — „лягушка-вол ан бык“ (გავრცელებულია
ჩრდ. ამერიკის აღ. ნაწილში; მისი სხეულის სიგრძე 20 სმ-ია, ხო-
ლო უკანა კიდურებისა — 25 სმ). როგორც მათი სახელწოდები-
დან ჩანს, ისინი დანარჩენი ბაყაყებისაგან იმით განსხვავდებიან,
რომ აქვთ დიდი სხეული და შესაბამისად ძლიერი ხმა¹⁰⁷. იქნებ
ბაყაყის ამგვარი სახეობის აღმნიშვნელია ქართულში გომბეშო?

საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: „გომბეშო — მეტად დიდი
მყუარი“. გომბეშო უნდა იმეორებდეს კამეჩის აღმნიშვნელ ფუ-
ძეს, ე. ი. უნდა გვექნოდა მყუარი — გომბეშო — „ბაყაყი, რომე-
ლიც „შიაგავს“ კამეჩა“ (შლრ. лягушка-вол, бык).

კამეჩ ფუძე ქართულში შეთვისებულია აღმოსავლურ ენობრი-
ვი სამყაროდან: არაბ. *ḡamūṣ*¹⁰⁸ თურქ. *camuṣ*¹⁰⁹ სომხ. *գոմիշ*.

საბასთან კამეჩი გვაქვს კამბეჩი ფორმით; გამეშის შესახებ კი
წერს — „გამეში — კამბეჩია. სომხურად“.

„მეტად დიდი მყუარი“-ის აღმნიშვნელი გომბეშო ფუძე უნდა
იმეორებდეს სომხურ *գոմիշ* ფუძეს; ბ-ანი ქართულშია განვითარ-
ებული, სუფიქსისეული ო-ხმოვანი იქნებ მასუბსტანტივებელი
აფიქსი იყოს.

გომბეშოს პარალელურად საბასთან გომბიო ფუძეც გვხვდება.
ეს უკანასკნელი გომბეშოს გამარტივებულ ვარიანტად შეიძლება
ჩაითვალოს; რაც შეეხება ვასაკა ფუძეს, რომელიც ასევე საბას-

¹⁰⁵ И. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гურიцком,
გვ. 191.

¹⁰⁶ გ. როგავა, დასახ. წერილი, გვ. 8.

¹⁰⁷ Жизнь животных, т. III, 1939, გვ. 544.

¹⁰⁸ Н. Wehr, Arabisches Wörterbuch..., გვ. 98.

¹⁰⁹ Д. Магазанник, Турецко-русский словарь, М., 1945.

თან გვხვდება და ნიშნავს „მწვანე მცირე მყვარს“, იგი შეთვისებულია სპარსულიდან (بام‌بام) იმავე მნიშვნელობით.

ქართულში, როგორც დავინახეთ, ბაყაყის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი გამოვლინდა: მყუარო, ბაყაყი, გომბეშო, გომბიო და ვახაკა. ამათგან ძველს წერილობით ძეგლებში მხოლოდ მყუარო გვხვდება. ეს სახელი ამ ცხოველს შეარქვეს მისთვის დამახასიათებელი ყივილის გამო. აღსანიშნავია ის, რომ ამ გზით ბაყაყისათვის სახელის შერქმევა არც სხვა ენებისთვისაა უცხო. მაგ., ბაყაყის აღმნიშვნელ ლათინურ Rana ფუძეს უკავშირებენ Jaco—ranco ზმნურ ფუძეს, რაც ნიშნავს рычать (о тигре), Natur-laut des Tigers¹¹⁰ თურქულში ამ ცხოველის აღმნიშვნელ ბაღა- ფუძეს უკავშირებენ უიგურულ pak-pak-ს, რაც „ყიყინს“ ნიშნავს. ვარაუდობენ, რომ აქ ხმაბაძვითი წარმოშობის სახელთან გვაქვს საქმე (მდრ. რუს. квакша, квакышка ზმნიდან квакаты)¹¹¹.

საინტერესოა ბაყაყისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ამ ცხოველს შერქმეული აქვს სახელი მთელ რიგ ენებში — ესაა მისთვის დამახასიათებელი ნახტომისებური მოძრაობა. მაგ., გერმანულში ბაყაყის აღმნიშვნელ der Frosch ფუძეს უკავშირებენ საერთო ინდოევროპულ preu ფუძეს, რაც ნიშნავს „ხტომას, ხტუნვას“, ამიტომ, — შენიშნავს მკვლევარი, — Frosch-ის სინონიმად შეიძლება დავასახელოთ Hüpfier (ზმნური ფუძიდან hüpfen¹¹²); რუს. лягушка-ც მომდინარეობს лягать ზმნიდან, რაც ნახტომით გადაადგილებას ნიშნავს¹¹³.

თანამედროვე ზოოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ყველა ტერმინი. ისინი გამოყენებულია ზუნებაში სისტემატიკურად ახლო მყოფ საგანთა კლასიფიკაციისათვის.

ბაყაყ- ფუძე ივარაუდება ე. წ. უკუდო ამფიბიების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად. ამავე სახელითაა ცნობილი ამფიბიების ერთ-ერთი ოჯახი — ნამდვილ ბაყაყისებრთა ოჯახი (ლათ. Rana). ცალკეა გამოყოფილი მყვარისებრთა ოჯახი (ლათ. Pelobatidae). რაც შეეხება გომბეშოებრთა ოჯახს (ლათ. Bufonidae), მისი წარ-

¹¹⁰ A. W a l d e, Latainisches etymologisches Wörterbuch, გვ. 416.

¹¹¹ A. M. Ш е р с а к, Названия домашних и диких животных, გვ. 152.

¹¹² M. V a s m e r, Russisches etymologisches Wörterbuch, Bd. I, გვ. 81.

¹¹³ F. K l u g e, Ftymologisches Wörterbuch..., გვ. 221.

მომადგენლები ხასიათდებიან მოუხეშავი სხეულით, რომელიც ხორკლიანი კანითაა დაფარული. უკულო ამფიბიებს შორის ესენი ყველაზე ნაკლებად არიან დაკავშირებული წყლის გარემოსთან¹¹⁴.

გომბიოს შესახებ ვკითხულობთ: გომბიო რ. ერისთავს უთარგმნია ჯანდ-დ. ასევე თარგმნის მას დ. ჩუბინაშვილი, თუმცა იგი გომბიოს სინონიმად მიიჩნევს ბაყაყს, რაც არაა მართებული. ქართულ ცოცხალ მეტყველებაში გომბიო გომბეშოს სინონიმად მივიწყებულა და აღარ იხმარება. ამის გათვალისწინებით გომბიო გამოყენებულია გომბეშოსთან სინტაქსურად ახლო მდგომი წყალხმელთა ცხოველის Bombinator-ის შესატყვისად¹¹⁵.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახეობები მცირე ზომის ამფიბიებისა გაერთიანებულია ვასაკახებრთა ოჯახში (ლათ. Hyla). ესენი მეხეური ფორმებია. კიდურთა წვერებზე მათ აქვთ ბალიშები მისაკვრელებით, რომელთა გამოყენებით ვასაკები ადვილად დაცოცავენ შეეულსა და გლუვ საგნებზე¹¹⁶.

მწავი/მწავ-ძალღი *lutra lutra*

არს ს^ნხა მკეცი ნილოს მდინარესა მწავის მსგავს არს და მტერ არს კორკოდინოს (სახ. სიტყ. 36,2).

უკუეთუ კეთილად სამშ თქუა სახის მეტყუელმან მწავ-ძალღისა მდინარისაჲ (იქვე, 36,31).

საბას ლექსიკონში გვაქვს მწავი. „მწავი, წავი, წვაი (ოთხტ.), ხьдра“, — განმარტავს ნ. ჩუბინაშვილი.

ეს ფუძე წვინორ ფორმით წარმოდგენილია მეგრულში¹¹⁷. კანურში გვაქვს წვინარი (ხოფ.), წინარი (ათნ.). აღწერითად ეს ცხოველი დახასიათებულია როგორც წყლის ძალღი — ღალიშ-ჯოღორი; წინარ ფუძიდან ნაწარმოებია ადგილის სახელი ათინაში — ნოწინარე¹¹⁸.

სვანურში ეს ფუძე არ ჩანს. მეგრულის წვინორს უკავშირებენ სომხურში ზღვის ნიმფას აღმნიშვნელ წოვინარ ფუძეს¹¹⁹.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ერთ შემთხვევაში გვაქვს მწა-

¹¹⁴ არჩ. ჟ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956, გვ. 250—252.

¹¹⁵ არჩ. ჟ ა ნ ა შ ე ი ლ ი, საბას ლექსიკონის ზოგიერთი ზოოლოგიური ტერმინის განმარტებისათვის; ს.-ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 246—247.

¹¹⁶ არჩ. ჟ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხერხემლიანთა ზოოლოგია, გვ. 252.

¹¹⁷ И. К и п ш и д з е, Мингрельско-русский словарь.

¹¹⁸ Н. Я. М а р р, Чанско-русский словарь.

¹¹⁹ Гр. К а п а н ц я н, О взаимоотношении..., გვ. 41.

ვი, ხოლო მეორეში — მწავ-ძაღლი. ამ უკანასკნელის არსებობის საფუძველზე აკად. ნ. მარი ვარაუდობს, რომ პირველ მაგალითშიც, სადაც იკითხება მწავი, უნდა გვექონოდა ძაღლ ფუძეც. ე. ი. დამახინჩებული ყოფილა ერთ-ერთი ხელნაწერი. აკად. ნ. მარის შესწორებით ტექსტი უნდა იკითხებოდეს ასე:

არს მკეცი ნილოს მდინარესა მწავვი, ძაღლის მსგავს არს. ამავე მკვლევრის აზრით მწავ-ძაღლი სიტყვასიტყვითი თარგმანია სომხური *ღსჯიქ* ფუძისა, რაც ნიშნავს *водная собака*¹²⁰.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით მწავი ბრტყელი სხეულის მქონე ცხოველია, აქვს მრგვალი თავი, წერილი და მოძრავი თვალები; მისი პატარა ყურები დაფარულია ბეწვით, ფეხები აქვს საკმაოდ მოკლე, თითები გადაერთებულა საცურაო აპკით; მთელი სხეული დაფარულია ხშირი. მოკლე და მუქი-მონაცრისფრო ბეწვით; თავის, გვერდებისა და მუცლის არეში ბეწვი მოთეთრო-მონაცრისფროა.

მწავი (ლათ. *Lutra lutra*) მტაცებელი ცხოველია, განეკუთვნება კვერნისებრთა ოჯახს¹²¹.

სალამანდრომ *salamandra*

ს ა ლ ა მ ა ნ დ რ ო მ ცხოველი არს სწორი ისაეროვსაჲ, სიდიდით გინა თუ მცირისა კორკოდილოვსა, რომელ არს ხვთქი კმელი-საჲ, და ზეშთა ბუნებისაჲ სიგრილე აქუს ცხოველსა მას, ვიდრემდის შევიდეს რაჲ ცეცხლად თვთ არა დაიწუვის და ცეცხლსა მას დაშრეტს (ელ. ზღაპრ. 11,10).

სალამანდრომ ანუ სალამანდრა კუდიანი წყალხმელეთა ცხოველია; აქვს საკმაოდ მოქნილი სხეული, კუდი — მრგვალი, კონუსისებური, ბოლოში დაბლაგული¹²².

საბასეული განმარტება ამ ცხოველისა, შეიძლება ითქვას, იმეორებს ზემოთ მოყვანილ ტექსტს: „სალამანდრა — იტყვან ცხოველი არსო, ჰაერით შთამოიგდებისო, სწორი ისაეროვსაჲ, გინა მცირისა ხვთქისა, ცეცხლსა შინა შევალსო, თვით არ დაიწვისო და ცეცხლი დაშრტებისო“ (საბა).

სალამანდრომ/სალამანდრა იმეორებს ბერძნულ ფუძეს — *β σαλαμάνδρος* — „саламандра“.

¹²⁰ Т. Р. кн. VI, Физиолог, გვ. 117.

¹²¹ Жизнь животных, т. III, М.—Л., 1930, გვ. 466.

¹²² Жизнь животных, т. III, М., 1939, გვ. 483.

ცხენი მდინარისამ equus fluvialis.

და უკუე არიან რამე წყლისათაგანნი მრავალნი, უმრავლესნი მათნი არიან ორცხოველებითა, ვითარცა სახელ კუვი და ხუთქი და ცხენი მდინარისაჲ... (ექ. დღ. უძვ. რედ. 96,21).

ვინა თუ ფერკ ასხენ და ვალს წყლისათაგანი რამე (და უფროხსად უმრავლესნი მათგანნი არიან ორცხოველ, ვითარცა სახელ კუნი და ხუთქი და ცხენი მდინარისანი და კირჩხიბნი და მყუარნი), არამედ თავადი საქმე მათი არს მცურვალობაჲ (ექ. დღ. 81,9).

ცხენი მდინარისაჲ გულისხმობს იმ ამფიბიას ანუ ორცხოველს, რომელიც ჩვეულებრივ ცნობილია ჰიპოპოტამის/ბემემოტის სახელით. ამ ცხოველის აღსანიშნავად ბასილი ლიდის „ექუსთა დღეთაჲ“-ს ორსავე რედაქციაში მხოლოდ ქართული დასახელება გვხვდება.

ცხენი მდინარისაჲ წარმოადგენს ბერძნული ἢ Ἰπιδος ποταμιοειδ-ის თარგმანს—კალკს (ბერძ. ἢ Ἰπιδος „ცხენი“, ἢ ποταμιοειδ „მდინარე“).

აღწერითია ამ ცხოველის აღმნიშვნელი სახელი სხვა ენებშიც შდრ. ლათ. equus fluvialis, გერმ. Fluß, Nilpferd „მდინარის, ნილოსის ცხენი“); რაც შეეხება ბემემოტ ფუძეს, ვარაუდობენ, რომ იგი მომდინარეობს ებრაული Behemoth-იდან, რაც მიჩნეულია „დიდი ცხოველის“, ალბათ, „ნილოსის ცხენის“ ბიბლიურ სახელად¹²³.

ხუთი/კოროდილომ crocodilus

და ესეცა თქუენდა არაწმიდა არს ქუეწარმავალთაგანი, რომელნი ძურებიან ქუეყანასა ზედა: ქურცინი და თავკ და ხუთქი, რომელ არს კმელსა ზედა (ლვ. 11,29).

ხუთქითა და გუელთა კუერნათა და თევზთა პატივის-მცემელნი პატივის მიერ პირუტყუთაჲსა უპატიობასა მოუგებდეს თავთა (ხრონღრ. 25,23).

არარაჲ ცხოველთაგანი ღრეკს ზედათა ყბათა, არამედ ხუთქი ზედათა ყბათა ღრეკს, — არა ვინაჲ იყოს ცხოველ კოროდილო-ხუთქიცა (ბუნ. კაც. 29,18—19).

არს სხა მკეცი ნილოს მდინარესა მწავის მსგავს არს და მტერ არს კოროდინოს მძენვარესა, რი იგი ხატად მსუ-

¹²³ M. V a s m e r, Russisches etymologisches Wörterbuch, გვ. 67.

ენის მსგავს არს რლთაჲ თქვან ხვთქი ზღკსაჲ (სახ. სიტყ. 36,6).

ხვთქი ნიანგის მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულში. „ხვითქი კორკოდილო“ — წერს საბა. „ხვითქი — კორკოდილო, ნიანგი, крокодил“ (ნ. ჩუბ.).

ქართულის მონათესავე ენებში ეს ფუძე არ ჩანს. ხვითქი ფუძის წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

ხვთქის პარალელურად ძველ ძეგლებში გვხვდება ბერძნული ფუძე კორკოდილო (χορκοδιλος).

ნათარგმნ ძეგლებში ზოგჯერ უცხო ენიდან შეთვისებულ ფუძეს იქვე ახლავს საკუთრივ ქართული ან ქართულში ადრე დამკვიდრებული ამავე საგნის აღმნიშვნელი სახელი. ამის საილუსტრაციოა სწორედ ნ. ემესელის ნაშრომის „ბუნებისათვის კაცისა“ ერთი ადგილი — „არა ვინაჲ იყოს ცხოელ კორკოდილოჲ-ხვთქიცა“ (29,19) (შლრ. ქელონიკუ, აქვე, გვ. 219).

ხვთქ-თან დაკავშირებით გრიგოლ ნოსელის ნაშრომში „კაცისა აგებულებისათვის“ ვკითხულობთ:

დაკუალად მათთვის ხვთქთაჲსა ეგების, რაჲთა ვიფარვიდეთ ტყავითავე მისითა და უკუეთუ ვერ იპოვის იგი ჟამსა კირისასა და მერმე განეთავისუფლდეთ ტკრთისა მისგან ჟამსა მშვდობისსა (153,31).

როგორც ჩანს, ხვთქის ტყავი იმდენად მაგარია, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას თავდაცვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საბასეული განმარტება ვიგრის ტყავისა: „აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უქმობენ და კმელთა ცხოველიც არს. მისი ტყავი ეგრევე ძვლით მოლურსმულია“¹²⁴. აწ ვიგრის ტყავად წოდებული იგივე ხვთქის ტყავი უნდა იყოს. ამის შესახებ აღნიშნულია საბას ლექსიკონის DE რედაქციაში: „აწ რომე ვიგრის ტყავს უწოდენ, იგი კორკოდილოს ტყავი არს, რომელსა ქართულეხ ხვთქი ეწოდების“¹²⁵.

¹²⁴ ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1965.

¹²⁵ ვიგრის ტყავთან დაკავშირებით ვრცლად მსჯელობს პ.ოფ. ა. შანიძე, იბ. სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959, გვ. 323—325.

დასკვნითი დებულებები

1. ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ცხოველების აღმნიშვნელი სახელები და საერთოდ ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა. მთელი მასალა ორ ნაწილად გავყავით. ნაშრომის I ნაწილის I თავში გაანალიზებულია ოთხთეხა ცხოველების აღმნიშვნელი ქართველური ფუძეები, ხოლო II თავში — ნასესხები ფუძეები. II ნაწილში თავმოყრილია და შესწავლილია წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები (საკუთარიც და ნასესხებიც).

შრომის პირველ ნაწილში გამოიყო შემდეგი ლექსიკური ჯგუფები (დაჯგუფებისას, სადაც ეს საჭიროა, გამოვიყენეთ ზოოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპიც).

თ ა ვ ი I

- I. ცხოველთა ზოგადი ცნების აღმნიშვნელი სახელები.
- II. ცხოველთა სქესის აღმნიშვნელი სახელები.
- III. ზ რ ო ხ ა — მსხვილფეხა საქონელი.
- IV. ც ბ ო ვ ა რ ი — წვრილფეხა საქონელი.
- V. ს ა ქ ე დ ა რ ი — საჯდომი და საბარგე პირუტყვი.
- VI. გარეული და შინაური ცხოველები.
- VII. ქვეწარმავლები.
- VIII. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა.
- IX. ცხოველებთან დაკავშირებული მოქმედების აღმნიშვნელი სახელები.

თ ა ვ ი II

- I. ცხოველთა კრებითი სახელები.
- II. საკუთრივ ცხოველების აღმნიშვნელი სახელები.
- III. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები. გამოიყო შემდეგი ჯგუფები:

- I. წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელები.
- II. ცხოველთ-მშობელნი (ცოცხალთ-მშობელი).
- III. კეც-ლბილნი (მედუზა, ღრუბელი, უნიფარო მოლუსკები).
- IV. კეც-ტყავიანები (ნიჟარიანი მოლუსკები).
- V. კუერცხის-დამსხმელნი/მეკუერცხენი (თევზები).
- VI. ორცხოველები (ამფიბიები).

2. გაანალიზებულია 211-მდე ლექსიკური ერთეული. უმეტესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველურია (145-მდე ფუძე); გარკვეული ნაწილი ნასესხებია: 1. — აღმოსავლურ ენობრივ სამყაროდან (45-მდე ფუძე), 2. — ბერძნულიდან — (20-მდე ფუძე).

3. სამსავე ქართველურ ენაში გვხვდება 35-მდე სახელი:

ქართ. დედალი მეგრ. დადული	კან. დადული სვან. დადუ
მამალი	მამული
ფური	ფუჭი
ჭარი	ხოჭი
თხა	თხა
ვაცი	ოჩი
ვირი	გირინი
დათვ	თუნთი
ძალლი	ჯოლორი
კუერნა	კვინორი
კუდი	კუდელი
ნიჩური	ნიჩვი
უეფა	—
წამული	წაუპინუა
	კაფუ
	წკეძინ
	მამილტ
	ფირტ
	ჯან
	ლატგლ
	ლვაშ
	ჭტილ
	ღანდტ
	ფელ
	კუენ
	კაკტად
	ნიჩტ
	ლიჭეფ
	ლიწკილი...

განხილულ ფუძეთაგან მხოლოდ ქართულსა და ზანურში (მეგრულ-ქანურში) დასტურდება 25-მდე ფუძე:

ქართ.	წელიწადული ცხოვარი ვერძი	მეგრ.	წანერა შხური ერჭი	კან. მჩხური	
ქართ.	ცხენი	მეგრ.	ცხენი	კან.	ნცხენი
	ეშვ	"	ოსკუ		—
	ლორი	"	ლეჭი		ლეჭი
	რქა	"	ჭა		ჭრა
	ბაგა		ბოგა		ბოგა

ქართ.	მაკე ძოვს წველ	მეგრ.	ზოკა — ქვალ	ქან.	მონკა ჯღფს ნკვეალ...
-------	----------------------	-------	-------------------	------	----------------------------

ქართულისა და სვანურისათვის საერთო ფუძეთა რაოდენობა უმნიშვნელოა:

ქართ.	ოთხფერტი	სვან.	უოშთა-ტულკიშხ
	უსხი	"	უისბუ
	თხველა		ლითხელი
	ცოხნა		ლიჩე! უ

4. ფუძეთა ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ძირითადად ქართულ-ქართველურია ცხოველთა ზოგადი ცნების აღმნიშვნელი სახელები, შინაური მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების აღმნიშვნელი ფუძეები; ქართულ-ქართველურია აგრეთვე საქედა-რის ჭგუფში შემავალი თითქმის ყველა სახელი და მოკმელების აღმნიშვნელი სახელები.

5. ცხოველთა სქესის აღმნიშვნელი სახელები უკლებლივ საერთო ქართველურია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულში ცხოველთა რეალური სქესის გამოხატვა ძირითადად ემყარება ჰეტერონომიის პრინციპს — ცალკეული საგნის აღსანიშნავად გამოყენებულია ცალკე ფუძე.

6. გარეული ცხოველებისა და წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკა ნარევია. უმეტესობა ქართველური ფუძეებია; საკმაო რაოდენობით გვაქვს ასევე სხვები ფუძეებიც. ნარევია აგრეთვე ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკაც.

7. ფუძეთა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულში (და არა მარტო ქართულში) ცხოველთა სახელებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის გარეგნულ ნიშანს; ეს ნიშანი, ჩვეულებრივ, ძალზე არსებითი და დამახასიათებელია ამა თუ იმ ცხოველისათვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი სახელები: კირჩხიბი, კუერნა, კოვზი ზღვხაა, ლბილ-ტუავი, მარტორქა, მრავალ-ფერკი, ხავარცხალი, ციდაშტკაველი, ცხოელ-ნერგი, ხერხი... ზოგი ამ სახელთაგანი, მართალია, ბერძნულის კალკია, მაგრამ იმავე ბერძნულშიც, ჩანს, ასევე მხედველობაშია მიღებული ცხოველის ესა თუ ის გარეგნული ნიშანი.

8. ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგი ქართული ტერმინი შექმნი-

ლია ბერძნულ-ლათინურ ტერმინთა თარგმნის საფუძველზე. ასეთებია: გუელის მბრძოლი, მსუენ-ლოში ჩინჭველ-ლოში, ეკალი ზღვსაჲ, თაგუ-ქურცინი, კოვზი ზღვსაჲ, მრავალ-ფერქი, ცხენი მდინარისაჲ, ცხოელ-ნერგი...

9. ძველ ძეგლებში ზოგჯერ პარალელურად გვხვდება ქართული და უცხო ენობრივ სამყაროდან შეთვისებული ფუძეები: გუელ-თევზი/ზმირინი, ვირი ველური/კანჭარი, ეკალი ზღვსაჲ/ტრილონი, თაქუ/ყუნდღუ/კახპორიოს, კირჩხიბი/კარავედი/ასთაქუ, ხუთქი/კორკოდილოჲ.

10. ნაშრომში არის ცდა ზოგი ქართველური ფუძის ეტიმოლოგიური კვლევისა.

11. ქართულში ნასესხებია ცხოველთა კრებითი სახელები: კოლტი, რემა, ყათარი, ხვასტაგი, ჭოგი...

რაც შეეხება რიგ გარეულ ცხოველთა აღმნიშვნელ ფუძეებს, მათი სესხება შეპირობებულია იმით, რომ ამ სახელთა მატარებელი ცხოველების უმრავლესობა არ არის დამახასიათებელი საქართველოს ფაუნისათვის (მაგ.: აქლემი, ავაზა, ბრანგუ, ვიგრი, იქნამონ, პანფილი, პილო).

12. ბერძნულ ენობრივ სამყაროდან შეთვისებულია ძირითადად წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკა: დელფინი, ფალენე, ლალეოდი, ნარკი, ზმული, აკალიფადი, ტევთიდი, ომიდი, პინა, სკაროხი, ქსიფეა, ხალამანდროჲ...

13. უცხო ენობრივ სამყაროდან შეთვისებული ფუძეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ა) ის ფუძეები, რომელთა ხმარების სიხშირე საკმაოდ დიდი იყო და ამის გამო კიდევაც დამკვიდრებულან ქართული ენის ლექსიკურ ფონდში (ზროხა, ზუარაკი, აქლემი, პილო, ლაგამი...) ბ) ის ფუძეები, რომელთა გამოყენება ძველ ქართულში შეპირობებულია ამა თუ იმ ძეგლის სპეციფიკით; ამიტომ მათი ხმარების არც შეზღუდულია (მაგ.: ფალენე, ლალეოდი, სალაბია, ნარკი, ოსტრეა, პინა...).

14. ნასესხებ ფუძეთა ხმარების არე ქართულის მონათესავე ზანურსა და სვანურში ერთობ შეზღუდულია. უმეტესობა არც კი გვხვდება.

ЛЕКСИКА, СВОЗНАЧАЮЩАЯ ЖИВОТНЫХ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЛИТЕРАТУРНОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Изучение словарного состава языка по отраслевому принципу—идея не новая. Метод такого исследования способствует познанию структуры лексики, как системы.

Отделенные лексические группы функционируют как элементы языка в соответствии с языковой мотивацией.

Выделение лексико-семантических групп, выяснение строения и первоначального значения отдельных слов, является весьма ценным не только для лингвистической науки, но и для разъяснения ряда вопросов истории культуры.

В настоящей работе представлен опыт изучения одного из древнейших пластов лексики—имён, обозначающих животных а также слов, связанных с животным миром, засвидетельствованных в литературных памятниках древнегрузинской письменности (V—XII вв).

Добытый нами материал (около 200 лексических единиц) проанализирован в плане сравнения с аналогичными словами других картвельских языков.

Поскольку объектом нашего исследования является зоологическая номенклатура, в работе, по мере надобности, учитываются данные специальной зоологической литературы.

Работа состоит из двух частей. В первой главе I части— „картвельские основы“—рассматриваются:

- I. Слова, обозначающие общие понятия животных.
- II. Слова, обозначающие пол животных.
- III. Названия крупного рогатого скота.
- IV. Названия мелкого рогатого скота.

- V. Названия вьючных животных.
- VI. Названия диких и домашних животных.
- VII. Пресмыкающиеся.
- VIII. Лексика, связанная с животным миром.
- XI. Наименования действия животных.

II глава—заимствованные основы. В проанализированной нами лексике выявлено определённое количество слов иноязычного происхождения, проникших в грузинский язык в результате многовекового культурно-исторического общения Грузии с различными странами.

Весь материал размещён в трёх группах:

- I. Собираательные имена.
- II. Названия домашних и диких животных.
- III. Слова, связанные с животным миром.

Вторая часть посвящается изучению названий обитателей водного мира. Выявлено около 60 лексических единиц. Исходя из анализа этих основ, выделяем следующие подгруппы:

- I. Общие термины, обозначающие обитателей водного мира.
- II. „Живородящие“.
- III. „Мягкотелые животные“.
- IV. „Скорлупные животные“ (моллюски, покрытые раковиной).
- V. Рыбы („Икрометающие“).
- VI. Амфибии.

Из проанализированных основ большая часть общекартвельского происхождения.

общекартвельскими являются: слова, обозначающие общие понятия животных (напр. ოთხფეტი ოქრეგი „четвероногий“. პირ-უბუჟ რიგუჟი „скот“ pecus, ცხოველი სხოველი „живой“ animal...); имена крупного и мелкого рогатого скота (напр. ფური რიგი „корова“ vacca, ჯარი qari „бык“ bos, სწიერი სწიერი „трёхлетний“ vitula triennis,... ცხვარი სხოვარი 1. „овца“ ovis 2. „стадо“ grex, თხა txa „коза“ capra, ვაცი vaci „козёл“ caper, თიკანი თიკანი „козлёнок“ hircus); названия вьючных животных (напр. საჭედარი საჭედარი 1. „верховая лошадь“, 2. „осёл“, ცხენი სხენი „лошадь“ equus, ჯიკუ ჯიკუ „жеребёнок“ eculeus); названия диких животных (напр. მვეტი მვეტი „зверь“ bestia, დათუ დათუ

„медведь“ *ursus*, ვეფხი *verxi* „леопард“ *pardus*, მარტორქა *martortka* „носорог“ *rhinoceros*, მახვ მაძუ „барсук *meles meles*)...; названия домашних животных (напр. ძაღლი *ჯაღლი* „собака“ *canis*, ღორი *გორი* „свинья“ *sus*...); названия пресмыкающихся: (напр. ქუეყარმავალი *კუეყარმავალი* „ходящее внизу, ползущее внизу“, გუელი *გუელი* „змея“ *anguis*, მსუენი *მსუენი* „ящерица“ *fremias velox*,...); названия частей тела животных (напр. მატყლი *მატყლი* „шерсть“, ნიჭური *ნიჭური* „хобот“, „морда животного“, რქა *რქა* „рог“), наименования действия животных (напр. ყეფა *ყეფა* „лай“, ცობნა *ცობნა* „жевать жвачку“, ცურვა *ცურვა* „плавать“, ძოვა *ძოვა* „пасти, -сь“...).

Слова, обозначающие пол животных — общекартвельские (напр. დედალი *დედალი* 1. „самка“, 2. „курица“, მამალი *მამალი* „петух“, ნეზუ *ნეზუ* „самка мелкого рогатого скота“, ძუ *ძუ* „самка зсрей“, ჭუადი *ჭუადი* „самец зверей“...). В указанных языках пол животных выражается по гетеронимическому принципу, т. е. различие полов обозначается при помощи названий, образованных от разных основ. По этому же принципу в основном образуются слова, обозначающие детёнышей животных.

В картвельских языках в большинстве случаев наименования животных определяется внешним их видом.

Из этимологизированных впервые в этой работе слов можно отметить следующие: კირჩხიბი *კირჩხიბი* „рак“ *сапсег*—составное слово; выделяется კირ *კირ* „нога“ и ჩიბვა *ჩიბვა* „путать“. По этим данным კირჩხიბი *კირჩხიბი* можно объяснить — „животное с запутанными ногами“ (ср. კირ-ღრეკილ *კირ-ღრეკილ* „кривоногий“).

ქუერნა *ქუერნა* „куница“ *martes*, მეგრ. კვინორი *კვინორი*, კვენორი *კვენორი*, чан. კვენუი *კვენუი*, сван. კვენ *კვენ* увязывается с основой ქუერ *ქუერ* „знак, пятно“ (ср. груз. ნიკორა *ნიკორა* „животное с белым пятном на лбу“), следовательно ქუერნა *ქუერნა*— „животное со знаком“ (мех на горле куницы окрашен в белый цвет, ср. русск. „белодушка“, „желтодушка“).

მუტარი *მუტარი* „лягушка“ *gana*. ჩე იშკლია возможность увязать მუტარი *მუტარი* с глагольной основой უძვ *უძვ*—უძვილი *უძვილი* „крик, пение петуха“; მუტარი *მუტარი* причастная форма.

ნებრი *ნებრი* „овца“ *ovis* позднее заимствование из греческого *ὄς*, ἢ *ὄστρος* „молодой олень, оленёнок“. В грузинском языке имеет место семасиологический сдвиг.

შუანი ზუანი || შუვანი ზუვანი „клык“. В других картвельских языках эта основа не прослеживается. Полагаем, что შუანი ზუანი мн. число от შუა ზუა „середина“. У животных, обычно, бывает два клыка. Именно этот факт, должно быть, определил употребление этого слова во множественном числе. შუანი ზუანი случай pluralia tantum в грузинском языке...

В иноязычной лексике доминируют слова усвоенные грузинским из восточных языков (арабский, персидский, турецкий) (около 45 лексических единиц).

Все слова собирательного значения заимствованы из восточных языков (напр. არვე arve „стадо коз и овец“, კოლტი, კოლტი „стадо свиней“, ყათარი qalari „длинный ряд животных, вереница, караван“...).

Заимствование некоторых слов, обозначающих диких животных, обуславливается тем, что эти животные не характерны для фауны Грузии, (напр. ავაზი avaza „леopard“, აქლემი aklepi „верблюд“, პილო pilo „слон“...).

Грецизмами являются главным образом слова, обозначающие обитателей водного мира (20 с лишним лексических единиц), (напр. დელფინი delpini „дельфин“, ნარკი narqi „электрический скат“, აკალიფადი akalipadi медуза „акалефа“, კსიფია ksipia „меч-рыба“,...).

Определённое количество грузинских названий создано путем калькирования греко-латинских терминов, (напр. მრავალფეხი mraval-pexi „многоногий, полип“, სავარცხალი savarcxali „гребёнка“ — вид моллюска, რექენ, ყურდგელი ზღვსაა qurdgeli ზღვსაა „морской заяц“ aplisia depilans, ხერხი ხერხი „пила-рыба“ serga...)

В памятниках древнегрузинской письменности для обозначения одного и того же животного иногда встречается как исконное, так и заимствованное название. (напр. ძალლი ზღვსაა ჯაღი ჯაღი/ფუკინი რუკინი „морская собака, тислень“ phoca. გუელ-თევზი guel-tevzi/ვრჯელ-თევზი vrcjel-tevzi/ზმირინი zmirini „мурена“, smorena. თაჯი taqi/турецкое ყუნდუზი qunduzi/грек. კასპორიოს kasporios „бобёр“ talpa. კირჩხიბი kircxibi/ასთაქ ასთაქ/კარაბიდაჲ karabidaj „рак“ cancer...).

Абсолютное большинство слов, обозначающих животных,

и слова, связанные с животным миром, сохраняют свое лексическое значение и в современном грузинском языке и в его говорах. Небольшая часть вышла из употребления.

Некоторые древние наименования заменены новыми — зоологическими терминами на латинской основе.

ბერძინთა სამიეზელი

- აოტებს 154
აუზა 150, 230
აფთოლოფოს 150, 151
ათეზიანი შოლესკები 185, 186
აკილიფადი 182, 184, 230
ამოიძუებს 134
ამფიბიები 172, 207, 208
ანგალი 200
ანილინი 197
ანტილოპა 151
ანტილოპების ოჯახი 163
აის 150
ბრაგვი 205
არაწყვილილიქოსანი 77
არეე 144
არნი 150, 151
ასთაკ 215, 216, 230
ასპარეზი 60
ასპიტი 112, 150, 164, 165
აფთარი 75, 91, 150, 151
აქლემი 150, 152, 230
აქლემ-ვეფზი 74
აქლიში 152
აღვირი 135
აღვრი 166, 167
აღვრის-განშორება 167
აღვრთ-შართებელი 167
აღვრ-სხმა 167
ახორი 114

ბაბრაბი 210
ბაბრი 210
ბაგა 112, 113, 228
ბაგე 113
ბაღე 135
ბაღეფრთიანები 111

ბაკი 112, 113
ბარაკეული 34
ბასილიკონი 150, 165
ბატკი 55
ბატკანი 55
ბატრუქაი 150, 158, 154
ბაყაყი 219
ბაშტე 116
ბელწი 115
ბერძელი 99
ბერწი 112, 115
ბერწობა 115
ბეშემოტი 225
ბიონი 196
ბოკალი 183
ბოკერი 25
ბოლო 112, 116
ბოლობეშედა 116
ბოლოქანქარა 116
ბოლოშა 116
ბორჩი 214
ბორჩლი 214
ბორჩლიანი 214
ბოსგლი 112, 116, 117
ბოტი 150, 154
ბოჩი 54
ბოჩიკი 54
ბრანგე 150, 154, 230
ბრთე 130
ბროწეული 13
ბუღე 112, 117, 189, 194, 195
ბუტყელი 124
ბულა 158
ბუშვი 93
ბუშვი 93

ბუნინა 31
ბლავის 12

ბუღალტრული 112
ბიბლიოგრაფია 93

ბაბუხიანი 91
ბაბუხიანი 115
ბაბუხიანი 154
ბაბუხიანი 87
ბაბუხიანი 87
ბაბუხიანი 91
ბაბუხიანი 91
ბაბუხიანი 76
ბაბუხიანი 80
ბაბუხიანი 27
ბაბუხიანი 67
ბაბუხიანი 68
ბაბუხიანი 66, 88
ბაბუხიანი 109
ბაბუხიანი 214
ბაბუხიანი 78
ბაბუხიანი 39
ბაბუხიანი 150
ბაბუხიანი 175
ბაბუხიანი 176
ბაბუხიანი 134
ბაბუხიანი 175
ბაბუხიანი 200, 201
ბაბუხიანი 201
ბაბუხიანი 178
ბაბუხიანი 139
ბაბუხიანი 116
ბაბუხიანი 221, 223
ბაბუხიანი 221, 223
ბაბუხიანი 222
ბაბუხიანი 116
ბაბუხიანი 197, 199, 200, 201
ბაბუხიანი 197, 201, 202
ბაბუხიანი 214
ბაბუხიანი 112, 118
ბაბუხიანი 118
ბაბუხიანი 104
ბაბუხიანი 197, 199, 200, 201, 230
ბაბუხიანი 197, 200, 201
ბაბუხიანი 104, 107, 230
ბაბუხიანი 104, 108
238

ბაბუხიანი 112, 117
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 83
ბაბუხიანი 66, 71, 228
ბაბუხიანი 117
ბაბუხიანი 85
ბაბუხიანი 123
ბაბუხიანი 34
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 17, 19
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 81
ბაბუხიანი 81
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 81
ბაბუხიანი 17
ბაბუხიანი 34
ბაბუხიანი 34
ბაბუხიანი 13, 34, 35
ბაბუხიანი 25
ბაბუხიანი 173, 174, 230
ბაბუხიანი 13, 28, 35
ბაბუხიანი 34
ბაბუხიანი 34
ბაბუხიანი 181, 202, 203
ბაბუხიანი 114
ბაბუხიანი 93
ბაბუხიანი 197, 203, 230
ბაბუხიანი 147
ბაბუხიანი 92
ბაბუხიანი 75
ბაბუხიანი 202, 203
ბაბუხიანი 133, 162
ბაბუხიანი 91
ბაბუხიანი 66, 90, 228
ბაბუხიანი 202
ბაბუხიანი 202, 203

ვასაკა 221
ვასაკასებრთა ოჯახი 223
ვაილისკო 150, 165
ვაიი 53
ვაია 53, 54
ვაჩაურა 53
ვაჩაძე 54
ვაჩინა 54
ვაჩინაძე 54
ვანაძე 54
ვაცი 52, 53, 54, 228
ვაციკი 54
ვაკუნა 54
ვაწაძე 54
ვანანაკრაძე კუვი 217
ვერძი 39, 47, 48, 228
ვეფხე- 75
ვეფხი 66, 73, 174
ვეფხისნაირი ფოცხვერი 75
ვეშაბი 173, 174, 175, 176
ვეშაბ-თევზი 199
ვეშაპჭიტი 176, 177
ვიგრი 150, 155, 230
ვიჯრის ტყავი 227
ვიკროლ 157
ვირი 56, 57, 61, 62, 63, 228
ვირღვევი 62
ვირი ველური 66, 88, 230
ვიშაიშაბა 176
ვიშაბა 176
ვირცინი 66, 80, 81

ვაკი 35
ვაგრა 156
ვაგრაიკი 156
ვაიგენე 177
ვაიგენი 178
ვაიგენისებრთა ოჯახი 178
ვაირინი 197, 200, 201, 230
ვაირნი 201
ვაგული 182, 184, 186, 230
ვაობა 22
ვაოფიტი 187
ვარობა 28, 29, 30, 230

ვაკელტყავიანები 189
ვაგენი/ე 173, 177, 182
ვაგრაიკი 150, 156, 230
ვაგვი 24
ვაგება 22
ვაგთხი 197, 203, 204
ვაგმილი 184
ვაგარბი 93
ვაგერნი 174
ვაგვის ვაგარბი 181
ვაგვის კატა 203
ვაგვის პოლიბა 184
ვაგვის საწერტელი 197, 203
ვაგვის ფური 197
ვაგვის-ვაგისნი 170, 172, 173
ვაგვის ცხოველი 170, 172, 173

ვაგვი-ვაგუნველი 95
ვაგვი 96
ვაგვი 96, 97
ვაგვი-ვაგრცინი 66, 94, 230
ვაგვი-ვაგუჩა 178
ვაგვი 116
ვაგვი-ვაგოგე 144
ვაგვი-ვაგოგე 144
ვაგვი 209
ვაგვის ვაგირი 211
ვაგვი 207, 208, 230
ვაგვი 130
ვაგვი 173, 197, 198, 199, 200
ვაგვისფერი 199
ვაგვი-ვაგვილა 206
ვაგვიობა 135, 198
ვაგვი-ვაგვი კვერნა 85
ვაგვი 16
ვაგვი 119
ვაგვიანი 39, 54, 55
ვაგვიანი 128
ვაგვიანი 51, 52
ვაგვიანი 81
ვაგვიანი 197, 204
ვაგვიანი-ვაგვიანი 204
ვაგვიანი 177
ვაგვიანი 179

თბა 39, 50, 228
თსება 51
თსეულა 135, 136, 229
თსიერი 112, 119
თსიერაკი 112, 119
თსისური 119
თბრა 95
თბუნელა 95
თბუნვა 95

თბრი 155
თბეება 22
თბუნეს 22
თბმოს 188
თბმოს-გულარი 188
თბართევეებს 16
თბწაკე 119
თბპოდრომი 60
თბრეში 66
თბაერაბ/თბაეროა 109
თბედნე 150, 166
თბედნე ყრუა 166
თბქამონ 150, 157, 230
თბქნამონთა კლასი 157
თბდალებს 27
თბბორია 38
თბბუნანი 112, 119

თბლმბხი 200
თბმბეჩი 150, 221
თბმეჩი 57, 221
თბნჭარი 88, 89, 230
თბარაბიდაა 207, 215
თბარავედი/თბარავიდი 207, 215, 230
თბარაკინი 207, 215, 216
თბარაბი 215
თბარაული 56, 57, 62, 63
თბარიდი 197, 206
თბარიდასი 207, 206
თბარკინო 216
თბასპორიოს 207, 208, 211, 230
თბატისებრთა თბახი 73
თბაპარაული 56, 57, 62, 63
თბბილუბიანი ვეშაპები 174

თბენა 187, 138
თბერდო 150, 158
თბერძო-ვირი 56, 57, 64
თბერძო კარაული 56, 57, 64
თბეცი 189, 190
თბეც-ლბილი 182
თბესოენი 190
თბეს-ტუაუი 189, 190
თბე(-)ტუაუიანი 184, 189, 190, 195
თბე(-)ტუაუიანი 186, 189
თბეერ-თეეზა 178
თბეერნა 83, 84, 86
თბეერნისებრთა თბახი 224
თბეირისთაუი 214
თბეიცი 56
თბეწეშაბთეეზი 177
თბეობო 213, 214
თბეობარჩხალა 214
თბეე- 136
თბეიილი 96
თბეინანება 135, 136
თბეირ- 213
თბეირი 112, 120, 213
თბეირ-ბორჯღალი 215
თბეირ-ღრეკილ 213
თბეირჩხიბი 207, 211, 230
თბესტოს 177
თბეცა 56, 57
თბეუზი ზღესაა 189, 190, 230
თბელტი 144, 230
თბელტოვანი 145
თბენჭილიო 191
თბენჭლიო 191
თბენჭელი 189, 191, 192
თბენჭუთი 192
თბენხლიო 180, 191, 192
თბერკოდილოა 207, 225, 230
თბერკოლინოს 225
თბესტოტიროს 208, 211
თბეხლიო 189, 190, 192
თბეავი 39, 48, 49, 50
თბეაველი 50
თბეა 207, 216
თბედი 112, 120, 228
თბედხერხიანთა თბახი 203

აუერან 83
 აუერან- 83
 აუერანა 66, 85, 228
 აუერცხის დამსხმელი 173, 197
 აუეი 207, 216
 აურდღელი 96
 აურო 150, 158, 159

 ლავამი 166, 230
 ლაყუჩი 131
 ლბილ 182, 183
 ლბილ-ტყავი 182, 183, 230
 ლზილტყავიანები 185
 ლეკვ 99, 100
 ლეობარდი 73, 74, 75, 155
 ლეჭორია 191
 ლიფოტქინაყი 191
 ლიფოშქინაყი 191
 ლოკვა 101
 ლომი 66, 76
 ლომაძე 76
 ლომიძე 76
 ლომაია 76
 ლომსაძე 76
 ლომ-ჩინკველი/ჩინკველ-ლომი 76, 104, 110
 ლობორთქინი 191
 ლოფოტქინი 180, 191, 192
 ლოფოტქინი ზღვსაჲ 189, 190, 191, 192
 ლოფოტქინე 191
 ლოფოჩქინაჲ 191
 ლოფოჩქინა 191
 ლოქორა 191
 ლოქორია/ე 191
 ლოხმარება 137

 მახვერი 23
 მათრახი 168
 მათრაქი 166, 168
 მაყე 35, 112, 122, 229
 მაკნდის 122
 მალაკი 182, 184
 მამაკატი 20
 მამალი 19, 21, 228
 16. ირინე ქერკეძე

მამამთილ- 20
 მამასახლის- 20
 მამეულ 20
 მამლეა 20
 მამლობა 20
 მამულობა 20
 მამფალი 20
 მანკუსტა კლასი 157
 მანჩვი 87
 მარგალიტის ლოქორია 194
 მარდი ფსევნი 109
 მართე 16, 17
 მართე 15, 16
 მართვ 15
 მარტორქა 66, 77, 229
 მარტო 9
 მარტული 112, 123
 მარტყიერი 123, 124
 მარტყლის-მოქმედი 123
 მარჩვი 87
 მარჩე 66, 86, 87
 მარჩი 87
 მარტოგარი 10
 მარტყანი 6, 12
 მარტე 66, 77
 მარტე 17
 მარტული 135
 მარტე 62
 მარტოხე 29
 მარტეხე 22
 მარტეხე 198
 მარტეხე 198
 მარტეხე 157
 მარტყარაულე 63
 მარტყერცხე 173, 197
 მარტი 66, 79, 80
 მარტი 80
 მარტი 80
 მარტი 80
 მარტი-თეხი 185
 მარტი 134
 მარტის თეხი 185
 მარტის ჩირკვლები 185
 მარტომე 76

მელური 80
მემაჟღე 20
მემატალიტე 194, 195
მეშროლე 13
მენახირე 13
მენილოა/მენილოსი 197, 204, 205, 206
მერემაკე 146
მერემეთუხუცესი 146
მესათხველე 135;
მელორე 101
მეშაპი 175
მეკარაენე 33
მეჯინიბე 163
მეჯორე 64
მთახვი/მთაკე 208, 209
მთის-რკვენი 85
მთხვეარ- 135
მთხუნველ 66, 94
მიჯრი 155, 156
მიჯრიაული 156
მიტილესი 193
მიწის-ლომი 76, 109
მოხუერი 22, 23
მოზარ 23
მოლუსკები 184
მომწობებლობითი 135, 140
მონადირე 68
მონადირება 68
მოჩიელ 111
მრავალ-ურჩხი 112, 124
მრავალ-ფერქი 182, 184, 185, 230
მრავლის-შობებლ 174
მროწყელი 6, 12, 13
მროწყლე 13
მრქენელი 112, 126
მსუენი 104, 108, 109
მსუენი 109
მსუენ-ლომი 76, 94, 104, 109, 230
მურტრუკი 150, 159
მუტელფეხიანი მოლუსკები 191
მუტლით მავალი 105
მუტლით მქანავი 107
მფრინვალე 108
მღრღნელების ოჯახი 298

მკეფავი 137
მკეფარი 135, 136, 137
მკეპრისებრთა ოჯახი 222
მკიოან 220
მკიოარ 220
მკუარი 207, 218, 219, 220
მკობელი ცხოველთა: 173
მკუნეიერი 6, 11
მკუმინეიერი 6, 11
მკირედ მკობელ 174
მკურავი 107
მკურვალე 135, 138, 170, 171, 174
მკურვალობა 135
მპოვარ 135, 139, 140
მპოვენელები 70
მკუნეობა 25
მწავი 207, 209, 224
მწავ-ძალე 207, 223, 224
მწეკარი 98
მწერიკამია 94
მწეუქსი 14
მხეძე 66
მხოლოტერფი 56, 57, 58
მხულივი/მხულიკი 104, 110
მჭლალე 28
მჭედარი 57
მჭედრობა 57
მჭეტი 66, 146
მჭეცისქე 66
მჭეცისქე 66
მჭეცობა 67
მკნეელი 33
მკვეანობა 135, 142
ნაბოტარი 154
ნადირ 67, 68, 69, 144, 146
ნადირა 68
ნადირაშვილი 68
ნადირაქე 68
ნადირობა 68
ნათელ-თეგუზა 178
ნალი 166
ნამდვილე ვეშაპები 177
ნამხველე 22
ნამოთეკარა 16
ნამქეცავი 67

ნაკი 173, 174, 177, 179, 230
ნახირი 144, 146
ნეზეი 21, 22, 23
ნეზე 17, 21
ნეზეუ 21
ნერბი 45, 46
ნერბობაჲ 45
ნერგობაჲ 46
ნიკელი 112, 124
ნიკელი 125
ნიკორა 83
ნიკარის ქილები 194
ნიჩური 112, 125, 228
ნუკრი 66

ოზობასებრთა კლასნი 111
ოზშული 184
ოახუეხი 6
ოთხუერკი 6, 229
ოკრიბა 50
ოშილი 189, 190, 193, 230
ორაგული 197, 205
ორ-ბუდე 189, 190, 193, 194, 195
ორ-ცხოველი 172, 207, 208
ორ-ცხოველება 207
ორსაგდულიანი მოლესკები 193, 195, 196
ოსტრა-კუ 218
ოსტრეა 189, 190, 194, 195, 230
ოქსარი 46
ოქხი 46
ოცელოტი 75

პანფილი 150, 159, 230
პატრუქაი 150, 153, 154
პითიკი 92
პილო 150, 159, 230
პინა 189, 190, 195, 230
პირის ბაგა 113
პირ-მეტყუელი 8
პირუტყვ 6, 8
პოლობები 185
პორფირი 192

ვირაფი 74

რახსი 60
რბილსხულიანი 184
რემა 144, 146, 230
რემაკი 144, 146
რეუ 217
რეენა 86
როსტრუმი 207
რეა 112, 126, 228
რეენა 112, 126, 135, 136
რეენია 127
რეოსანი 112; 126
რროლა 127
რროლა 127

საგდული 118
სეშეე 90
საეარცხალი 189, 190, 196
საზეები 22
სათხველი 135
სათხველობა 135
სალაბია 173, 180, 181, 230
სალამანდრა 224
სალამანდროჲ 207, 224, 230
სამ წლისაჲ 36, 37
სამაქინელი 123
სამაქინო 123
საქუნე კლდე 80
სამზეელი 22
სამშენელი 11
სამწყსო 6, 13, 14
სანაყრე 113
სანადირო 68
საორზიას კლდე 80
საოსხეა 36
საპირე 113
საბიელი ცხენთაჲ 59
სასოვე კლდე 80
საურეელი 112, 127, 128
საფურე 31, 112
საენოსელი 132
საყოლი 7
საშუშინელი 11
საცხოვარი 7, 10, 39, 40, 41, 42

საცხოვრისი 40
საძოვარ 135, 139, 140
საძუე 112, 134, 148
სახოზდავე 148
საქარაენო 33
საქედარი 56, 57
საქნელო 33
საქნისი 33
საქორე 64
სელანი 179, 180
სელაპი 173, 179, 180, 181, 182
სელაქი 173, 180, 181
სელახოდეგი 181
სელაპინ 193, 174, 179, 180, 181
სეპია 186
სეია 199
სიდედრი 17
სიმამრი 20
სინიბი 60
სიპეა 182, 185
სიპიანი 184, 185
სირაქლემა 74
სკაროსი 197, 205, 230
სკაროსები 179
სკვალი 178
სკუშბრიები 204, 206
სმა¹ 133
სმა² 36
სმნიერი 28, 36, 119
სმორენა 197, 200, 201
სმორენე 197, 200, 201
სხეტაკი 60
სპილი 160
სტავრიდა 206
სტევი 166
სტრატული 147
სტრომეი 189, 190
სტრომი 189
სულდგმული 9
სურთელი 107
სკიფომედუზები 183
სბამ- 36
სხედ-/სხენ- 59
სხმა 36¹

ტაზი 160
ტაი 160
ტაიკი 150, 160, 161
ტაიქი 161
ტარიგი 150, 161, 162
ტაქეი 160
ტაქგანავი 166, 169
ტაქგანალა 169
ტახი 150, 162
ტეეთიდი 182, 184, 186
ტერფმოსილი 56, 57, 58
ტიგრი 75
ტიკი 112, 128
ტორპილი 178
ტრიგონი 203
ტრილონი 197, 203, 230
ტყავ- 49
ტყავ-ბაქნიანები 189
ტყავ-კეცი 189
ტყის-კვერნა 85
ტყუბთ-შშობელ 173

უჩვი 22
უკილო ვეშაპები 174, 177
უკულო ამფიბიები 222
უნასი 107
ურეა 128
ურჩხი 124
უსახელო 107
უსხი 28, 35, 36, 229
უტუ 8
უპეცონი 189
უხსენებელი 107

ფალენე 173, 177, 230
ფალინიდები 177
ფარფლფეხიანები 179
ფაშვიანი 130
ფაშენიერი/ფაშენიერი 130
ფაშე-ფუში 130
ფესანგი 60
ფთა 129
ფიჩინა 31
ფლოქეი 170

ფრთა 129
ფრთე 112, 129
ფრთენი 207
ფრუიძე—ფურისძე 31
ფსევნა/ფსევნი 109
ფუკინი 173, 174, 179, 182
ფური 28, 30, 31, 228
ფურბერწი 31
ფურზაქი 31
ფურკამეჩი 31
ფურირემი 31
ფუტკართა რემა 147
ფუშენიერი 130
ფუშენიერი 112, 130
ფუჩინა 31
ფუჭი 31

ქაჯოარ 152
ქაუთარაული 152
ქავთარაიე 152
ქალტა 114
ქაშელეონი 110
ქართა 114
ქარაბაკი 114
ქაშაყისნაირები 204
ქაჩი 170
ქელონი-კუ 218, 226
ქერტლი 131
ქერტლი 131
ქეცი 112, 130
ქეცეანი 189
ქვის კვერნა 85
ქვირცინაყი 81
ქვიჭვირი 125
ქია 66, 91
ქიში 112, 131, 132
ქიჩი 170
ქრცივინი 81
ქსიფეა 197, 205, 206, 230
ქსიფენი 206
ქსიფიდები 206
ქუეშქრომელ 104, 172
ქუეწარმევალი 104, 105, 172
ქუეწარმევალი წვლისაჲ 170, 172, 172
ქუეწარმევალი კშელისაჲ 172

ქუეწარმქრომი 104
ქუეწარმქრომელი 104, 172
ქურციკი 150, 162
ქურცინი 66, 80, 81
ქურცინა 81
ქუსეტი 112, 132

ღაღოღი 173, 178, 280
ღაღოსი 178, 182
ღოღი 31, 101, 102, 228
ღოჭი 31, 102
ღრიაკალი/ღრიაჯალი 104, 111
ღრუბელი 182
ღრუბელი ზღვსაჲ 182
ღრუბლის-გუარი 188
ღუაჭიკა 220, 221

ვათარი 144, 147, 148, 230
ვანისა თაგვ 66, 98
ვარყუმი 81
ვეფა 135, 136, 137, 228
ვეფილი 137
ვეგარტი 220
ვევილი 96, 219
ვეტი 220
ვენდიზი 150, 163, 210.
ვეჭიკა 220, 221
ვენდუზ 207, 208, 229
ვერდგელი 66, 95
ვერდგელი ზღვსაჲ 189, 190, 196
ვერდგელი . 95
ვერდგელი ზღვსაჲ 189, 196

შაე 60
შაერეში 107
შეკოლტება 145
შეელი 88
შეა 133
შუანი 112, 132, 133
შუენი 112, 132
შუშინვა 11

ჩეულღებრივი ბიგა 94
ჩეინთარავს 126

ჩეინჩეირანი 125
ჩია 91
ჩინჩახვი/ჩინჩახვი 120
ჩირბე 125
ჩიჩეირი 125, 126
ჩიხი 114
ჩლიქი/ჩლიქო 170
ჩორბე 125
ჩვლ-კეცი 182, 189
ჩვლ-ქეცი 182, 184, 186
ჩხენიში 61
ჩხიბ 214
ჩხიბვა 214
ჩხუში 44

ყებავს 138
ცილაკაცი 92
ცილაშტაკაველი 66, 92, 229
ცილაშტაკაველა 92
ციკან- 54, 55
ციელი 112, 133
ციოხალ 10
ციოხალ-შუბი 173
ციხნა 135, 137, 138, 229
ციურავს 138, 171
ციურვა 135, 138, 139
ციხვის-გუარი 188
ციხვის ძვალი 188
ციენი 56, 57, 58, 61, 228
ციენი შდინარისაა 207, 225, 232
ციენ-ირემი 89
ციენებაა 59
ციენთ-სარბელი 59
ციენოსან 59
ციხვარ 42, 43, 46
ციხვირ 126
ციხვირბერხა 207
ციხვირბერხიანები: 207
ციიმ 199
ციხულ 9
ციხულ-ნერგი 182, 186, 230
ციხველ-ნერგი 187
ციხვ 10
249

ციხვარ 10, 39, 40, 42, 43
ციხვარი 7, 10, 39, 40, 228
ციხველი 6, 7, 9, 10, 11, 43
ციხველები/ციხველობა 10
ციხველი ზღსაა 170, 172, 173
ციხველთ-შუბელი 173
ციხველთ-შობაა 173
ციხველი წყლისა 170, 171
ციხორი 42
ციხორება/ციხორება 43
ციხრაფეხა 214

ძალი 96, 97, 98
ძალი ზღსაა 173, 179, 180
ძალ-თევი 173, 179, 180, 182, 191
ძალისებრი ზეიგენი 178
ძალისნაირი ზეიგენი 178
ძოვა 135, 139
ძოვს 229
ძოწი 192
ძოწულ 13, 192
ძროხა 29, 30
ძუ 17, 23, 24, 25
ძუა 112, 134
ძუალ-ტყავი 189, 190
ძუვა 134
ძუვი 23, 24, 25
ძუენა 24, 25
ძურა 25
ძლარბი 93
ძლარბლი 93

წავი 223
წასმა 133
წხა 135, 140, 141
წხობა 135, 140
წხობლა 141
წებ- 141
წელიწადეული 37
წელიწადეული 28, 37, 228
წეავი 223
წველ- 229
წვერი 127
წითელი 60

წითელ-ქრელი 60
 წიკოა 54, 55
 წინა-მეტრეალი 171
 წკმული 135, 141, 228
 წუელა 135, 147
 წელისათავანი 170, 171, 173
 წელის-კატა 209
 წელის-შორისნი 170, 171
 წულის ძაღლი 210

ჯარმაგი 60
 კიკილ 170
 კიმი 112, 135
 კიშვა 135
 კიხვინი 142
 კლაკი 166, 169, 170
 კლაკვი 170
 კლაკვი 166, 169
 კლოკი 166, 169, 170

ზამანწკა 195
 ხარი 33
 ხარაძე 33
 ხარისთვალა 44
 ხბო 38
 ხერხი 197, 207, 229
 ხერხეულიძე 67
 ხეცია 66
 ხეცურიანი 66
 ხვადი 26, 61
 ხვადაგი 148
 ხვადაგიანი 148
 ხვასტაგი 230
 ხეიხვინი 142
 ხნავს 33
 ხოდი 26
 ხპორი 38
 ხრტილოვანი თევზები 178
 ხსედი 60
 ხუტკი 207, 225, 226, 229
 ხუტკის ტყავი 227
 ხუადი 17
 ხუასდაგი/ ხუასთაგი/ ხუასტაგი 144,
 148

ქარი 28, 32, 228
 ქარაენი 33
 ქაროენი 33
 ქარუანი 33
 ქაო 28, 38
 ქაოვრედი 38
 ქბორი 38
 ქპორები 38
 ქპორები 38
 ქლა 27, 28
 ქღალი 17, 27, 28
 ქღალთ-მღრანჯობელ 27
 ქღური/ქნღური 27, 28
 ქედ- 57
 ქერქეულიძე 67
 ქეს 66
 ქევილი 142
 ქჟოა 38
 ქნავს 33
 ქორცის-მჟამელ 66, 67
 ქორცის-მჟამელობა 69
 ქრდალი 27, 28
 ქვეილი 135, 142
 ჰსქვინი 142

ჩაკელი 35
 ჩაღუში 157
 ჩარბი 104, 112
 ჩინიბი 150, 163
 ჩინჟარ 183
 ჩინჟველ-ლობი 76, 104, 110, 230
 ჩირბი 112
 ჩიჭი 73, 75, 155
 ჩიჭურ 75
 ჩოგი 144, 149, 150, 237
 ჩორი 56, 57, 63, 64
 ჩლაბი 93

მელიქსები 191
 მიპოდრომი 60
 მიპოდრომი 225,
 მიონე/მიუნე 159, 163

მეგრული

არქეში 153

ბატკი 55

ბოგა 113, 228

ბურკი 115

გენი 39

ვერი 78

ვეერი 106

ვეერშაბი 175

გინი 39

გირინი/გვრგნი 61, 228

გორლი 219

გუდა 118

დაღულ 19

ერჯი 47, 48, 228

ზუნთხი 204

ზღაბ-ქურცაში 94

თელი 9

თუღო გილესარგალენი 107

თუნთი 71, 228

თხა 51, 228

თხილუი 51

თხორუა 95

იღიარს 140

ინეერს 138

იონი 220

აოში 76

კაშბეში 157

კატუ-ძღაბი 94

კერ 90

კვენორი/კვინორი 82, 84, 228

კვიცი 65

218

კირიბ-/კვრგბ- 49

კუ 217

კულელი 121, 228

ლაკვი 100

ლაკორტი 101

ლალუნს 136

მარგვი 154

მარენჯი 7

მარათაბ 168

მევერი 106

მელა 80

მთხა 51

მოთა 16

მოკა 122, 129

მონკა 122, 229

მონკათალა 122

მონკობა 122

მონტეორი 124

მუშული 21, 228

მუნტური 9

მუნჩქეი 86

მუხვი 95

ნაბაკევი 114

ნადირ 68

ნიკუ 125

ნიქთი 125

ნიჩვი 126, 228

ნთხა 51

ნევერა 138

ნუკუ 125

ოგინე

ორინჯი 7, 8

ორწყენ 14

ორჯი 7

ოსქუ 90, 228

ოჩი 53, 228

ოქიში მახიშალი 9

ჟვებუ 219

ჩხურ 42, 43, 46

ჩხუ 42

ჩხუჩეში 44

ჩქალ 216

ხიმონკა 122

სლა 130

ცემუ 133

ცხენი 59, 228

ტყებ-49

ძღაბგ-ქვრცამი 94

უჩა-ლართამი 107

წანერა 38, 228

წეარი 98

წეინორი 223

წეუმინუა 141, 228

ფსუა 130

ფურიინ- 129

ფუქი 31, 228

გაბ-141

ქვალ- 142, 229

ქირხინი 143

კუქი 104

ჭა 126, 228

ჭაბარკა 114

ჭერცა/ქვრცა/ჭირცა 121

ჭვირა 65

ხეცია 66

ხველარი/ხვიარი/ხვილარი 110

ხეიხეინ 143

ხოლარი 110

ხოლუა 26

ხოჯი 33, 228

ხოჯალია 33

ღეჯი 102, 228

ღორანს 12

წურღველი 95

ჩაქელი 34

ჩაქონია 34

ცორი 64

ქოლოჩი 97, 228

ქუა 25

შველა 109

შურღვემილი 9

შხური 42, 43, 46, 228

ზიონ- 126

ზეჯეაუვი 120

ჩურუნს 139

ჩქვა 91

ჩხეინდი 126

ჩხომ 199

ჩხონაფა 42

წხოლ 10, 43, 44

წხოლუფი 42

წხუ 10, 30

ბანძარი

ბაკი 114

ბოგა 113, 228

ბოზო 22

ბონი 53, 54, 228

ღენი 39

გვიანი/გვირინი 61

გელა 118

ვეერი 78
ვერღნი 61, 228

დადუი 19, 228
დადული 19

ეხუ 95

ზერა 25

თიანი 55
თილქი/თილი 80
თილი-მიხუში 44, 45
თუთი 71
თხა/ნთხა 51, 228
თხორუა 95

ინეისს 189

კამბერი 157
კალია 217
კენუი 82, 84
კენური 82, 84, 228
კი 220
კაფუ 137, 228
კუდელი 121, 228
კუნდუზ 209

ლაკი 101
ლაკოტი 101
ლალოა/ლალოშს 136
ლაქა 100
ლაპარდე 75

მა<შაი 219
მაშული 21, 228
მანყალე 84
მაყუი 219
შეი 78
შეერი 78
შეერი 106
შელი 80

ნა

მენყელონე 84
მთუვი/მთუი 104
მთუთი 71, 228
მთხა 51
მოზარ/მუზარ 23
მოთა/მოთალ 16
მონკა 123, 229
მონტკოი/მონტკოი 124
მსვა 130
მსკეერი/მსკეერი 89
მუნჩქი/მუნჩხი/მუნწყეი 86
მუქური 42
მჩხური/მჩხუი 45
მჩხუ 45
მქვეალ/მქვეალ 142
მქეაბუ/მქეაბუ 219
მყვერი 78

ნადირ 68
ნოწინარე 223
ნუნქუ 125
ნესხენი/ესხენი 59, 229
ნყენი 39

ოწქეს 14
ობოდუ 26

ოეაბუ 49

სუა 180

ტიკანი 55
ტიმტვიარი 126

უსვა/უსვა 130
ფაქეერი 89
ფურიანი 129
ფუქი 31, 44, 228

ქერცელი 131
ქია 126
ქრა 126, 228

ღალი-კატუ 209
ღალიშ-ჭოლორი 210
ლეჟა 102, 228
ლინიშ გუღა 118
უი 220

ხურდგულო 96

ხურონი 85

ჩაბრი 226

ჩეიხ- 139

ჩინდ- 126

ჩხეინდი/ჩხინდი 126

ჩხოშ 199

ჩხუ 44

ჩხურაი 42

ცელა 131

წეინარი/წინარი 209, 223

წკუშინ 141, 228

წუნა 25

ჭაბ- 141

ხირხინ-/ხიხინ- 143

ხოლურა 110

ხოჟი 33, 228

ჭაჰუშ 157

ჭეინ-140

ჭოლორი/ჭოლო 97, 228

ჭუფს 140, 229

შაივიან 9

სვანური

აქუად 121

ათხუ 219

აქლუშ 153

აშთჟე 123

აჟნი 33

ბაღ/ბაგა 113

ბატკ/ბსტკ 55

ბატკალ 55

ბაყაყ 219

ბოტა 54, 154

ბრუჟე 115

ბულა 158

ბუძგუ 94

გეღაარშაჟ 175

გიტარ 48

გულდრა 118

ღაღალ 19

ღაღღ 19, 228

ღაშღღ/ღაშღღ 71, 228

ღაქღღ 51, 228

ღეჟაბოლ/ღეჟეჟოლ/ღეჟეჟ 34

ღიარ 140

ღოშღღღ 51

ზორაყ 156

ზურა 22

ზურაჟ 22

თებზ 199

თხურე 79

იქიტი 139

იწხვი 138

კალმაბ 139, 200

კალმასშვილი იცხელიელ 139
კენ 82, 85
კენილი 82
კვიციანი 65
კვიციანი 65
კვიციანი 82, 85, 228

ლანჩხი 89
ლავროვი 25
ლიბელი 12
ლიზანი 22, 23
ლიხთელი 130, 229
ლილიანი 139
ლიპარი 129
ლიპარი 142
ლიპარი 95
ლიპარი 214
ლიპარი 138, 140, 229
ლიპარი 139
ლიპარი 141, 228
ლიპარი 138
ლიპარი/ლიპარი 143
ლიპარი 143
ლიპარი/ლიპარი 26
ლიპარი 137, 228
ლიპარი 137
ლიპარი 25
ლიპარი 76

მანი 80
მანი 21
მანი 21, 228
მანი/მანი 8
მანი/მანი 86
მანი 124
მანი 105
მანი 22
მანი 136
მანი 86
მანი 127
მანი 105
მანი 95
მანი 168

ნანი 68
ნანი 159
ნანი 22
ნანი 55
ნანი 125
ნანი 125, 228

ნანი 97, 228
ნანი 98
ნანი 50
ნანი/ნანი 96, 101
ნანი 82, 84
ნანი 86

ნანი 65
ნანი 130
ნანი 53, 54
ნანი 39

ნანი 160
ნანი 90

ნანი/ნანი 7
ნანი 36, 229
ნანი 106
ნანი 7
ნანი 7, 8, 229
ნანი 36

ნანი 101
ნანი 65
ნანი 25
ნანი/ნანი 31, 228
ნანი 16
ნანი 16

ნანი 114
ნანი 131
ნანი/ნანი 131
ნანი/ნანი/ნანი

ჩ ა ჩ ნ უ რ ი

ბგარზა 115
ფხოტ/ფქილ 219
ჩა 71

ა ნ დ ი უ რ ი

ტუქა 56, 128

ა რ ჩ ი ბ უ ლ ი

პოთოლ 16

ბ ო თ ლ ი ხ უ რ ი

ყურყუ 219

დ ა რ გ უ უ ლ ი

სინქა 71

ღ ი დ ო უ რ ი

ტექა 56

თ ა ბ ა ს ა რ ა ნ უ ლ ი

შე 71

ქ ა პ უ ქ უ რ ი

ტეგა 56, 128

ქ ი უ რ უ ლ ი

ააწ 115
სეუ 71

ლ ა კ უ რ ი

ბაარჩ 115
ცუ-შა 71

რ უ თ უ ლ უ რ ი

მგოგლ 16

უ დ უ რ ი

ოულ 16

ქ ა მ ა ლ უ რ ი

ღუნყუ 219

ზ უ ნ ძ უ რ ი

ბენე 115
გამეშ 157
ყურყუ 219
ც'ი 71
ხოანი 163

ჰ ი ნ უ ხ უ რ ი

ტუქა 128

ჭ უ ნ ზ ი ბ უ რ ი

ტეგა 128

агнец 162
акалефа 184
амфибия 203
анчоусы 205

бяр 73
баран 47

254

6

бярс 73,74
бєбр 210
бєлодушка 85
бнєвєнь 133
бєбр 210
бєбровая струя 211
бєрзая собака 98

брюхатя 122
брюхо 132
буйлятник 116
бурдюк 128
бык производитель 159

василиск 165
вепрь 90
верховая лошадь 57
внутренности 132
водолюбное животное 208
водяная собака 221
втягивать 141
выдра 223

гадюка 166
газель 163
гиена 75, 152
гниус 179
голень 213
горностаи 81
грабли 195
гребенка/гребень 196
гребенчатая раковина 196
губка 188
гурт 149

дикий 92
дощатый мостик 113
душевный 11
душатые меха 85

единолетний 37
единорог 77

жаба 219
жевать 137
желтодушка 85
желудок 132
живой, е 43
живое существо 9
животное 43, 108

животнорастение 187
жизнедавец 43
жнам 213

забор деревянный 114
загон для овец и коз 113
задерживающая корабль 202
здоровый 9
землеройка 94
змея 103

изгородь 113
измеряющий спину 9
пихвмон 157

кабан 90, 162
кальмар 186
камбала 186
камельопард 74
каракатца 186
карлик 92
катер 57
квакать 222
квакша/квакушка 222
кисть 82
кит 175
клык 133
коническая раковина 196
конюшня 114
копыто 170
коровий хлев 116
краб 215, 216
крапива 184
крокодил 226
крыло 129
куница 81
курица 19

ласица/ласка 81
ластоногие 179
леопард 73, 74
лось 89
летучий дракон 108

лягать 222
лягушка 222
лягушка-бык 221
лягушка-воля 221
лягушка-голиаф 221

медуза 184
мелкий хищник 81
мерин 160
меч 206
меч-рыба 206
меченосные 206
мех 119
мидия 193
многоногий 185
мокрица 185
моллюски 183
морда 126
морской рак 216
мотыло 130
мраволев 110
муравейный лев 111
мурена 202
мягкотелое 192

негр 92
недоуздок 135
нечистота 130
носорог 77

обезьяна 92
овца 43
овцеводство 43
ограда 114
однокопытные 58
одушевлённый 11
оживитель 43
омар 216
осёл 57,63
осиная 184
ослица 63
осетр 204
256

отыскивающий след 157
офиомах 107
оцелот 75

пантера 159
паршь 131
паства 14
петух 21
пила-рыба 196
пол загона, клева 113
полевая мышь 95
полип 185
пресмыкающийся 108
прилипала 202
притягивать 141
пурпурная улитка 192
пурпурные железы 191

рак 212,215
раковина 192
ремора 202
рог 127
рыба-дракон 176
рыба-прилипала 202
рыба-тунец 204
рыло 126
рысь 73
рысь парделевая 75

саягтка 163
саамирн 92
саламандра 224
самка 19
самец 21
священный бык 150
сепия 186
серна 163
скар 205
скорпион 111
скот 8,148
спаситель 43
стая 149
стадо 149

зука 25
съедобная ракушка 193

табун 149
тигр 72,73
трёхлетний 37
тюлень 179,181,182

угорь 200
удило 167
улитка 192
устрица 195

фараонова мышь 157

хамса 205,206
хамелеон 109

ascinonyx jubatus 150
ascipenser 203,204
agnus 48
amphibia 207
anguilla 200
anguis 105
animal 9
antilopes 150
aplisia depilans 196,197
aries 47
arion 192
armentum 28
asinus 61,62

balaena 177
balenidae 177
basiliscus 165
bestia 66
bivalvia 193
bombinator 223
bos, bovis 117
bos 151

хлев 114
хобот 125
хорёк 81

чешуя 131
чернобурая 80
четвероногий 7
чрево 132

щиточерепаха 217

электрический скат 179

ясли 113
ящер, ящерица 109

bucula 34
buculus 38
bubalus bubalus 157

calamalo 186
camelopardalis 74
camelus 152
cancer 211
canis 25,96
canis grajus 99
caper 62,154
capra 50
capreolus capreolus 88
castor 211
castor fiber 163,208
castro 211
castratio 211
catullus 99
cauda 122
cebus sciurens 91,92
celus 175

cervus 88
chamaeleon vulgaris 109
chelone 216
clupea Pontica 200
coda 122
coluber aspis 164
crocodilus 225

dasyatis pastinaca 203
decapoda 185,186
delphinus delphis 174
draco volans 108

echeneis remora 201
echinus 93
eculeus 64
elaps 112
elapinae 165
elephas 159
engraulidae 204
equus fluviatilis 225
equus 58,163

felis pardalis 75
felis pardus 73,74
felis tigris 72,73,74.
fremias velox 108

galeus 178
galeus canis 178
gastropoda 191
gazella 162,163
gladius 206
grex 39,40,41

hyaena 151
hyla 223
helix 191
hinnuleus 88
hircus 54

labridae 205
lazerta 110

leo 76
leopard 73
lepus 95
lepus marinus 197
linx pardella 75
loligo vulgaris 186
lupus 77,158
lutra lutra 223,224.

maena 204,205
malacus 182
malacostraca 182
malum granatum 13
martes 82
martes foina 85
martes foina nehriagi 85
martes martes 85
meles meles 86
micromys agrarius 95
molluscus 183
mulus 63,64
mungos ichneumon 156,167
muraena 200
muraenidae 201
murex 191
mus 103
mustela erminea 81
mustela nivalis 81
mustela putorius 80,81
murmecoleon/myrmeleon 111
mytilus 193

neuroptera 111

omasum 120
onagris 88
osmila 184
ostrea 195
ostracodermos 189
oves 39,40,153

pardus 72
pardus pardus 159
pelobatidae 222

pecus 8
phinnipedia 179
phoca 179,180,181
pinna 195
piscis 198
polypus 184
pristiophoridae 207
pteria margaritifera 193,194
punica granatum 13

quadrupes 6,7

raco/ranco 222
ρανν 218,222
rana calesbiana 221
rana goliathi 221
rhinoceros indicus 77
remora 202
reticulum 124
reptilium 104

salamandra 224
salmo 205
scarus 205
scarus crelensis 205
scomber 204
scorpionum 111
scyphomedusae 183
selachoidae 178
selachos 180
sepia 182,185
serpent 108
serta 207
sorex araneus 94
spongia 187,188
squilla 205

'ακαλήφη 183
'αμφιβίος 108
'ανθολόφ-οπος 151
δντιλόπη 151
ἀπις, ἰδος 151

strombus 190
struthio camelus 74
sus 101
sus scrofa 90,160

talpa 95
taurus 158
tersi 199,200
testudo 216
testiculum 128
thynnus 204
tigris 75
tigros 72
tirsi 200
torpedo 178
trachurus trachurus 206
trigonidae 203
trigon pastinaca 203

ursus 70

vacca 28,30
verres 48
vipera 150,166
viperidae 166
vitula triennis 36,37
vitulus 156
volpes 79

xiphias gladius 205
xiphidae 206

zoophytes 186,187
zygaena malleus 177,178

δρνας 151
δοπις, ἰδος 165,166
δοπίδος κωφῆς 166
'αστάκος 216

βασιλικός 165
βίληγμα 12
βούς 117
βουκόλιη 13
βού-σιδεις 117

γάλεη 81
γάλεος 178
γάδα 118

δαλίς 174
δίξα 128
δρόμος 60

ενιαύσιον 37
εζένης 181.203
εζίνα 166
εχίνος 120.132

ζαγάρι 98
ζύγαινα 178
ζών 8.187
ζωδφνος 187

ήθμός 188
ήμι-ονος 56.64

θαλάσσιος εχίνος 202
θήρ, θήρος 79.159
θύννος 204
θύννο-σκόπος 204

ίππος 56.60
ίποδρόμος 60
ίππος ποτάμιος 225
ίλνευμων 157

καμηλοπαρδάλις 74
καράβος 216
καρκίνος 212.216
κάρις, ίδος 206
καστορ 211
260

κουτόριον 211
καστόριος 211
κακρύφαλος 124
κερδών 158
κέτος 157,176,17
κοιλία 132
κόπρος 130
κορκοδέλιος 226
κόχλιος 191
κεήνος 8
κετίς, κενός 196
κύων 25

λεγάς θυλακτειος 197

μάινη/μάινη 205
μαλακία 183
μαλακός 183
μάνδρα 117
μάχη 107
μύ-γάλη 97
μύδι 193
μύραινα 201
μύρμηξ 111
μυρμηγκολεών 110.111

νάρκη 179
νάβρος 46

ξίφιας 205

δμόδιον 193
δν-αγρός 88
δνδγρων 88
δνος 164
'οσμύλη 184
δστρεον 195
δστρεσκον 218
δστρεσκοδης 218
δφίς 107
δφιο-μάχης 107

πανθήρ, -ηρος 159
παράλις 73.155
πιθήκος 92
πίνα 196
ποίημη 13
πολύπους 185
ποιέμιος 225
πτέρον 1:9
πρίων 207

ρινοκέρος 77
ροιά 13

σαλαμάνδρα 224
σελάχος 180,181
σπίτα 185
σκάρος 205
σάβλος 213
σάυρος 183

Αβιασունε 9
Αβρηρηφίου 151
αβρενι 81

Βαλί 144

Γορρυ 220
Γοφβη 157.221

Βρωμάκι 147
βριβη 8

φουαρβάκι 156

Δολυφίβωρ 223

ομούρανα 201
οτρόμβος 190
οφόγγος/σπόγγος 188

τευθίς 186
τετραπόους 7
τίγρις 72
τριετιζόντι 37
τριγλα/η 203

φαλάνα 177
φτερόν 129
φυσός 187
φώκη 187

Ζαλαβώτης 110
Ζαμά 109
Ζάμιαιλών 109
Ζηλώνη 218
ζοίρος 103

ΐωριρ 213
ΐωριρ-φβί 213
ΐωσσορηου 211
ΐβουε φήζαυαθουλέ 177
ΐβιέδ, ΐβιέζ 102
ΐουιου 145
ΐνρηակ 170

δάφ 35
δάκλε 175

Ύβηρηβουρ 77
Ύρηβουαουβιδε 111
Ύουρουάκι 159

Θολάφ 150

Τεζρη 224
Τουέ 25

მრბ 48
 იბ 175
 მღუაყ 176
 ვიქვიოთანი 6
 ღანიჩი 159
 ღიკ 149
 შივი 207
 ჟადე 155
 ჟანიანი 217

ჟანიანიოქიხაყ 217
 ჟიქიოთაღ 157
 ჟიქუაყ 175, 176
 ჟიქუაყაბილი 176
 ჟიქუაყაბილინი კიხინი 177
 ჟიქინი, ჟიქინი 82
 ჟიქისარი 46
 შაყი 162
 შარხიანი 162
 შანიქი 160, 161
 შანიკონაქი 169
 შიქი 128

საპა ინდო-ევროპული ენები

ინდო-ევროპული

biber 220
 dik-^{*}digh 129
 ḡhorlo 103
 k'wṛi 25
 preu 222

ინდური ენები

ძვ. ინდური

aži 176
 babhrus 210
 gau-maiš 157
 guda 118
 pilu 160
 ṛdaku 74.154
 viša 176
 vršan 48
 vyaghra 155

ირანული ენები

ძვ. ირანული

arana/aruna 151
 bavri 210

ბმბ

ligri 75
 v:ši 176
 višapa 176
 vrazā 144
 ს ა შ. ს პ ა რ ს უ ლ ი

asp 60
 asprās 60
 ḡrēik 163
 jōk 149
 kōt 145
 patrēak 154
 pil 160
 ram-ak 147
 tšēik 161
 vagr 155
 x^{*}astāk 148
 zšhrak 156
 zšhrih 30

ახ. სპარსული

šahrpa/šarpa 7
 gomeš 157
 gušan 48
 jus 150
 janibat 163

kōd 145
meimun 92
metrāy 168
palang 154
vāzāg 222
vars/vurs 48

სოლდურის

paŕdīnk 154

ბელანურის

prāng 154

პამირული

vorts 48

ოსურის

orwar/ærwær 144
æmæg 151
cæm 133
ჰაგ/ჰოგ 149
faerank 154
kaerc/kaercae 131
k'ambec 157
koyr 159
kur/kwr 159
urs/wyrs 48
zajyn, izaJun 23

სლავური ენები

სლავური

kyna 83
živola 44

ბულგარული

zagarl 98

პოლონური

bobr 210

სერბულ-ორვატული

kr/r 49
zagar 98

უკრაინული

biber 210

ჩეხური

bobr 210

ბალტიური ენები

ლიტვური

kiauna 83
ragas 127
szú, szúns 25
verszis 48

ლატვიური

cāina 83
ragš 127

ქ. პრუსიული

ragš 127

უნგრულ-ფინური ენები

კომი

kör 159

ნენცური

kura 159

ფინური

hirvi 89

ბერმანული ენები

გერმანული

biber 210
ghorē/ghorēu 103

fluß, Nilpferd 225
frosch 222
hundś 25
hüpfen 222
Hüpler 222
perd 74
tfer 211
tiger 72
Vierflübler 7
Walfisch 177
ziege 128

ძვ. ზ/გერმანული

tigertior 211
zickin 128
zige 128

შუაზ/გერმანული

tigertier 211

ძვ. სავსონური

ticcen 128

ინგლისური

four-footed 7

ალბანური

dhl 128

სომხური ძეგლი

ირანული

gammalu 153
gamuś 221
ligam/lugain 167
na'f 168
nadir 68
jauz 149
qārāf 49
qitar 148

ებრაული

Behemoth 225
ris 60
gammalu 153
264

აზერბაიჯანული

აზერბაიჯანული

baxa 158
gundus 210

ალტაური

k'ory, kwry 49

თურქმენული

kundus 210

თურქული

bagā 222
bota 154
buka 158
deva/teva 159
camus 157
haivan 9
katar 148
kundus 162
ođlak 47
taxi 162
loklu 52
zağar 98

მონღოლური

bolgo 154
bux/a 158
taxi 162

უზბეკური

kundus 210

უიგურული

pak-pak 222

ყაზახური

bota 154

ყარგიზული

boto 154
buka 158
kundus 210

ჩინური

dexi 162
texi 162

დრავიდული

k ori 49

დაფუძავებულ წყაროთა სია და შემოკლებანი

- აბ. ტბ. — აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუა-რტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე (1233), გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.
- აგათანგ. — წამებამ აგათანგელსი, დამასკელი კათალიკოზისა, გამოსცა კ. კეკელიძემ. *XB. T. IV, წჷჷჷ. III, სჷ6.*, 1916.
- ამბაკუმ — ოშკის ბიბლია (ფოტოპირი ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში).
- ამოს — დიდი და მცირე წინასწარმეტყველები (The old Georgian Version of the prophets, critical Edition with a Latin translation by B. P. Blake and canon M. Briere, *Patrologia Orientalis*, t. XXIX. fascicule, 4, Paris, 1961.
- ანგეა — იხ. ამოს
- ანტიოქ. — ცხორებამ და მოქალაქობამ ტიმოთე ანტიოქელისამ, ენიმკის მოამბე, VI, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1940.
- არიმთ. — იოსებ არიმათიელი, თხრობამ აღმშნებისათვის ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდისა ქალაქსა წდისა დფლისა ჩრნისა მარიამ დთის მშობელისამ, გამოსცა ნ. მარმა, *T. P. კჷ II, სჷ6.*, 1960.
- ალაპ. — ცხორებამ და მოქალაქობამ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, 1901.
- ბ:ლვრ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1957.
- ბარუბ — იხ. ამბაკუმ
- ბუნ. კაც. — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, გამოსცა ს. გორგაძემ, თბ., 1914.
- გალობ. მინჩხ. — სწნი, გლბნი წისა გრისნი თქუმწლნი ნეტარისა მინჩხისანი..., გამოსცა ივ. ჭავახიშვილმა; სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

- გამოსლ. — გამოსლეთაჲ, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I ნაკვ. I, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947.
- გამოცხ. იოვ. — გამოცხადება იოვანშისი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961.
- განკითხ. — განკითხვისათვის, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, გამოსცა მ. დვალმა, თბ., 1966.
- გარეჯ. — ცხოვრება და ვით გარეჯელისაჲ, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.
- გარიგ. — კელმწიფის კარის გარიგება, ქართული ძეგლები, IV, კანონმდებლობა, გამოსცა ექ. თაყაიშვილმა, ტფ., 1920.
- გობრონ. — მარტკლობაჲ გობრონისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946.
- გოდ. იერ. — იხ. ამოს
- დაბ. — იხ. გამოსლ.
- დან. — იხ. ამოს
- დვინ. — მარტვილობაჲ დავით დვინელისაჲ. იხ. ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, IX — XI სს. თბ., 1944.
- დომენტ. — ქსენებაჲ და ცხოვრებაჲ წმიდისა დომენტისი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963.
- დრასხანკ. — იოანე დრასხანაკერტელი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1937.
- ევს. მცხ. — მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V—X სს.), წიგნი I, რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1964.
- ეზეკ. — იხ. ამოს
- ეზრა, I—II — ოშკის ბიბლია
- ეკლ. — თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ ეპისკოპოსისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1920.
- ელინ. ზღაპ. — ელინთა ზღაპრობანი, გამოსცა ილ. აბულაძემ, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.
- ეპისტ. — კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XVI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთ. ლორთქიფანიძემ, თბ., 1956.

- ეს. — იხ. ამოს
- ეფრ. ასურ. — ეფრემ ასური, სინანულისათვის, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963.
- ექ. დღ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, თბ., 1947.
- ექ. დღ. უძვ. რედ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1964.
- ვარლმ. — ცხოვრება და მოქალაქეობაჲ წესა და ნტრისა მამისა ჩინისა ვარლამ მოლუაწისა, გამოსცა ნ. მარმა ЗВАРО, т. XIII, СПб., 1900.
- ვაჰან. — ვაჰანის ქვაბის განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1935.
- ვ.ტუ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957.
- ვნებ. მაცხოვ. — იხ. ვალობ. შინჩხ.
- ზარზმ. — ცხოვრება და მოქალაქეობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, I, თბ., 1935.
- ზაქ. — იხ. ამოს
- თეკლ. — მარტკლობაჲ თეკლასი, გამოსცა ილ. აბულაძემ, ენიმკის მოამბე, VIII, თბ., 1940.
- თუალთ. — თოვალთაჲ ეპიფანე კვპრიელისა თქმული, გამოსცა მ. ჭანაშვილმა, СМОНПК, т. XXIV, Тф., 1898.
- იამბიკო — იხ. გობრონ
- იგ. სოლ. — ოშკის ბიბლია
- იგნატ. — იხ. ვალობ. შინჩხ.
- იერ. — იხ. ამოს
- ივ. — იოვანე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატ-ბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- ივლით — ოშკის ბიბლია.
- იოან. — იოსებ მონაზონისა ჭურჭელთმცველისაჲ — ცხოვრებისა მიმართ საკვრველებათა ღირსისა მამისა ჩუენისა იოანნი, წმიდისა სერგის მონასტრისა წინამძღუარ-ქმნილისათა, გამოსცა კ. კეკელიძემ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1955.

- იოვ. ურპ. — ცხორება და განგება წმიდისა იოვანე ურპაელისა
კათალიკოზისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, XВ. т. II, вып. III,
СПб., 1913.
- იბ. — იობისი, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. II, გამოს-
ცა ა. შანიძემ, თბ., 1948.
- იოვ. და ეფთ. — გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფ-
თემესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა
ა. შანიძემ, თბ., 1946.
- იოველ. — იხ., ამოს
- იონაჲს. — ეფრემ ასური, იონაჲსთჲს; ქართული ენის ისტორიული
ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ივ. იმნაიშვილმა,
თბ., 1963.
- ისო. ზირქ. — ოშკის ბიბლია
- ისტ. აზმ. — ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გამოსცა კ. კე-
კელიძემ, თბ., 1941.
- კაც. აგებ. — იხ. ექ. დღ. უძვ. რედ.
- კიმ. I — კიმენი, ტ. I, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1918.
- კიმ. II — კიმენი, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1946.
- კონსტ. გარემც. — თბრობაჲ კონსტანტინეპოლის გარემოცკსა
სკუთებისაგან..., გამოსცა მ. ჯანაშვილმა, СМ:СМПК, вып.
27. 1900.
- ლკ. — იხ. ივ.
- ლუ. — იხ. იბ.
- ლიმნ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ.,
1960.
- მალაქია — ოშკის ბიბლია
- მამ. სწ. — შამათა სწავლანი X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მი-
ხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.
- მაქს. აღმსარ. — მოთბრობაჲ ლუაწლისა და ვნებულებათა ღირსისა
და აღმსარებლისა მაქსიმესთაჲ და ანასტასი მოწაფისა მისისა-
თაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, ეტიუდები ძველი ქართული
ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955.
- მაცხოვ. — იხ. ეფრ. ასურ.
- მელასიბ. — ლუაწლი წმიდათა სამთა მარჩბივთა მოწამეთანი სპეკ-
სიპტესი, ელასიპტსი, და მელასიპტსი, გამოსცა ნ. მარმა,
Отдельный оттиск из Записки ВОРАО, т. XVII, СПб, 1906.
- მესუკ. — წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუკავეთაჲ, გამოსცა

ილ. აბულაძემ, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—XI სს. თბ., 1944.

მთ — იხ. ივ.

მიმსლ. — იხ. გობრონ

მიმდს. მოქც. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბ., 1959.

მიქია — იხ. ამოს

მრ. — იხ. ივ.

მსჯ. — იხ. ლე.

მფ. I, II, III, IV — ოშკის ბიბლია.

მოქც. ქართ. — მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, (V—X სს.), რედ. ილ. აბულაძე, თბ., 1964.

ნაუმ — იხ. ამოს

ნეშტ. — ოშკის ბიბლია.

ოსე — იხ. ამოს

პატერიკი — იხ. განკითხ.

პანტ. — წამებაჲ წმიდისა პანტელემონისი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963.

პეტრე ახალ. — წ'ისა და ნეტარისა მ'შისა ჩ'ნისა ი'ნე მონაზონისა ზუცისა დამასკელისა, სიტყუა ც'ხრბისა და ღ'წლთა ყ'დ დ'ბლისა პეტრე ახლისა მ'ღ'ღლ მ'წმისა კაპეტოლელთა ქ'ლქსა შ'ა წამებლისათა, XV, т. IV, вып. I, СПб., 1915.

პეტრიწი II — იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტება პროკლესათვის დიალოზისისა..., გამოსცეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.

რავხ. — Жизнь и мученичество св. Антонина-Раваха, გამოსცა ი. ყიფშიძემ, СПб., 1913.

რიფს. — წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ, გამოსცა ილ. აბულაძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ., 1960.

საბა ასურ. — ც'ხრბჲ წ'დისა მამისა ჩ'ნისა საბა ასოკრისაჲ რ'ლსა ეწოდა ივლიანა, გამოსცა ს. ჭანაშიამ, შრ. ტ. III, თბ. 1959.

საქმ. იოვ. — იხ. ქსენებაჲ

საზ. სიტყ. — მკეცთათჳს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუბული

წლისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ, გამოსცა
ნ. მარმა, Т. Р. кн. VI. СПб., 1904.

სიბრძ. სოლ. — ოშკის ბიბლია

სინან. — იხ. ეფრ. ასურ.

სინ. მრ. — სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შანიძემ,
თბ., 1959.

სოფ. — იხ. ამოს.

ტავრ. — ტავრომენიანი, გამოსცა კ. კეკელიძემ, ლიტერატურული
ძიებანი, I, თბ., 1943.

ტობია — ოშკის ბიბლია

ფსალმ. — ფსალმუნნი, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960.

ფილბ. — იხ. მიმდს. მოკვ.

ქადაგ. — იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, გამოსცა მ. ჯა-
ნაშვილმა, ტფ., 1911.

ქართ. ცხ. — I, II, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყვე-
ლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მი-
ერ, ტ. I, 1955; ტ. II, 1959.

ქბ. ქბ. — აპოლიტეს თარგმანებაჲ ქებაჲჲ, გამოსცა
ნ. მარმა Т. Р. кн. III, СПб., 1901.

ქრისტფ. — მარტყოლა ქრისტეფორე კინოკეფალისა, გამოსცა
კ. კეკელიძემ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, თბ.,
1959.

ქრონიკ. — I, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიი-
სა, ნაწ., I, გამოსცა თ. უორდანიამ, ტფ., 1892.

ქსიფ. — იოანე ქსიფილინოსი, სიმეონ მეტაფრასტის გამგრძელე-
ბელი, გამოსცა კ. კეკელიძემ, XB, т. III. вѣст. III. СПб.,
1912.

ღმრთისმშ. — თქმლი ღმრთისმშობლისა შობისათვის, გამოსცა:
ივ. ჯაუახიშვილმა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწე-
რილობა, თბ., 1947.

შავთ. — ძველი ქართველი მეხოტბენი, იოანე შავთელი, აბდულ-
მესია, გამოსცა ნ. მარმა, Т. Р. кн. IV. СПб., 1902.

შესხ. ფოკ. — ასტქ ამასიელი, შესხმაჲ ფოკასი, გამოსცა მ. კა-
ხაძემ, ენიმკის მოამბე, XIV, თბ., 1944.

შიო — იხ. გარეჯ.

შიშუელმართ. — ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და საქმენი ნეტართა
შიშუელმართალთანი, რომელთა წარვიდა ზოსიმე, გამოსცა

- კ. კეკელიძემ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945.
- შუშან. — წამებაა წმიდისა შუშანიკისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946.
- ცხ. თამარ. — ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხორებაა მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოსცა ივ. ჭავჭავაძის შვილმა, ენიქის მოამბე, XIV, თბ., 1944.
- წარტყუნ. — წარტყუნებაა იერუსალმისა, თქუმული ნეტარისა სტრატეიკი მონაზონისა, გამოსცა ნ. მარმა. Т. Р. КН. IX. СПб., 1909.
- წიგნ. ნემ. — ოშკის ბიბლია
- ჭრონორ. — ხრონორაფი გიორგი მონაზონისა, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ. 1920.
- ჩანძთ. — გიორგი მერჩულე, ცხორებაა გრიგოლ ხანძთელისა, გამოსცა ნ. მარმა, Т. Р. КН. VII, СПб, 1911.
- ქსენება, — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახელ, (IX—XI სს. ხელნაწერთა მოხედვით), გამოსცა ც. ქურციკიძემ, თბ., 1959
- ჰაბო, — იოანე საბანისძე, მარტკლობა, ჰაბო თბილელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946.
- რუსთველოლოგიური ძიებანი, I, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვ. IV, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.
- სვან. ანდ. — სვანური ანდაზები და გამოცანები — თავისუფალი სვანის შეკრებილი, ძველი საქართველო, II, ტფ., 1911—1913.
- სვ. ტექ. I — სვანური პროზაული ტექსტები. I, ბალსზემოური კილო, რედ. ა. შანიძე, თბ., 1939.
- ლუშნ. ამბ. — კონიან არსენა, ლუშნუ ამბკარ ლგლამხუ შუმი ნინშუკ, 1917.
- ი. ყიფ. — ყ ი ფ შ ი ძ ე ი., ჰანური ტექსტები, გამოსცა არნ. ჩიქობავამ. ტფ., 1939.
- Кипшидзе И. А. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914.
- ა. ჩიქ. I — ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ. ჰანური ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბ., 1929.
- ა. ჩიქ. II — ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჰანური ტექსტები, II, ვიწურ-არქაბული კილოკავი, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.

- ცვრ. — Цагарели Ал. Мингрельские тексты..., Мингрельские этюды, вып. I, СПб., 1880.
- მ. ხუბ. — ხუბუამ, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.
- Библия или священные книги ветхого и нового завета, СПб., М., 1876—1878.
- Vetus Testamentum grae :um juxta septuaginta interpretes, Parisiis, 1882.

ლიტერატურა

- აბულაძე ილ., ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში, თბ., 1944.
- აბულაძე ილ., ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1940.
- ალავიძე მ., ოკრიბული ლექსიკონი, ქუთაისის პედ. ინსტ. შრ. X, 1950—1951.
- ალავიძე მ., მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XII, 1954.
- ალავიძე მ., ქვემოთაქული ტომონიმიკური ლექსიკონი. ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XVII, 1957.
- ალავიძე მ., მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის, ქუთ. პედ. ინსტ. შრ. XIX, 1959.
- ანდრონიკაშვილი მზ., ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, II, თბ., 1957.
- ანდრონიკაშვილი მზ., არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის მაგალითები, თსუ შრ., 1957.
- ანდრონიკაშვილი მზ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
- დ. და ე. ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1967.
- ბაგრატიონი თ., განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960.
- გამყრელიძე თ., სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1953.
- გამყრელიძე თ., მაკავეარიანი გ., სონანტა სისტემა და აბლატი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- გიგინეიშვილი ი., თოფურიავ, ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
- გიგინეიშვილი ბ. ქართველური ეტიმოლოგიები, მაცნე, № 3, 1972.
- გონიაშვილი თ., ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
- გუდავატ., ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრები, სმამ, ტ. XV, № 1, თბ., 1954.
- გუდავატ., ოს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (შეგრულ-ქანურ) ენაში, სმამ, ტ. XXV, № 1, თბ., 1960.

- ვანილიში მ., თანდილა ვა ა., ლაზეთი, თბ., 1964.
- ვაქა-ფშაველა, რჩეული. ტ. IV, თბ., 1961.
- ვახუშტი, ილწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
- თოფური ა ვ., -ენჭ სუფიქსი მეგრულში; ენიმკის მოამბე, თბ., 1937.
- თოფური ა ვ., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. I, ნე-, ნი-, ნა- პრე-
ფიქსებისათვის, თსუ შრ., VII, 1938.
- თოფური ა ვ., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, -ენ, მ—არ, სე-
—აქა აფიქსებისათვის, თსუ შრ., XV, 1940.
- თოფური ა ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ბგერიო
მოგენათა თანმიმდევრობა, „მომომხილველო“, I, ტფ., 1926.
- თოფური ა ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V, ვ- სო-
ნანტის გადასვლა ღვ. გვ. ქე-ღ, ენიმკის მოამბე, X, 1941.
- თოფური ა ვ., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკით-
ხი, იკვ, XII, თბ., 1953.
- კაცაძე ა., მასალები საქართველოს მეცხეარეობის ისტორიისათვის (მთიუ-
ლეთში შიელონების ანგარიში); მასალები საქართველოს ეთნოგრაფია-
სათვის, VII, თბ., 1955.
- კობახიძე დ., უხერხემლოთა ზოოლოგია, თბ., 1956.
- კობიძე დ., ეისრაპიანის საკითხები თსუ შრ., აღმოსავლეთმცოდნეობის სე-
რია, № 16, თბ., 1965.
- ლომთათიძე ქ., მართე და მისი ზანური შესატყვისი; საქ. მეცნ. აკად.
საზოგ. მეცნიერებათა განყ. მოამბე, № 1, 1961.
- ლომთათიძე ე., ზოგი საერთო-ძირიანი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკვ,
VII, 1955.
- მამულაშვილი მ., ქუთათელაძე ალ., ტერმინ „ვეფხის“ სწორი გა-
გებისათვის, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1965, 20/VIII, № 34.
- მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლ-
ეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965.
- ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ.,
1954.
- უღენტის, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
- რობაქიძე ალ., რაქაში შიელონების ანგარიში, ენიმკის მოამბე, X, თბ.,
1941.
- როგავა გ., ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ
ენებში. იკვ, I, 1947.
- როგავა გ., ფუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისათვის
ქართველურ ენებში, საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, № 1, თბ.,
1962.
- როგავა გ., დეცესიურ-პარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორი-
ისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, № 2, 1965.
- როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ.,
1962.
- უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960.
- ფოგტი ბ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
- ქავთარაძე ი., რიცხნაკლი ზმნები ქართულში, იკვ, I, 1947.

- ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
- ქავთარაძე ი., ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს. თბ., 1964.
- ქალღანი შ., სვანური ენის ფონეტიკა, თბ., 1969.
- ქობალაძე ი., აფრიკატიზაციისა და ლეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყ. IX—X, 1958.
- ყაუხჩიშვილი თ., კომპოზიციები ძველ ქართულში, თსუ შრ., 47, 1952.
- ყაუხჩიშვილი ს., გიორგი ამბროსის ზრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, გამოკვლევა, ტფ. 1926.
- შანიძე ა., ნასახლარი ზმნები ქართულში, თსუ მოამბე, I. 1919—1920.
- შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
- შანიძე ა. ჯ-ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2, 1960.
- შანიძე ა., პატრუკავი, თბილისის უნივერსიტეტი — გიორგი ახვლედიანს, საიუბილეო კრებული, თბ., 1969.
- შანიძე შ., ნეზვის ეტიმოლოგიისათვის, ორიონი, თბ., 1967.
- ჩიქობავა არნ., -ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926.
- ჩიქობავა არნ., ქანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ), თბ., 1936.
- ჩიქობავა არნ., ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
- ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1942.
- ჩიქობავა არნ., ქართულ-ზანურ ბგერათ-შესატყვისობათა ისტორიისათვის (წინასწარი მოხსენება), თეზისები; ენათმეცნიერების ინსტიტუტის V/XI სამეცნიერო სესია. თბ., 1954.
- ჩიქობავა არნ., საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი; ს. ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული (1658—1958), თბ., 1959.
- ცაიშვილი ს., „ჩიქი“ და „ვეფხი“ რუსთაველის პოემაში, გაზ. „კომუნისტი“, 1965, 28/XI, № 281.
- ციკოლია შ., „აწიკ“ ტერმინის შესახებ აფხაზურში, სოხუმის პედ. ინსტ. შრ. XXXI, 1960.
- ძიძიგური შ., ძიგბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- წერეთელი გ., სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესიები, № 1, მოხსენებათა კრებული, თბ., 1947.
- კინკარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- კინკარაული ალ., ფშაური სალექსიკონო მასალა, იყ. XVII. 1970.
- ქავთარაძე ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, ტფ., 1934.
- ქავთარაძე ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. 1937.
- ქავთარაძე ივ., ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში; ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1956.

- ქავახიშვილი ივ., ქართული ერის ისტორია, I, თბ., 1960.
- ქავახიშვილი ივ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I, თბ., 1964.
- ქანაშია ს., სვანურ-ადიღურ (ჩერქეზულ) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბ., 1959.
- ქანაშვილი არჩ., საქართველოს ცხოველთა მოსახლეობა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით; საქ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. I. 1947.
- ქანაშვილი არჩ., ბერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956.
- ქანაშვილი არჩ., საბას ლექსიკონის ზოგიერთი ზოოლოგიური ტერმინის განმარტებისათვის; ს.-ს. ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959.
- ქანაშვილი არჩ., ეფუხისტყაოსნის ცხოველები; შ. რუსთაველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966.
- ქაჩანიძე პ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., X, 1950—1951.
- ქაჩანიძე პ., აჭარული ლექსიკონის მასალები, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XXIII, 1961.
- ქეიჩანაშვილი ევა, ზოგი საერთო ფუძე წახურულ-რუთულურ-უღურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, იყ, IX—X, თბ., 1958.

- Абаев В. И. Историко-этимологический словарь осетинского языка. I. М.-Л., 1958.
- Абаев, В. И. Осетинский язык и фольклор. М.-Л., 1949.
- Бакрадзе Д. Кондаков Н. Опись памятников древностей в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890.
- Бгажба Х. Общие корни (и основы) в абхазском и картвельских языках, еж. II, 1948.
- о. Галуст, Вишاپ и Ушاپ в армянской приписке XIV в. XV. I, вып. I, СПб., 1912.
- Давнташвили Л. Ш. Курс палеонтологин, М.-Л. 1939.
- Догель В. А. Зоология беспозвоночных, М., 1947.
- Емесский Н. О природе человека, 1904.
- Жизнь животных по А. Э. Брему, т. III. М.-Л., 1930.
- Жизнь животных по А. Э. Брему, т. III. М.-Л., 1939.
- Жизнь животных по А. Э. Брему, т. I. М., 1948.
- Иллич-Свитыч В. М. Материалы к сравнительному словарю истра-тических языков. Этимология, М., 1965.
- Иллич-Свитыч В. М. Caucasia; Этимология, М., 1964.
- Капанцян Гр. О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, Изд. АН Арм. ССР, 19 2.
- Кипшидзе И. А. Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.
- Климов Г. А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.
- Марр Н. Я. Смирнов Я. И. Вишапы, 1930.

- Марр Н. Я. Из поездок в Сванцию, XV. т. II, вып. I, 1913.
- Марр Н. Я. Извлечение из сванско-русского словаря, II., 1922.
- Марр Н. Я. Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин, XV. т. II, вып. III, СПб. 1814.
- Марр Н. Я. Термин „Скиф“, Яфетический сборник, I, П., 1922.
- Марр Н. Я. Избранные работы, т. II, Л., 1935.
- Марр Н. Я. Избранные работы т. III, Л., 1938.
- Марр Н. Я. Избранные работы т. V, Л., 1935.
- Марр Н. Я. Яфетические названия деревьев и растений, П., 1915.
- Марр Н. Я. Яфетические элементы в языках Армении, III, IV, VI, Изв. АН, СПб. 1912—1913.
- Мачавариани Г. И., О трёх рядах сибилантных спирантов и аффрикат в картвельских языках, 1960.
- Мегрелидзе И. В. Лазский и мегрельский слои в гурийском, М.-Л., 1938.
- Джикия С. О грузинско-азербайджанских языковых взаимоотношениях, ენათმეცნიერების ინსტ. შტ., II, აღმოსავლურ ენათა სექცია, თბ., 1957.
- Мелникшвили Г. А. К истории древней Грузии, Тб., 1959.
- Рогова Г. В. К вопросу о структуре именных основ и категории грамматических классов в адыгских (черкеских) языках, Тб., 1956.
- Таксин В. С. Тюркские названия домашних животных в языке сюнну: Краткие сообщения ИИ-та Народов Азии, т. 85, М., 1964.
- Чарая П. Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб., 1912.
- Щербак А. М. Названия домашних и диких животных в тюркских языках; Историческое развитие лексики тюркских языков, М., 1961.
- Hjalmar Frisk, Griechisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg, 1954—55.
- F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.
- J. Pokorny, Indogermanisches etymologisches Wörterbuch, Fünfte Lieferung, Bern, 1951.
- K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaucasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
- M. Vasmer, Russisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg, 1. 1953.
- A. Walde, Latjanisches etymologisches, Wörterbuch Heidelberg, t. 1, 1938, t. 2, 1953.

ლიტერატურა

- აბულაძე ილ., ლექსიკონი; უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დლეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულეებისათვის“, თბ., 1964.
- ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПб., 1912.
- გორგაძე ს., ლექსიკონი; ბუნებისათვის კაცისა, ტფ. 1914.
- გორგაძე ანდრე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, გამოსცა ვლ. ფუტურაძემ, თბ., 1941.
- ინვერსული ლექსიკონი, თბ. 1967.
- კახაძე მ., ბერძნულ-ქართული ლექსიკონი; ბასილი დიდი, ექუსთა დლეთაჲ, თბ., 1947.
- ლეონიძე ლ., მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.
- შენთეშაშვილი სტეფ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- ორბელიანი ს.-ს. ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.
- ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული; ს.-ს. ორბელიანი, თბზულებანი: ტ. IV, გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1965.
- სვანურ-ქართული ლექსიკონი (ხელნაწერი). დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.
- ქავთარაძე ი., იმერული ლექსიკონი; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
- შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი; ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.
- ჩიქოვანი მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1941.
- ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, ალ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
- წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი; ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.
- კეონია ილ., სიტყვის კონა СПб., 1910.
- ხეცურული მასალები ბ. გაბუჯრის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონით, საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I—II, თბ., 1925.
- ჩანაშაი ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954.
- ჩანაშვილი მ., საინგილო, III, ლექსიკონი; ძველი საქართველო, II. ტფ. 1913.
- Даль, В. Толковый словарь великорусского языка, М., 1955.

- Древнегреческо-русский словарь, ред. С. Соболевский, М. 1957—1958, т. I—II.
- Кипшидзе И. Мингрельско-русский словарь: Грамматика мингрельского (инверского) языка, СПб., 1914.
- Магазиник Д. А. Турецко-русский словарь, М., 1945.
- Марр Н. Я. Чанско-русский словарь, Грамматика чанского языка, СПб., 1910.
- Миллер Б. В. Персидско-русский словарь, М., 1953.
- Русско-персидско-тюркский словарь, составил Аббас-кули-Хан-Сафтин, Тегеран.
- Чубинов Д. Грузинско-русско-французский словарь, СПб., 1840.
- Эристов Р. Д. Краткий грузинско-русско-латинский словарь из трёх естественных царств природы, Тифлис, 1881.
- Ağa kay, Türkçe sözlük, Ankara, 1959.
- Dr. W. Pape's, Griechisch-deutsch Handwörterbuch, Braunschweig, 1888.
- Redhauser W. Türkisch und English Lexicon, Constantinople, 1921.
- Sophokle E. A. Greek Lexicon of the Roman and Bisantine Periods, New-York, 1900.
- Wehr H. Arabisches Wörterbuch für die Schriftsprache der Gegenwart, Leipzig, 1958.
- Հ. Ա ն ո ո ե ե ն. Հայերեն արմատական բառարան, Երեւան, 1927—1932 թթ.

შინაარსი

წინასიტყვაობა .

3—5

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თ ა ვ ი I. ცხოველების აღმნიშვნელი ქართველური სახელები	6—113
1) ცხოველთა ზოგადი ცნების აღმნიშვნელი სახელები	6—17
2) ცხოველთა სქესის აღმნიშვნელი სახელები	17—28
3) მსხვილფეხა საქონელი—ზროხა	28—39
4) წვრილფეხა საქონელი — ცხოვარი	39—56
5) საქედარი	56—65
6) გარეული ცხოველები	66—96
7) შინაური ცხოველები	96—104
8) ქვეწარმავლები	104—112
9) ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა	112—134
10) ცხოველებთან დაკავშირებული მოქმედების აღმნიშვნელი სახელები	135—143

თ ა ვ ი II. ცხოველების აღმნიშვნელი ნასესხები სახელები	144—170
1) კრებითი სახელები	144—150
2) ცხოველების აღმნიშვნელი სახელები	150—166
3) ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა	166—170

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

წყლის ცხოველების აღმნიშვნელი სახელები	171—174
1) წყლის ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელები	171—174
2) ცხოველთ-შობულები	174—183
3) კეც-ობილინი... (მედუზა, ღრუბელი, უნიჟარო მოლუსკები)	183—189
4) კეც-ტყაიანი (ნიჟარანი მოლუსკები)	190—198
5) კუერტების დამსხმელნი.(თევზები)....	198—208
6) ორცხოველები (ამფიბიები)	208—227
დასკენითი ღებულებები	228—230
რეზიუმე რუსულ ენაზე	231—235
ტერმინთა საძიებელი	237—265
დამუშავებულ წყაროთა სია და შემოკლებანი	266—273
ლიტერატურა	274—278
ლექსიკონები	278—279

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. კ ა ბ ა შ ე ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი გ. გ ო გ ი ა ვ ა
ტექნიკური რედაქტორი ნ. თ კ უ ქ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ე ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 21.6.1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI-74;
ქალაქის ზომა 60 X 90^{1/16}; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 18,2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,6;

ტირაჟი 900

შეკვეთა № 1910

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Медиянерება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ზამიანეული ზმცომების ბასწორება

მპ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს	ვისაა შეცდომები
	ზემ.	ქვემ.			
18		4	სხვაგ	ხვაგ	კორ.
18		4	ქართლარ	ქათლარ	ავტ.
21	11		ვითა დედალი. САМЕЦ	САМЕЦ, ვითა დედალი	ავტ.
33		14	ანალოგიური	ანალოგიურია	კორ.
36	13		„უსხი-ზროხა საკლავი მსუქანი“-წერმ საბა. ქართულის იხმარება.	უსხი რაქულ დაალექტ-ში უშვილო ძროხის მნიშვნელობით იხმარება	
79		4	ГВОЛЧИЦЫ	de ВОЛЧИЦЫ	სტ. ავტ.
95		5	МЫШЬ	МЫШЬ	კორ.
98	14		ლ	ლი	კორ.
102	9		უშვ	ეშვ	კორ.
111	1		მრენათიძ	მრქინათხან	ავტ.
132	6		მდებარე	მდებარე არიან	ავტ.
145		15	ტევანში	ტევანი	ავტ.
163		16	ყვნიზა	ყვნიზა	ავტ.
180	9		ჟ სძრ ჟ	ჟ სძრჟ	ავტ.
181		14	gelachos	selachos	ავტ.
188		12	sprongia	spongia	ავტ.
251	17		Ζοίπος	Ζοίπος 103	კორ.
261		2	ენჯიქ	ენჯიქ	ავტ.
262	3		სუჯაყ	სუჯაყ	ავტ.
262	8		ქსიფ	ქსიფ	ავტ.